ბებიები ნეიტრალნ

ბოსელი

დეა მარადჩემია

რედაქტორი: **ელდარ ქურიძე**

მხატვარი: **მარიამ ჭიჭივეიშვილი**

ბებიკო ნაილი

ეს წიგნი ბავშვებისთვისაა დაწერილი, მხოლოდ და მხოლოდ ბავშვებისთვის! ამასთან, არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, ბავშვი შვიდი წლისაა, ჩვიდმეტის თუ სამოცდაშვიდის.

თუკი ამგვარმა განცხადებამ შენში კამათის სურვილი აღძრა ან ოდნავ განსხვავებული მოსაზრება გაგაჩნია ბავშვობის ასაკთან დაკავშირებით, გირჩევ, კითხვა არ გააგრძელო - ჩემი გაცნობა მხოლოდ და მხოლოდ ნერვებს მოგიშლის, ამის გამო კი თავს ორივე უხერხულად ვიგრძნობთ.

ისევ აქ ხარ?.. აი, ეს მესმის!

მოხერხებულად მოეწყვე მანდ. მეც ჩემს საწერ მაგიდასთან მოვკალათდები - დიდ, ძველებურთაღიან ფანჯარასთან, რომელიც ბევრმეზობლებიანი სახლის, სულ ბოლო, მესამე სართულზეა და საიდანაც, დაუჯერებლად მყუდრო და ლამაზი, ხელისგულისოდენა სკვერი მოჩანს. როცა არ უნდა გადაიხედო, სკვერში სულ ბავშვები თამაშობენ, თუ, რა თქმა უნდა, ძალიან ცუდი ამინდი არაა და მშობლებს შინ არ ჰყავთ გამოკეტილები. ამ დროს, დაცარიელებულ საქანელებთან და სასრიალოებთან მხოლოდ შეყვარებულები რჩებიან ხოლმე. მათ არც ცუდი ამინდი ანაღვლებთ და არც ის, რომ ჩვენი დიდი სახლის თვალებადქცეულ ფანჯრებს არაფერი გამოეპარებათ და, უნდათ თუ არ უნდათ, მათი ყველა საიდუმლო ზეპირად იციან.

მზიან დღეებში ხის ფერად სკამებზე მოხუცებიც სხდებიან ხოლმე და მაშინ ისინიც ბავშვებს ჰგვანან, ოღონდ ისეთ ბავშვებს, ერთბაშად ყველა თამაში რომ დაავიწყდათ.

კიდევ აქ ხეები დგას: ნაძვები და აკაციები - სახლზე მაღალი, ბრძენკაცებივით სიტყვაძუნწი და სანდო ხეები.

ხეებს ჩიტები სტუმრობენ ხოლმე.

ცაც ერთი ხელის გაწვდენაზეა.

აი, ასეთ ზღაპრულ ადგილას ვხვდები, მოვხურავ თუ არა ჩემი ოთახის კარს, რომელსაც არავინ შემომიღებს იმიტომ, რომ ჰგონიათ ვმუშაობ. ჰო, არიან ქვეყნად უცნაური ადამიანები, წერა და მუშაობა ერთი და იგივე რომ ჰგონიათ. ეგონოთ, რა... მე და ჩემი განუყრელი ნოუთბუქი სულ არ ვფიქრობთ ასე. მგონი, ამიტომ - არასოდეს გვბეზრდება ერთმანეთი.

ყავის ფინჯანიც სულ გვერდით მიდგას.

იცი, რა საოცარი ფინჯანი მაქვს? ახალი წლის წინა დღეს მაჩუქეს, იმ უბრალო მიზეზით, რომ მასზე ზუსტად ერთი დღით ადრე დავიბადე. თავიდან ჩვეულებრივი მეგონა და სხვა ფინჯნებთან ერთად მივუჩინე ადგილი თაროზე. მერე კი თანდათან დავრწმუნდი, რომ ჯადოსნურია. საკმარისია, აქედან ერთი ყლუპი ყავა მოსვა, რომ წარმოუდგენელი ძალით ივსები, ყველაფერი უცნაურად მარტივი და გასაგები ხდება შენთვის. თუკი ოდესმე მესტუმრები, აუცილებლად შემოგთავაზებ ფინჯან ყავას და დარწმუნდები, რომ მართალს ვამბობ.

უ-უჰ... საით გავუტიე!

სიმართლე თუ გინდა, ჩემზე კი არა, ბებიკო ნაილზე უნდა მომეყოლა. ეს აუცილებლად და ყოველმიზეზგარეშე უნდა გავაკეთო, თორემ ზღაპარში

მოხვედრის არაჩვეულებრივ შანსს დაკარგავ და თავს ვერასოდეს ვაპატიებ. ასეთი შანსი, ხდება ხოლმე, მხოლოდ ერთხელ, ერთადერთხელ, ეძლევა ადამიანს. ამიტომაც, მოდი, ასე ვქნათ – სხვა რამეებს სხვა დროს მოგიყვები, ახლა კი ჩემი ამბების სულ მთავარ გმირს წარმოგიდგენ.

ბებიკო ნაილი ჰქვია-მეთქი, ხომ გითხარი? თუმცა, კაცმა რომ თქვას, ვინმეს გასაცნობად მხოლოდ სახელი ბევრს არაფერს, უფრო სწორად, სრულიადაც არაფერს, ნიშნავს, ამიტომ უფრო არსებითზე შევაჩერებ შენს ყურადღებას... მმმ... სულაც და სულაც, ასე დავიწყებ:

ბებიკო ნაილს ძალიან უყვარს სეირნობა, განსაკუთრებით, შეღამებისას. სწორედ მაშინ, ადამიანები საკუთარ სახლებს რომ უბრუნდებიან, სინათლეს ანთებენ, ვახშამს ამზადებენ, იცინიან, ხმაურობენ, ერთმანეთს თავს გადახდენილ ამბებს უყვებიან, კამათობენ, ტირიან... გარეთ მათი ხმები თავისებურ, მრავალხმიან ჰანგად ერთდება და ქუჩებს უცნაური ხიბლით ავსებს. შენი კი, უცნობი მოგზაურივით, შორიდან უყურებ განათებულ ფანჯრებსა და აივნებზე გამოფენილ სხვების ცხოვრებას, გული რატომღაც დანაშაულზე წასწრებულივით გიცემს და ხვდები, როგორი განუმეორებელი, საინტერესო და ამაღელვებელია თითოეული ადამიანის ყოფა, თუმცა მათს უმეტესობას, ძალიან ხშირად, წარმოდგენაც კი არა აქვს ამის შესახებ.

ასე, ან დაახლოებით ასე, ფიქრობდა ბებიკო ნაილი, რომელმაც იმ საღამოს იმდენი იხეტიალა, ფეხებს რომ ენა ჰქონოდათ, ხვეწნით აიკლებდნენ, ცოტა მაინც მოგვასვენეო. ფეხების გასაჭირი მათივე პატრონს ოდნავადაც არ ანაღვლებდა. თვითონ,

როგორც ყოველთვის, თავს მშვენივრად გრძნობდა და იოტისოდენა ეჭვიც კი არ ეპარებოდა იმაში, რომ ასევე მშვენივრად გამოიყურებოდა. თავად განსაჯე: თეთრი, ღამის პერანგივით ანაოჭებული და საუცხოოდ დაუთოებული მოკლესახელოებიანი კაბა ეცვა, იქიდან ძაფივით წვრილი ხელ-ფეხი მოუჩანდა – ზუსტად ისე, ბავშვები რომ ხატავენ ხოლმე; კაბასავითვე თეთრი და ფუმფულა თმა ღრუბელივით ადგა თავზე, ხოლო უჩვეულოდ ლურჯი თვალები, ახლა განცდილი სიამოვნებისგან რომ უბრწყინავდა, ყვავილებივით გადაშლოდა ერთიანად ნაოჭებით დაფარულ, მეტისმეტად ფერმკრთალ სახეზე.

როდის-როდის გადაწყვიტა შინ დაბრუნება. აქეთ-იქით ყურებას შეეშვა. აუჩქარებლად მიუყვებოდა გზას შინისაკენ, თან საკუთარი ნაბიჯების ხმას უსმენდა მთელი გულისყურით. სახლთან მისულმა გასაღების ძებნას მიჰყო ხელი, მაგრამ ვერსად მიაკვლია – ვერც ჯიბეში ნახა, ვერც ხელჩანთაში. მიწაზეც ბევრი ეძება, ხომ არსად დამივარდაო. ბოლოს, შემთხვევით, კარის სახელური მოსინჯა და ძალიან გაიხარა, ჭიშკარი ღია რომ დაუხვდა, შინიდან გასვლისას დასაკეტი დარჩენოდა.

მეტად დაბნეული ვინმეა ბებიკო ნაილი.

თუმცა, უნდა ითქვას, ამის გამო სხვები უფრო წუხან, თორემ თვითონ ჩვეულებრივ ამბად მიაჩნია - ყველა წვრილმანს ხომ ვერ დავიმახსოვრებო. თუ სახლის კარი გამუდმებით ღია გრჩება, ეს ამბავი წვრილმანი კი არა, სხვა ნებისმიერი ადამიანისთვის, სერიოზული შეშფოთების საბაბი იქნებოდა – ვინ იცის, ქვეყნად რამდენი ქურდბაცაცა დაეხეტება, მაგრამ ბებიკო ნაილს ეს რატომღაც სრულიად არ აღელვებს. სახლში მათთვის საინტერესო არაფერი ეგულება,

ხოლო მოულოდნელი სტუმრობისთვის შეიძლება მადლობაც კი გადაუხადოს. დიდი ხანია, უნდა გაიგოს, რატომ ირჩევს ზოგიერთი ასეთ უიღბლო და ბრიყვულ პროფესიას. ჰოდა, მიიწვევს ფინჯან ყავაზე და დაწვრილებით გამოჰკითხავს. წარმოგიდგენია, რა გულითადი საუბარი გამოუვათ?!

ასეა თუ ისე, იმ დღეს ბებიკო ნაილს სახლში ქურდი არ დახვედრია. ამ უბრალო მიზეზით, არც ზემოაღნიშნული საუბარი შედგა და ყავის დალევაც მარტოს მოუწია. გავრცელებული აზრის საწინააღმდეგოდ, ღამით ყავის სმა უძილობას იწვევსო, ჩვევად აქვს, ძილის წინ მაგარი ყავა მიირთვას. მერე რა, უძილობას მაინც არ უჩივის. ალბათ იმიტომ, რომ ერთი სული აქვს, თავი ბალიშზე დადოს და სიზმრების იდუმალ სამყაროში შეაბიჯოს.

სიზმრებს კი მართლა შესაშურს ხედავს. ყველას ზღაპრული შინაარსი აქვს და, როგორც წესი, იმ ზღაპრების მთავარი გმირიც თავად გახლავთ ხოლმე. რა აღარ გადახდენია თავს ბალიშს ჩახუტებულს! ზოგიერთი ამბავი იმდენად საინტერესოა, გაგრძელებას ინატრებს ხოლმე და, რა გგონია, მომდევნო ღამესვე ნახულობს კიდეც, როგორც საყვარელი ფილმის მორიგ სერიას. აი, ასეთი უცნაური ამბები ხდება მის თავს.

თუმცა იმ ღამეს დაძინება არც უფიქრია. თავის საყვარელ, ქათქათა თეთრ ფინჯანში ქაფქაფა შავი ყავა ჩამოისხა, ოთახში სინათლე გამორთო და ფართოდ გამოღებულ ფანჯარას მიუჯდა. გარეთ ისე გაფაციცებით იყურებოდა, თითქოს ღამის სიბნელეში დაჟინებით ცდილობს რაღაცის დანახვასო. ყოველთვის ასე იქცევა ხოლმე, ახალი ზღაპარი რომ უნდა მოიგონოს. ჰო, სწორად მიხვდი... ბებიკო ნაილი მეზღაპრეა,

ნამდვილი მეზღაპრე, თუმცა ამ სიტყვის არცთუ მთლად ჩვეულებრივი გაგებით. იგი ზღაპრებს არც წერს და არც მაინცდამაინც ხშირად ჰყვება – ზღაპრებს ქმნის და... მერე შიგ ცხოვრობს.

ფაფასუას ფაფა

მშვენიერი დღე გამოვიდა. ქუჩების მორთვაში გართული ზაფხული დღითიდღე მეტ ნიჭს და ხალისს ამჟღავნებდა. მზეც ფეხდაფეხ დაჰყვებოდა, რომ მისი ყველა მითითება შეესრულებინა: მინებს ელვარებას მატებდა, ბალახს, ფოთლებს და ყვავილებს – სიხასხასეს. ანანომ დედა სამსახურში გააცილა. მერე ფანქრები და ახლადნაყიდი გასაფერადებელი ნაკრები გაშალა მაგიდაზე. სურათების გაფერადება მისი საყვარელი საქმიანობა იყო, თუმცა ახლა ვერაფრით დაუდო გული. დეიდა ნაზი გამალებით ებრძოდა დილის სიმყუდროვეს: სააბაზანოში სარეცხის მანქანას აგრუხუნებდა, სამზარეულოში წყალს აჩხრიალებდა, ჭურჭელს ჭახაჭუხით რეცხავდა, ზრიალ-წკრიალით ამშრალებდა, ტელევიზორი უკანასკნელ ხმაზე ჩაერთო და მთელი ეს აურზაური რომ გადაეფარა, ანანოსაც თითქმის ყვირილით არიგებდა ჭკუას.

– ძალიან ცოტას ჭამ, იმიტომაც ხარ ასეთი სუსტი და გალეული. მაგ მადის პატრონი როგორ უნდა გაიზარდო, დედაშენს კიდევ შენზე ნერვიულობა ესაჭიროება?! ისედაც ბევრი პრობლემა აქვს იმ საცოდავს, – გაკიოდა მთელი უბნის გასაგონად.

უეჭველია, იმედი ჰქონდა, ამგვარი შეგონებით ანანოს მგლის მადას გაუღვიძებდა. თავად არც მადის პრობლემა აწუხებდა და, შესაბამისად, არც წონის. თუმცა გააჩნია, საკითხს რომელი მხრიდან მიუდგები. -- "მაგალითად, ზოგს არ მოსწონს, როცა ქალი

მოსიარულე მთას ჰგავს," – ნიშნისმოგებით გაიფიქრა გულში ანანომ. ხმამაღლა, რა თქმა უნდა, ამის თქმას ვერ გაბედავდა. ჯერ ერთი, იცოდა, დედა არ მოუწონებდა და, მეორეც, დეიდა ნაზის მაინც ვერაფრით დააჯერებდა, რომ არც თავად გახლდათ სრულყოფილების განსახიერება. თავი ყოველმხრივ სამაგალითო პიროვნებად მიაჩნდა და, რაც მთავარია, შემთხვევას ხელიდან არ გაუშვებდა, ეს სხვებისთვისაც დაემტკიცებინა.

დეიდა ნაზი დედას შინაურ საქმეებში ეხმარებოდა. აი, ამაში კი ნამდვილად არ ჰყავდა ტოლი და სწორი: შეეძლო ერთდროულად ერეცხა, ეუთო-ებინა, ელაგებინა, სადილი გაემზადებინა, დილიდან საღამომდე საკუთარ ბედსა და სხვების უმადურობაზე ეწუწუნა, ხმის ჩახლეჩამდე ტელეფონზე ექაქანა და იოტისოდენა დაღლაც არ ეგრძნო.

"ნაზი კი არა, ნამდვილი დინამომანქანაა", – თქვა ერთხელ მასზე მეზობელმა გამყიდველმა. ანანომ ზუსტად არ იცოდა, ეს რას ნიშნავდა, მაგრამ ეჭვი არ ეპარებოდა, რომ რაღაც ძალიან სწრაფი, ხმაურიანი, გამუდმებით ჩართული და ისეთივე შემაწუხებელი უნდა ყოფილიყო, როგორც დიდი ხნის წინ გამოხრული კბილის ტკივილი.

სანამ დედა, მამა და ანანო ერთად ცხოვ-რობდნენ, დედა არ მუშაობდა და არც დამხმარე ესაჭიროებოდა. ახლა კი სამსახურით ისე იყო დაკავებული, ანანოს გამუდმებით ენატრებოდა და უწინდელზე მეტად ახარებდა ყოველი უქმე, როცა დედა მხოლოდ მის საკუთრებას წარმოადგენდა.

დროს ისე სასიამოვნოდ ატარებდნენ...

აუცილებელი არ იყო, რაიმე განსაკუთრებული ეკეთებინათ. ანანოს ყველაფერი სიხარულს ანიჭებდა:

ყოველდღიურ ამბებზე საუბარი, დედასთან ერთად ჟურნალების თვალიერება, ზღაპრების კითხვა, ტელე-ვიზორის ყურება, საყიდლებზე სიარული. ფინჯან ცხელ შოკოლადსაც კი, დედის ხელით მომზადებულს, სულ სხვა გემო ჰქონდა. როცა ამას ეუბნებოდა, დედა ღიმილით თვალებს ჭუტავდა, ეშმაკურ გამომეტყვე-ლებას იღებდა და მერამდენედ უხსნიდა გოგონას თავისი კულინარული წარმატების საიდუმლოს:

- ცოტა შოკოლადის ფხვნილი, ცოტა რძე, ცოტაც შაქარი და ბევრი, ბევრი სიყვარული – აი, სულ ესაა.

დეიდა ნაზი, რა თქმა უნდა, ამ ყველაფერს აგდებულად შეხედავდა. სხვისი გაკეთებული არასო-დეს არაფერი მოსწონდა. ამიტომ თუ იყო მასთან ყოფნა ასე მოსაწყენი.

ანანომ წუთით თვალები დახუჭა და შეეცადა, რაიმე სასიამოვნოზე ეფიქრა. აი, ის, დედა და მამა პლაჟზე სხედან. ირგვლივ სიცილი და მხიარული მუსიკა ისმის. სიო კისერში უძვრება და მზისგან გახურებულ კანზე ეტმასნება, ზღვა ტალღებით ეფერება ფეხისგულებზე. შორს, ჰორიზონტზე, გემი გამოჩნდა. - "გავისეირნოთ?" – კითხულობს მამა და გემზე ანიშნებს. ეს ისე ცხადად წარმოიდგინა, მისი ოდეკოლონის სუნმაც კი შეუღიტინა ნესტოებში და გული მონატრებისგან შეეკუმშა.

მამა...

ანანომ თვალი გაახილა თუ არა, ოთახში დაბრუნდა. რა კარგად იყო ყველაფერი, სანამ ის უჟმური, ქარიანი დღე გათენდებოდა! - "მე და დედამ გადავწყვიტეთ, ცალ-ცალკე ვიცხოვროთ. დამიჯერე, ყველასთვის ასე ჯობს", – რაღაცის ახსნას ცდილობდა მამა. დედა არაფერს ამბობდა, თვალები დაეხარა და

საკუთარ ხელებს დასცქეროდა. მერე მამამ თავზე აკოცა, მალე გინახულებო, უთხრა და წავიდა.

მას მერე, ანანოს გამოთვლით, მთელმა საუკუ-ნემ გაიარა. ნეტავ, მამასთვის რას ნიშნავს "მალე"? რატომ გადაწყვიტეს მან და დედამ ცალკე ცხოვრება? ანანოს რატომ არაფერი ჰკითხეს? რაზე ვერ რიგდებიან ხოლმე უფროსები?

ანანოს უამრავი რამ ჰქონდა გასარკვევი, მაგრამ არ იცოდა, ვისთვის დაესვა ეს შეკითხვები. ჯერ ძალიან პატარა იყო, მაგრამ აუხსნელადაც მშვენივრად ხვდებოდა, დედას ამ თემაზე ლაპარაკით გულს ატკენდა, თუმცა კითხვები თავს არ ანებებდნენ და ჯიუტად მოითხოვდნენ სწორ პასუხებს.

"ნატვრისთვალი რომ არსებობდეს, – ოცნება გააგრძელა ანანომ. – ვთხოვდი, საქმე ისე მოეწყო, ყველანი ბედნიერები ვყოფილიყავით. რა ცუდია, სასწაულები მხოლოდ პრიალაფურცლებიან და ნახა-ტებიან წიგნებში რომ ხდება". თავიდან არაფრით უნდოდა ამის დაჯერება, მაგრამ უკვე იმდენჯერ უთხრეს... თითქმის დაიჯერა კიდეც.

რა უსამართლობაა!

რატომ წერენ არაჩვეულებრივ ამბებზე ამდენს, თუკი არ არსებობს. ვის სჭირდება არარსებულ რამეებზე ლაპარაკი?

გულმა გარეთ გაუწია. ეზოში გამოვიდა და ქუჩაში გასასვლელი კარი გამოაღო, სანამ დეიდა ნაზი მოიკითხავდა, იქნებ იქ რამე საინტერესო აღმოეჩინა. თუმცა მათ პატარა ქალაქში იშვიათად ხდებოდა რაიმე განსაკუთრებული. რამდენიმე მანქანამ ჩაიქროლა, ეგ იყო და ეგ. მერე მოსახვევში ერთი მოხუცი ქალი გამოჩნდა, ძალიან გამხდარი იყო და ისე მსუბუქად მოაბიჯებდა, თითქოს მოცეკვავსო. ქალმა შორიდანვე

შენიშნა გოგონა და გაუღიმა. - "ვიღაცაში შევეშალე", - გაიფიქრა ანანომ და თვალი მოარიდა, მაგრამ მოხუცმა, ქუჩა გადმოჭრა თუ არა, პირდაპირ მისკენ აიღო გეზი.

– ამ პატარა გოგოს ჯერ არ ვიცნობ, მეზობლები კი გვეთქმის. სასწრაფოდ უნდა გამოვასწოროთ აღნიშნული გაუგებრობა, – უთხრა მოახლოებისას, თან ღიმილით გამოუწოდა გრძელთითება, გაჩხინკული ხელი, – მე ყველა ბებიკო ნაილს მეძახის, შენ რაღა გქვია?

– ანანო, მაგრამ პატარა სულაც არა ვარ, შემოდგომაზე სკოლაში წავალ, – წყენა ჩაუდგა თვალებში ანანოს.

მოხუცმა გაოცება ვერ დაფარა:

– შენ რა, გინდა დიდი იყო? რა სისულელეა! დიდები ხომ საშინლად უინტერესო ხალხია, თავი ათასი აბდაუბდით აქვთ გამოტენილი და ყველაფერი გვესმისო, ჰგონიათ. ზღაპრებსაც აღარ კითხულობენ...

– კი, მაგ-გრამ, – რატომღაც ენა დაება ანანოს. – შენ ხომ ძალიან დიდი... ასი წლისა მაინც იქნები, – თქვა და წამსვე ინანა. მიხვდა, მთლად ზრდილო-ბიანად არ იქცეოდა. კიდევ კარგი, მოხუცს არ სწყენია.

– ასე გგონია? მგონი, არც ისე ბებერი ვარ, ჩემთან თამაში არ მოგეწონოს, – უთხრა მან და თვალებში გამომწვევად შეაჩერდა. უცებ უცნაური რამ მოხდა: ანანოს მოეჩვენა, რომ მოხუცის თვალებიდან პატარა, ანცი გოგო იმზირებოდა და მხიარულად უცინოდა.

– აბა, რას იტყვი, მესტუმრები? აი, იმ სახლში ვცხოვრობ. – ანანომ ქალის გაფშეკილ თითს თვალი გააყოლა და ქუჩის ბოლოს მწვანედ შეღებილი ჭიშკარი დაინახა. ჭიშკრის ზემოთ ქუდივით მოჩანდა სახლის სახურავი.

– მარტო მოვიდე? – იკითხა ყოველი შემთხვევისთვის, რადგან, როგორც წესი, ხანშიშესულ დეიდებს და ბებიებს უფროსებთან ერთად სტუმრობდა ხოლმე.

– ჰო, ასე აჯობებს. პრესას და ტელევიზიას ტყუილუბრალოდ ნუ შევაწუხებთ, – სერიოზული სახით მიუგო ბებიკო ნაილმა, გამოსამშვიდობებლად ხელი დაუქნია და გზა განაგრძო.

– ანანოოო, – დოინჯშემოყრილი გადმოდგა აივანზე დეიდა ნაზი, – ახლავე შინ შემოდი! რამდენჯერ უნდა გითხრა, ქუჩაში კარგად აღზრდილი გოგოების ადგილი არ არის-მეთქი?!

– უჰ, დაიწყო! – ამოიხვნეშა გოგონამ და კარი მიხურა.

***

ბებიკო ნაილის მიპატიჟება ანანოს მხოლოდ მაშინ გაახსენდა, დეიდა ნაზის მოულოდნელად დედა-ქალაქში რომ მოუხდა გამგზავრება. დედას წინასწარ შეატყობინა, სასწრაფო საქმე გამომიჩნდა და ხვალ იქნებ უჩემოდ გახვიდეთ იოლადო. - "მთელი დღე მარტო როგორ იქნები? – შეწუხდა დედა, – ჩემი სამსახურში წაუსვლელობაც არ იქნება." დეიდა ნაზისთან ყოფნას მარტო ყოფნა მირჩევნიაო, კინაღამ წამოსცდა ანანოს, მაგრამ დროზე შეიკავა თავი – მიხვდა, ზურგს უკან სხვისი ცუდად მოხსენიება მთლად პატიოსანი საქციელი არ უნდა ყოფილიყო.

უცბად, გონებაში ახლადგაცნობილი მოხუცის სახე ამოუტივტივდა და დედას დაწვრილებით მოუყვა მასთან შეხვედრის ამბავი. მხოლოდ ის ადგილი

გამოტოვა, ბებიკო ნაილი უფროსების შესახებ საკუთარ მოსაზრებას რომ უზიარებდა.

– ბებიკო ნაილს ვინ არ იცნობს?! – გაიხარა დედამ. – ისე კი, დიდი ხანი არაა, რაც ჩვენს უბანში გადმოვიდა საცხოვრებლად. ძალიან სასიამოვნო მოხუცია, თუმცა... ცოტა არ იყოს, უცნაური. შევუთანხმდები და თუ მოიწყენ, შეგიძლია, ესტუმრო.

***

ანანო თითის წვერებზე შედგა და რკინის მწვანე ჭიშკარზე ზარის ღილაკს დაუწყო ძებნა. როცა მსგავსს ვერაფერს მიაგნო, ფრთხილად ჩამოწია სახელური. კარი უხმაუროდ გაიღო და გოგონა ნახატივით მშვენიერ ეზოში აღმოჩნდა. ეზო დაბალი ბალახით იყო დაფარული. შუაგულში იდგა უზარმაზარი, ფართოტოტებიანი ხე, რომლის ჩრდილში ლამაზად შეღებილი მაგიდა და სკამები გაეწყოთ. შორიახლოს, დეკორატიული კლდის ნატეხიდან ნამდვილი წყარო მოწანწკარებდა. ეზოს სიღრმეში კი მაღალფანჯრებიანი პატარა სახლი მოჩანდა, სულ რამდენიმე საფეხურიანი და კოპწია მოჯირიანი კიბით. სახლის კედლებს ვარდის ბუჩქები ამშვენებდა.

გოგონამ საფეხურები აირბინა და შესასვლელთან გაუბედავად შედგა. არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო – დაეკაკუნებინა თუ დაეძახა. ამ ფიქრში იყო, რომ კარი მოულოდნელად თავისით გაიღო და ყურებამდე გაღიმებულმა ბებიკო ნაილმა გოგონა შინ შეიპატიჟა.

– არც "ბოდიში", არც "თუ შეიძლება", უბრალოდ, "დილა მშვიდობისა" თქვი და შემოდი.

ანანო რატომღაც გაწითლდა, დილა მშვიდობისაო, წაიბუტბუტა და გაუბედავად შეაბიჯა მყუდროდ მოწყობილ მისაღებ ოთახში.

– რა კარგია, რომ მოხვედი! ეს ესაა დავაპირე, შვრიის ფაფას მოვხარშავ-მეთქი, მარტო კაცი კი ჭამაშიაც ბრალიაო, ხომ გაგიგია?

– მე უკვე ვისაუზმე, – წინასწარ იუარა ანანომ. ფაფას დასანახად ვერ იტანდა, მით უმეტეს, შვრიისას.

– კარგი ერთი, – გაეცინა მოხუცს. – განა არ სჯობს, პირდაპირ მითხრა, ფაფა არ მიყვარსო?!

ჩანდა, ბებიკო ნაილს აზრების კითხვა შეეძლო, თუმცა არაფრად ჩაუგდია, მისი შეთავაზება რომ არ მიიღეს.

– სიმართლე გითხრა, ფაფა არც მე მიყვარს, ყოველ შემთხვევაში, ჩვეულებრივი. აი, რაც შეეხება, ფაფასუას ფაფას, გთხოვ, შეფასებისას ნუ აჩქარდები!

– ფაფასუა ვინაა? – დაინტერესდა ანანო.

– წამოდი, გაჩვენებ.

ბებიკო ნაილმა გოგონას ხელი ჩაჰკიდა და პაწაწა, მზიან სამზარეულოში გაიყვანა.

– აი, ისიც, მთელი თავისი ბრწყინვალებით, – თქვა და ერთ-ერთი თაროდან მუყაოს ფერადი კოლოფი გადმოიღო. კოლოფზე კეთილად მომღიმარი და ღამესავით შავი კაცი ეხატა. კაცს თავზე მზარეულის ფუშფუშა, თეთრი ქუდი დაეხურა, ხელში კი ოხშივარადენილი ფაფით სავსე ჯამი ეჭირა.

– შენი ნაცნობია? – დაეჭვდა ანანო.

– არა, არ ვიცნობ იმიტომ, რომ არასდროს შევხვედრივარ. ისე კი, ნამდვილი მეგობრები ვართ.

ანანო აქამდე, თუ გინდა, დაიფიცებდა: ადამიანს რომ დაუმეგობრდე, ჯერ უნდა გაიცნოო. როგორც ჩანს, ბებიკო ნაილს ყველაფერზე საკუთარი შეხედულება გააჩნია.

– გასაკვირი არაფერია, – ხელი ჩაიქნია მოხუცმა, – მეგობარი ის ადამიანია, რომლისაც კარგად გესმის. დანარჩენი მხოლოდ უბრალო ფორმალობაა, სხვა არაფერი.

ფორმალობა რაღას ნიშნავსო, უნდოდა ეკითხა ანანოს, მაგრამ გადაიფიქრა – გაცნობისთანავე კითხვებით ხომ არ მოაბეზრებს თავს ადამიანს. ძალიან ბევრ კითხვას სვამო, – გამუდმებით საყვედურობდა დეიდა ნაზი.

– ფაფასუასი კი მშვენივრად მესმის, – განაგრძობდა ბებიკო ნაილი, – მხიარული კაცია, ბავშვები უყვარს და მართალია, ზოგი ამბობს, ფაფის ჭამის მეტი მაგან არაფერი იცისო, დარწმუნებული ვარ – ამქვეყნად ყველაზე გემრიელი ფაფის მომზადებაც შეუძლია. თან იმდენად გულისხმიერია, ვისაც უნდა, ასწავლის კიდეც. ნახე, კოლოფზე ფაფის მომზადების წესი წერია.

ბებიკო ნაილმა რომელიღაც წარწერას ხელი გააყოლა და დამარცვლით წაიკითხა:

– თუ გინ-და, რომ გქონ-დეს ფა-ფა,

რძე შე-მოდ-გი ცეც-ხლზე სწრა-ფად...

რძე გვაქვს? – გვაქვს, – მაცივრის კარი გამოაღო და რძიანი პაკეტი მოიძია.

მერე კარადიდან ლამაზად მოხატული ქვაბი გამოიღო, რძე შიგ ჩააჩხრიალა და ცეცხლზე შემოდგა. ცოტა ხანში სამზარეულო ახლადადუღებული რძის ნაზი და სასიამოვნო სუნით აივსო.

– რძემ დაიწყო ბურდღუნი? –

ჩაამატე ბურღული.

მართლაც, თითქოს ბრაზიანად ბურდღუნებსო, რძე დუღდა და გადმოდიოდა. ბებიკო ნაილმაც არ დაახანა, ცეცხლს ცოტა დაუწია და ფაფასუას კოლოფიდან რამდენიმე კოვზი ბურღული ჩააყარა, მერე მოურია და კითხვა გააგრძელა:

– თუ გსურს, ფაფა იყოს ტკბილი,

არ დაზოგო შაქრის ფხვნილი.

ოი, კინაღამ დამავიწყდა, – ლოყაზე ხელი შემოირტყა და ახლა საშაქრე მოაპირქვავა ქვაბში.

ანანო თვალმოუშორებლად უყურებდა, არაფერი გამომრჩესო. რა სასიამოვნო გასართობი ყოფილა ფაფის მომზადება, სახლში რომ მივა, აუცილებლად მოსინჯავს.

ბებიკო ნაილმა, თითქოს განზრახვა მოუწონაო, ქურასთან მიიპატიჟა.

– მოდი, ცოტა შენც მოურიე, – უთხრა და ხელში ხის კოვზი მიაჩეჩა. რიგრიგობით მოურიეს და ფაფაც გამზადდა.

– ესეც ასე, – კმაყოფილებით გაიღიმა მოხუცმა, – მშვენიერი ფაფა მოვხარშეთ, მაგრამ უფრო გემრიელი რომ გეჩვენოს, კიდევ ერთი აუცილებელი წესი არ უნდა დაგავიწყდეს.

– რომელი წესი? – დაინტერესდა ანანო.

– შენი ნახელავით ვინმეს უნდა გაუმასპინძლდე, – თქვა ბებიკო ნაილმა და უცბად ძალიან უცნაური რამ ჩაიდინა: ეზოში გავიდა, თითები პირში ჩაიწყო და რამდენჯერმე ისე ოსტატურად დაუსტვინა, მხოლოდ ბიჭებს რომ გამოსდით ხოლმე.

ცოტა ხანში კარი ბრახუნით გაიღო და ოთახში ცხრა-ათი წლის აჩაჩულ-დაჩაჩული და თმააბურძგნული ბიჭი შემოიჭრა.

– საშველად მიხმე, სადმე მივდივართ თუ სასუსნავზე მეპატიჟები? – სულმოუთქმელად მიაყარა კითხვები ბებიკო ნაილს, ანანო არცკი შეუნიშნავს.

– გამოცანა გერგება.

ბიჭმა დოინჯი შემოიყარა, ცხვირით ჰაერი ღრმად შეისუნთქა და დარწმუნებით გამოაცხადა:

– თუ ცხვირი არ მატყუებს, აქ ვიღაც-ვიღაცებმა გემრიელი ფაფა მოხარშეს.

– და, შესაძლოა, მიირთვეს კიდეც. შენ კი იმიტომ გიხმე, რომ ერთი მშვენიერი გოგონა გაგაცნო, რომელსაც უჩინმაჩინის ქუდი არ ახურავს, მაგრამ ზოგიერთი მაინც ვერ ამჩნევს.

ბიჭმა მოიხედა და ახლაღა დაინახა ანანო.

– ოჰ, უნდა მაპატიო. ზრდილობა თავზე ნამ-დვილად არ გადამდის, – მოუბოდიშა და ხელი დიდი კაცივით ჩამოართვა.

– ახლა ორივეს მოგიწევთ ხელების დაბანა, – გაიცინა ბებიკო ნაილმა და ბიჭის მოთხუპნულ ხელებს ყურადღებით დააკვირდა. – მგონი, განძის სათხრელად იყავი უჩემოდ.

– განძზე უკეთესი რამე ვიპოვე, – გამოტყდა ბიჭი, – გაფუჭებული მანქანის ნაწილები ჩამივარდა ხელში. მთელი საათია, ვუკირკიტებ. ფაფა მართლა არ დამიტოვეთ?

– ხელებს რომ დაიბანთ, მაგას მერე გეტყვი, – უპასუხა ბებიკო ნაილმა და ბავშვებს სააბაზანოში გაუძღვა.

ოთახში რომ შემობრუნდნენ, სუფრა გაწყობილი დახვდათ. მაგიდაზე ფაფით სავსე სამი თეფში იდგა და ორთქლი ზუსტად ისე ასდიოდა, როგორც სურათზე.

– ვაშაა, ფაფასუას ფაფა! – გაიხარა ბიჭმა.

ანანომ, თავისდა გასაკვირად, აღმოაჩინა, რომ ერთი სული ჰქონდა, ყველასთვის ასე სასურველი ფაფის გემო გაესინჯა. მოუთმენლობა მერე გენახა, როცა ბებიკო ნაილმა გამოაცხადა:

– ეს თეფშები უბრალო არ გეგონოთ – ზანზიბარელი ჯადოქრისგან ვიყიდე. მარწმუნებდა, ფაფის შეჭმის შემდეგ ფსკერზე თუ რაიმე ნახატი გაჩნდა, მის შესატყვის საჩუქრად იქცევაო. ეე... ცოტა ნელა, პირი არ დაიწვათ.

ეს გაფრთხილება კი ნამდვილად დროული იყო. ბავშვები ისე გამალებით ეცნენ ფაფას, თითქოს თავის დღეში არაფერი უჭამიათო. რამდენიმე ხანს მხოლოდ კოვზების რაკარუკი ისმოდა.

– ნახეთ, ჩემს თეფშზე უკვე გამოჩნდა რაღაც, – გახარებულმა იყვირა ბიჭმა და ფაფას უფრო გამეტებით მოუსვა კოვზი. ანანომაც მოუჩქარა ჭამას და მალე მანაც გამოუჩინა თეფშს ძირი. როცა ფაფა მთლიანად მოათავეს, ორივეს აღტაცებული შეძახილი აღმოხდა: გოგოს თეფშზე ლამაზკაბიანი თოჯინა ეხატა, ბიჭისაზე კი – ხმალი და ნიღაბი. მხოლოდ ბებიკო ნაილი იყო ჩუმად. თეფში მასაც საგულ-დაგულოდ მოეპრიალებინა, მაგრამ ზედ არანაირი ნახატი არ ჩანდა.

– დღეს ბედი არ გწყალობს, – გაეცინა ბიჭს, ბებიკო ნაილის ჩაფიქრებულ სახეს რომ შეხედა.

– ვითომ? – ეშმაკური გამომეტყველება მიიღო მოხუცმა. – მაშ, თქვენ გგონიათ ამ თეფშზე არაფერი ხატია?

ბავშვები თეფშს ყურადღებით დააჩერდნენ. ჩვეულებრივი, სადა, ცისფერი თეფში იყო.

– არაფერი გაგეგებათ! თქვენი აზრით, მშვიდი, უღრუბლო ცა და კარგი დარი როგორ იხატება?

– გინდა თქვა, რომ ამ თეფშზე უღრუბლო ცა ხატია და საჩუქრად კარგი დარი გერგო? – დაეჭვებით იკითხა ბიჭმა.

– განა ცხადზე უცხადესი არ არის? – გაიკვირვა ბებიკო ნაილმა და თვალები თავადაც მოსარკული ცასავით გაუნათდა. – გაიხედეთ, გარეთ როგორი ამინდია! მრცხვენია კიდეც, ყველაზე კარგი საჩუქარი მე რომ შემხვდა, თუმცა თქვენც არ უნდა იყოთ უკმაყოფილო.

ნამდვილად ძალიან კმაყოფილები ვიქნებით, თუ ჩვენი ნახატები მართლა საჩუქრებად გადაიქცევაო, თავის ქნევით დაუდასტურეს ბავშვებმა.

– რას ნიშნავს მართლა... საჩუქრები აქვე ახლოს იქნება სადმე, ცოტა მოძებნა უნდა ხოლმე, – აუხსნა ბებიკო ნაილმა, თეფშები ერთმანეთზე დააწყო და სამზარეულოსკენ გაემართა.

ბავშვები დაფაცურდნენ, ოთახი მოათვალიერეს. მერე შეთანხმდნენ და სხვადასხვა კუთხიდან დაიწყეს ძებნა. გულდასმით გაჩხრიკეს ყველა მეტ-ნაკლებად საეჭვო ადგილი. ჰოდა, რა გგონია, მართლა იპოვეს, რასაც დაეძებდნენ: თოჯინა კარადის უკან იყო დამალული, ნიღაბი და ხმალი კი გასაშლელი დივნის უჯრაში იდო. აღტაცებისგან ფრთაშესხმული ანანო საკუთარ თვალებს არ უჯერებდა. ბიჭმა ეშმაკურად ჩაიცინა:

– დავიჯერე, რა... ალბათ ჯერ სათამაშოები გადამალა, მერე თეფშებზე სურათები დაახატვინა, ბოლოს ფაფა გააკეთა და ისე მოაწყო, რომ ყველაფერი თეფშებისთვის დაებრალებინა... არ იცნობ შენ ბებიკო

ნაილს. მაგნაირი ამბების დიდი ოსტატია. ისე კი, მაგრად მოუფიქრებია, რაც მართალია, მართალია.

ანანოს, ცოტა არ იყოს, ეწყინა, ბიჭმა ჯადოსნური თეფშების ძალაში ეჭვი რომ შეიტანა. თუმცა კარგად რომ დაფიქრდა, გადაწყვიტა, საჩუქრის მიღება ყოველგვარი ჯადოქრობის გარეშეც ძალიან სასიამოვნოაო. სანამ გოგონა ახალი სათამაშოს თვალიერებით ტკბებოდა, ბიჭმა ნაჩქარევად მოირგო ნიღაბი და ხმლის ოსტატური ქნევით წარმოსახულ მოწინააღმდეგეს შეუტია.

– ცოცხალი ვერ გადამირჩები, – შესძახა მრისხანედ და სწორედ ამ დროს ოთახში შემობრუნებულ ბებიკო ნაილს დაეტაკა.

– რა დავაშავე? – გაიკვირვა მან. – მცოდნოდა ამ ქალაქში ფაფით გამასპინძლებისთვის სიკვდილით სჯიდნენ, ნამდვილად მეტ სიფრთხილეს გამოვიჩენდი.

– ქალებს ბრძოლის არაფერი გაეგებათ, ჯობია, წავიდე და ვინმე უფრო ღირსეულს შევება, – მედიდურად გამოაცხადა ბიჭმა და ანანოს მიუბრუნდა.

– ნახვამდის! დღეიდან მეგობრად მიგულე. თუ რამე გაგიჭირდეს, ჩემი სახელი ახსენე და იმავე წამს შენთან გავჩნდები.

– შენი სახელი რომ არ გითქვამს? – აღმოაჩინა უცებ ანანომ.

– მართლა? – გაეცინა ბიჭს. – საერთოდ, საბა მქვია, ბებიკო ნაილი კი მოხუცს მეძახის.

– რა ჩემი ბრალია, საბა თუ მოხუცს ნიშნავს?! – თავი იმართლა ბებიკო ნაილმა. – გასაკვირი ეგ კი არა, რა არის, იცი? – მე რატომ მეძახის მოხუცს ზოგიერთი ძველმოდურად მოაზროვნე ადამიანი.

– ჰო, ეგ მართლა გასაკვირია. ბებიკო ნაილი ყველაზე ყოჩაღი და მოხერხებულია მათ შორის, ვინც კი ამქვეყნად მინახავს, – განუმარტა საბამ ანანოს და ოთახიდან გავარდა. უკვე წასული ეგონათ, რომ კვლავ შემოყო თავი კარებში და დაამატა:

– თან მასთან არასოდეს მოიწყენ!

ამბავი ბიჭისა,
მტრის მეგობრად გადაქცევა რომ შეუძლია

მოწყენა? ბებიკო ნაილმა, მგონი, არც იცის ამ სიტყვის მნიშვნელობა. როგორ შეიძლება მოწყენას უჩიოდე, როცა თითოეულ დღეს ამდენი სიხარული მოაქვს! ფანჯრიდან შემოჭრილი სინათლის სხივი გაღვიძებაში გეხმარება და უხმაუროდ, მაგრამ დაჟინებით და ალერსიანად გიწვევს ასადგომად. ლოგინიდან წამომდგარი დილის ცინცხალ ჰაერს ისუნთქავ და სიმხნევით ივსები. თითქოს დილა ძალას იკრებსო, შენს ყურთასმენას თანდათან იპყრობს ჩიტების ჭიკიჭიკი, ძაღლების ყეფა, კანტიკუნტი გადაძახილი, ადრიანად გამოსული მანქანების ხმაური და სურვილი გიჩნდება, საკუთარი ხმაც მიუერთო ახალი დღის შესახვედრად ატეხილ სამზადისს. რა სასიამოვნოა, რომ შეგიძლია თავი სამყაროს ნაწილად იგრძნო, სამყაროსი, რომელიც გამუდმებით და დაუყვედრებლად ზრუნავს შენზე და ამქვეყნად არსებობის კიდევ ერთი არაჩვეულებრივი დღე გაჩუქა.

ბებიკო ნაილს ყოველთვის გამოუთქმელი ჟრუანტელი უვლის იმის წარმოდგენაზე, თუ რამდენი რამ შეიძლება მოხდეს ერთი, სრულიად ჩვეულებრივი, დღის მანძილზე.

დილას, როგორც დიასახლისთა უმრავლესობა, ისიც სახლის დალაგებით იწყებს, თუმცა იმავე უმრავლესობისგან განსხვავებით, ეს პროცესი უზომოდ საინტერესო და მშვენიერი ეჩვენება. ყოველ დილით დიდი გულისყურითა და აღმაფრენით აკეთებს ერთსა და იმავეს: გულდაგულ ასუფთავებს თავისი პაწაწინა ბინის კუთხე-კუნჭულს, სიყვარულით სწმენდს მტვერს

მეგობრებივით შეჩვეულ ნივთებს, აპრიალებს და პეწს მატებს დიდი ხნის წინ შეძენილ ავეჯს.

შინაურ საქმეებს რომ მოითავებს, კიდევ ერთხელ, მადლიერებით შეავლებს თვალს საკუთარ ნახელავს. ნუთუ მე შევქმენი ეს სიმყუდროვე და სილამაზე, – გაიფიქრებს კმაყოფილი. მერე გარეთ გამოვა და, თუ საამისო ამინდია, ვარდებს წყალს დაალევინებს. ასე ეძახის ყვავილების მორწყვას. ვარდები მიჩვეულნი არიან მის მზრუნველობას და, მადლობის ნიშნად, იფურჩქნებიან – არომატსა და მშვენიერებას ჩუქნიან ეზოს.

ბებიკო ნაილს ძალიან მოსწონს, როცა სახლი სიმყუდროვითაა სავსე, ეზო – ვარდების სურნელით, ხოლო ადამიანის გული – ბედნიერებით. განსაკუთრებით – ეს უკანასკნელი. ამიტომ გამუდმებით ცდილობს, გარშემო ყველამ ბედნიერად იგრძნოს თავი. ერთ მშვენიერ დღეს კი აღმოაჩინა: ადამიანები ყველაზე უკეთ თავს ზღაპარში გრძნობენ. ხომ გაგიგონია: ზღაპრულად ბედნიერიო, განსაკუთრებით ბედნიერზე რომ იტყვიან; ზღაპრულად ლამაზიო – განსაკუთრებით ლამაზზე; ისე, როგორც ზღაპარშიო – ყველაზე უჩვეულო და სასურველ მდგომარეობაზე?

ჰოდა, ამიტომაც გადაწყვიტა, კარგი იქნება თუ ადამიანებს ზღაპარში მოხვედრას გავუადვილებო. თქმა და ქმნა ერთი იყო: მას შემდეგ დაინახავს თუ არა ვინმეს, ვინც თავს უბედურად მიიჩნევს – შენც შენიშნავდი, ადამიანებს მიზეზი არ ელევათ, თავი უბედურად იგრძნონ – მყისვე დახმარებას სთავაზობს. მაგრამ... აი, ეს მაგრამაა, საქმეს რომ ურთულებს. განა ბევრი გეგულება გარშემო, ვინც დაიჯერებს, რომ ზღაპარში ცხოვრება შესაძლებელია? შეგიძლია, ახლავე

გამოიკითხო და დარწმუნდები, რა ძნელია, ადამიანი გააბედნიერო.

ზოგს ზღაპრების არსებობაც კი აღარ სჯერა. ასეთებმა ყოვლად სულელური გამოთქმა – „ზღაპარი-ვით დაუჯერებელი“ მოიფიქრეს. არადა, ისე ადვი-ლია, თავი შუაგულ ზღაპარში ამოყო, გაგიჟება შეიძლება. ყური დამიგდე და შენც გაგიმხელ საიდუმ-ლოს, ბებიკო ნაილმა ხანგრძლივი დაკვირვების შედეგად რომ აღმოაჩინა.

მაშ, ასე: კარგად დაფიქრდი და მიპასუხე – რა არის საჭირო, ერბოკვერცხი რომ მოამზადო? ამას საქმესთან რა კავშირი აქვს? ძალიან დიდი. ამიტომ, გთხოვ, გაიხსენე და მიპასუხე. ესე იგი, რა? მართალი ხარ: ერბო, კვერცხი და მარილი. მერე? ცხელ ტაფაზე ერბოს გაადნობ, კვერცხს ათქვეფ, გემოვნებით მარილს დაუმატებ, ტაფაზე დაასხამ და შეწვავ. სწორია. ხედავ, ერბოკვერცხის მომზადების წესი გცოდნია და დარწმუნებული ვარ, თუ დაგჭირდა, მოამზადებ კიდეც.

წესი თუ იცი, ყველაფერს გააკეთებ.

თოვლის პაპა აგიშენებია ზამთარში? სულ ადვილია: ჯერ პატარა გუნდა უნდა შეკრა, მერე თოვლში აგორაო და ერთ უზარმაზარ გუნდად აქციო, მერე ცოტა პატარა და კიდევ უფრო პატარა გუნდები გააკეთო. ეს ყველაფერი ერთმანეთზე დააშენო: ჯერ დიდი, მერე პატარა, მერე უფრო პატარა. ბოლო გუნდას სტაფილოსგან ცხვირი გაუკეთო, ნახშირისგან – პირი და თვალები, ქუდის მაგივრად თავზე სათამაშო ვედრო ჩამოამხო, ორი პატარა გუნდა ხელების ადგილზე მიაკრა და თოვლის პაპაც მზად არის. ასე არაა? სწორედაც რომ.

ჰოდა, როგორ ფიქრობ, თუ ზღაპარში ცხოვრება გინდა, როგორ უნდა მოიქცე? რაღაცას უკვე მიხვდი, არა? დღესავით ნათელია – ზღაპრის წესები უნდა იცოდე.

თუ წესების დაზეპირება არ გეხერხება, არც ესაა საშინელება. ბებიკო ნაილი ირწმუნება, მხოლოდ სამი, ყველაზე მთავარი წესი არ უნდა დაგავიწყდეს და მთელს სიცოცხლეს ზღაპარში გაატარებო. სამივე კარგად დავიმახსოვრე და მგონი, არც შენ უნდა გაგიჭირდეს ამის გაკეთება. აბა, ყურადღებით მომისმინე:

პირველი: ზღაპარში ყველაფერი შესაძლებელია.

მეორე: ყველა ამბავი კარგად მთავრდება.

მესამე: ზღაპარში ცხოვრება თუ გინდა, ზღაპრის გმირს უნდა ჰგავდე.

აი, სულ ეს არის.

ბებიკო ნაილის სასახელოდ უნდა ითქვას, ზღაპრის წესებში მშვენივრად ერკვეოდა. შესანიშნავად ახსოვდა, რომელ ზღაპარში რა გზით ეწეოდა ხოლმე საწადელს მისი საყვარელი გმირი და, როცა დასჭირდებოდა, თავადაც იყენებდა მრავალგზის ნაცად ხერხს. არც ახლის გამოგონებაზე ამბობდა უარს. მთავარია, ზღაპარი ზღაპარს ჰგავდეს, თორემ გადაადგილების საშუალებად ჯადოსნურ ხალიჩას მოიხმარ თუ, გაცილებით უფრო მოსახერხებელ და კომფორტულ, თვითმფრინავს, დიდი განსხვავება არ უნდა იყოს. ასე არაა? ეგ კია, უკვე ნახსენები დაბნეულობის წყალობით, მსგავსი ჯადოსნური საგნების სახელები ხანდახან ერთმანეთში ერეოდა და ბევრ უხერხულობას უქმნიდა ხოლმე. იმ დღესაც ასე დაემართა, ამიტომაც ძალიან წუხდა, ნეტავი, სწორად გამიგეს თუ არა, რისი თქმაც მინდოდაო. საქმე დათას

შეეხებოდა. აჰ, მაპატიე, მას ჯერ კიდევ არ იცნობ, არა? ჰოდა, მოდი, ახლა დათას შესახებ მოგიყვები.

***

დათა, ერთი შეხედვით, ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი, ცამეტი წლის ბიჭია. მხოლოდ ეგაა, ერთი შეხედვა სულაც არ კმარა იმის გასარკვევად, ნამდვილად ასეა თუ არა.

არც ის იქნება საკმარისი, თუ გეტყვი, რომ დედისერთაა, ქალაქში ყველაზე დიდ და კეთილ-მოწყობილ სახლში ცხოვრობს, ჰყავს მშობლები, რომლებიც გამუდმებით მასზე ზრუნავენ და აქვს ყველაფერი, რაზეც სხვა ცამეტი წლის ბიჭები მხოლოდ ოცნებობენ.

ბედნიერი ბიჭი ყოფილაო, გაიფიქრებ და სწორედ მანდ შეცდები, რადგან თავად სულაც არ ფიქრობს ამდაგვარად. ამის გამო ხშირად თავი უმადური ჰგონია და თვითონაც ძალიან უკვირს, რატომ არ არის ბედნიერი, ხოლო რომ არ არის, ამას სრულიად შემთხვევით მიხვდა.

იმ დღეს გაკვეთილი უცდებოდათ და მისი თანაკლასელი ბიჭები სკოლას ღრიანცელით იკლებდნენ – ახალი კომპიუტერული თამაშის დეტალებზე, მოახლოებულ არდადეგებსა და მო-მავალი ექსკურსიის გეგმებზე "მსჯელობდნენ". აი, სწორედ მაშინ მოეჩვენა დათას პირველად, თითქოს ამ ყველაფერს ძალიან შორიდან უყურებდა. ვერაფრით გაეგო, ასე რა ახარებდათ მის თანატოლებს. ცხოვრება უზომოდ მოსაწყენი ეჩვენებოდა. არაფერს, სრულიად არაფერს ჰქონდა მნიშვნელობა.

თუმცა რომ გეკითხა, ვერც იმას გეტყოდა, მაინც რა განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა ისეთ ჩვეულებრივ მოვლენებს, როგორიცაა ექსკურსია ან არდადეგები.

გაცილებით ძნელი იყო ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, როცა საქმე უფრო სერიოზულ და აუცილებელ რამეებს ეხებოდა, მაგალითად, სწავლაში წარმატების მიღწევას, პროფესიის არჩევასა და სხვა დანარჩენს, რაზეც, მშობლების აზრით, მის ასაკში ყველა წესიერ ბიჭს უნდა ეფიქრა.

მაინც რა ბევრი რამ ევალება ადამიანს, ფიქრობდა დათა გაგულისებული. რა იქნება, თუ უცხო ენის კერძო გაკვეთილს გააცდენს ან კრივის დარბაზში სავარჯიშოდ არ წავა? პასუხად მამის მუდამ სერიოზული სახე წარმოუდგებოდა თვალწინ და ყურში ჩაესმოდა აკვიატებული ფრაზები მისი საყვარელი მონოლოგიდან სულიერი და ფიზიკური სრულყოფის შესახებ.

დათას, თავისდა სამარცხვინოდ, მიაჩნდა, რომ არანაირი სრულყოფა არ სურდა, ხოლო რა უნდოდა – ჯერჯერობით არც თვითონ იცოდა და არც არავინ ეკითხებოდა.

არც ის ესმოდა, რატომ ღიზიანდებოდა, როცა უფროსები თავდაუზოგავად აქებდნენ – ჭკვიან, თავაზიან, ერთი სიტყვით, თითით საჩვენებელ ბიჭად მიაჩნდათ. იმიტომ ხომ არა, რომ წარმოდგენა არ ჰქონდა, როგორი იყო სინამდვილეში? ან როგორ უნდა გაეგო, როცა ცდილობდა, ყოველთვის წესიერად – ესე იგი, წესების მიხედვით – მოქცეულიყო, წესები კი მისი მოგონილი სულ არ გახლდათ.

მოგვიანებით აღმოაჩინა, რომ, უფროსებისგან განსხვავებით, თანატოლებს მაინცდამაინც არ მოსწონდათ.

მეგობრები თითქმის არ ჰყავდა.

ერთი-ორჯერ მის ზურგსუკან "დედიკოს ბიჭიც" კი ახსენეს. იქნებ შემთხვევით და იქნებ სხვისი მისამართით, მაგრამ დათას ყურები ისე აეწვა, თითქოს სწორედ მას ეხებოდა.

ნუთუ მართლა დედიკოს ბიჭია – უსუსური, უნებისყოფო, მუდამ სხვის ზურგს ამოფარებული?!

მაგარი ბიჭი რომ ყოფილიყო, ხომ იქვე გაუსწორდებოდა შეურაცხმყოფელს, პასუხს მოსთხოვდა, ჭკუას ასწავლიდა. ის კი აყალმაყალს მუდამ თავს არიდებს.

ჩხუბს ვერ იტანს.

ვარჯიშის დროს თუ იჩხუბებს მწვრთნელის მოთხოვნით და ისიც ძალდატანებით, გამარჯვების სურვილის გარეშე, თითქოს მოვალეობას იხდიდეს.

ჰოდა, რა გასაკვირია, ერთმანეთთან გამუდმებით მოძიძგილავე და საკუთარი უპირატესობის დამტკიცების სურვილით შეპყრობილ თანატოლებს რომ აეთვალწუნებინათ. ხვდება, განსაკუთრებით გიგის არ უნდა მოსდიოდეს თვალში.

გიგი განთქმული ჩხუბისთავია სკოლაში. თავიც მდგომარეობის შესაფერისად უჭირავს. ყოველთვის მედიდური ღიმილით და მისი ღირსების დამფასებელი ბიჭების ამალით გარშემორტყმული დაიარება. სხვების დაცინვა ჩხუბზე არანაკლებ ემარჯვება, ამიტომ მის ყბაში მოხვედრას ყველა უფრთხის.

– კარაქიანი პური უკვე მიირთვი, ბიჭი? – წინ გადაუდგა იმ დღეს სკოლაში მისულ, უზადოდ მოწესრიგებულ ტანსაცმელში გამოწყობილ დათას. –

რაო დედიკომ, არ იცელქო და ტანისამოსი არ დაისვაროო? – ქურთუკი “მზრუნველად” გაუსწორა თანმხლებთა სიცილით შეგულიანებულმა.

– ხელი გამიშვი, – დათამ მისი ხელი მოიშორა და გზის გაგრძელება დააპირა, მაგრამ, ნურას უკაცრავად, გიგის ასე ადვილად თავს ვერ დააღწევდი.

– უყურე, რა ბრაზიანია... ავ, ავ! რაო, პატარავ, კიჭები ხომ არ გექავება?

– თავი გამანებე, – თვალი თვალში გაუყარა დათამ და შეეცადა, სახეზე მტკიცე გამომეტყველება აღბეჭდოდა.

– უი, როგორ შემაშინე! – დაიმანჭა გიგი, - თუ არ მცემ, კარგად მოვიქცევი, არ მცემო, რაა!

ბიჭები ამის გაგონებაზე ისე ახარხარდნენ, დათას სიმწრისგან თვალთ დაუბნელდა.

გონს სკოლის დირექტორის განრისხებულმა ხმამ მოიყვანა. გაოცებულმა აღმოაჩინა, რომ გიგისთან ერთად იატაკზე იმყოფებოდა, თითებით მისი ხალათის საყელოს ჩაფრენოდა და ცდილობდა, ზემოდან მოსჯდომოდა.

დირექტორის გამოჩენაზე სეირის მაყურებლები შემოდგომის ფოთლებივით მიმოიფანტნენ. მოჩხუბრები ზანტად წამოდგნენ და განაჩენის მოლოდინში კედელთან აიტუზნენ.

დირექტორმა ჯერ გიგის შეავლო გამგმირავი მზერა, მერე ლოყებაწითლებულ დათას მიუბრუნდა:

– ყოჩაღ, ბიჭო, აგიყოლიეს, ხომ?! თავი სად გგონიათ?! ჩვენი სკოლის პრესტიჟს თქვენნაირებს არ გავათელინებ – ჩხუბი თუ გინდათ, სხვა ადგილი მოძებნეთ, თორემ აქედან მიბრძანება მოგიწევთ! – დაიგრგვინა მღელვარებისგან აქოშინებულმა, შუბლზე მომდგარი ოფლი და წამოწითლებული ლოყები

ხვნეშით შეიმშრალა, მერე კი, ვალმოხდილის გამო-მეტყველებით სამასწავლებლოს მიაშურა.

– სხვა ადგილის მოძებნა ნამდვილად არ გამიჭირდება, ამას არ შეგარჩენ, არც იოცნებო! – წაუსისინა გიგიმ ადგილზე გაქვავებულ დათას, ჩამოგლეჯილი საყელო გაისწორა და დამცინავი ღიმილით გაშორდა.

ზარი დაირეკა. დათამ ძირს დაგდებული ჩანთა აიღო და გასასვლელისკენ გაემართა. ახლა გიგისთან ერთად გაკვეთილებზე ჯდომა მის ძალებს მნიშვნე-ლოვნად აღემატებოდა. იცოდა, სკოლის გაცდენისთვის დაისჯებოდა, მაგრამ ამჯერად ყველაზე ნაკლებ ეს აწუხებდა.

გიგის გადაკიდება უნდოდა?! დაიწყება ახლა გაუთავებელი ქიშპი და ანგარიშსწორება. რატომღაც ბოლოხანს ნანახი "ბოევიკის" სცენა დაუდგა თვალწინ. სულაც არ უნდოდა "ბოევიკის" გმირს მგვანებოდა.

ნეტავი, თავს რატომ არ დაანებებენ... არავისი დანახვა არ უნდა: არც ამხანაგების, არც მშობლების, მასწავლებლების – მით უმეტეს. არავის, არავის არ ესმის მისი!

გამწარებული გამოვარდა ქუჩაში.

სწორედ მაშინ იყო, საყიდლებით დატვირთულ ბებიკო ნაილს რომ დაეჯახა. ოჰ, ამ მოხუცი ქალის საყვედურებიღა აკლდა, – სასოწარკვეთით მიაჩერდა ფერად-ფერადი პაკეტებით მოფენილ ქუჩას.

– ოი, ოი, მოსახვევში ასეთი სისწრაფით მოძრაობა აკრძალულია. ნუთუ არ იცოდი? – მისი მოლოდინის საწინააღმდეგოდ, თბილად გაუღიმა მოხუცმა.

– მაპატიეთ, – ჩაილუღლუღა დათამ, ჩაიმუხლა და გაბნეული ნივთების შეგროვებას შეუდგა.

– გაპატიებ, თუ ამ ყველაფერს სახლამდე მიმატანინებ, თან მომიყვები ასე გაბრაზებული სად მიქროდი, – ისე უბრალოდ და შინაურულად მიმართა უცნობმა, დათამ წინააღმდეგობის გაწევა ვერ მოახერხა, პაკეტები წამოკრიფა და გვერდით გაჰყვა.

– აბა? – კითხვით შეხედა თანამგზავრმა. – ან მომიყევი, რა შეგემთხვა, ან გამოცნობანა ვითამაშოთ და თვითონ გამოვიცნობ.

„ესეც ახალი ამბავი, – გაიფიქრა დათამ. – საკუთარ პრობლემებთანაც არ გტოვებენ მარტო!“ სრულიად უცნობი ქალიც კი ახსნა-განმარტებას მოითხოვს მისგან, რომ მერე სხვებივით ჭკუის დარიგება დაუწყოს.

– თქვენ მაინც ვერაფრით დამეხმარებით, – შეეცადა, ერთბაშად მოწოლილი გაღიზიანება დაეფარა, მაგრამ აშკარად უხეში ტონით ნათქვამი გამოუვიდა.

– ასე გგონია? – არ მოეშვა უცნობი. – მოხუცებმა ბევრი საიდუმლო იციან. ურჩხულთან საბრძოლველად მიმავალ უფლისწულს ყველა წესიერ ზღაპარში გზად ერთი დედაბერი მაინც უნდა შეხვდეს, ხომ გახსოვს? თუ გინდა, ვინმე დაგეხმაროს, უნდა მოუყვე კიდეც, რა გასაჭირი გადგას.

დათამ არაფერი უპასუხა.

– ერთი სული გაქვს, თავიდან როდის მომიშორებ, არა? გაგიმართლა, უკვე მოვედით, – გაიცინა მოხუცმა და მწვანედ შეღებილ ჭიშკართან გაჩერდა. – მადლობელი ვარ, რომ გამომყევი. ვხედავ, ჩემი არ გჯერა, მაგრამ მაინც გასწავლი, დახმარე-ბისთვის ვის უნდა მიმართო. უძლეველთა სამეფოს რაინდი ჰქვია. თუ მოძებნას გადაწყვეტ, ჯადოსნურ სარკეში ჩაიხედე. იქიდან ხომ, რაც ამქვეყნად ხდება, ყველაფრის შეტყობა შეიძლება. მენდე, არ ინანებ.

დათამ დაუფარავი გაოცებით გახედა ჭიშკარში გაუჩინარებულ დედაბერს. - „თითქოს ნორმალური მოხუცი ჩანდა... ვის აღარ შეხვდები ასეთ მარცხიან დღეს", – გაიფიქრა მერე გულმოსულმა.

საღამომდე შინ არავინ იქნებოდა, ამიტომ ქუჩა-ქუჩა წანწალს ისევ საკუთარ ოთახში განმარტოება ამჯობინა – ვინ იცის, კიდევ რას გადაეყრებოდა. კიბეები მოწყვეტით აიარა, ჩანთა იატაკზე მოისროლა და ტანსაცმლიანად მიეგდო ლოგინზე. გულზე მოუშორებელი სიმძიმე აწვა.

რატომ ხდება, რომ ყოველთვის იმას აკეთებს, რაც საჭიროდ არ მიაჩნია. სწავლობს იმას, რაც არ უნდა, იქცევა ისე, როგორც არ უნდა, ჩხუბობს მაშინ, როცა არ უნდა. ხეირიანად არაფერი გამოსდის. უნიათოა და არაფრისმაქნისი. ყოველთვის უსამართლოდ ექცევიან. ის კი მხოლოდ წუხს და სხვა არაფერი შეუძლია.

სადღაც წაიკითხა, თურმე დარდისგან შეიძლება მოკვდე კიდეც. მოკვდება და მოკვდეს. თუ არ იცი, როგორ იცოცხლო, სიკვდილი არც ისე საშინელი გეჩვენება. ბოლოს და ბოლოს დაისვენებ და აღარაფერზე იფიქრებ.

მთელი ძალ-ღონით შეეცადა, არაფერზე ეფიქრა, მაგრამ არ გამოუვიდა.

გადაწყვიტა, ყურადღება სხვა რამეზე გადაეტანა – იქნებ უსიამოვნო ფიქრები ამ გზით მაინც მოეშორებინა თავიდან.

წამოჯდა და ოთახში მიმოიხედა. თვალში, დაბადების დღეზე ნაჩუქარი, უკანასკნელი მოდელის კომპიუტერი მოხვდა. მონიტორს მიუჯდა და თითი ჩასართავ ღილაკს მიაჭირა. ეკრანი წამებში განათდა, პატრონს თავისი მზადყოფნა ამცნო.

კარგა ხანს უაზროდ მისჩერებოდა აციმციმებულ მონიტორს. მერე გასართობ გვერდებს დაუწყო ძებნა, მაგრამ არაფერმა მიიზიდა. ბოლოს “კომუნიკატორში” შესვლა გადაწყვიტა.

ამ საიტზე მისი ქალაქის მოზარდები უკავშირ-დებოდნენ ერთმანეთს, ეცნობოდნენ, ახალ ამბებს უზიარებდნენ.

ერთხანს უგულოდ ათვალიერა ხაზზე მყოფთა მიმართვები. უეცრად მაუსზე დადებული ხელი გაუშეშდა. "უძლეველთა სამეფოს რაინდი გთავაზობთ მეგობრულ დახმარებას. ერთად ყველაფერი გამოგ-ვივა!" – იუწყებოდა ერთ-ერთი განცხადება.

***

"ახლა გავგიჟდები, – აღელვებისგან პირი უშრებოდა დათას. – აი, თურმე როგორ ყოფილა საქმე. ჰო, ჰო... ყველაფერი ზუსტად ისეა... ჯადოსნური სარკე, საიდანაც შეიტყობ ყველაფერს, რაც ამქვეყნად ხდება... სულელიც კი მიხვდებოდა, რომ ინტერნეტია... უძლეველთა სამეფოს რაინდი... მე კი ის მოხუცი შეშლილი მეგონა. იქნებ სულაც გულთმისანია ან... ჯადოქარი... რაღაცას ლაპარაკობდა კუდიან დედაბ-რებზე თუ... როგორ თქვა?! აუ, მგონი, გავრეკე. ჩვეულებრივი ხუმრობაა და მეტი არაფერი, თუმცა... მოდი, რაც არის, არის..."

დათამ მტკიცე გადაწყვეტილებით აათამაშა თითები კლავიატურაზე და ეკრანზე ერთიმეორის მიყოლებით გაჩნდა სიტყვები: "გამარჯობა. მართლა შეგიძლია დამეხმარო?" მერე Enter-ს დააწვა და პასუხს დაელოდა.

პასუხმა არ დააყოვნა.

- „ზღაპრული რაინდები არასოდეს ტყუიან – მომიყევი შენ შესახებ“, – ითხოვდა ვირტუალური თანამოსაუბრე.

“არის!”

დათამ გადაწყვიტა, აღარ ეყოყმანა და ყველაფერი გულახდილად მოეთხრო მისთვის – ბოლოს და ბოლოს, ნეტავ, რას კარგავს? თუმცა საკუთარ გრძნობებზე საუბარი საკმაოდ რთული აღმოჩნდა. მით უფრო, რომ ამას ცხოვრებაში პირველად აკეთებდა. დიდხანს ებრძოდა სიტყვებს, სანამ დაწერდა ყველაფერს, რისი თქმაც უნდოდა.

"გულთმისანი უნდა იყო, აქედან რომ რამე გაიგო", – ეჭვმა გაკენწლა, როცა, მორიგი შეტყობინების გაგზავნის წინ, სიმწრით აკრეფილ ტექსტს გადახედა. "რაკი ასეთი იდუმალი იმიჯი აირჩია, ცოტა გულთმისანიც იქნება ალბათ", – გაიფიქრა ბოლოს წარმოსახული მხარდამჭერის მისამართით და ამ აზრით დაიმედებულმა წერილი ქსელში გაუშვა.

პასუხმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

"კეთილი იყოს შენი მობრძანება ზღაპრულ სამყაროში, – წერდა უძლეველთა სამეფოს რაინდი. – მიხარია, დახმარებისთვის მე რომ მომმართე. გაბედული და გულწრფელი ბიჭი ჩანხარ. ასეთები კი ყველა ზღაპარში იმარჯვებენ. შენც გაიმარჯვებ, ეს ზუსტად ვიცი.

ახლა საქმეზე: გამოცდილება მკარნახობს, რომ მეტოქე არასწორად აირჩიე. მტერი, რომელთანაც ბრძოლა მოგიწევს, ჯერჯერობით უჩინარია. ეგ შენი თანაკლასელი თვითონ საჭიროებს დახმარებას, ვერ ხედავ, საკუთარი შიშის დამალვას რომ ცდილობს? შეეცადე, რაც შეიძლება, მეტი გაიგო მის შესახებ. ნახე, სკოლის გარეთ როგორ ცხოვრობს, სხვებიც

გამოკითხე... მოკლედ, რაიმე მოიმოქმედე. პასუხს ამ საღამოს ველოდები."

დათამ რამდენჯერმე გადაიკითხა გზავნილი, სანამ მის აზრს ჩაწვდებოდა. საოცარია, ასეთ რჩევას ნამდვილად არ ელოდა. „ვერ ხედავ, საკუთარი შიშის დამალვას რომ ცდილობს?“ ნამდვილად ვერ ხედავდა...

შეეცადა, გიგის მუდამ თავხედურად მომღიმარი სახე აღედგინა მეხსიერებაში. რა სისულელეა, დათას წარმოდგენაც კი არ შეეძლო, რომ ამ სახის პატრონს რაიმე შეაწუხებდა, მით უმეტეს, შეაშინებდა.

როგორ მოიქცეს? დაემორჩილოს რაინდის მითითებებს თუ კვლავ მარტო იმოქმედოს? ძალიან სასიამოვნო იყო იდუმალი მეგობრის მხარდაჭერის შეგრძნება. არა, ამაზე უარის თქმა გაუჭირდება. შეეცდება, ჯერ დავალება შეასრულოს, მერე კი ვნახოთ.

სკოლის ვებგვერდზე შეიარა და მოსწავლეთა მონაცემების ბაზა შეამოწმა. ცოტა ხანში უკვე იცოდა, რომ გიგი ოჯახში დედ-მამასა და უმცროს დასთან ერთად ცხოვრობდა. დედა დიასახლისი იყო, მამა რკინიგზაზე მუშაობდა.

ჰო, მაგრამ ვირტუალური რაინდი ამ ცნობებს ალბათ არაფრად ჩააგდებს.

საინტერესოა, მაინც რა პრობლემა უნდა ჰქონდეს გიგის? ყოველთვის ყველაფრით კმაყოფილი ჩანს. თავმომწონეა და თავდაჯერებული. სწავლითაც ნორმალურად სწავლობს, გართობას არასოდეს აკლდება, თუმცა...

დათა თავფეხიანად ჩაეფლო ახალ საზრუნავში. საოცრად მოსწონდა დეტექტივის როლში ყოფნა. დეტექტივი, რომელიც – არც მეტი, არც ნაკლები – დახმარებას პირდაპირ ზღაპრული სამყაროდან იღებს.

რა მაგარია!

ცოტა ხნის წინანდელი წუხილის ნაკვალევიც კი აღარ დარჩენილიყო მის გულში. გადაწყვიტა, უფრო აქტიურად ემოქმედა. ცუდი არ იქნება, მალულად დაზვეროს მოწინააღმდეგის სამფლობელო.

კომპიუტერი გამორთო და მტკიცე განზრახვით გიგის სახლისკენ გაემართა. იგი ორიოდე ქუჩის გადაღმა ცხოვრობდა. დათას ვარაუდით, სკოლიდან დიდი ხნის დაბრუნებული უნდა ყოფილიყო.

ბიჭი კუთხის სახლს ამოეფარა და თვალთვალი დაიწყო. განსაკუთრებული არაფერი შეუმჩნევია. არა, ასე ვერაფერს გაიგებს. გადაწყვიტა გიგის კარმიდამოს-თვის უკნიდან მოევლო და ახლოდან დაეთვალი-ერებინა ობიექტი. ასეც მოიქცა.

სახლს გარშემო საკმაოდ მაღალი მესერი ერტყა, მისი ჭუჭრუტანებიდან კი მშვენივრად შეიძლებოდა დაგენახა, რა ხდებოდა ეზოში. დათამ გარშემო მიმოიხედა, ხომ არავინ მიყურებსო, ერთ-ერთ ასეთ ჭუჭრუტანას აეკრა და შიგნით შეიჭყიტა.

ეზოში პატარა გოგონა თამაშობდა. თოჯინას ტანსაცმელს ხდიდა და ბანაობის დროაო, უმტკიცებდა. საყვარელი გოგონა იყო, ბზრიალასავით მოძრავი და სიფრიფანა. ბრდღვიალა ოქროსფერი კულულები სათუთ მხრებზე მზესავით ადგა.

დათა ბავშვებზე გიჟდებოდა. ოცნებობდა, სწო-რედ ასეთი და ან ძმა ჰყოლოდა. გატაცებით შეჰყურებდა გოგონას გულუბრყვილო საქმიანობას.

პატარამ თოჯინა სათამაშო აბაზანაში ჩასვა და თავზე საპნის წასმა დაუწყო. “თალები დაქუჭე, შილიკო, თოლე დაგეწება და იტილებ”, – ტიკტიკებდა შეუსვენებლად.

მერე კი მოვლენები ისეთი სისწრაფით გან-ვითარდა, ბიჭმა გონს მოსვლა ვერ მოასწრო.

ეზოს ჭიშკარი ბეჭებგანიერმა, ჩაფსკვნილმა მამაკაცმა შემოგლიჯა. ერთი შეხედვით ეტყობოდა, ნასვამი იყო. ბარბაცით მოდიოდა და რაღაცას ბურტყუნებდა. გაუგებარი ბურტყუნი თანდათან უფრო მკაფიო ხდებოდა, ბოლოს კი ხმამაღალ ლანძღვა-გინებაში გადაიზარდა.

– არ გგესმით, არა, რომ მმოვედი, თთქვენი... იმალლებით, არრა?! – იღრიალა გაშმაგებულმა, თოჯინასათვის გამზადებულ წყლიან აბაზანას ფეხი ამოჰკრა და შორს მოისროლა. პატარა გოგო გაფითრდა, ძირს დაგდებული "შილიკო" ხელში აიტაცა და სახე სატირლად დაემანჭა.

– კარგი, გენაცვალე, ბავშვს რას ერჩი, სამზარეულოში ვსაქმიანობდი, ვერ გავიგე შენი მოსვლა, – სახლიდან წინსაფრის სწორებით გამოვარდა კაფანდარა, უფერული ქალი.

– ვვერც იმ უსსაქქმურრრმა გაიგგო, არრა? – არ ცხრებოდა კაცი. – არრ მითთხრა, სახლლშში არრ არრისო, თთორრემ... – აქ იძულებული ვარ მრავალწერტილი დავსვა, რადგან ბილწსიტყვაობის სიტყვასიტყვით გადმოცემა ბავშვებისათვის განკუთვნილ წიგნში რე-კო-მენ-დე-ბუ-ლად (უჰ, რა რთულ სიტყვებს ვხმარობ!) არ მიმაჩნია.

– სსულ შენნი ბრალლია, შენ გაზზარდე მმაგისთანნა უვვარგისი... თმაით უნდა გითთრიო, შენნი...

როგორც ჩანს, კაცმა განზრახვის სისრულეში მოყვანა გადაწყვიტა, ცალი ხელით ქალს თმაში სწვდა, მეორე ხელი კი სახეში გასცხო გამეტებით.

დათა გახევდა. არასოდეს ენახა სინამდვილეში ასეთი მძვინვარე გამოხედვა, ბრაზისაგან ჩასისხლიანებული თვალები, დუჟმორეული სახე. ისეთი შეგ-

რძნება დაეუფლა, თითქოს საშინელ სიზმარში იმყოფებოდა. განძრევა ვერ მოეხერხებინა, ღობეს მიჰყინვოდა და თვალს ვერ აშორებდა ამაზრზენ სანახაობას.

ქალი უმწეოდ იგრიხებოდა, ამაოდ ცდილობდა თავის დაღწევას. მის კივილზე სახლიდან გიგი გამოიჭრა. სახეზე ადამიანის ფერი აღარ ედო. ტუჩები ნერვულად უცახცახებდა. კაცს მივარდა, მის წინ მუხლებზე დაეცა და ფეხებზე მოეხვია:

– არ გინდა, მამა, არ გინდა, გემუდარები... მე ვარ დამნაშავე... ყველაფერში მე ვარ დამნაშავე... დედას თავი დაანებე... დაანებე, გთხოვ... მე რაც გინდა, ის მიყავი... მამა...

დათა მღელვარებისგან კანკალმა აიტანა. არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. ბედად, ხმაურზე მეზობლები შემოცვივდნენ. გონდაკარგული მოძალადე გაჭირვებით გააკავეს და სახლში შეიყვანეს. სასომიხდილი ქალი მიწაზე ჩაჩოქილიყო, გაყინული მზერით უმისამართოდ იყურებოდა, რიტმულად ირხეოდა და განუწყვეტლივ ერთსა და იმავეს იმეორებდა:

– მეტი აღარ შემიძლია, თავს მოვიკლავ... აღარ შემიძლია, თავს მოვიკლავ...

– ალ მოკვდე, დედიკო, ალ მოკვდე, – განწირული ხმით კიოდა პატარა გოგო, ატირებული დედას კისერზე ხელებს ხვევდა და გულში ეკვროდა.

შემდეგ კი ყველაზე დაუჯერებელი რაღაც მოხდა. დათა ამას ვერასოდეს დაივიწყებს.

გიგიმ ერთხანს უსიტყვოდ უყურა ამ ყველაფერს, მერე სახლს მოეფარა, პირდაპირ დათას სამალავის წინ, ბალახებში ჩაეშვა და ილაჯგაწყვეტილი პატარა ბავშვივით აქვითინდა.

“რატომ... რატომ...” - სლუკუნებდა გულამოს-კვნილი, ცრემლებს ჭუჭყიანი მუშტებით იწმენდდა და მთელი სხეულით ცახცახებდა.

დათამ გულში უცნაური ტკივილი იგრძნო. დაუძლეველი სურვილი გაუჩნდა, ბიჭი რაიმეთი ენუგეშებინა. მერე კი სინდისის ქენჯნამ შეაწუხა – ეს სანახაობა უცხო თვალისთვის არ იყო განკუთვნილი. შეეცადა, არ ეხმაურა, უჩუმრად მოშორდა მესერს და როცა თავი გიგის სახლისაგან შორს დაიგულა, უკანმოუხედავად მოუსვა შინისაკენ.

სახლში ჩვეული სიჩუმე და წესრიგი დახვდა. ტელევიზორის წინ დივანზე წამოწვა და ჭერს მიაშტერდა.

თავში კალეიდოსკოპივით ირეოდა იმ დღეს ნანახი და განცდილი სურათები: დამცინავად მომღიმარი და პატარა ბავშვივით ატირებული გიგი, უცნაური მოხუცი დედაბერი და წარმოსახული ზღაპრული რაინდი, თოჯინასთან მოთამაშე საყვა-რელი გოგონა და ბრაზით თვალებჩასისხლიანებული, გალეშილი მამაკაცი. მერე ყველაფერი ერთმანეთში აირია, უჩვეულო სისწრაფით დატრიალდა, გაბუნ-დოვანდა და დათას მკვდარივით ჩაეძინა.

ალერსიანმა ხელის შეხებამ გამოაღვიძა.

– სიცხე ხომ არ გაქვს, საყვარელო, რანაირად ჩაგძინებია, – წუხდა დედა.

– სიცხე არა, – თვალების ფშვნეტით წამოჯდა დათა და აზრის მოკრებას შეეცადა. დედა და მამა სამსახურიდან დაბრუნებულიყვნენ. ფანჯრებს მიღმა საღამოს ბინდი იდგა.

– რომელი საათია? – ფეხზე წამოვარდა საბოლოოდ გამოფხიზლებული. – უჰ, ამდენ ხანს რამ დამაძინა?!

– რა იყო, დედიკო, სად გეჩქარება? მიდი, ხელები დაიბანე, ერთად ვივახშმოთ. გემრიელი სასუსნავები მოგიტანე... შენ რომ გიყვარს.

რა დროს ვახშამია... ნეტავ, ყველაფერი ცხადში მოხდა თუ დაესიზმრა? ნელ-ნელა იხსენებდა თავს გადამხდარს დათა.

– დე, ცოტა ხანს ჩემს ოთახში ვიქნები, ჯერ არ დამიძახო, რა, – შესძახა დედას სამზარეულოში და სასწრაფოდ კომპიუტერს მიაშურა.

"რაინდო, ნამდვილი გულთმისანი ყოფილხარ. ყველაფერი ზუსტად ისეა, როგორც შენ ამბობდი", – დაიწყო მორიგი წერილის წერა დათამ. მერე კი ყველაფერი დაწვრილებით მოუყვა და ახლა რაღა ვქნაო, იკითხა. მათ შორის დაახლოებით ასეთი საუბარი შედგა:

რაინდი: ხომ გითხარი, მტერი სხვაგან უნდა ეძებო-მეთქი.

დათა: მაინც, სად?

რაინდი: სწორედ ეგ უნდა გავარკვიოთ.

დათა: რატომ ფიქრობ, რომ გიგი ჩემი მტერი არაა?

რაინდი: როცა ცუდ მდგომარეობაში დაინახე, მისი დახმარების სურვილი გაგიჩნდა. განა შეიძლება, მტრის დახმარება გინდოდეს?

დათა: რა ვიცი... რომ მახსენდება, როგორ დამცინოდა და მემუქრებოდა... დამცირება როგორ ვაპატიო?

რაინდი: შეგიძლია, ამიხსნა, რას ნიშნავს „დამცირება?" ზღაპრებში ასეთ სიტყვებს თითქმის არ ხმარობენ.

დათა: ეს ისეთი რაღაცაა... როცა შეუფერებლად გექცევიან.

რაინდი: შენი აზრით, როგორი მოქცევა შეგფერის?

დათა: მმმ... მეგობრული.

რაინდი: გიგის მეგობრულად ექცევი?

დათა: არანაირად არ ვექცევი. მასთან ურთიერთობა საერთოდაც არ მაქვს.

რაინდი: გაუგებრად ლაპარაკობ. თუ შენ არ იმეგობრებ, ის როგორღა იმეგობრებს შენთან?

დათა: თუკი არ უნდა? სულ იმას ცდილობს, როგორ დამამციროს...

რაინდი: ისევ „დამცირება!“ მოიცა, მოიცა, აქამდე, ნეტავ, როგორ ვერ მივხვდი?! ეს სწორედ ისაა... მტერი, რომელთან ბრძოლაც მოგიწევს. მას ამცირებენ, ის გამცირებს, შენ ამცირებ...

დათა: გრამატიკის გაკვეთილს მიტარებ? მგონი, ვერაფერი გავიგე.

რაინდი: რა ვერ გაიგე?! – დამცირება უნდა დაამარცხო!

დათა: კარგი ერთი, მაინც როგორ? ან სად ვიპოვო ეგ დამცირება?

რაინდი: ცოტა ხანს მაცალე, ერთ ძველ ნაცნობს დავუკავშირდები, გამოცდილი სასწაულთმოქმედია, გვასწავლის, რა შეიძლება გავაკეთოთ. დროებით.

დათამ მონიტორი ჩააქრო და დროის გასაყვანად სამზარეულოს მიაშურა.

დედას სუფრა გაეწყო, თვითონ კი სააბაზანოში შესულიყო. ბიჭმა მხოლოდ ახლადგამომცხვარი ხაჭაპურისა და შოკოლადიანი ღვეზელის დანახვაზე იგრძნო, რა ძალიან მოშივებოდა. მაგიდას მიუჯდა და

ჩაფიქრებული შეექცა ვახშამს. ფიქრებიდან მხოლოდ მაშინ გამოერკვა, შესაჭმელი რომ არაფერი დარჩა.

სამზარეულოში საშინაო ხალათგადაცმული მამა შემოვიდა. გაზეთით ხელში მაგიდას მიუჯდა და დათას გამომცდელი მზერა შეავლო.

– როგორ ხარ, ვაჟკაც, სკოლაში ხომ ყველაფერი რიგზეა?

– უჰუ, – ნაჩქარევად თავი დაუქნია დათამ, თვალი აარიდა და ფინჯანში ჩარჩენილი ჩაი მოხვრიპა.

– შენს ასაკში სწავლაზე მნიშვნელოვანი არაფერი უნდა იყოს, ჩემო მეგობარო. შრომა და მხოლოდ შრომა, თუ გინდა ცხოვრებაში რაღაცას მიაღწიო. მე რომ შენი ტოლი ვიყავი...

დათას მამასთან კამათი არ სურდა, მაგრამ არც ამ დაუსრულებელი ლექციის მოსასმენად იყო განწყობილი. რა უცნაურად იქცევიან ხშირად უფროსები. თავი ყოვლისმცოდნეებად მოაქვთ და იმასაც კი ვერ ხვდებიან, რომ არის რაღაცები, რაც ჭკუის დარიგებაზე მეტად გჭირდება.

ლამის იფიქრო – შვილები საკუთარი გეგმების განსახორციელებლად მოიგონეს, ამ გეგმიდან გადახვევას კი არაფრით გაპატიებენ.

ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს მამა რაღაც ძალიან რთული ფუნქციის შესასრულებლად აპროგრამებდა, ჯიუტად და თავგამოდებით, როგორც საერთოდ სჩვეოდა ხოლმე რამის კეთება.

„თუ ამ ფუნქციას თავს კარგად გაართმევს, მისით ძალიან იამაყებენ, ხოლო თუ მოვალეობას არ შეასრულებს, მაშინ... მაშინ ალბათ მის მიმართ ინტერესს დაკარგავენ, გამოუსადეგარ ნივთად ჩათვლიან“, – გულისტკივილით გაიფიქრა დათამ.

ნუთუ მართლა ასე საშინლად არის ყველაფერი? არა, რა თქმა უნდა, წინააღმდეგი სულაც არ იყო, მშობლებს მისით ეამაყათ, თუმცა გაცილებით უკეთესი იქნებოდა, უბრალოდ ჰყვარებოდათ და მეტი არაფერი.

როგორ უნდოდა, ხანდახან საკუთარი, არც ისე მრავალრიცხოვანი, ცოდვების შესახებ მოეყოლა და, მკაცრი შეფასების ნაცვლად, მათგან თანაგრძნობის სიტყვები მოესმინა: „გვესმის შენი" ან რაიმე ამდაგვარი.

არაა, მშობლები ამას არასოდეს გეტყვიან, მოსმენითაც მხოლოდ მათ უნდა მოუსმინო. მხოლოდ მათ იციან, რა არის კარგი და რა – ცუდი. დაუმალავ რამეს და ისევ შენ გამოდიხარ დამნაშავე.

მამას მობილურმა დარეკა. სამსახურის საქმეზე ურეკავდნენ. როგორც წესი, ასეთ ზარებს ხანგრძლივი საუბარი მოსდევდა ხოლმე. დათამ შვებით ამოისუნთქა, დრო იხელთა და სამზარეულოდან შეუმჩნევლად გაიპარა.

კომპიუტერში წერილი დახვდა.

„ყველაფერი გავარკვიე. როგორც ჩანს, უხილავი ჯადოს ტყვეობაში იმყოფები. ჯადოს გავლენით დაგავიწყდა, ვინ ხარ სინამდვილეში. გგონია, არაფერს წარმოადგენ, სხვებზე სუსტი ხარ და უნიათო, შენთან ურთიერთობა არავის უნდა, შენი აზრები არაფრად ვარგა, პატივისცემას არ იმსახურებ და ასე შემდეგ. შენს ნამდვილ სახეს სხვებიც ვერ ხედავენ. სწორედ ამიტომ გეჩვენება, რომ გამცირებენ. სხვა გზა არ არის – უნდა გაიხსენო, სინამდვილეში როგორი ხარ".

– შენ, რა... იცი, როგორი ვარ სინამდვილეში? – სასწრაფოდ გააგზავნა ქსელში მორიგი კითხვა უცნაური წერილით აღელვებულმა დათამ.

– შესაძლოა, რაღაცას ვხვდები, მაგრამ დანამდვილებით ეს მხოლოდ შენ შეიძლება იცოდე.

გაგახსენდება თუ არა ყველაფერი, ჯადოს ძალა დაეკარგება.

– როგორ უნდა გავიხსენო?

– მიგანიშნებ... ერთადერთი რამ, რაზეც ჯადო არ მოქმედებს, ადამიანის სურვილია. შენ ის ხარ, ვინც ნამდვილად გინდა იყო.

– ვინ მინდა ვიყო? – საკუთარ ფიქრებს იწერდა დათა. საოცარია, ყოველთვის ზუსტად იცოდა, სხვები რასაც ითხოვდნენ მისგან, იმაზე კი, თვითონ რა სურდა, არც არასოდეს დაფიქრებულა. – მინდა ვიყო პირდაპირი, საკუთარ თავში დარწმუნებული ადამიანი. ისე ვცხოვრობდე, როგორც საჭიროდ მიმაჩნია. კარგი იქნებოდა, სხვების დახმარებაც რომ შემეძლოს. რაში? რა ვიცი, ყველაფერში... იმაში, რომ მათაც მოახერხონ, საკუთარ თავს ჰგავდნენ, პატივს სცემდნენ, უფრო კარგად ესმოდეთ ერთმანეთის. მინდა, ერთგული მეგობრები მყავდეს. თავგადასავ-ლებიც მინდა მქონდეს.

– მგონი უკვე ვიცი, ვინც ხარ...

– ვინ ვარ? – გულისფანცქალით იკითხა დათამ.

– ბიჭი, რომელსაც მტრის მეგობრად გადაქცევა შეუძლია! ეს აღარ დაივიწყო და ნახავ, როგორ დალაგდება გარშემო ყველაფერი! – მოუვიდა პასუხი რაინდისგან.

დათას მღელვარებამ სუნთქვა შეუკრა.

აი, ეს მესმის... ბიჭი, რომელსაც მტრის მეგობრად გადაქცევა შეუძლია! – ამაზე უკეთესი რა უნდა ინატრო?!

დარწმუნებული რომ იყოს, ეს ყველაფერი თამაში არ არის და ნამდვილად ასეთია!

კარგი, დავუშვათ, ვირტუალური რაინდი ეხუმრება და ეს უბრალო გართობაა, განა არ შეუძლია,

იყოს ასეთი? პირდაპირ წარმოუდგენელია, აქამდე როგორ ვერ მიხვდა ამას. განა მის ხელთ არაა, იყოს ის, ვინც უნდა, რომ იყოს?

„ასეც მოვიქცევი, – გამოუთქმელმა აღმაფრენამ შეიპყრო დათა. – დღეიდან მე ნამდვილად მე ვიქნები! მხოლოდ იმას გავაკეთებ, რაც სწორად მიმაჩნია. საკუთარი აზრის გამოთქმისა და სხვისი დაცინვის არასოდეს შემეშინდება. ხვალვე ვეტყვი გიგის, რომ ერთმანეთის დამცირებით და მუშტიკრივით ურთიერთობის გარკვევა ყველაზე დიდი სისულელეა ამქვეყნად.

ბიჭები იფიქრებენ, შეეშინდაო, მაგრამ ყურადღებას არ მივაქცევ.

ბრძოლა მომიწევს საკუთარი აზრის დასაცავად... ძალიანაც კარგი _ გამოდის, წინ უამრავი თავგადასავალი მელოდება! განა დღევანდელი დღეც მთლიანად თავგადასავალი არ არის?!

ვირტუალური რაინდი კი, ვინც არ უნდა იყოს იგი, ნამდვილად არსებობს და დამეხმარა კიდეც. მასთან ურთიერთობა ძალიან მომწონს. უფრო საინტერესო რა უნდა იყოს?!

იქნებ ზღაპრული სამყარო მოგონილი სულაც არაა?

იქნებ სასწაულებიც ხდება?

განა სასწაული არ იყო, დღეს იმ დედაბერს რომ შევხვდი?

ოოჰ! – დათა უცნაური გრძნობების მოზღვავებას განიცდიდა. – მთავარია, არ დამავიწყდეს... არ უნდა დამავიწყდეს, რომ მე ვარ ბიჭი, რომელსაც მტრის მეგობრად გადაქცევა შეუძლია!“

ფიქრი ახალმა შეტყობინებამ შეაწყვეტინა:

“ბოლო ჯადოსნური რჩევა ზღაპრული სამყარო-დან! შუაღამეს დაელოდები. მერე ეზოში გახვალ და მთვარით განათებულ სამ თეთრ კენჭს იპოვი. ეს სამი კენჭი სამი გამარჯვების მოპოვებაში დაგეხმარება. მერე კი არავისი დახმარება აღარ დაგჭირდება. არ დაკარგო და, სადაც წახვალ, ჯიბით ატარე.”

დათას გაეღიმა. უჩვეულო მადლიერება იგრძნო მასზე მზრუნველი რაინდის მიმართ. რჩევა მართლაც ჯადოსნურს ჰგავდა და ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ წაადგებოდა. მითითება სიტყვასიტყვით შეასრულა და უცნაურად დამშვიდებულმა დაიძინა.

სიზმარში გიგი ნახა. ცარიელ საკლასო ოთახში იჯდა მხრებჩამოყრილი და მოწყენილი. დათას მიახლოებაზე თავი ასწია და ისეთი თვალებით შეხედა, თითქოს დახმარებას სთხოვსო. – „ნუ გეშინია, ვიცი, როგორ დაგეხმარო“, – ჩურჩულით უთხრა მან. „ვინ ხარ?“ – რატომღაც ვერ იცნო გიგიმ. „მე ის ბიჭი ვარ, ვისაც მტრის მეგობრად გადაქცევა შეუძლია“, – უპასუხა დათამ.

***

დათამ საუზმე მოათავა, ჩანთა მხარზე გადაიკიდა და ის იყო სახლიდან გასვლას დააპირა, იგრძნო, რაღაც ძალიან აუცილებელი ავიწყდებოდა. - „ჯადოსნური კენჭები! კიდევ კარგი, გამახსენდა!“ მაგიდის უჯრაში საიდუმლოდ გადანახული სამი კენჭი მოიძია და ჯიბეში ჩაიდო. - „წავედი, რაინდო“, – ფიქრში მიმართა ზღაპრულ მეგობარს.

– გამარჯვების მოსაპოვებლად! – დაამატა მერე ხმამაღლა.

გიგი შორიდანვე შენიშნა.

სახეზე ჩვეული, დამცინავი ღიმილი დასთამაშებდა. არაფრით ჰგავდა იმას, ვისაც სასოწარკვეთისგან ტირილი შეეძლო. „მისმა გამომეტყველებამ არ უნდა მომატყუოს“, – გაიფიქრა დათამ და თავის გასამხნევებლად ჯიბეში კენჭები ააჩხარუნა.

პირველი ხაზვის გაკვეთილი ჰქონდათ და ბავშვები ხმაურით ემზადებოდენენ მეცადინეობისათვის – მერხებზე სახაზავ რვეულებს, ფანქრებსა და სხვა საჭირო ნივთებს აწყობდნენ. გაკვეთილი ისე დაიწყო, გიგის მისთვის ერთხელაც არ შემოუხედავს.

„როგორ უნდა მოვიქცე, თუ ისევ შეურაცხყოფის მოყენებას შეეცდება?“ – საკუთარ თავს ჩაეკითხა დათა. უცებ თვალწინ ცხადად წარმოუდგა კომპიუტერის განათებული ეკრანი და მასზე ერთმანეთის მიყოლებით გაჩნდა სიტყვები: „როგორც შეეფერება ბიჭს, რომელსაც მტრის მეგობრად გადაქცევა შეუძლია“. – „მართალია, – დაეთანხმა უხილავ მოკარნახეს. – ნეტავ, ზარი მალე დაირეკოს!“

გაკვეთილი გამოვიდა.

დათამ საკუთარ ნივთებს თავი მოუყარა და ჩანთაში ჩალაგება დაიწყო. უეცრად იგრძნო, მაგიდასთან ვიღაც იდგა და აკვირდებოდა. თავი რომ ასწია, მისი თვალები გიგის დაჟინებულ მზერას შეეფეთა.

– გარეთ გელოდები, უნდა დაგელაპარაკო, – მოჭრით უთხრა გიგიმ და კარებისკენ წავიდა.

დათამ ჩანთა მიატოვა და უკან გაჰყვა. გული გამალებით უცემდა. ჯიბეებში ხელებჩაწყობილი გიგი დერეფნის ბოლოში, ფანჯარასთან იდგა და ქუჩას გაჰყურებდა.

– გისმენ, – განურჩეველი ტონით უთხრა დათამ და გვერდით ამოუდგა. ერთიანად დაძაბული იყო, მაგრამ ცდილობდა, ხმაზე არაფერი დატყობოდა.

გიგი ერთხანს არაფერს ამბობდა, თითქოს რაღაცის გააზრებას ცდილობსო, მერე კი ისე, რომ დათასკენ არ მოუხედავს, დიდი კაცივით დაღლილი ხმით ალაპარაკდა:

– შენთან ჩხუბი არ მინდა. არ ვიცი, გუშინ რამ მომიარა. დანარჩენებისგან ძალიან განსხვავდები, მაგრამ ზუსტად ვიცი, ცუდი ბიჭი არ ხარ. არც გინდა, იმათ დაემგვანო. სხვისი დამცირების ხარჯზე უფრო მაგარი ვერ გახდები.

დათა ლამის საკუთარ ყურებს აღარ ენდო. ბოლო ორი დღის მანძილზე უკვე მერამდენე დაუჯერებელი ამბის დაჯერება უწევს!

ცოტა არ იყოს, დააბნია გიგის სიტყვებმა. უხერხულობის დასაფარად ხელები თვითონაც ჯიბეებში ჩაიწყო. თითებში ისევ ჯადოსნური კენჭები მოხვდა.

– ვიცი, – უთხრა ჩუმად.

ცოტაოდენი პაუზის შემდეგ კი, თითქოს ძალიან დიდ საიდუმლოს ანდობსო, კიდევ უფრო ხმადაბლა დაამატა:

– ისიც ვიცი, როგორ უნდა მოიქცე, რომ სხვებმა შენი დამცირება ვერ მოახერხონ.

გიგიმ თავი მოაბრუნა და დაუფარავი ინტერესით შეაჩერდა თანაკლასელს:

– მაინც, როგორ?

– ისეთი უნდა იყო... როგორიც ხარ.

არაფერი უპასუხია.

ბიჭები ჩუმად იდგნენ ერთმანეთის გვერდით და ქუჩაში იყურებოდნენ. ზარი დაირეკა, მაგრამ საკლასო ოთახში დაბრუნებას არცერთი ჩქარობდა.

მათი ღრმად ჩაფიქრებული სახეების შორიდან შემხედვარე იფიქრებდი, ორ მეგობარს სერიოზული სასაუბრო გამოუჩნდაო.

მზეჭაბუკი და ქოსატყუილა

მაინც რა ცოტა ადამიანს უნდა ზღაპარში მოხვედრა, – ფიქრობდა ბებიკო ნაილი და ყურადღებით ათვალიერებდა ქუჩაში შემხვედრი ადამიანების დაძაბულ სახეებს. დილიდან ცრიდა, თუმცა ამის გამო სეირნობაზე უარი არ უთქვამს. ფერად ბოტებში გამოწყობილი უზარმაზარ, გამ-ჭვირვალე ქოლგას შეფარებოდა და თავს განსაკუთრე-ბულად კარგად გრძნობდა.

– დავდივარ ჩემს მყუდრო ქოხში შეყუჟული და წვიმის წვეთებთან საუბრით ვიქცევ თავს. რა უნდა იყოს ამაზე მშვენიერი?!” – ფიქრობდა ხმამაღლა, კმაყოფილი ღიმილით.

მხოლოდ ერთი რამ აკვირვებდა ბებიკო ნაილს – მთელი გზა მასავით ბედნიერი არავინ შეხვედრია. სერიოზული სახეებით სადღაც მიიჩქარობდნენ ადამიანები, წვიმას გაურბოდნენ და არავის ეცალა დამტკბარიყო მშვენიერი დღით. ყურადღებას არავინ აქცევდა წვეთების მიერ ციდან მოტანილ საოცარ სურნელს, მიწის მადლიერ ჩურჩულს, თავდაბანილი ხეების სიმღერას. ჰაერი კი სასწაულის მოლოდინით გაჟღენთილიყო.

უეცრად ბებიკო ნაილს ხმამაღალი, გულიანი სიცილი შემოესმა. გაკვირვებულმა მიმოიხედა, ხომ არ მომეყურაო და ავტობუსის დაცარიელებულ გაჩერებას შეფარებული წყვილი შენიშნა. თექვსმეტი-ჩვიდ-მეტიოდე წლის ერთიანად გალუმპული გოგო და ბიჭი ფეხებს მხიარულად აბაკუნებდნენ და თავის მოწესრი-გებას ცდილობდნენ.

ბიჭმა ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო, გოგონას შუბლზე ჩამოყრილი თმა და სველი სახე მზრუნველად შეუმშრალა, თან აღტაცებული შეჰყურებდა.

– წვიმაში უფრო ლამაზი ხარ და, საერთოდ, რაც გაგიცანი, იმის მერე სულ ლამაზდები და ლამაზდები, – უთხრა ბედნიერი ღიმილით.

გოგონამ სიმღერასავით მშვენიერი ხმით გადაიკისკისა და თვალსა და ხელს შუა კიდევ უფრო ლამაზი გახდა.

– რა უცნაური დღეა, არა? ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს რასაც ჩავიფიქრებ, ყველა სურვილი ამიხდება, – თქვა უეცრად და ისევ გაიცინა.

– მიდი მერე, რაღას უცდი, – სერიოზული გამომეტყველებით მიუგო ბიჭმა.

– მართლა? – თვალები აუციმციმდა გოგონას. – მაშ, კარგი: მინდა, უკაცრიელ კუნძულზე გავჩნდეთ. იქ ერთი პატარა, ძალიან მყუდრო სახლი ვიპოვოთ, რომელშიც ჩვენ გარდა არავინ იქნება. სახლში დიდი ლანგრით მურაბიანი ბლინები დაგვხვდეს, ქურაზე ჩაიდანი თუხთუხებდეს. მერე ფანჯარასთან დავსხდეთ, ჩაი მივირთვათ და წვიმას ვუსმინოთ მანამ... სანამ არ დავბერდებით.

– არა, არა, წვიმას მანამდე მოვუსმენთ, სანამ გადაიღებს... მერე კი, მზე რომ ამოვა, მე და შენ ბედნიერების ქვეყანაში მიმავალი გზის საძებრად წავალთ, – აჰყვა ოცნებაში ბიჭი. – თუ წამომყვები, აუცილებლად მივაგნებ ადგილს, რომელშიც საერთოდ არ ბერდებიან და ყოველთვის უყვართ ერთმანეთი. წამომყვები?

– წამოგყვები, – ერთიანად ბრწყინავდა გოგონა. – მხოლოდ...

– მხოლოდ პირობა უნდა დადოთ, რომ სახლის კარს ღიას არ დატოვებთ, – შეაწყვეტინა ვიღაცის მხიარულმა ხმამ.

ახალგაზრდებმა მოიხედეს და უცნაური მოხუცი დაინახეს – ვარდისფერი ბოტებით და უზარმაზარი ქოლგით ხელში. ღიმილით შეჰყურებდა შეყვარებულებს, თან გამომცდელად ათვალიერებდა. გოგონა გაწითლდა.

– ბატონო?! – წარბებს ქვემოდან გამოხედა ბიჭმა.

– უჰ, უკაცრავად! ნება მომეცით, წარმოგიდგეთ! მე ერთი რიგითი სასწაულთმოქმედი ვარ, სასწაულების კვლევისა და რეპროდუქციის ცენტრში ვმუშაობ. კეთილი იყოს ჩვენი გაცნობა, – თქვა ბებიკო ნაილმა და ხელი მეგობრულად ჩამოართვა ჯერ ბიჭს, მერე კი – გაოცებულ გოგონას. – დღეისათვის უჩვეულო დავალება მაქვს – გაცინებულ ადამიანებს ვეძებ და ყველას თითო სურვილს ვუსრულებ. ახლა კი, კარგად მომისმინეთ. თქვენ რომ ინატრეთ, ის სახლი აქედან არც ისე შორსაა. ცაცხვების ხეივანს ბოლომდე გაუყვებით, მერე მარჯვნივ გაუხვევთ, ასიოდე ნაბიჯს გადაითვლით და შენიშნავთ მწვანე ჭიშკარს, რომელსაც მხოლოდ ეს გასაღები ერგება. აი, გასაღებიც, – უთხრა ბიჭს, რომელიც წინააღმდეგობის გაწევას აპირებდა და ხელში ლამის ძალით ჩაუდო თავისი სახლის გასაღები. – გამომართვი, გამომართვი, თორემ დავალების შეუსრულებლობისთვის დავისჯები – დილას აქეთია ვეძებ და თქვენ გარდა ერთი გაცინებული სახე არ მინახავს. ჰო, მართლა, წასვლას რომ დააპირებთ, გასაღები საფოსტო ყუთში დამიტოვეთ... წესია ასეთი... და კიდევ... მურაბიანი ბლინების მაგივრად, სახლში შეიძლება ნუშის

გემრიელი ნამცხვარი დაგხვდეთ. ეს მცირე ხარვეზი უნდა მაპატიოთ. იმედია, ნამცხვარი გიყვართ, არა? – მუდარით შეხედა ახალგაზრდებს.

– რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, – ხმამაღლა აკისკისდა უკვე გონსმოსული გოგონა, შეცბუნებულ ბიჭს მხარზე აეკრა და ბედნიერებით სავსე თვალებით მიაჩერდა, – აი, ხომ ხედავ?

მერე ბებიკო ნაილს მიუბრუნდა:

– მადლობელი ვარ, კეთილო... ეეე... ჯადოქარო, ყოველთვის ვიცოდი, რომ ერთხელაც იქნებოდა, შემხვდებოდი.

– მადლობად არ ღირს, – ხელი ჩაიქნია მოხუცმა და ნაჩქარევად გაშორდა გოგო-ბიჭს. „ესეც ასე, – პირდაპირ გუბეში შეტოპა გახარებულმა ბებიკო ნაილმა. – შეყვარებულები ბავშვებივით ჭკვიანები არიან. მათთვის ზღაპარში ცხოვრება ისეთივე ჩვეულებრივი ამბავია, როგორიც დილაობით მზის ამოსვლა. აი, ამნაირებს კი კალთები რომ დაახიო, იქ ვერ შეიტყუებ“.

მან მზერა მეტად სერიოზული გარეგნობის მამაკაცზე შეაჩერა, შავი საქმიანი კოსტუმი და გახამებული პერანგი რომ ეცვა. კისერზე, რომელიც მკერდთან სულ ცოტა ორას გრადუსს ქმნიდა, მჭახე ყვითელი ფერის ყელსახვევი შეება. ამრეზით დაჰყურებდა გალუმპულ ქუჩას. – „თუმცა თუ ძალიან, ძალიან მოინდომებ...“

მონდომებას რაც შეეხება, ბებიკო ნაილს ნამდვილად არ აკლდა, მაგრამ ამჯერად განზრახვის განხორციელება არ დასცალდა. კაცს ორიოდე ნაბიჯზე, ზედ ტროტუართან, შავი ფერის საუცხოო ავტომანქანა, მანქანის გამოღებულ კართან კი სამსახურებრივი მზადყოფნის პოზაში გაშეშებული მძღოლი ელოდა.

ყვითელჰალსტუხიანმა ლაბადის კალთები პიწკად აიკეცა და გამოღებულ კარში შეხტა. ბებიკო ნაილმა თვალი ძლივსღა შეავლო სველ ასფალტზე სწრაფად და უხმაუროდ გასრიალებულ ავტოს.

„რას იზამ, ყველას ერთნაირად როდი უღიმის ბედი, საბრალოს დღეს ნამდვილად არ უწერია ზღაპარში მოხვედრა“, – გაიფიქრა დანანებით. თუმცა ამ ამბავს გუნება დიდი ხნით არ გაუფუჭებია: ღრმად იყო დარწმუნებული, ამქვეყნად ყველაფერს თავისი დრო აქვსო. თავის დროზე მწვანდება ველები და თავის დროზე იფარება თოვლით დედამიწა, ზუსტად თავის დროზე ამოდის მზე და თავის დროზე ჩნდება ცისარტყელა. ზღაპარშიც სწორედ მაშინ მოხვდები, როცა ამისი დრო იქნება, არც უფრო ადრე, არც უფრო გვიან.

მთავარია, გჯეროდეს, რომ ეს დრო აუცილებლად დადგება, ლოდინი კი ყველას როდი უყვარს. იქნებ ზუსტად ამით განსხვავდებიან ზღაპრის გმირებისგან ზოგიერთები, გამუდმებით სადღაც რომ ეჩქარებათ და თვითონაც არ იციან, რატომ უნდათ იქ მისვლა ყველას დაასწრონ.

უცაბედად ირგვლივ ჩამომდგარმა სიჩუმემ ბებიკო ნაილი ფიქრებიდან გამოარკვია. წვიმის წვეთებს თავისი საქმე მოეთავებინათ და მიყუჩებულიყვნენ. ღრუბლებგადაყრილ ცაზე ნებიერად გაწოლილი მზე თბილი თითებით ხეებს ქოჩორა თავებს უშრობდა. ბებიკო ნაილმა ქოლგა დაკეცა და ნეტარებით ჩაისუნთქა ნაწვიმარი ქუჩის სურნელება. ჰაერი, ნაირფრად აბრჭყვიალებული, მსუბუქი ნისლით გაჟღენთილიყო. ყველაფერს სიზმრისეული ელფერი ედო. წუთის წინ ხმაურიანი გუბეები ძილისმომგვრელ სიმშვიდეში გარინდულიყვნენ.

ბებიკო ნაილს ისეთი სიმსუბუქის შეგრძნება დაეუფლა, იფიქრა, საცაა წვიმის წვეთივით ავვორ-თქლდები და ჰაერში გავუჩინარდებიო. ამ აზრმა გაამხიარულა და ნაოჭებით დაფარული სახე თვა-ლებიდან გადმოღვრილი ღიმილით გაუნათა. უცებ, ზუსტად მის თავს ზემოთ, ხეზე ბეღურა აფრთხიალდა და სახე წვიმის წვეთებით გაუწუწა. ბებიკო ნაილმა მხიარულად გადაიკისკისა. „ისევ ასაკისათვის შეუფერებლად ვიქცევი“, – გაიფიქრა მერე, როცა გამვლელთა გაოცებული მზერა დაიჭირა.

რა ექნა, ვერაფრით დაეუფლა სოლიდური ასაკისთვის ასე საჭირო მანერებს, რაც გარშემომყოფთა აზრით, მძიმე-მძიმედ სიარულსა, პენსიის სიმცირესა და სახსრების ტკივილზე დამაჯერებელ საუბარში გამოიხატებოდა. საკუთარი აზრების სხვისთვის თავს მოხვევა ერიდებოდა, თორემ, კარგად თუ ჩაეძი-ებოდით, შეიძლება იმაშიც გამოგტყდომოდათ, ასაკი უბრალო ფორმალობაა და სხვა არაფერიო. ამ სიტყვით მოიხსენიებდა ყველაფერს, რისთვისაც, მისთვის რომ გეკითხათ, ანგარიშის გაწევა და თავის ატკივება არაფრით ღირდა. მერე რა, თუ ზოგიერთებს მოხუცის საქციელი ისე აკვირვებდათ, თითქოს უცხოპლანეტე-ლების თეფშს მოჰკრეს თვალიო.

ბებიკო ნაილი სეირნობამ შეიტყუა და მალე ქალაქის გარეუბანში ამოყო თავი. ამას მოწმობდა ალაგ-ალაგ ამოტეხილი, ბალახმოდებული ასფალტი და სოფლური სიმყუდროვე, რასაც დაბალი, საკვამურებ-გამურული სახლები და ხის საღებავგადაცლილი ღობეები ქმნიდა. მერე სახლები თანდათან გაიშვიათდა და მოხუცი ქალაქიდან გასასვლელ გზას დაადგა. გზის ნაპირები თვალისმომჭრელი სიმწვანით ბრწყინავდა

და შორს, ჰორიზონტზე, ერთმანეთს კვეთდა. სულ ახლოდან მდინარის ხმა სწვდებოდა ყურთასმენას.

ბებიკო ნაილი მოხეტიალე მოგზაურის თითქმის დაუძლეველმა ჟინმა შეიპყრო: მოდი, რაც არის, არის, გავყვები ამ გზას და ვნახოთ, ერთი, სად მიმიყვანსო. თუმცა მალე ცნობისწადილი სხვა, ბოლომდე გაურკვეველმა, მაგრამ გაცილებით ძლიერმა გრძნობამ დაჯაბნა. მოეჩვენა, თითქოს უკან დარჩენილი ქალაქი მისკენ უხილავ ხელებს იწვდიდა და უსიტყვოდ უხმობდა უკან, თავისაკენ.

ბებიკო ნაილმა ერთხელ კიდევ გახედა ჰორიზონტს. ჰო, ადრე თუ გვიან, ამ გზას აუცილებლად დაადგება, მაშინვე, როცა ამისი დრო დადგება, მანამდე კი ქალაქში უნდა დარჩეს, რაკი გული ასე დაჟინებით სთხოვს.

ბებიკო ნაილს მტკიცედ სჯეროდა, გული ასეთ საკითხებში არასდროს ცდებაო. საინტერესოა, შენ თუ იცი ამის შესახებ? თითქმის უკვე მეგობრები ვართ და მინდა, ამაში დარწმუნებული ვიყო, რადგან ბევრი ადამიანისაგან, თავი განსაკუთრებით ჭკვიანებად რომ მოაქვთ, გამიგონია, არ შეიძლება, გულს ენდოო. ჩვეულებრივ ცხოვრებაში, სადაც კარგი ამბები ძალიან იშვიათად ხდება, შეიძლება, ასეცაა, აი, ზღაპარში კი სულ სხვაგვარადაა საქმე. არ ვიცი, არ ვიცი... მე მხოლოდ ის შემიძლია გითხრა დარწმუნებით, რომ თუ ჯერ გულს მოუსმენ, მერე კი ჭკუას უხმობ, აუცილებლად მოხვდები ზღაპარში. დანარჩენი თვითონ გადაწყვიტე.

ბებიკო ნაილმა, ის იყო, ქალაქისკენ შემობრუნება დააპირა, რომ მდინარის მხრიდან რაღაც ხმა მოესმა. შედგა და ყურთასმენა დაძაბა. არა, არ ცდებოდა, აშკარად ადამიანის ხმა იყო, კვნესისა თუ ძახილის,

ერთბაშად ვერ გაარჩია. გზიდან გადაუხვია და ყოველგვარი ყოყმანის გარეშე მდინარისკენ აიღო გეზი. რამდენიმე ნაბიჯი რომ გადადგა, შედგა, ისევ მიაყურადა. პირველად გაგონილ ხმას სხვა ხმებიც შეერია. ბებიკო ნაილმა ფეხს აუჩქარა, მაგრამ ბოტები სველ მიწაში ჩაეფლო, ტალახი აიკრა და დაუმძიმდა. სიარული რომ გაადვილებოდა, ქოლგა ჯოხივით მოიმარჯვა და ბუჩქებისკენ გაუტია.

ხმები თანდათან მოახლოვდა, ცოტა ხანში კი თვალწინ იმგვარი სანახაობა გადაეშალა, მხოლოდ ფილმებსა და წიგნებში რომ ჰქონდა ნანახ-წაკითხული ან სხვების მონაყოლით რომ შეეძლო წარმოედგინა.

ორ კუნთმაგარ ტიპს, უფრო სუსტი აღნაგობისა და ინტელიგენტური შესახედაობის, ახალგაზრდა კაცი გაეკავებინა, მესამეს კი, შავლაბადიანს, მისთვის შუბლზე იარაღი, სავარაუდოდ პისტოლეტი (ვერ დაიფიცებდა, ბებიკო ნაილი არც ისე კარგად ერკვეოდა მსგავსი სათამაშოების სახესხვაობაში), მიებჯინა და მუქარად იღვრებოდა:

– ვისი გადაგდება გადაწყვიტე, შე ნაგავო! კაცი არ ვიყო, თუ შუბლი არ გაგიხვრიტო! ან გააკეთებ იმას, რასაც გეუბნებიან, ან არა და, რაც მოგივა, შენს თავს დააბრალე!

ხელებგაკრული ამგვარი წინადადებით აშკარად ფერდაკარგული ჩანდა, თუმცა იოლად დანებებას არ აპირებდა:

– გითხარით, მეტს ვერაფერს გამომრჩებით-მეთქი. კაცობას რაც შეეხება, უკვე ვიცი, რა კაციცა ხარ, მაგრამ რაღა დროს...

– ეს კიდევ რამდენს ბედავს, ბიჭო?! – კუნთმაგრებს მიმართა იარაღიანმა. – დრო ხომ არ არის, მართლა უკანასკნელი ლოცვა წავაკითხოთ?

– ჯერ არა, შეფ, ჯერ ცხვირით ნეხვი ვაქექინოთ, მერე კი ვნახოთ... სად გაგვექცევა?!

– იცოდე, უკანასკნელ შანსს გაძლევ და თუ ზეგ, ამ დროს, ფული შენი ხელით არ მოგიტანია, უფალი ღმერთი ვერ გიშველის! დათესვა გუნებაშიც არ გაივლო, მიწიდან ამოგთხრით!

– ეს რა ამბავია, ომობანას თამაშობთ, ბიჭებო? – გაისმა უცებ მის ზურგსუკან.

შავლაბადიანმა მოიხედა და, ჰოი, საოცრებავ, ბებიკო ნაილის მზერამ, იმ დღისთვის უკვე მეორედ, ჭახჭახა ყვითელი ფერის ყელსახვევი დააფიქსირა.

– ოი, ეს შენ ხარ?! – უნებლიე გაოცების შემახილს ქოლგის საკეტის ტკაცუნი მოჰყვა და ნესტიან ლოდზე შემოსკუპებული, ვარდისფერბოტებიანი და უზარმაზარქოლგაგაშლილი ბებიკო ნაილი, თითის წვერებზე შემდგარი რომ ცდილობდა წონასწორობის შეკავებას, გასაფრენად გამზადებულ პეპელას დაემგვანა.

საკეტი დიდი ხანია მოშლილი იყო და მუდამ უადგილო ადგილას უმტყუნებდა ხოლმე. ახლაც ასე დაემართა. ძალიან სასაცილო სანახავი იყო, მაგრამ ჰალსტუხიანი მამაკაცი, ნამდვილად არ ჩანდა სიცილის გუნებაზე. სახე მოულოდნელობისა და ბრაზისგან ჩაუშავდა, თუმცა სანამ ხმას ამოიღებდა, ვითარებაში გარკვევა მისმა დაგეშილმა თანაშემწეებმა ითავეს. მთავარი გზიდან მდინარისკენ მომავალი ბილიკი დაზვერეს და რომ დარწმუნდნენ, მოხუცი მარტოა და საგანგაშო არაფერი ჩანსო, ამ უცნაური არსების მასხრად აგდების ხასიათზე მოვიდნენ, აქეთიქიდან ამოუდგნენ და აგდებულად შეათვალიერეს

– ვაჰ, ეს ჭრელი ბაბოჩკა საიდან მოფრენილა? – წაუსტვინა ერთმა.

– ყვავილების ნადიმზე გახლდით სტუმრად მიწვეული, ბლომად ნექტარი მივირთვი და ნიავს სასეირნოდ წამოვყევი, – ამაოდ ცდილობდა ქოლგის დაკეცვას, თან ხალისით იძლეოდა ახსნა-განმარტებას ბებიკო ნაილი. – ჰოდა, რას ვხედავ, მდინარის პირას ბიჭებს ომობანას თამაში გაუმართავთ, თუმცა მგონი, უკვე მოიწყინეთ და წასვლას აპირებდით.

მოხუცი არ ცდებოდა, როგორც ჩანს, შავლაბადიანს სათამაშოდ აღარ ეცალა:

– გაიგეთ, რა თქვა? ამ ბებერს სადღაც ვუნახივარ! – ბრაზით მიმართა თავისიანებს.

– ხედავ, როგორი მიხვედრილია? მინახიხარ, აბა, რა! შემიძლია, დავიფიცო, მაგნაირი ჰალსტუხი ქალაქში მეორე არ იშოვება, – თვალი შეთქმულივით ჩაუპაჭუნა ბებიკო ნაილმა.

– აი, ეს თუ გინახავს ოდესმე?! – ავად წაისისინა შავლაბადიანმა და ბებიკო ნაილის ცხვირწინ შესანახად გამზადებული იარაღის დემონსტრირება მოახდინა.

– სიმართლე გითხრა, ასე ახლოდან – არასოდეს, – გულზე ხელი დაიდო და ალალად გაიღიმა მოხუცმა.

– ალბათ არც ის იცი, რომ თუ დამჭირდა, გამოყენებაც შემიძლია. საუკეთესო საშუალებაა იმ ადამიანების ზეცაში გასამგზავრებლად, სხვის საქმეში ცხვირის ჩაყოფა რომ არ ეზარებათ.

– ჩემი მოკვლა გინდა? – გაოცებისგან თვალები ააფახულა ბებიკო ნაილმა. – რას ამბობ, ეს ხომ იგივეა, ოქროს თევზი დაიჭირო და მის შეწვაზე უკეთესი ვერაფერი მოიფიქრო! აჯობებს, უფრო ჭკვიანურად მოვრიგდეთ: შენ ამ კაცს თავს დაანებებ, მე კი სანაცვლოდ სამ სურვილს აგისრულებ, გინდა?

– მასხრობას შეეშვი, ყბედობას მორჩი და გაქრი აქედან! – იფეთქა უცებ შავლაბადიანმა.

– ერთი, ორი, სამი, – თითები რიგრიგობით მოკეცა და აუჩქარებლად დაითვალა ბებიკო ნაილმა. – ნამდვილად სამია, თუმცა ეგ ყველაფერი ბრძანებას უფრო ჰგავს, ასე არაა?

– შენ როგორ ფიქრობ?! – ავისმომასწავებლად მიაჩერდა მოთმინებადაკარგული უცნობი.

– ეგრეც ვიფიქრე! მე სურვილების შესრულებას შეგპირდი, ბრძანებების კი არა. ყველაფერს თავისი წესი აქვს, ჩემო კარგო, და, თუ ღმერთი გწამს, ნუ მიყვირი, არა მგონია, აქ ვინმეს სმენის პრობლემა ჰქონდეს, ყოველ შემთხვევაში, მე – ნამდვილად არა.

შავლაბადიანმა ტუჩი მოიკვნიტა, შეეცადა გონებაში აეწონ-დაეწონა, ამ უცნაურ დედაკაცთან ნაცნობობა რა საფრთხეს უქადდა.

– წავიდეთ, შეფ, ამან რა უნდა დაგვიშავოს, ვერ ხედავ, ფეხზე ცხვარი ჰყავს გამობმული, – დამცინავად ჩაიქირქილა თანმხლებთაგან ერთ-ერთმა, – თანაც მთლად საღი აზრებიც არ უნდა აწუხებდეს.

– მოდი, საღი აზრის თაობაზე ნუ ვიდავებთ, – თითი დაუქნია ბებიკო ნაილმა, – თორემ უნდა გამოგიტყდეთ, ბრაზიანი გრიმასების სიჭარბე და ლანძღვა-მუქარის ფორმით გამოხატული, ქრონიკული გაღიზიანების სინდრომი არც მე მიმაჩნია მაინც-დამაინც ჯანმრთელი აზროვნების შედეგად.

– ხმა ჩაიკმინდე, კუდიანო და გზაზე აღარსად გადამეყარო, თორემ...

ბებიკო ნაილს ძალიან აინტერესებდა, რა შეიძ-ლებოდა მოჰყოლოდა მათ მორიგ შეხვედრას, მაგრამ ჰალსტუხიანმა ამის ახსნა აღარ ინება, მუქარის ნიშნად

კბილები გააკრაჭუნა და თანაშემწეებს წასვლის ნიშანი მისცა.

– კუდიანიო! – სიცილად არ ეყო ბებიკო ნაილს. – წარმოგიდგენია, ამხელა კაცია და კუდიანების ცნობაც არ იცის. აზრზე ხარ, როგორ უნდა უჭირდეს ცხოვრება? – მიმართა წეღანდელ ტყვეს, სველ ბალახში რომ ჩაემუხლა და მტკივან მაჯებს ხელისგულებით ისრესდა.

– გტკივა?

ახალგაზრდამ დაბნეული მზერით გამოხედა და ხმა არ გასცა, როგორც ჩანს, მისი გონება სხვა ფიქრებით იყო დაკავებული.

– ეი, აქ ვარ, – ტაში შემოჰკა ბებიკო ნაილმა, პასუხი რომ დაუგვიანეს.

– მტკივა? – გაიმეორა ახალგაზრდამ, თითქოს ახალ სიტყვას სწავლობსო და დარდიანად ამოიხვნეშა. – ყოველ შემთხვევაში, გულზე მეტად ნამდვილად არა.

– აჰაა, მივხვდი... ის კოპწიაჰალსტუხიანი შენთვის უცხო არ არის, არა?

– ჰო, აქამდე მეც ასე მეგონა. რას ვიფიქრებდი, თუ... ამნაირად გამიმეტებდა?! მგონი, მართლა არ გაუჭირდება ჩემი მოკვლა.

– დარდი ნუ გაქვს, აბა, მე აქ რისთვის ვარ თუ იცი?

– შენ? – კითხვით შეხედა ახალგაზრდამ. – აი, ეგ კი მართლა ძალიან მაინტერესებს, აქ და ამ დროს როგორ აღმოჩნდი?

– წეღანდელი ვერსია არ მოგეწონა? კარგი, მაშინ სიმართლეს გეტყვი: გზაზე მოვდიოდი, ხმაური გავიგონე და ვიფიქრე, იქნებ ვიღაცას ჩემი დახმარება სჭირდება-მეთქი. ჰოდა, აქეთ წამოვედი... დანარჩენი თვითონაც იცი.

– დახმარებას, უეჭველია, მე მთავაზობ...

ბებიკო ნაილმა დასტურის ნიშნად თავი დაუქნია.

– თუმცა “მთავაზობ” მთლად შესაფერი სიტყვა არაა. როცა საქმეში განსაკუთრებულად ავი ტიპები ერევიან, როგორც წესი, თავაზიანობას ვივიწყებ ხოლმე. მოკლედ, ასეა: გინდა, თუ არ გინდა, უნდა დაგეხმარო!

ახალგაზარდამ ციდან მოვლენილი მაშველი ძალა ყურადღებით შეათვალიერა და უბოროტოდ ჩაიცინა:

– კარგი, კარგი, მხოლოდ ჯერ მე დაგეხმარები, – თქვა და ბებიკო ნაილს ხელი გაუწოდა, – დროა, ქალაქში დავბრუნდეთ, არა?

***

– რაც არ უნდა თქვა, უშიშარი მოხუცი ყოფილხარ, – ეუბნებოდა ბებიკო ნაილს ახლად-შეძენილი თანამგზავრი, რომელმაც იგი მზრუნველად ამოაძრო ტალახიდან და ქალაქისკენ მიმავალ გზაზე გაიყვანა.

– ახლა კი, – გაეცინა მას, – მაგრამ იყო დრო, კურდღელზე უფრო მშიშარა ვიყავი.

– მერე?

– მერე? მერე ეშმაკობა ვიხმარე, ავდექი და რი-სიც ყველაზე მეტად მეშინოდა, სწორედ იმ რაღაცების კეთება დავიწყე. შიშსაც, სხვა რაღა დარჩენოდა, რაკი ხელს ვეღარაფერში შემიშლიდა, ადგა და თავი გამანება. “ხერხი სჯობია ღონესაო...” გაგიგონია? ბებიკო ნაილი დიდი ხერხიანი ვინმეა, რომ იცოდე.

– ბებიკო ნაილი ალბათ შენ ხარ.

– გამოიცანი... და შენ?

– მზეჭაბუკი. გინდ დაიჯერე, გინდ არა და მზეჭაბუკი მქვია.

– მაინც რატომ არ უნდა დავიჯერო? – გაოცებით შეხედა ბებიკო ნაილმა.

– რა ვიცი, ვისაც ჩემს სახელს ვეუბნები, თავიდან ყველას ხუმრობა ჰგონია. რა ჩემი ბრალია, თუ ბებიაჩემს ზღაპრები უყვარდა.

– მართლა? – თვალები ძვირფასი ქვებივით გაუბრწყინდა ბებიკო ნაილს. – ეგ სახელი ბებიამ დაგარქვა?

– აბა, ვის უნდა დაერქმია, დედა ჩემზე მშობიარობას გადაჰყვა, მამა კი – მასზე დარდს.

– სევდიანი ისტორია გამოვიდოდა, რომ არა ბებიაშენი, რომელსაც, შენდა ბედად, ზღაპრები ჰყვარებია...

– ეჰ, ბებია... არაჩვეულებრივი ქალი იყო, მაგრამ ზედმეტად მიამიტი. ამ ცხოვრებისა არაფერი გაეგებოდა. მეც ასე გამზარდა. სულ იმას მარიგებდა: მეგობარს გაჭირვებაში ზურგი არ შეაქციო, სხვისთვის ხელის გამართვა არასოდეს დაგეზაროსო. ნეტავი, რას იტყოდა, რომ გაეგო, მეგობარმა რა საქმე მიქნა...

– მოიცა, მოიცა, მაგას იმ ჰალსტუხიანზე ამბობ?

– არა-ა, – მწარედ ჩაიცინა ახალგაზრდამ. – კეთილ მეგობრებს რა გამოლევს! მაგას მეორეზე მოგახსენებ, თუმცა ამ ისტორიაში შეიძლება პირველი დავარქვათ, უფრო ზედგამოჭრილი კი ქოსატყუილა იქნება.

და მზეჭაბუკმა, აი, ასეთი რამ უამბო ბებიკო ნაილს:

– სწავლის დასასრულებლად სხვა ქვეყანაში ვიყავი წასული, თან ვმუშაობდი, ბებიას აქ ტვირთად რომ არ დავწოლოდი. ცოდნასთან ერთად, ცოტა ფულიც ჩამოვიტანე. რომ დავბრუნდი, ქოსატყუილა იმ ღამესვე მომადგა სახლში. მითხრა, შენს აქ არყოფნაში ცოლი მოვიყვანე, ახლა კი მძიმედ გამიხდა ავად, სასწრაფო ოპერაცია დაუნიშნეს და ფული მჭირდება. შენზე ახლობელი ვინ მყავს, იქნება რამე მიშველო, საქმეები კარგად მიმდის და ფულს ერთ-ორ თვეში უსიკვდილოდ დაგიბრუნებო. უარს როგორ ვეტყოდი, მაგრამ აღმოჩნდა, ჩემი ფული საქმეს არ ჰყოფნიდა. ჰალსტუხიანთან სწორედ მაშინ მივედი. ვუთხარი, ფული მასესხე და ერთ თვეში დაგიბრუნებ-მეთქი. უარი არ უთქვამს, თუმცა ხელი რაღაც ქაღალდებზე მომაწერინა, საქმე საქმეაო და ფულიც სარგებლით მასესხა. ძალიან ცოტა ხანში კი გაირკვა, რომ პირველს, ანუ ქოსატყუილას, ცოლი საერთოდ არ ჰყოლია, არც ავადმყოფი, არც ჯანმრთელი. ფული წაიღო და იმ ფულიანად სადღაც გაქრა. მე კი მეორის, ესე იგი, ჰალსტუხიანის, ვალის გასტუმრება არ შემეძლო იმიტომ, რომ ჯიბეში გახვრეტილი გროშიც აღარ მიჭყაოდა. ვალს გადახდა უნდაო, რომ შემახსენა, სხვა ვერაფერი მოვიფიქრე და ბებიის დანატოვარი სახლის გაყიდვა გადავწყვიტე, რაც, უნდა გითხრა, დღემდე ვერ მოვახერხე. უძრავი ქონების აგენტებმა ზედაც არ შეხედეს, აბა, ამ ქოხს ვინ იყიდისო?! სხვათა შორის, თვითონ შეგიძლია შეაფასო, ცოტა დაგვრჩა და მივედით კიდეც. ფინჯან ყავაზე გეპატიჟები.

***

მზეჭაბუკი სასახლეში ნამდვილად არ ცხოვრობდა. ქალაქის განაპირა უბანში მდგარ მის სახლს ის განსაკუთრებული იერი დასდებოდა, დიდი ხნის მიტოვებულ საცხოვრისს რომ აქვს ხოლმე. ძლივს იმაგრებდა ქარისა და წვიმისაგან შელანძულ სახურავს, ალაგ-ალაგ ჩამტვრეული კრამიტი ამოღებული კბილე-ბივით რომ მოუჩანდა. პატარა ეზო მუხლებამდე მიშვებულ, გადახუნებულ ბალახს დაეფარა. კედლებზე გაკრული შპალერი სიძველისგან ჩამუქებულიყო, ერთიანად დარყეული იატაკის ფიცრები კი ფეხის ყოველ გადადგმაზე კვნესა-ჭრაჭუნით ითხოვდნენ შველას.

– მართლა გვარიანად მობერებულა, – თქვა ბებიკო ნაილმა და ხელი ძველი ნაცნობივით გადაუსვა ფერგადასულ ფანჯრის რაფას.

– ბებია რომ ცოცხალი იყო, აქაურობა სულ სხვანაირად გამოიყურებოდა. ფანჯრის მინებიც სიხარულისგან ბრწყინავდა თითქოს, – ამოიოხრა მზეჭაბუკმა. – სიცივეში ღუმელი გიზგიზებდა, სიცხეში კი სასიამოვნო სიგრილე იდგა. პარასკეობით, სკოლიდან დაბრუნებულს, ახლადგამომცხვარი ღვეზელისა და ვანილის სურნელი მეგებებოდა. მაგიდაზე ბებიის ხელით მოქარგული გახამებული სუფრა ეფარა. რამდენი ბედნიერი დღე გაგვიტარებია ერთად. მაშინ ამ ქოხს სასახლეზეც არ გავცვლიდი. აი, იმ ფანჯარასთან უყვარდა ჯდომა. საღამოობით ქსოვდა, თან მხიარულ ამბებს მიყვებოდა. მხოლოდ და მხოლოდ მხიარულ ამბებს. ცუდი ამბები გახსენების ღირსი არ არისო, მეუბნებოდა. აი, ბებიაც, – მზეჭაბუკმა საოჯახო ალბომიდან სათნოსახიანი

მოხუცი ქალის სურათი გამოაძრო და ძველებური ბუფეტის თაროზე შემოდო. მერე უჯრიდან ამოიღო სქელი კონვერტი, რომელშიც წერილი და რამდენიმე საფოსტო მარკა იდო. – ეს აქ ვიპოვე. ალბათ გამოგზავნა უნდოდა და ვერ მოასწრო. მწერს, შეიძლება ჩემს თვალებს საყვარელი შვილიშვილის ნახვა აღარ უწერია და ამ წერილთან ერთად ყოველივე ძვირფასსა და საუკეთესოს, რაც გამაჩნია, შენ გიტოვებო. საწყალი, საყვარელი ბებია, ჩემზე ზრუნვით არასოდეს იღლებოდა, მე კი ვერ მოვასწარი, მისთვის ამაგი გადამეხადა. ჩემს არყოფნაში გარდაიცვალა. რომ ჩამოვედი, ისე მეგონა, თითქოს შემთხვევით უცხო სახლში მოვხვდი. ჩამტვრეულ ფანჯრებში ქარი წიოდა, ქოთნებში ყვავილები ჩამხმარიყო, ჭერზე ობობებს მოეწყოთ ბინა და უცებ მივხვდი იმას, რისი დაჯერებაც არაფრით მინდოდა – ბებია აღარ იყო. თითქოს ჯადოსნობა გაქრაო – მის გარეშე ეს სახლი მხოლოდ და მხოლოდ ღარიბული ქოხმახია, რომლის ყიდვაც კი არავის უნდა.

– მოგიწევს, ზღპარული ჯინი გააღვიძო და მზეჭაბუკის შესაფერი სასახლის აგება დაავალო. ბებიაშენს ძალიან გაეხარდებოდა.

– ჯინი რომ ახსენე, რაღაცის შექმნის დაუძლეველ სურვილს გულისხმობდი? – იკითხა მზეჭაბუკმა.

– ოჰო, – გაიხარა ბებიკო ნაილმა. – შეიძლება ამასაც ვგულისხმობდი. ზღაპრებში არცთუ ისე ცუდად ერკვევი. როგორც ჩანს, ბებიაშენის თავდადებას მთლად ამაოდ არ ჩაუვლია.

– რაღაც-რაღაცებში მართლა ვერკვევი, მხოლოდ ახლა ნამდვილად ჩიხში მოვექეცი. ლამის არის, დარდისა და ბოღმისაგან გული გამისკდეს.

– ოო, ეგ ძალიან სახიფათო გზაა. დარდი და ბოღმა მეტისმეტად ვნებს ჯანმრთელობას. აუცილებ-ლად ბოლოს მოგიღებს თუ, რა თქმა უნდა, ყვითელ-ჰასტუხიანს გადაურჩი.

– ვერაფერს იტყვი, ნუგეშისცემა კარგად გამოგდის, – ბებიკო ნაილის სიტყვებზე მწარედ გაიცინა მზეჭაბუკმა.

– ნუგეშის საცემი, ნეტავ, რა გჭირს? – გულ-წრფელად გაიოცა ბებიკო ნაილმა. – არავინ მოგიტყუებია, არც ვისიმე დაშინება ან მოკვლა გიცდია. მეგობარს დაეხმარე, ეგ იყო და ეგ. დარდით, სადაც წესი და რიგია, ეგენი უნდა იკლავდნენ თავს, შენ კი არა.

– რა გზას დავადგე, მართლა არ ვიცი. ხანდახან ბრაზი მერევა და შურისძიების სურვილი მტანჯავს. იქნებ მეც იარაღი ავიღო და სასტიკად დავსაჯო "მეგობრები": პირველი იმიტომ, რომ მომატყუა და მიღალატა, მეორე კი იმისთვის, რომ ჩემი გაგება არ მოინდომა?

– მგონი, იცი, ეგ გზა სად მთავრდება, – ამრეზით წარმოთქვა ბებიკო ნაილმა. – დიდი-დიდი ციხეში მოხვდე. თანაც მთლად სამართლიანიც არ იქნება. ყველას აქვს უფლება, ისეთი არჩევანი გააკეთოს, როგორიც შეუძლია. ზოგი იტყუება და ჰგონია, რომ ასე უფრო გაუადვილდება ცხოვრება, ზოგი კი დარწმუნებულია, თუ ძალას იხმარს, ყოველთვის მოგებული დარჩება. დასაჯო ადამიანები მხოლოდ იმისთვის, რომ ცუდი გემოვნება აქვთ?! ამას ნამდვილად ვერ მოგიწონებ.

– არ ვიცი, არ ვიცი. გამოსავალს მართლა ვერ ვხედავ!

– მმმ... პირდაპირ წადი, პირდაპირ ზღაპრის ბოლოსაკენ! მზეჭაბუკები, როგორც წესი, მხოლოდ მაგ გზას ირჩევენ ხოლმე. ხომ გახსოვს: წახვალ, ინანებ, არ წახვალ და მაინც ინანებ, მაგრამ საქმე ისაა, რომ ამ ამბის კეთილ დასასრულამდე მხოლოდ ეგ ერთადერთი გზა მიგიყვანს.

– აბა, რატომღა უნდა ვინანო? – გაიკვირვა მზეჭაბუკმა.

– რა ვიცი, ზოგს მოთმინება არ ჰყოფნის ხოლმე. ცხელ გულზე ვიღაცის მოკვლა ან ალქაჯივით გაბოროტება ბევრად უფრო მარტივი და მოსახერხებელი ეჩვენება. ჰოდა, ახია მაგათზე, ვერც ზღაპრის ბოლოში გავლენ და ვერც სასწაულებს გადაეყრებიან.

– საინტერესოა... გამოდის, სასწაულსაც შეიძლება გადავეყარო?

– კარგი, რა, ისე იქცევი, თითქოს ბავშვობაში შენთვის ზღაპარი საერთოდაც არ მოეყოლოთ. ეგ სწორედ ის გზაა, სასწაულებს გვერდს რომ ვერ აუქცევ.

– რა უნდა გავაკეთო, მაგ გზაზე რომ მოვხვდე?

– მაგას რა კითხვა უნდა?! – გადაწყვეტილება უნდა მიიღო!

– ვთქვათ და მივიღე.

– ვთქვათ თუ მიიღე? – ეშმაკურად მიაჩერდა ბებიკო ნაილი.

– კარგი, მივიღე...

– მშვენიერია! მაქვს პატივი გაცნობო, რომ... – ბებიკო ნაილმა საზეიმო ჟესტი გააკეთა, – ჩვენ უკვე ერთადერთ სწორ გზას მივუყვებით. ასე რომ, წინ – ბედნიერი დასასრულისაკენ! ჰო, მართლა, სად არის შეპირებული ყავა?

***

მზეჭაბუკმა, როგორც ერთი ბრძენკაცი იტყოდა, ღამესავით შავი, ჯოჯოხეთივით ცხელი და სიყვარულივით ტკბილი ყავა მოართვა ბებიკო ნაილს. მან თვალები დახუჭა და ნეტარებით შეისუნთქა გამამხნევებელი არომატი.

– ყავის მოდუღებაც ბებიამ გასწავლა?

მზეჭაბუკს ჩაეცინა და მრავლისმეტყველი გამომეტყველება მიიღო:

– არა, ეს ერთმა აღმოსავლელმა პრინცესამ მასწავლა.

– აჰა-ა, – გააგრძელა ბებიკო ნაილმა. – სილამაზით მზეს ეცილება, ტანი ალვას მიუგავს, თვალები – ნაკვერჩხალს, სალამურივით ტკბილი ხმა აქვს და ახლა იმგვარად გენატრება, როგორც უდაბნოს – წყაროს წყალი, ასეა, არა?

– ზუსტად ასეა, – თქვა მზეჭაბუკმა და სახე დაუსევდიანდა.

– ნუ გეშინია, შენი გახდება, – თვალის ჩაკვრით გაამხნევა ბებიკო ნაილმა და ყავა მოსვა.

– საიდან იცი? – ურწმუნოდ, მაგრამ აშკარა იმედით, ჩაეძია მზეჭაბუკი.

– არ-სა-ი-დან! – გაიცინა მოხუცმა. – ჰო, სწორედ იქიდან, არც მეტი, არც ნაკლები. შენ ის მითხარი, წეღან გზის თაობაზე ასე რატომ გადაწყვიტე?

– რაკი არც ციხეში მოხვედრა მინდა, არც ბოღმისგან სიკვდილი მხიბლავს, ამბის კეთილად დასრულებაზე კი უარს არ ვიტყოდი, გამოდის ასარჩევიც არაფერი მქონია, მხოლოდ... ვერ ვხვდები, ახლა რა უნდა გავაკეთო.

– ვინ გითხრა, რომ რაიმე უნდა გააკეთო? ამ გზას ბოლომდე უნდა მიჰყვე, ეგ არის და ეგ.

– ზეგ რომ ჰალსტუხიანი თავისი კუნთმაგარი თანაშემწეებით მომადგება, რა ვუთხრა, ფული არა მაქვს და ჩემი არჩევანით დაკმაყოფილდი-მეთქი?

– ჰა, ჰა, ჰა, ერთი მაგ დროს შემახედა, – თავისივე წარმოსახვამ გაამხიარულა ბებიკო ნაილი. – არა, მაგის თქმას გამძვინვარებული ლომის ხახაში მოხვედრა გირჩევნია. ჯობს, ისევ ფული მისცე.

– ჰა, ჰა, ჰა – ახლა მზეჭაბუკის სიცილის ჯერი დადგა. – ამაში ხელს მხოლოდ ერთი უმნიშვნელო წვრილმანი შემიშლის, რატომღაც მხედველობიდან რომ გამოგრჩა – ფული არა მაქვს! ძალიან სასაცილოა, არა?

– კარგი ერთი, მანამდე დიდი დროა, – ხელი უზრუნველად გაიქნია ბებიკო ნაილმა, – ათასი რამ შეიძლება მოხდეს.

– მაგალითად?

– მაგალითად? – თვალები აუციმციმდა მოხუცს. – შეიძლება, მიწაში ჩამარხული განძი იპოვო, მოულოდნელად გამდიდრდე, მადლობის ნიშნად გაჩუქოს ვინმემ, ნატვრისთვალს გადააწყდე, დევები დააფრთხო და მათი ქონება ხელში ჩაგივარდეს... გავაგრძელო?

– საკმარისია, საკმარისი, – უცბად ძალიან ცუდ ხასიათზე დადგა მზეჭაბუკი. – ნამდვილად გავგიჟდი. ვზივარ აქ და იმის მაგივრად, რამე ვიღონო, ათასნაირ სისულელეზე ვლაპარაკობ. სასიამოვნო იყო, მოწყალეო ქალბატონო, თქვენი სტუმრობა, ახლა კი უნდა დავჯდე და სერიოზულად დავფიქრდე, რა მოვიმოქმედო საკუთარი, არცთუ მარტივი პრობლემების მოსაგ-ვარებლად. ასე რომ, დიდი მადლობა თანაგრძნობის-თვის და იძულებული ვარ, დაგემშვიდობოთ.

– უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, კარისკენ მითითებ, რადგან ჩემი რჩევები სულელურად გეჩვენება, არა? ცოდვა გამხელილი ჯობს და უფრო ჭკვიანი მეგონე, მზეჭაბუკო! – ბებიკო ნაილი სკამიდან წამოდგა და მზეჭაბუკის ბებიის სურათს მიუახლოვდა.

– იმედია, ხედავ, რაც ხდება და არაფერში დამადანაშაულებ. შენი შვილიშვილი, მზეჭაბუკი რომ გეგონა, სინამდვილეში ერთი გაუზრდელი ბიჭია და მეტი არაფერი. მე ჯანდაბაში მიშვებს, თავად კი ალბათ პოლიციის განყოფილებას მიაკითხავს. არა მგონია, უფრო ჭკვიანური მოიფიქროს რამე. გულწრფელად ვწუხვარ, მაგრამ მის დახმარებას ალბათ ვერ შევძლებ. არა, არა, ნუ მთხოვ... სულერთია, აზრი არ აქვს. ვიცნობ ასეთებს... – ბებიკო ნაილი წუთით შეყოვნდა, თითქოს თანამოსაუბრის აზრის გაგება სურსო.

მზეჭაბუკი თვალმოუშორებლად შეჰყურებდა მის დიალოგს ბებიის ფოტოსთან და ცდილობდა გამოეცნო, ახლა რაღა ჩაიფიქრა მოხუცმა.

– არ ვიცი, არ ვიცი, ძალიან მინდა დაგიჯერო, მაგრამ... – განაგრძო დედაბერმა ცოტა ხნის შემდეგ. – თუმცა, რაც არის, არის, ამ ერთხელ ვცდი... მხოლოდ შენი ხათრით... ჰო, ჰო, რაკი ასე ძალიან გინდა... თუმცა... დარწმუნებული არა ვარ, რომ სწორად ვიქცევი.

ბებიკო ნაილმა სურათს თავი ანება, დოინჯი შემოიყარა და ახლა უკვე მზეჭაბუკს მიმართა:

– დახმარებას შეგპირდი და, რა ვქნა, პირობას ვერ გადავალ... მოკლედ, მინდა გითხრა... ბებიაშენს უნდა გითხრას, რომ... ფული იმაზე მეტი გაქვს, ვიდრე წარმოგიდგენია. ამის შესახებ შავით თეთრზე და სრულიად გარკვევით მოგწერეს, მაგრამ რა არის, იცი? – გამჭრიახობა გაკლია, მზეჭაბუკო, გამ-ჭრი-ა-ხო-ბა,

ზღაპრებსაც დიდი ხანია, არავინ გიკითხავს და... მაჩვენე ერთი ის წერილი!

– წერილი? – სულ დაიბნა მზეჭაბუკი. – რომელი წერილი?

– ბებიაშენმა სიკვდილის წინ რომ მოგწერა.

მზეჭაბუკი ერთხანს შეყოყმანდა, მერე ბუფეტის უჯრა გამოაღო და კონვერტი ამოიღო.

– გახსენი! – მოკლედ და კატეგორიულად გასცა მორიგი მითითება ბებიკო ნაილმა.

მზეჭაბუკმა კონვერტს თავი ახადა და წერილი ამოაძვრინა. წერილს გამოუყენებელი საფოსტო მარკებიც ამოჰყვა და ძირს დაცვივდა.

– ეეე, ფრთხილად... – შესძახა მოხუცმა და მარკები წამოკრიფა, – ეს სწორედ ისაა, ყოველივე ძვირფასს შენ გიტოვებო, ბებიაშენი რომ გწერდა, ხოლო საუკეთესო... საუკეთესოს ალბათ ცოტა უფრო საზრიანი რომ შეიქნები, მაშინ აღმოაჩენ... ყოველ შემთხვევაში, ბებიაშენს ნამდვილად ჰქონდა ამის იმედი.

– მოიცა, მოიცა... შენ გინდა თქვა, რომ...

– სიმართლე გითხრა, არაფრის თქმა აღარ მინდა... იმდენად მიუხვედრელი ხარ, კაცს ლაპარაკის სურვილს დაუკარგავ, მაგრამ ბებიაშენმა ისე მთხოვა... ეს მარკები კი ისე ძვირი ღირს... მოკლედ, შეგიძლია ამით ვალი გაისტუმრო. თუ, რა თქმა უნდა, ეს რჩევაც სულელურად არ მოგეჩვენება.

მზეჭაბუკს მარკები ხელში ეჭირა, გაოცებული დაჰყურებდა, თითები კი შესამჩნევად უკანკალებდა.

– სასწაულია, ნამდვილი სასწაული... – ლუღლუღებდა შიგადაშიგ გაოცებული.

– სასწაული? – თავი დანანებით გააქნია ბებიკო ნაილმა, – აბა, რას ამბობ! სასწაულთან რა კავშირი

შეიძლება ჰქონდეს ამ ქაღალდის მარკებს! ნამდვილი სასწაული მხოლოდ ადამიანის გულში ხდება... ვთქვათ, მოხუცი ბებიის ასეთივე მოხუც გულში... დანარჩენი კი უბრალო ფორმალობაა, მეტი არაფერი! ვინ-ვინ და ბებიაშენმა კარგად იცოდა ამის შესახებ.

მზეჭაბუკს ბოლო სიტყვები არ გაუგონია. თვალმოუშორებლად შეჰყურებდა ბებიის ფოტოს. ხმას არ იღებდა.

გონს რომ მოვიდა, ოთახში მის გარდა აღარავინ იყო. მხოლოდ ჩამავალი მზის სხივები იჭყიტებოდნენ მოღებული კარიდან, თითქოს მისი მარტო დატოვება არ უნდათო.

ჯადოსნური სიტყვები

წითელი კვერცხი სპორტულ კედებში გამოწყობილიყო და საცეკვაო მუსიკის რიტმში ზევით-ქვევით ხტოდა. ბალახებში ფეხმორთხმული ანანო ყვავილებს ხატავდა, თან კვერცხს საყვედურობდა, ხელს მიშლი, მუსიკა ძალიან ხმამაღლა გაქვს ჩართულიო.

– შენ რა, ყუურებით ხატაავ, ყუურებით ხატაავ? – სიმღერ-სიმღერით ეკითხებოდა კვერცხი. მერე ანანოს ნახატი წაართვა და ხასხასა მოლზე გაიქცა ხითხითით. ანანო ფეხშიშველი დაედევნა, ის-ის იყო, ხელი უნდა ეტაცა, მოულოდნელად მიწას მოსწყდა და პირდაპირ მზისკენ აიღო გეზი. ბაბუაწვერასავით მსუბუქი იყო და ფრენა ოდნავადაც არ უჭირდა. უცებ ჭახანი შემოესმა – წითელმა კვერცხმა ქვას ფეხი წამოკრა და ნაჭუჭი ნამსხვრევებად ექცა.

– უჰ, უჰ, სარბენი კი არა, საფრენი ამინდია, – აბუზღუნდა იგი. ნამსხვრევებიდან ამოხტა და ჩოგბურთის ბურთად გადაიქცა. – წამო, მეთამაშე, რა, – უთხრა ანანოს და პირდაპირ შუბლში მოხვდა.

– კოპი დამაჯდება, – გაუწყრა ანანო და შუბლი მოისრისა, მერე თვალები ნელ-ნელა გაახილა და ძალიან გაუკვირდა, ლოგინში რამ ჩამაწვინაო.

„აჰა, მეძინა და ყველაფერი სიზმარში ვნახე“, – მიხვდა, საბოლოოდ გამოფხიზლებული.

„იქნებ სწორედ ახლა მძინავს?“ – თავი წამოყო ახალმა აზრმა. ანანომ თვალები დახუჭა, მაგრამ ვეღარაფერი დაინახა. ე. ი. სპორტულ კედებში გამოწყობილი სააღდგომო კვერცხი ნამდვილი არ იყო და, როგორი სამწუხაროც არ უნდა ყოფილიყო, არც ის შეეფერებოდა სინამდვილეს, ფრენა რომ შეეძლო, სამაგიეროდ, ძალიანაც ნამდვილი ჩანდა შუბლის

ტკივილი. ეტყობა, ძილში კედელს ვხეთქე თავი, გაიფიქრა ანანომ და ნატკენი ადგილი მოისინჯა. მთელი ღამე ბორგავო, – წუხდა ხოლმე დედა, – აი, შედეგიც.

შემოსასვლელიდან ხმადაბალი ლაპარაკი მოისმოდა, დედა თუ საუბრობდა ტელეფონზე. ანანოს უყვარდა, დედის ხმა რომ აღვიძებდა დილაობით. დღე სწორედ ასე უნდა იწყებოდეს: ოთახებში დედა მიმოდიოდეს ფეხაკრეფით, სამზარეულოდან კი ახლადდაფქული ყავის სურნელი იფრქვეოდეს. საოცარია, მაგრამ ეს ყველაფერი დაახლოებით ისეთივე სასიამოვნოა, როგორიც დაბადების დღეს საჩუქრების მოლოდინი, ახალი წლისთვის მზადება, მოულოდნელად ფანჯარაში დანახული პირველი თოვლი ან ახლადაყვავებული ხეების ყურება.

ანანოს არ უნდოდა, მთელი დილა კოტრიალში გაჰპარვოდა, მარდად წამოხტა და ღამის პერანგის ამარამ კართან მიირბინა. ის იყო კარი გამოაღო, რომ აუხსნელი გრძნობა დაეუფლა – თითქოს ყველაფერი რიგზე ვერ იყო. შედგა და დედის ხმას მიაყურა – ეუცნაურა, რომ დედა ჩვეულებრივზე ხმამაღლა ლაპარაკობდა, ალაგ-ალაგ სიტყვა უწყდებოდა, აშკარა იყო, რაღაცაზე ნერვიულობდა.

– არა, არა... არ შემიძლია... არასოდეს... და, საერთოდ, ჩვენ უკვე დიდი ხანია, აღარაფერი გვაქვს სალაპარაკო... მშვიდობით, – მოესმა ბოლოს სრულიად უცხო ხმით ნათქვამი მისი სიტყვები, ბოლოს კი, ყურმილის დადების ხმა.

ანანო შიშველი ფეხებით იატაკს მიეყინა. წარმოდგენა არა აქვს, როგორ ან როდის მიხვდა ამას, მაგრამ გულმა ისეთი ბაგაბუგი აუტეხა, დარწმუნებით შეეძლო ეთქვა, სატელეფონო სადენის მეორე მხარეზე

მამა იდგა. მა-მა, მა-მა, მა-მა, – ისე ხმამაღლა ყვიროდა გული, ანანოს ეგონა, შემოსასვლელში მყოფი დედაც გაიგონებსო, მაგრამ დედას არაფერი ესმოდა. ოდნავ გამოღებული კარიდან ანანო კარგად ხედავდა მას. სკამზე გაუნძრევლად იჯდა, წელში გამართული და უძრავი, თითქოს ადგილზე გაქვავებულაო. თითები ერთმანეთზე მაგრად გადაეჭდო, ტუჩები ჯიუტად მოეკუმა და თვალმოუშორებლად მიშტერებოდა ანანოსთვის უხილავ წერტილს, რომელსაც ალბათ თვითონაც ვერ ხედავდა.

ანანოს ისეთი გრძნობა გაუჩნდა, თითქოს დედას რაღაც სტკიოდა, ისე სტკიოდა, რომ განძრევა უჭირდა. არა, არანაირ ტკივილს არ მისცემს უფლებას, დედიკო დატანჯოს. ანანო თავისი ოთახიდან გამოვარდა, შიშველი ფეხების ტყაპუნით გაირბინა ჰოლი და დედას პირდაპირ კალთაში ჩაუხტა. ხელები მაგრად, მაგრად შემოხვია და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ჩაეხუტა. არ მოშორდება, სანამ ის რაღაცა ტკივილი თავს არ დაანებებს. აი, ასე იქნება და არ გაინძრევა, რაც არ უნდა მოხდეს. ანანო მზად იყო, მთელი სიცოცხლე დედის მუხლებზე გაეტარებინა.

დედას არაფერი უთქვამს. თვითონაც ხელები მოხვია ანანოს და თავი თავზე უხმოდ ჩამოადო. დიდხანს ისხდნენ ასე ხმაამოუღებლად, ერთმანეთს ჩაკრულები. მერე თმაზე დედის ხელის შეხება იგრძნო. მისი ხელი ისევ ისეთი თბილი, ალერსიანი და მზრუნველი იყო, როგორიც საერთოდ ჰქონდა ხოლმე და ანანო მიხვდა, რომ ტკივილმა გაუარა.

– იცი, როგორი ბედნიერი ვარ? – ჩურჩულით ჰკითხა უცებ დედამ.

ანანომ თავი ასწია და მისი ცრემლით აბ-რჭყვიალებული თვალები დაინახა. დედა არ ტიროდა,

იცინოდა, მაგრამ რატომღაც ცრემლები მოსდიოდა თვალებიდან. საოცარია, მაგრამ ამ ცრემლებს ანანო სულაც არ შეუშფოთებია.

– იმიტომ ტირი? – ეს ჰკითხა მხოლოდ.

– ჰო, აბა, რა, – თავი დაუქნია დედამ და სიცილით მოიწმინდა ცრემლები. – ხანდახან ასეც ხდება, ძალიან ბედნიერი ხარ და ტირი.

„რას გაუგებ უფროსებს, თავიანთი წესები აქვთ!“ – გაიფიქრა ანანომ, თქმით კი არაფერი უთქვამს, დედას ყელზე შემოეხვია და სახე მის სურნელოვან თმაში ჩამალა.

– იცი, სულ ვოცნებობდი, ზუსტად შენნაირი შვილი მყოლოდა, ზუსტად, ზუსტად ასეთი გოგონა... ბეკეკოსავით ხუჭუჭა თმით, ვარსკვლავებივით ციმციმა თვალებით და მეტიჩარა, პაწუა ცხვირით, – დედამ ცხვირი ცხვირზე მიადო და თვალებში ჩახედა.

– სუსტი და გალეული რომ ვარ? – თავი ასწია და გამომცდელად შეხედა ანანომ. დეიდა ნაზი გამუდმებით არწმუნებდა, ასეთი არავის ენდომებიო.

– სწორედ, სწორედ ასეთი გოგო მინდოდა, ჩემო ნამცეცა, ჩემო საყვარელო, გემრიელო ნამცეცა! – ახლა კისერი ჩაუკოცნა დედამ.

– სიბნელისა რომ მეშინია? – ანანომ მშვენივრად იცოდა, უამრავი ნაკლი ჰქონდა.

– სიბნელისა მეც მეშინია, – გამოტყდა დედა. – ამის გამო არ გიყვარვარ?!

– მართლა გეშინია? ნუ გეშინია, დე! სიბნელე მარტო მაშინაა საშიში, როცა მარტო რჩები. მე დამიძახე ხოლმე და სულ ერთი ბეწოთიც აღარ შეგეშინდება, – წამსვე გადაავიწყდა, გულდედალი რომ იყო, ანანოს.

– ერთად ვერავინ და ვერაფერი შეგვაშინებს, არა? – გაიხარა დედამ.

– მგელი ჩვენ რას დაგვაკლეებს, დაგვაკლეებს, დაგვაკლეებს, მგელი ხელსაც ვერ გვახლეებს, ვერ გვახლეებს, ვერ! – წკრიალა ხმით შემოსძახა ანანომ. – დე, გუშინ სულ ბოლომდე ვნახე სამი გოჭის მულტფილმი. გინდა მოგიყვე?

– ვკვდები, ისე მინდა გავიგო, რა ბედი ეწიათ ნიფნიფს, ნაფნაფსა და ნუფნუფს, ტანზე ჩაიცვი და ყველაფერი დაწვრილებით მომიყევი.

ანანო კისრისტეხით გაიქცა საწოლ ოთახში, თავი მოიწესრიგა და ვარცხნილობის გასაკეთებლად დედას გამოეცხადა. სანამ დედა თმას ვარცხნიდა, მოასწრო, რამდენადაც შეეძლო, დალაგებულად მოეთხრო, როგორ გააბრიყვეს მგელი ყოჩაღმა და მოხერხებულმა გოჭებმა.

უნდოდა, სხვა ამბებიც გაეხსენებინა, მაგრამ ამასობაში დეიდა ნაზი მოქოთქოთდა და მათ სიმშვიდესაც მოეღო ბოლო. სანამ დედა სამსახურში წასასვლელად გაემზადებოდა, მოასწრო: გაექილიკებინა სამარშრუტო ტაქსის მძღოლი, ვერაფრით რომ ვერ ისწავლა, ზუსტად გზაჯვარედინთან გაუჩეროს მანქანა, კარტოფილის გამყიდველი, რომელმაც, ეჭვგარეშეა, წონაში მოატყუა, ნაცნობი მასწავლებელი, სასწავლო წლის დასრულებამდე რომ ვერ მოიცადა და გათხოვდა, ქვეყნის პრეზიდენტი – ამდენ უსამართლობას ყურადღებას რომ არ აქცევს და ბოლოს... ანანო, აზრად რომ არ მოსდის, რამდენი სანერვიულო აქვს ადამიანს.

– აი, უყურე, როგორ ზოზინობს! დარწმუნებული ვარ, ჯერ კბილებიც არ გამოუხეხია, – შესჩივლა დედას.

დედამ როგორღაც მოახერხა, ეს დანაშაული საკუთარ თავზე აეღო, მე ვერ გავაღვიძე თავის დროზე,

არ ვიცი, როგორ დამემართაო და ორივეს მაგივრად პირობა დადო, რომ ასეთი რამ აღარ განმეორდებოდა. მერე ანანოს თვალი ჩაუკრა, გამოსამშვიდობებლად ლოყაზე აკოცა და, დეიდა ნაზის რომ არ გაეგონა, ყურში ჩასჩურჩულა: თუ გინდა, ნასაუზმევს ბებიკო ნაილს ესტუმრეო. ეს ერთადერთი რამ იყო, რაზეც დეიდა ნაზი თითქმის არ ბრაზობდა. მართალია, არასოდეს აღიარებდა, მაგრამ უამისოდაც კარგად ჩანდა, ბავშვებზე მაინცდამაინც არ გიჟდებოდა. ამიტომ ყოველთვის სიამოვნებით უშვებდა ანანოს ბებიკო ნაილის მოსანახულებლად - საქმის კეთებისას ფეხებში მაინც არ მომებლანდებიო.

რაც შეეხება ბებიკო ნაილს, ბავშვები ხელს არასოდეს უშლიდნენ საქმიანობაში. სიმართლე რომ ითქვას, იგი არც არასოდეს საქმიანობდა. საქმიანი ხალხი ყველაზე უბედური ხალხია დედამიწის ზურგზეო, – ეუბნებოდა ხოლმე ანანოსა და საბას. იმას კი, რასაც თვითონ აკეთებდა, არასოდეს ეძახდა საქმეს: მე მხოლოდ იმას ვაკეთებ, რაც მსიამოვნებს და მამხიარულებსო.

- ყველამ რომ ასე იფიქროს, საქმეს ვინღა გააკეთებს? – ჰკითხა ერთხელ საბამ დაეჭვებით.

– მერედა ვინ თქვა, ადამიანებმა მაინცდამაინც საქმის კეთებით უნდა მოიკლან თავიო?! – გაიკვირვა ბებიკო ნაილმა. – ყველა რომ იმას აკეთებდეს, რისი კეთებაც სიამოვნებს, გასაკეთებელიც აღარაფერი დარჩებოდა. განა არ შეგიმჩნევია, ამქვეყნად ყველას სხვადასხვა რამე სიამოვნებს.

საბა იძულებული გახდა, დათანხმებოდა, რადგან ვერაფრით წარმოიდგინა, ბებიკო ნაილი მასავით მანქანის ნაწილების დაშლა-აწყობით ყოფილიყო დაინტერესებული, ანანოს კი საბრძოლო

ხელოვნების სრულყოფაზე ეფიქრა. მიუხედავად ამისა, არსებობდა ზოგიერთი რამ, რისი კეთებაც ანანოს, საბასა და ბებიკო ნაილს ზუსტად ერთნაირად ეხალისებოდათ. ალბათ სწორედ ამიტომ იყო, ერთმანეთის უნახავად დიდხანს რომ ვერ ძლებდნენ.

საბა ბებიკო ნაილის სახლიდან სამი სახლის დაშორებით ცხოვრობდა, მშობლებთან და ოთხ, ერთმანეთზე პატარა და-ძმასთან ერთად, თუმცა დღის უმეტეს ნაწილს სახლში კი არა, ქუჩაში ატარებდა. აღმა-დაღმა დაჰქროდა და გამუდმებით რაღაც საინტერესო აღმოჩენებით იყო გართული, თუმცა ბებიკო ნაილის მოსანახულებლად დროს თითქმის ყოველდღე პოულობდა.

ანანოს ვეღარც კი წარმოედგინა, თუ რომელიმე მათგანს ოდესმე არ იცნობდა. ძალიან შეაყვარა თავი მყუდრო და სტუმართმოყვარე სახლმაც, რომელშიც ბებიკო ნაილთან ერთად უამრავი ზღაპრული არსება ბინადრობდა.

აი, მაგალითად, ექიმი აღარმტკივა... ერთი შეხედვით ჩვეულებრივი, ძველისძველი სათამაშო თოჯინა იყო, ერთ ხელში წამლის უზარმაზარი შუშა, მეორეში კი წამლის დასალევი კოვზი რომ ეჭირა, მაგრამ ეს – მხოლოდ ერთი შეხედვით. ექიმ აღარმტკივას სამედიცინო ხალათის ქვეშ პატარა ღილაკი ჰქონდა მიმაგრებული. ღილაკს თითს თუ დააჭერდი, სათამაშო წამსვე ცოცხალივით იწყებდა მოძრაობას, ბოთლიდან წამალს კოვზში გადმოასხამდა და გამოგიწვდიდა.

ასეთ წამალს ჩვეულებრივ აფთიაქში ვერ იყიდიო, ირწმუნებოდა ბებიკო ნაილი და მას ჯანმრთელობის უებარ მიქსტურას ეძახდა. მართლაც უებარი თუ იყო, რადგან ერთნაირად უხდებოდა

ყელის ტკივილს, მაღალ ტემპერატურას, მუცლის გვრემას, გაციებას თუ უგუნებობას. ანანომ საკუთარ თავზე გამოსცადა, როცა ნაყინის ზედმეტმა ულუფამ ლამის იყო ყელი აატკივა.

ნეტავ, რა არის აქ ასე საკვირველი, ექიმ აღარმტკივას წამალს ვინც გასინჯავს, ავადმყოფობა რას დააკლებსო! – გაოცებით მხრებს იჩეჩავდა ბებიკო ნაილი.

აქვე ცხოვრობდა ხურჯინიანი ბერიკაცი, რომელსაც ღამღამობით უჩინმაჩინი სტუმრობდა ხოლმე და ხურჯინს ტკბილეულით უვსებდა, დღისით კი ბებიკო ნაილი, ანანო და საბა უცარიელებდნენ. ხურჯინიან კაცს ძალიან უყვარს სხვების გამასპინძლება, ამიტომ ნურაფრის მოგერიდებათ, გემრიელად მიირთვითო, ეუბნებოდა ხოლმე ბავშვებს მოხუცი. ალბათ მართლა ასე იყო, რადგან ხურჯინიანი ბერიკაცი მუდამ კეთილად იღიმოდა და მათთვის ყოველთვის რაღაც ჰქონდა ჭრელ ხურჯინში გადანახული.

სახლის კიდევ ერთი ბინდარი საკლიტურების მცველი მცონარა გახლდათ. ეს უცნაური სახელი ჭრელ ხალიჩაზე მხართეძოზე წამოგორებულ და თავქვეშ მუთაქაამოდებულ ღიპიან კაცს ერქვა. მას ბებიკო ნაილის გასაღებების პატრონობა ევალებოდა. მოგეხსენება სახლში უამრავი გასაღებია საჭირო: ჭიშკრის, კარის, სარდაფის, სხვენის, კარადისა და ვინ მოთვლის, კიდევ რისი, ჰოდა, რაკი ბებიკო ნაილს გასაღებების შენახვაზე მეტად მათი დაკარგვა ემარჯვებოდა, გადაწყვიტა მთელი ეს ავლადიდება მცონარასთვის ჩაებარებინა. ისიც ერთგულად ინახავდა გასაღებების ასხმას ხავერდის ნაჭერგადაკრულ მუთაქაში, რომელსაც არც დღისით და არც ღამით

შორდებოდა. მაგას მხართეძოზე კოტრიალს არაფერი ურჩევნია, ასე რომ, ჩემი გასაღებებისთვის უკეთეს პატრონს ვერც ვინატრებო, უხაროდა ბებიკო ნაილს. მის გასაღებებს შორის ყველაზე მთავარი პაწაწინა, ოქროსფერი გასაღები იყო, რომელსაც, გინდ დაიჯერე, გინდ არა და, ჯადოსნური სკივრის გაღება შეეძლო.

ჯადოსნური სკივრი ბებიკო ნაილს ძველი კარადის ყველაზე მაღალ თაროზე ჰქონდა გადამალული, თუმცა რას ინახავდა იქ, ანანომ და საბამ ნამდვილად არ იცოდნენ. მისი გაღების უფლება მხოლოდ თვითონ ჰქონდა და ისიც – მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში. სხვანაირად ამ სკივრში შენახული ჯადოსნური ნივთები ძალას დაკარგავენო, – აფრთხილებდა თავის მეგობრებს.

სამაგიეროდ, ყველას შეეძლო გაეღო საჩუქრების ყუთი. ეს უზარმაზარი, ცისარტყელასავით ნაირფრად შეღებილი ხის სკივრი სასტუმრო ოთახის კუთხეში იდგა და რას აღარ ნახავდი შიგ: სათამაშოებს, საოჯახო ნივთებს, მინის ბრჭყვიალა სამკაულებს, ქუდებს, ხელთათმანებს, ქაღალდის ხელსახოცებს. ყველას შეეძლო ჩაეყო ხელი ამ ყუთში და თავისთვის სასურველი საჩუქარი ამოერჩია მაშინვე, როცა კი მისი მიღების სურვილი გაუჩნდებოდა. ასეთი სურვილი კი, აბა, ვის არ გასჩენია?!

საჩუქრების ყუთის გაღება მაშინაც შეიძლებოდა, თუ თვითონ გქონდა ვისიმე დასაჩუქრების სურვილი, მაგალითად, რაიმე ნივთი გქონდა ისეთი, რასაც სხვას სიამოვნებით აჩუქებდი, მაგრამ არ იცოდი, მაინც ვისთვის გეჩუქებინა. ასეთ ნივთებს ბებიკო ნაილი ლამაზად ფუთავდა და ყუთში ინახავდა – ნამდვილი საჩუქარი თავის პატრონს აუცილებლად იპოვისო. ნამდვილ საჩუქარს კი იმას ეძახდა,

რომელსაც მთელი გულით გაიმეტებდი და ინატრებდი, ნეტა, ვინმე ძალიან, ძალიან გაახაროსო.

ანანომაც ჩადო შიგ ერთხელ ნამდვილი საჩუქარი. ისე მოხდა, რომ დედიკომ და დეიდა ნაზიმ, ერთსა და იმავე დღეს, ზუსტად ერთი და იმავენაირი თმის საბნევი უყიდეს. ანანოს ძალიან მოეწონა და იფიქრა, ორი რად მინდა, მოდი, ერთს სხვას ვაჩუქებ, იმ სხვასაც ხომ ჩემნაირად მოეწონებაო და საჩუქარი მყისვე ბებიკო ნაილს მიურბენინა. მან კი, რა მშვენივრად მოგიფიქრებია, რა ლამაზი თმის საბნევია, რომ იცოდე, რა ძალიან გამახარეო, იმდენი იძახა, რომ ანანოს ბედნიერებისგან გული აუძგერდა, ლოყები შეუწითლდა და ზუსტად ისე კარგად იგრძნო თავი, თითქოს კიდევ რაღაც აჩუქეს.

მგონი, გზიდან გვარიანად გადავუხვიე ანუ სიტყვა ცოტა გამიგრძელდა, მაგრამ ხანდახან უნდა მაპატიო. აბა, ეს ყველაფერი რომ არ მომეყოლა, როგორ მიხვდებოდი, რატომ უხაროდა ანანოს ბებიკო ნაილთან სტუმრობა? ჰოდა, ბევრი რომ აღარ ვილაპარაკო, იმ დღესაც დიდი სიხარულით შეასრულა დედის რჩევა, დეიდა ნაზისგან ნანატრი ნებართვა აიღო და ნაცნობ სახლს მიაშურა.

ბებიკო ნაილი მარტო არ დახვედრია, სტუმარი ჰყავდა – ხანშიშესული, წითელპომადიანი და ბეჭდებასხმული, სოლიდური ქალბატონი, რომელსაც ფეხი ფეხზე გადაედო და ოთახს შემფასებლური მზერით ათვალიერებდა. ბებიკო ნაილს დივანთან მიდგმულ დაბალ მაგიდაზე ჩაის სუფრა გაეწყო.

– არა, არა, ნაილ, – უკმაყოფილოდ იჭმუხნიდა შუბლს სტუმარი, – მარტო ცხოვრებას ისევ მოხუცთა თავშესაფარში ცხოვრება სჯობს. წარმოდგენა არა მაქვს, გული როგორ არ გისკდება ამ სახლში ღამღამობით.

კიდევ კარგი, ჩემი შვილები მარტო არასდროს მტოვებენ, თორემ ნამდვილად გავგიჟდებოდი... ხედავ, შაქარი ისევ დაგავიწყდა ჩემთვის.

ბებიკო ნაილმა ახლადდაყენებული ჩაის ნაყენი ჭიქებში თანაბრად გადაანაწილა და ანანოს სთხოვა, ნუ დამზარდები, სამზარეულოდან შაქრის ფხვნილი მოარბენინეო. ანანო დავალების შესასრულებლად გაიქცა. რომ შემობრუნდა, ისევ სტუმარი ქალის უკმაყოფილო მზერას გადააწყდა.

– იცი, რა, ჩემო კარგო, სიბერეზე ახალგაზ-რდობაშივე უნდა იზრუნო, თორემ მერე გვიანღაა სინანული, – თქვა და პომადიანი ტუჩები მრავალმნიშვნელოვნად მოპრუწა.

ბებიკო ნაილმა ჩაის ფინჯანი ახლოს მიუჩოჩა და კეთილად გაუღიმა.

– რა გაცინებს, რა? იცინის ის, ვინც ბოლოს იცინისო, ნათქვამია, თუმცა ვამბობ, რა... შენ, მგონი, ცხოვრებაში ჭკვიანური არაფერი მოგისმენია...

– იცინის ის, ვინც გულიანად იცინისო, არავის უთქვამს? – დაინტერესდა ბებიკო ნაილი. პასუხად მისმა თანამოსაუბრემ იმისთანა სახე მიიღო, ანანოც კი მიხვდა, "ელაპარაკე ახლა ამასო"-ს რომ ნიშნავდა.

– სამწუხაროა, თორემ ზუსტად ჩემზე იქნებოდა ზედგამოჭრილი, – განუმარტა ბებიკო ნაილმა.

– არ ვიცი, არ ვიცი, – სტუმარმა შაქარი ჩაიყარა ფინჯანში და კოვზი გაბრაზებით აარაკუნა, – ყოველთვის ასეთი არასერიოზული იყავი...

– "კუზიანს სამარე გაასწორებსო", – აი, თუ არაფერი გამიგია! – თავისმა აღმოჩენამ გაამხიარულა ბებიკო ნაილი. – ჩემზე ნუ იდარდებ, გეთაყვა, აბა, ერთი ეს მურაბა გამისინჯე...

მასპინძელს სიტყვა პირზე შეაშრა. უცნობმა ქალმა ერთი საზარლად დაიფხუკუნა, პირიდან ჩაის შხეფები შადრევანივით გამოაფრქვია და ერთიანად გაწუწა მის პირდაპირ მჯდომი ანანო.

– ეეეს რრა არრის, რრა უბბედურრებაა...

– ჩვენ გვეკითხები? – გაიოცა ბებიკო ნაილმა და ფეხზე წამომხტარ, გულგახეთქილ ანანოს ქაღალდის ხელსახოცი მიაწოდა.

– რა ჯჯანდაბა ჩჩამიყარეთ ჩჩაიში? – ფურთხება-ფურთხებით გაიძახოდა ქალი, ტუჩებს იწმენდდა და პირზე წითელპომადაგადღაბნილი თვალსა და ხელს შუა მძვინვარე ლომს ემსგავსებოდა.

ბებიკო ნაილმა მაგიდა ყურადღებით მოათვალიერა, საშაქრე ხელში აიღო და - ოი, ოი, ოი... ყველაფერს მიხვდა. საქმე ის იყო, რომ შაქარსა და მარილს ერთნაირ კოლოფებში ინახავდა და რომ არა კოლოფზე გაკეთებული წარწერები, შეიძლება, ერთმანეთშიც არეოდა. საბედნიეროდ, ბებიკო ნაილმა კითხვა იცოდა, ანანომ კი...

– არა, არა, უბედურება კი არა... ყოვლად უწყინარი... ჩვეულებრივი... სულ პატარა გაუგებრობაა, – ხელები უმწეოდ გაასავსავა და მობოდიშებას შეეცადა მოხუცი.

– აჰ, ასე არა?! – როგორც იქნა, სული მოითქვა სტუმარმა. – ნერვები მთლად დაწყვეტაზე მაქვს, შენ კი, როგორც ყოველთვის, ვითომც არაფერი! ახია ჩემზე, ვიფიქრე, მივალ, მოვინახულებ, მარტოობას შევუმსუბუქებ-მეთქი... არა, არა, კეთილი გული ზედმეტი ბარგია ამ ცხოვრებაში... ჩემი ფეხი აღარ იქნება აქ, ჩემი ფეხი...

ბებიკო ნაილს რაღაცის თქმა სურდა, მაგრამ სტუმარმა ისეთი გამგმირავი მზერა ესროლა, მხოლოდ

მხრებიღა აიჩეჩა. ქალმა ჩანთას ხელი წამოავლო, კარები გამოაღო და გაავებული გაიჭრა გარეთ.

– მგონი, გაცილებას ვერ მოვასწრებ... – მთლად დაბნეულ ანანოს გახედა ბებიკო ნაილმა, ისევ დივანზე ჩამოჯდა და უეცრად გულიანად ახარხარდა.

– ბრრრ... ეს რა ჩჩამიყყარეთ ჩჩაიში?! დარიშხანნია თთუ რრა?.. – იძახდა და სიცილისგან იგუდებოდა.

მართალია, ანანოს იმაში, რაც მოხდა, თავი მთავარ დამნაშავედ მიაჩნდა, მაგრამ უცნობი ქალის გამძვინვარებული სახე რომ გაახსენდა, სიცილი მაინც ვერ შეიკავა.

– მმოდდი, ვეშაპობბანნა ვითთამაშშოთ... – პირში წყალი ჩაიგუბა, ლოყები დაიბერა, მერე ხმამაღლა დაიფრუტუნა და უკან შადრევანივით ამოასხა ბებიკო ნაილმა. ანანომაც მიბაძა და არცთუ ურიგოდ გამოუვიდა. ვეშაპობანას თამაში ორივეს ძალიან მოეწონა. მთელი ოთახი მოწუწეს და ცოტა ხანში სიცილისგან ისე გასავათდნენ, ღონემიხდილები დივანზე მიესვენნენ.

– ვაი, ვაი, მიშველეთ, – კვნესოდა ბებიკო ნაილი, – კარგა ხანია, ასე აღარ მიხალისია! ამ ქალმა იცის, რას აკეთებს – მარტოობაში ნუგეშისცემაც ამას ჰქვია!

როცა გული თამაშით მოიჯერეს, ბებიკო ნაილმა გადაწყვიტა მომხდარი ინციდენტის ნიუანსებში ანუ ადამიანურ ენაზე რომ ვთქვათ, სტუმრის განაწყენების მიზეზებში, გარკვეულიყო.

– დედას გაფიცებ, მართალი მითხარი, კითხვა არ იცი, თუ ეს ყველაფერი საგანგებოდ მოაწყვე, რომ გვემხიარულა? – ჰკითხა ანანოს.

ანანომ, კითხვა არ ვიციო, – გაუმხილა, თუმცა ეს დიდ ცოდვად სულაც არ მიაჩნდა – კითხვას სკოლაში ასწავლიან, თვითონ კი ჯერ სკოლაში არ დადის, ჰოდა, შემოდგომამდე ყველაფერი მეპატიებაო, თავი იმართლა ბებიკო ნაილთან.

– პოლიციაში დარეკვას ნამდვილად არ ვაპირებ, თუმცა, თუ სურვილი გექნებოდა, შეგეძლო, საქმე შემოდგომამდე არ გადაგვედო. გინდა, დღესვე გასწავლი წერა-კითხვას?

ანანოს გაკვირვებისგან თვალები გაუფართოვდა. ეს რომ ასეთი ადვილი იყოს! მისი დეიდაშვილი, ნინი, რომელიც უკვე მეორე კლასში გადავიდა და, აქედან გამომდინარე, სრული უფლება ჰქონდა, ანანოსთან თავი გამოცდილი ქალივით სჭეროდა, სულ იმას ირწმუნებოდა, წერა-კითხვის სწავლა დიდ შრომასა და გულმოდგინებას მოითხოვსო.

„დღეში თითო-თითო ასოს გასწავლიან, მერე ეს ასოები ერთმანეთს უნდა გადააბა, როდის-როდის სიტყვების წაკითხვასაც შეძლებ. ახლა წერას არ იკითხავ? – პირდაპირ ასოებს კი არ დაგაწერინებს მასწავლებელი, ჯერ ხაზების სწორად ჩამოსმაში უნდა ივარჯიშო, ივარჯიშო და ივარჯიშო, მერე რგოლების შემოხაზვა ისწავლო, მერე ხაზები და რგოლები შეაერთო. უჰ, უჰ! აი, მიხვალ სკოლაში და თვითონ ნახავ“.

ასე რომ, ანანოს ყველანაირი საფუძველი ჰქონდა ევარაუდა, ასეთ მძიმე შრომას შეიძლება თავი ვერც კი გავართვაო, აქ კი ბებიკო ნაილი ერთ დღეში უპირებს, წერა-კითხვის მცოდნედ აქციოს.

ბებიკო ნაილმა ყურადღებით მოუსმინა.

– იცი, რას გეტყვი? ძნელი მხოლოდ ის არის, რაც ძნელად გეჩვენება, – უთხრა ამ ყველაფრის

პასუხად. – საკმარისია, წარმოიდგინო, რომ რაღაცის გაკეთება ძალიან იოლია და იმ რაღაცას ძალიან იოლადაც გაართმევ თავს.

მართალია, ასეთი დამაჯერებელი ახსნა-განმარტების შემდეგ, ანანოს ყველა ეჭვი უნდა გაჰფანტვოდა, მაგრამ მაინც ყოყმანით დაეთანხმა ბებიკო ნაილს, მეცადინეობას შევუდგეთო.

ბებიკო ნაილი ჩვეული ენთუზიაზმით შეება საქმეს: მაგიდა მოაწესრიგა, მერე რამდენიმე კვერცხი, კვერცხების სათქვეფი ჯოხი, პლასტმასის ჯამი, შაქარი, ვანილი, ცოტაოდენი ფქვილი და კარაქი მოიტანა და ვიწყებთო, ანანოს გამოუცხადა.

ანანო წეღანდელზე მეტად გაოცდა.

– რას ვიწყებთ? – იკითხა თვალებგაფართოებულმა, ბებიკო ნაილს ხომ არ დაავიწყდა, რის გაკეთებასაც შემპირდაო.

– ასოების გამოცხობას! – გამოაცხადა ბებიკო ნაილმა.

– ასოები უნდა გამოვაცხოთ? – სმენა ხომ არ მატყუებსო, შესამოწმებლად ჩაეკითხა ანანო.

– აბა რა, ასოები თუ არ იქნა, ვერაფრით წაიკითხავ, ისინი კი, მოგეხსენება, ქუჩაში არ ყრია, ჰოდა, ვიფიქრე, გემრიელ ასოებს გამოვაცხობ და ანბანიც ხელთ გვექნება-მეთქი. არ მითხრა, რომ ცუდი აზრია!

მართალია, სწავლების ამ მეთოდზე ნინის სიტყვა არასოდეს დასცდენია, მაგრამ ანანო თვითონაც მშვენივრად მიხვდა, ბებიკო ნაილის წინადადება გაცილებით საინტერესო უნდა ყოფილიყო, ამიტომ მოხუცს გამამხნევებლად გაუღიმა და მშვენიერი აზრიაო, ხალისით დაუმოწმა.

ბებიკო ნაილმა კვერცხები სათითაოდ დატეხა, მერე ჯამში შაქართან და სხვა საჭირო რამე-რუმეებთან ერთად ათქვიფა და რამდენიმე წამში შესანიშნავი – რბილი და ფაფუკი – ცომი მოამზადა.

– ახლა იწყება, რაც იწყება, – იძახდა მკლავებდაკაპიწებული და ცომს მაგიდაზე გულდასმით აბრტყელებდა. მერე გაბრტყელებული ცომი წვრილ, ერთმანეთის ტოლ ზოლებად დაჭრა და დროა, მეცადინეობას შევუდგეთო, – უთხრა ანანოს.

– ანბანში პირველი და მგონი, ყველაზე საჭირო ასო "ა" არის, – თქვა და ცომის ზოლისაგან მშვენიერი "ა" გამოძერწა. "ა"-ზე უამრავი სიტყვა იწყება: ასანთი, ალუბალი, ანანო და ასე შემდეგ. ცოტა გაისარჯე და შენც გამოძერწე.

ანანომ სცადა და არც ისე ცუდად გამოუვიდა. კიდევ რამდენიმე "ა" გამოძერწეს, თან ასო "ა"-ზე სახელების მოფიქრებაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. მერე "ბ" გამოძერწეს. ასოებს თუნუქის დიდ ფურცელზე აწყობდნენ აკურატულად. მერე რიგით "გ" მოდიოდა და ასე, ბოლომდე. როცა ცომისაგან მთელი ანბანი გამოძერწეს და თუნუქის სამი ტაფა გაავსეს ასოებით, ანანოს ყველაფერი თავში ერეოდა, თუმცა უზომოდ კმაყოფილი იყო გაწეული შრომით.

– ჯერ სადა ხარ, – უთხრა ბებიკო ნაილმა და ტაფები ჰაერღუმელში შეაწყო. – გამოცხვეს, რა იქნება!

რამდენიმე წუთში ასოები დაიბრაწა და ვანილის სურნელი მთელს ბინას მოედო.

– აბა, ნახე, კარგად თუა გამომცხვარი, – სთხოვა ბებიკო ნაილმა და ანანოს რამდენიმე „ი" გაასინჯა. უფრო უკეთესს ვერაფერს იგემებდი.

– უჰ, უჰ, ძალიან გემრიელია! – ქება არ დაიშურა ანანომ.

– მაშ, როგორ, უგემურად თუ გააკეთებ რამეს, არაფერი გამოვა!

ბებიკო ნაილმა ასოები გასაგრილებლად ფართო და ლამაზ სინზე გადაიტანა, მაგიდა საგულდაგულოდ მოაპრიალა და სიტყვების შედგენაზე გადავიდნენ.

– აბა, გეთაყვა, მოძებნე საჭირო ასოები და დამიწერე სიტყვა “ია”, – მისცა პირველი დავალება ანანოს.

ანანოს ამის გაკეთება ოდნავადაც არ გასჭირვებია. მერე “ანა” დაწერეს, შემდეგ – “ანანო”.

– უკვე ჩემი სახელის დაწერა შემიძლია, – სიხარულს ვერ ფარავდა ანანო, მერე კი “ნაილი” დაწერა და ესეც მშვენივრად მოახერხა.

ბებიკო ნაილი ცოტას მიეხმარა – “მ” და “რ” გაახსენა რომელი იყო და “მარილი” ააწყვეს.

– ამ სიტყვას კარგად დააკვირდი, დაიმახსოვრე და, თუ ღმერთი გწამს, სტუმრებს მეტად ნუღარ გამიქცევ სახლიდან.

– მთელი სიცოცხლე მემახსოვრება, – დაჰპირდა ანანო.

– ახლა წერილის დაწერაც კი შეგიძლია. გინდა, ვინმეს წერილი მივწეროთ? – ჰკითხა ცოტა ხნის შემდეგ ბებიკო ნაილმა.

ანანოს თვალები გაუბრწყინდა.

– რა კარგია, მამას მივწერ!

ეს რა მშვენიერი აზრი მოუვიდა თავში ბებიკო ნაილს! ანანომ სიტყვა “მამა” ყოველგვარი გაჭირვების გარეშე დაწერა და ლოყაზე ხელი შემოიდო. ახლა რაღა მისწეროს? მიწერით იმდენი რამის მიწერა უნდოდა: დედაზეც უნდოდა მოეყოლა, ბებიკო ნაილზეც, საბაზეც, იმაზეც, თუ როგორ ენატრება და რომ დროა, ჩამოვიდეს, მაგრამ რაღაც ძალიან ბევრი სიტყვა

გამოდიოდა. ნუთუ წერილებში ამდენ სიტყვას წერენ... სულაც არ იყო დარწმუნებული. იფიქრა, იფიქრა და უცაბედად ერთი საოცარი სიტყვა გაახსენდა – ამ სიტყვაში თითქმის ყველაფერი იყო, რისი თქმაც მამიკოსთვის სურდა და, მართალია, არცთუ ისე ადვილი დასაწერი აღმოჩნდა, მაინც მოახერხა და, ბებიკო ნაილთან შეთანხმებით, ბოლოს და ბოლოს, ყველა საჭირო ასო მოძებნა. მთელი ამდენი ჯაფის შემდეგ კი მაგიდაზე უჩვეულოდ გემრიელი ასოებით დაწერილი მისი პირველი, სულ პირველი, წერილი გაჩნდა:

მ ა მ ა მ ი ყ ვ ა რ ხ ა რ

ბებიკო ნაილმა საიდანღაც ლამაზი მუყაოს კოლოფი გამოაძვრინა, ანანოს გაუწოდა და შესთავაზა შენი წერილი ამაში ჩადე და გავგზავნოთო.

– ნამცხვრის წერილის გაგზავნაც შეიძლება? – აკისკისდა ანანო.

– მგონი, დღემდე არავის აუკრძალავს, – თავი მოიქექა ბებიკო ნაილმა. – თუმცა, ვფიქრობ, ასეთი რამ არც არავის მოსვლია აზრად. ასეა თუ ისე, ჩვენ ამ უფლებას ვერავინ ჩამოგვართმევს, – თქვა და ანანოს ასოების ლამაზად ჩალაგებაში მიეხმარა.

– მიხვდება მამიკო, რომელი ასოს შემდეგ რომელი უნდა წაიკითხოს? – დაინტერესდა ანანო, როცა ნახა, ასოები ვიწრო კოლოფში ერთმანეთში როგორ აირია.

– მაგაში ეჭვიც არ მეპარება, თანაც ასე გაცილებით საინტერესოა: ერთბაშად წერილსაც მიიღებს და მშვენიერ თავსატეხსაც. იმედია, მამაშენს თავსატეხების ამოხსნა უყვარს, – ეშმაკურად მოჭუტა

თვალები ბებიკო ნაილმა. მერე ლამაზი, პრიალა ქაღალდი მოძებნა, კოლოფი შიგ კოხტად გაახვია და ოქროსფერი ბაფთით შეკრა.

– რა ლამაზი წერილია! – აღტაცება მოეძალა ანანოს. – ვაი, – გაახსენდა უცებ. – მამიკოს მისამართი რომ არ ვიცით?

– ეგ საქმე მე მომანდე, – უთხრა ბებიკო ნაილმა და კოლოფი კარადის უჯრაში შეინახა, – მეგობრები იმიტომაც ჰყავს ადამიანს, როცა სჭირდება, გვერდში ამოუდგნენ. ერთ ძველ ზღაპარში ყველაფრისმცოდნე მეგულება, ჩემი ძველი ნაცნობია. არა მგონია, მაგის გაგება გაუჭირდეს.

ანანო გაიბადრა. მართლა დიდი ბედნიერებაა ბებიკო ნაილისთანა მეგობრის ყოლაო, კმაყოფილებით გაივლო გულში. ამ საქმიანობაში იყვნენ, რომ ეზოდან ნაცნობი ბრაგაბრუგი შემოესმათ. თქმა არ უნდა, საბა იყო.

– ნამცხვრის სუნი მცემს, – გამოაცხადა ოთახში შემოსვლისთანავე და მაგიდას კმაყოფილმა გადახედა.

– ხელი არ ახლო, – ასოებს გადაეფარა ანანო, – ეს ნამცხვარი კი არა, ანბანია!

– მე კი ანბანიყლაპია გახლავარ, არ იცოდი? იმედია, უარს არ ეტყვი მშიერ ანბანიყლაპიას, რამდენიმე ასო გადასანსლოს.

ბებიკო ნაილს გაეცინა.

– მგონი, დღეისთვის საკმარისად ვიმეცადინეთ, – მიმართა ანანოს. – ახლა დროა, დასვენებასა და მეხსიერების გაუმჯობესებაზეც ვიფიქროთ. გამიგონია, ამისთვის ნამცხვარს და ცხელ შოკოლადს ვერაფერი შეედრება, ანბანი კი ხვალ მუყაოსგან დავამზადოთ. არა მგონია, ანბანიყლაპიები ამ რეცეპტით მომზადებულ ასოებსაც მიირთმევდნენ.

– პირსაც კი არ აკარებენ, – დაეთანხმა საბა. – მუყაოს ვერც ერთი ანბანიყლაპიას კუჭი ვერ ინელებს. შეგიძლიათ, მშვიდად იმეცადინოთ.

ანანო წამსვე დაეთანხმა. სწავლა კარგია, მაგრამ მეგობრებთან ერთად მოლხენაც არ უნდა იყოს ურიგო საქმეო, გაიფიქრა და, მართლაც, ნამდვილი ლხინი გამართეს. ბებიკო ნაილმა, ნამცხვართან ერთად, მოხალული თხილი მიართვა ბავშვებს, ცოტაოდენი ჩირიც აღმოაჩნდა, რომ იტყვიან, მეფის საკადრისი სუფრა გაშალეს.

– გინდა, შენი სახელი დავწერო? – სანამ ნამცხვრის ჭამას შეუდგებოდნენ, საკუთარი განსწავ-ლულობის საბას წინაშე გამომზეურების შანსი ხელიდან არ გაუშვა ანანომ.

– მიდი, – დაეთანხმა საბა და როცა დაინახა, რა მშვენივრად გაართვა გოგონამ თავი ამოცანას, გაოცებისგან წაუსტვინა.

– შენ რა მაგარი ხარ! რა ყოჩაღია ჩვენი პაწია, არა, ბებიკო ნაილ?

ანანო გაიბადრა. სიტყვები: “ჩვენი” და “ყოჩაღი” ისე ეამა, “პაწია” აღარც კი სწყენია.

– ყოჩაღია, აბა, რა, – დაუმოწმა ბებიკო ნაილმა, – ერთი დღეც არაა, რაც წერა-კითხვის შესწავლას მიჰყო ხელი და უკვე რამდენი ჯადოსნური სიტყვის დაწერა შეუძლია!

– ჯადოსნური სიტყვის? ჯადოსნური სიტყვები რომ არ მისწავლია? – გაიოცა ანანომ – მე მარტო ჩვეულებრივი სიტყვები ვიცი.

– კარგი ერთი, შენ, რა, სერიოზულად ფიქრობ, რომ ეგ “ჩვეულებრივი” სიტყვები ისე, უბრალოდ, ყოველგვარი ჯადოსნობის გარეშე გაჩნდნენ ამქვეყნად?

დაიმახსოვრე, არავითარი ჩვეულებრივი სიტყვა არ არსებობს იმიტომ, რომ ყველა სიტყვა ჯადოსნურია.

– რას არ მოიგონებ ხოლმე, ბებიკო ნაილ, – როგორც ყოველთვის, შედავება არ დაიზარა საბამ, – ესე იგი, როცა ვამბობ მაგიდა-მეთქი, არც მეტი, არც ნაკლები, ვჯადოქრობ?

– მიხვედრილი ადამიანი ხარ, მოხუცო! – თავი დაუქნია ბებიკო ნაილმა. – რა თქმა უნდა, სწორედ ეგრეა. ყველა სიტყვას ჯადოსნური ძალა გააჩნია და თუ ხშირ-ხშირად გაიმეორებ, ნახავ, ამ ძალას რაც შეუძლია. ერთი ძველი ნაცნობი მყავდა – არაფრით უნდოდა ამის დაჯერება. სიტყვა "გადარევა" აიჩემა. გადასარევი ამბავია, გადავირევი პირდაპირ, გადარევა შეიძლება, გადარეული ვარო, – იმდენი იძახა, სანამ სიტყვებმა თავისი ჯადოსნური ძალა არ აჩვენა. ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ იმ შენობაში გამოამწყვდიეს, მთლად გადარეულებს რომ ათავსებენ. ახლა ხომ მიხვდით, როგორი სიფრთხილეა საჭირო სიტყვებთან. ისეთი რაღაცები, რაც არ მოგწონს, ჯობს, საერთოდაც არ ახსენო. სამაგიეროდ, უნდა იმეორო და იმეორო სიტყვები, რომლებიც ისეთ რამეებს აღნიშნავენ, რაც მოგწონს და გაბედნიერებს.

ვერაფერს იტყვი, ბებიკო ნაილს დარწმუნების საოცარი ნიჭი ჰქონდა. ბავშვებმა, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც დაუჯერეს და სიამოვნებით დაიწყეს იმ სიტყვების ჩამოთვლა, რისი არსებობაც ძალიან ახარებდათ.

– ნამცხვარი, – თქვა საბამ.

– შოკოლადი, – აჰყვა ანანო.

– ყვავილები, – არ ჩამორჩა ბებიკო ნაილი.

– ავტომობილი.

– თამაში.

– ზაფხული.

– საჩუქარი.

– სიცილი.

– დედა.

– მეგობარი.

– შინ! – თქვა ბოლოს ბებიკო ნაილმა.

– შინ? – გაიკვირვეს ბავშვებმა.

– ჰოო, ამ სიტყვის დავიწყება არაფრით შეიძლება, მით უმეტეს, თუ სტუმრად ხარ და უკვე თითქმის მთელი დღე გავიდა.

– დღე გავიდა? შეუძლებელია, – რაღაც გაახსენდა და თავში ხელი შემოირტყა საბამ.

– შეუძლებელი! – ამრეზით წარმოთქვა ბებიკო ნაილმა. – აი, სიტყვა, რომელსაც მხოლოდ უბედურება მოაქვს. წადით ახლა შინ და დაივიწყეთ, თუ ღმერთი გწამთ, ეს სულელური სიტყვა “შეუძლებელია”.

– სად ხაااااااااااااარ?!!!!!!!!!!!!!!!!!!!!!! - დათამ კლავიატურას ხელი გაბრაზებით დასცხო და ვირტუალური რაინდისთვის სასაუბროში გაგზავნილ უპასუხო წერილებს კიდევ ერთი შეტყობინება დაუმატა.

– რა გაყვირებს? აქ ვარ! :) - მოჰყვა პასუხად მოკლე სიგნალს.

დათას ისეთი შეგრძნება დაეუფლა, თითქოს ლატარიაში ჯეკპოტი მოიგო.

– რაინდო, როგორ გამახარე! სად დაიკარგე?!

– დავიკარგე? ჰო, პატარა ტექნიკური პრობლემები მქონდა...

– ტექნიკური პრობლემები ზღაპრებშიც არის? - გაეცინა დათას.

– როგორ გითხრა... ტექნიკური პრობლემები, დაუდევრობის შემთხვევაში, სისტემაში შემოჭრილი სხვადასხვა ვირუსის ზეგავლენით, ზღაპრულ პერსონაჟებს უჩნდებათ ხოლმე, რასაც ზღაპრული რეალობიდან ამოვარდნა მოსდევს. ჩემი დროებითი მიუწვდომლობაც სწორედ ამ ფაქტორით იყო განპირობებული, – ზღაპრულ ტერმინოლოგიას საფუძვლიანად გადაუხვია რაინდმა.

– გააასაგებია, – არცთუ მთლად დარწმუნებით წარმოთქვა დათამ. – და, მაინც, რომელ ვირუსებზე ვსაუბრობთ, თუ საიდუმლო არ არის?

– რომელი ერთი გავიხსენო... შიში, ეჭვი, ბრაზი, დაჟინება, დაღლილობა, მოუთმენლობა, სიტუაციის კონტროლის სურვილი... საკმარისია ჩამოთვლილ-თაგან ერთ-ერთის არსებობაც, პროგრამული უზრუნ-ველყოფა მწყობრიდან გამოდის და თვალის

დახამხამებას ვერ მოასწრებ, არაზღაპრულ ანუ ილუზიურ განზომილებაში აღმოჩნდები, სხვები შეცდომით რეალურ ცხოვრებას ანუ ყოველდღიურ რეალობას რომ ეძახიან. იქიდან თავის დაღწევა კი გვარიან გარჯას მოითხოვს. რაც შემეხება მე, უკვე საკმარისად გავისარჯე: პროგრამული უზრუნველყოფა აღდგენილია და კვლავ ჩვეულ ანუ ზღაპრულ რეჟიმში ვაგრძელებ არსებობას.

– ეეე, – თავი მოიქექა დათამ, - ეგ ყველაფერი, ცოტა არ იყოს, რთულად ჟღერს, ხომ იცი.

– ერთი შეხედვით, მეგობარო, მხოლოდ და მხოლოდ ერთი შეხედვით. თუმცა არ გადაგღლი, ტექნიკური დეტალები მოიცდის, შენ ის მითხარი, საქმეები როგორ გაქვს. როგორც შენი ბოლო ვირტუსტიდან (ვირტუალურ უსტარს ვგულისხმობ) შევიტყვე, სასახელო გამარჯვება მოგიპოვებია.

– არა მგონია, მომიპოვებია მთლად ზუსტი ნათქვამი იყოს. ყველაფერი როგორღაც თავისთავად მოგვარდა.

– აჰ, თავისთავად... – მოცინარი ღიმილაკების მთელი არმია გამოგზავნა შესამჩნევად გამხი-არულებულმა რაინდმა, – მარტივად და უბრალოდ, სწორედ ისე, როგორც ზღაპარში, არა? განა ასე გასაკვირია, ზღაპარში ზღაპრის წესები მოქმედებდეს?

– გინდა თქვა, რომ მე, ჩემდა უნებურად, ზღაპარში აღმოვჩნდი?

– როგორც ვიცი, მთლად შენდა უნებურად არ მომხდარა... ბიჭმა, რომელსაც არ ახსოვდა, რომ მტრის მეგობრად გადაქცევა შეუძლია, დახმარებისათვის უძლეველთა სამეფოს რაინდს მიმართა. მან კი, გამოცდილი სასწაულთმოქმედის რჩევით, ბიჭი

ჯადოსგან გაათავისუფლა... გახსოვს, თუ ყველაფერი თავიდან მოგიყვე?!

– ეგ ყველაფერი მშვენივრად მახსოვს. დიდი მადლობა, რაინდო, ამას არასოდეს დაგივიწყებ!

– აბა, რას ამბობ, მადლობად არ ღირს... მე მხოლოდ ჩემი ზღაპრული მოვალეობა აღვასრულე და უნდა გამოგიტყდე, დიდი სიამოვნებაც მივიღე ამისაგან. სხვა რა არის ახალი?

– იმაზე უფრო ახალი და საინტერესო, ვიდრე ზღაპრულ რაინდთან ურთიერთობაა, ჩემს ცხოვრებაში რა უნდა იყოს?! შენკენ რაღა ხდება, ზღაპარქვეყანაში?

– მოიცა, ახლავე მოგახსენებ... მაშ, ასეეე: ზღაპარქვეყანაში სიმშვიდეა. ზღაპრული დროით, შუაღამეს ცოტა უკლია. ჩემი ციხესიმაგრის განმარ-ტოებულ სენაკში ვზივარ. ჯადოსნურ სარკეში გესაუბრები. თან სარკმლიდან ვიმზირები, საიდანაც - გინდ დაიჯერე, გინდ არა - გაჩახჩახებულვიტრი-ნებიანი სუპერმარკეტი მოჩანს, “კოკა-კოლასა” და “ჟილეტის” სარეკლამო წარწერებით. სუპერმარკეტის წინ ავტომანქანების სადგომია, ცოტა მოშორებით კი...

– ავტობუსის გაჩერება. გაჩერებაზე ერთადერთი მგზავრი დგას, თუმცა მთლად მყარად ვერა, შიგადაშიგ ცოტას ბანცალებს, მგონი, მთვრალია...

– მგონი კი არა, მართლა მთვრალია. აი, ახლა გაჩერებას მოშორდა და პოლიციელს ელაპარაკება.

– პოლიციელი თავს უქნევს და ხელით რაღაცაზე ანიშნებს.

– მთვრალი კაცი ტაქსს აჩერებს და...

– მანქანაში ჯდება...

– არ მჯერა!

– მაშ!

– წარმოუდგენელია!

– შენც იგივეს ხედავ?

– შენც?

– გამოდის...

– ასე გამოდის...

– ვინ იფიქრებდა?!

სხვა რას იფიქრებდა, არ ვიცი, მე კი სრულიად დარწმუნებული ვარ, თუ ორი ადამიანი საკუთარი ოთახის ფანჯრიდან ერთსა და იმავე სურათს ხედავს, ერთ სახლში თუ არ ცხოვრობენ, მეზობლები მაინც იქნებიან. მალე ამაში დათა და რაინდიც დარწმუნდნენ.

– ამდენი სასწაული ცამეტწლიანი, სამაგალითოდ ჩვეულებრივი ცხოვრების ფონზე? პირდაპირ მონელება მიჭირს, – ემოციას ვერ ფარავდა დათა, თან ცდილობდა გამოეცნო, მაინც რომელ სახლში ცხოვრობდა მისი ვირტუალური თანამოსაუბრე.

– ცამეტი წლის ხარ? აი, საოცრება თუ გინდა, ეგ არის, – გამოეპასუხა რაინდი. – იმიტომ, რომ მეც ზღაპრული ცხოვრების ზუსტად ცამეტი წელი მოვილიე.

– თანატოლებიც ვართ? – მთლად გადაირია დათა, – იქნებ ერთ სკოლაშიც ვსწავლობთ და ყოველდღიურად ერთმანეთს ვხვდებით. ალბათ ასეა. შენს ნამდვილ სახელს, იმედია, არ დამიმალავ.

– ნამდვილი სახელი უკვე იცი, – განაწყენდასავით რაინდი. – დამალვით კი ნამდვილად აღარაფერს დაგიმალავ. რაკი ზღაპართგამრიგემ ინება, ერთმანეთი უფრო ახლოს გაგვეცნო, ისღა დაგვრჩენია, მის ნებას დავმორჩილდეთ. ზუსტ საკონტაქტო მონაცემებს გიგზავნი და ხვალ, ნაშუადღევს, ჩემთან გელოდები.

***

დათა სიხარულით ფეხზე აღარ იდგა. მაინც რა წარმოუდგენლად უმართლებს ამ ბოლო დროს. როგორც იქნა, სასწაულის წყალობით, ნამდვილი მეგობარი იპოვა: მამაცი, ჭკვიანი, ძლიერი, სამართლიანი, დახმარებისთვის მუდმივად მზადმყოფი, თითქმის ყოვლისშემძლე – მოკლედ, ნამდვილი ზღაპრული რაინდი, თანაც, მისი თანატოლი! არა, შეუძლებელია, ერთ ქალაქში, ერთ ქუჩაზე და შესაძლოა, ერთ სკოლაშიც კი, ასეთი ბიჭი ვერ შეემჩნია.

გონებით გადახედა ყველა შესაძლო კანდიდატურას, ცდილობდა გამოეცნო, მისი ნაცნობი ბიჭებიდან მაინც ვის გულში იმალებოდა ჭეშმარიტი რაინდის ხატება, თუმცა მალევე დარწმუნდა, რომ მის გონებაში წარმოსახულ პიროვნებას მათგან ერთიც კი ვერ შეედრებოდა. რა ბედნიერებაა, დღეს პირისპირ შეხვდება თავისი ყველაზე საინტერესო თავგადასავლის მონაწილეს და ამიერიდან არც არასოდეს დაშორდება. რა საინტერესო ცხოვრება ელით! არა, ნამდვილად სასწაულია, ნამდვილი სასწაული!

სკოლიდან შინ დაბრუნებულმა დათამ ნაჩქარევად ისადილა და კედლის საათს მიაჩერდა. ალბათ უკვე დროა. გული აღარ უთმენდა, ისე მიეჩქარებოდა დანიშნულ შეხვედრაზე. სახლიდან გასვლის წინ კედლის დიდ სარკეში საკუთარ გამოსახულებას მოჰკრა თვალი. სარკიდან სასიამოვნოდ აღელვებული და მოლოდინით თვალებგაბრწყინებული ბიჭი უმზერდა. დათამ მეგობრულად გაუღიმა თავის ანარეკლს და სახლიდან შურდულივით გავარდა.

მისი სახლის გვერდით, ჩასახვევთან, მრავალბინიანი კორპუსი იდგა. დათას თითქმის არ უძებნია, ისე

ადვილად მიაგნო საჭირო სადარბაზოს. კიბეები სულმოუთქმელად აირბინა და მესამე სართულზე რკინის კართან შედგა. კარზე მიმაგრებული ნომერი კიდევ ერთხელ შეადარა საკუთარ ჩანაწერს და ელექტროზარის ღილაკს ფრთხილად მიაჭირა თითი. ბინის სიღრმეში დაფდაფები ახმაურდნენ, რასაც პასუხად ბიჭის ხმამაღალი შეძახილი მოჰყვა: “მობრძანდით, ღიაა“.

დათამ კარი შეაღო.

პირველად თვალში პატარა ოთახის კედელთან მიდგმული კომპიუტერის მაგიდა მოხვდა. მის წინ ბორბლებიანი სავარძელი იდგა. სავარძლის მაღალი ზურგი მთლიანად ფარავდა მასში მჯდომ ადამიანს. კარების ხმაზე სავარძელი ჯერ უკან გასრიალდა, შემდეგ ჭრიალით შემობრუნდა და... თითქოს ლაზერის სხივი მიანათესო, დათა მისკენ მომართული, გამჭოლი, შავი თვალების ტყვეობაში აღმოჩნდა.

მერე რატომღაც ისეთი შეგრძნება დაეუფლა, ხანდახან სიზმარში რომ გიჩნდება ხოლმე: ნაბიჯის გადადგმა გინდა და ვერ ახერხებ, რაღაცის თქმას დააპირებ და ხმა არ ამოგდის ყელიდან. სავარძელში მჯდომი ბიჭი ისევე არ ჰგავდა მის წარმოსახვაში მცხოვრებ რაინდს, როგორც სიზმარი განსხვავდება სინამდვილისგან.

თუმცა არა, ალბათ ყველაზე კოშმარულ სიზმარშიც კი გაუჭირდებოდა, წარმოედგინა ეს, ერთიანად საზარელი ნაწიბურებით დაფარული, სახე ან ამგვარად დამახინჯებული, ფორმაშეცვლილი, ხელის მტევნები, ბიჭს სავარძლის სახელურზე რომ ეწყო. კისერი სუსტ, გამხდარ მხრებში ჩაჰკარგვოდა, მეტისმეტად წვრილი ქვედა კიდურები კი ისე უსიცოცხლოდ ეკიდა მის წინ, თითქოს პატრონთან არანაირი საერთო

არ აქვსო. მხოლოდ ხმა, გასაოცრად მკაფიო და ხალი-სიანი ხმა, ჟღერდა კარგად ნაცნობივით.

– დე-ჟა-ვიუ! – ხანმოკლე პაუზის შემდეგ გამოთქმით და ოდნავი ჩაცინებით ჩამარცვლა დამხვდურმა, – დავიფიცებ, ასეთი რეაქცია ადრეც მინახავს, სხვათა შორის, შენც ბევრჯერ მინახიხარ... უფრო ზუსტად, დამინახიხარ... ჩემი ოთახის ფანჯრიდან შეუმჩნეველი თითქმის არაფერი მრჩება. აი, შენ კი, რომც არაფერი მითხრა, ისედაც მშვენივრად ვხვდები, რომ პირველად მხედავ.

ბიჭი გაჩუმდა. ალბათ უნდოდა, სტუმრისთვის პასუხის გაცემის შესაძლებლობა მიეცა, მაგრამ რომ დაინახა, დათა დიალოგში ჩაბმას არ ჩქარობდა, ისევ თვითონ, ცოტა შეცვლილი, თითქმის დამცინავი ტონით გააგრძელა:

– თუ შემოსვლა არ გადაიფიქრე, შემოდი. გპირდები, სხვა სიურპრიზები არ იქნება – მონსტრს მხოლოდ ერთი შეხედვით ვგავარ.

დათა, როგორც იქნა, მიხვდა, რაიმე უნდა ეპასუხა, საკუთარი თავის პატივისცემის ან ზრდილობის გამო მაინც.

– ეჰე, – უხერხულად ჩაახველა, – ეჰე-ჰე, – რაღაცნაირად გაცინებას მიამგვანა მერე. მეტი ვერაფერი მოახერხა.

– მოდი, მოდი, – წაეშველა ისევ მასპინძელი და დასაჯდომად ფანჯრის სიახლოვეს მდგარ სკამზე მიუთითა.

დათამ რამდენიმე მოუხერხებელი ნაბიჯი გადადგა და სკამს სამაშველო რგოლივით ჩაეჭიდა. მასპინძელმა ეტლი ფანჯარასთან მიაგორა და მის სიახლოვეს შეჩერდა. აქედან მთელი ქუჩა ხელისგულივით მოჩანდა.

– კარგია, რომ მოხვედი, – თქვა სავარძლიანმა ბიჭმა და პასუხს დაელოდა.

– ძალიან მინდოდა შენი ნახვა, – უთხრა დათამ მხოლოდ იმიტომ, რომ რაღაც ეთქვა.

– მეც, – საუბარი რაღაც არ გამოდიოდა.

ბიჭები დადუმდნენ და შეთქმულებივით ფანჯარაში გაიხედეს, თითქოს იქიდან ელიან შველასო.

– საოცარია... ამდენი ხანი ერთმანეთის გვერდით ვცხოვრობდით, ერთმანეთს კი არ ვიცნობდით და შეიძლება, არც არასოდეს გაგვეცნო, თუნდაც შევხვედროდით. უამრავი ადამიანია ჩვენ გარშემო, ყოველდღე რომ ვხვდებით, მაგრამ ისევე არაფერი ვიცით მის შესახებ, თითქოს სხვადასხვა პლანეტაზე ვცხოვრობდეთ. იმიტომ, რომ... სხვადასხვა ამბის გმირები ვართ, – პაუზა დაარღვია სავარძლიანმა. – ჰო, მართლა, თუ გინდა უძლეველთა სამეფოს რაინდის ამბავს მოგიყვები. გინდა?

დათამ თავი დაუქნია. რასაც გინდა, იმას მოისმენდა, ოღონდ ახლა რაიმეს თქმას ნუ მოსთხოვდნენ.

– იყო და არა იყო რა, იყო ერთი პატარა ბიჭი, ძალიან ცნობისმოყვარე და არანაკლებ მოუსვენარი, როგორც საერთოდ, პატარა ბიჭების უმრავლესობა, - აუჩქარებლად წამოიწყო თხრობა მასპინძელმა. - უყვარდა ხეებზე და ღობეებზე ძრომიალი, ჩხირკედელაობა და სხვა ბიჭებთან ძიძგილაობა. თუმცა ყველაზე მეტად უცნაური ამბების მოგონება ეხერხებოდა. ამ ამბებში საზარელი ურჩხულები, იდუმალი მოჩვენებები და სხვა ბოროტი არსებები კეთილი და უმწეო ადამიანების დაჩაგვრას ცდილობდნენ, მაგრამ ყველაზე უიმედო ვითარებაში აღმოჩენილებს მხსნელად უძლეველთა სამეფოს

რაინდი ევლინებოდათ და ნებისმიერი გასაჭირისგან ათავისუფლებდათ.

უძლეველთა სამეფოს მამაც რაინდს ყველა ის თვისება გააჩნდა, ბიჭს რომ მისაბაძად ეჩვენებოდა და იმდენად მოსწონდა თავისივე გამოგონილი გმირი, რომ გამუდმებით ცდილობდა მგვანებოდა: ესარ-ჩლებოდა უფროსი ბიჭებისგან დაჩაგრულ პატარებს, იცავდა გოგონებს, ეხმარებოდა მოხუცებსა და ქალებს. ხანდახან საკუთარ თავს გამოცდასაც უწყობდა ხოლმე. ხტებოდა ისეთი სიმაღლიდან, როგორიდანაც ვერც ერთი მისი მეგობარი ბიჭი ვერ გაბედავდა გადმოხტომას, ღამღამობით ყველაზე მიყრუებულსა და შიშისმომგვრელ ადგილებში დაეხეტებოდა, ხმისამოუღებლად იტანდა წამებას სტომატოლოგიურ კაბინეტში, ლაშქრობისას მხოლოდ ის არ იმჩნევდა დაღლილობას და არასოდეს წუწუნებდა სიცივისა თუ შიმშილის გამო.

მოკლედ, არანაირ ხიფათს არ ერიდებოდა და, რაც მთავარია, ყოველთვის გამარჯვებული გამო-დიოდა – აბა, რა, ის ხომ უძლეველთა სამეფოს რაინდი იყო!

ასე ეძახდნენ, მოფერებით და ცოტაოდენი სიამაყითაც, შინაურები, სანამ ერთხელ...

ოჯახი, საკუთარი ავტომანქანით, უქმე დღეების აგარაკზე გასატარებლად გაემგზავრა. უკან რომ ბრუნდებოდნენ, საუბარში გართულმა მშობლებმა ვერ შენიშნეს სამანქანო გზაზე მოულოდნელად გამოჩე-ნილი ბავშვები. ბიჭმა მამას საჭეზე ხელი უკრა და გზიდან გადაახვევინა. მანქანა ხეს შეასკდა, მერე კი ხრამში გადავარდა.

ყველაზე მეტად ბიჭი დაშავდა.

თურმე ექიმებმა მისი გადარჩენის იმედიც კი დაკარგეს. გონს რამდენიმე დღის შემდეგ მოვიდა. სახე და სხეული ერთიანად დამწვარი ჰქონდა, ხელებსა და ფეხებს ვერ გრძნობდა, ლაპარაკიც უჭირდა.

მერე... ბევრი, ძალიან ბევრი დღე გავიდა, სანამ ბიჭი სიტყვების წარმოთქმას, წამოჯდომას, სარკის ხელში დაჭერასა და მასში ჩახედვას შეძლებდა. ყველაზე მეტად ეს ეძნელა. არა, სარკეში ჩახედვა კი არა, იმის დაჯერება გაუჭირდა, რომ იქ დანახული, სრულიად უცხო ადამიანი თვითონ იყო. დიდხანს აკვირდებოდა მას. მანამდე, სანამ სქელ, ღრუბელივით გაუმჭვირვალე ნისლში არ შეცურა.

საიდანღაც მინის მსხვრევის ხმა მოისმა.

ვერაფერს ხედავდა და ვერც ვერაფერს გრძნობდა. ყრუდ, ძალიან შორიდან ესმოდა, როგორ კიოდა დედა და მშველელს უხმობდა, როგორ დარბოდნენ მის გარშემო ვიღაც-ვიღაცები. მისთვის კი უკვე ყველაფერი სულერთი იყო. სულერთი. სულ-ერთი. ეს ერთადერთი სიტყვა აეკვიატა, აზროვნების უნარი რომ დაუბრუნდა. გაფუჭებული ფირფიტასავით წინ და უკან ატრიალებდა და არ უნდოდა, რაიმეზე ეფიქრა.

ჩუმად ყოფნა შეუყვარდა.

დღეები ისე გადიოდა, სიტყვას არ იტყოდა. დედამ მის სავარძელს ფანჯარასთან მიუჩინა ადგილი. ალბათ ფიქრობდა, ქუჩაში ყურება გაართობს, გულს გადააყოლებსო. მართლაც, მთელი დღე ქუჩაში ცქერას ანდომებდა, მაგრამ არც კი ახსოვს, რამეს თუ ხედავდა. იმას, რაც გარეთ ხდებოდა, მასთან საერთო არაფერი ჰქონდა. ადამიანები, მანქანები, მაწანწალა ძაღლები მისგან ძალიან შორს, სულ სხვა სამყაროში ცხოვრობდნენ. მისი სამყარო კი ცარიელი იყო, ისეთი

ცარიელი, რომ ხანდახან თითქმის უწონადო მდგომარეობა ეუფლებოდა.

ამ მდგომარეობაში მყოფი გრძნობდა, რომ რაღაც ძალიან, ძალიან მნიშვნელოვანი დაკარგა. კარგა ხანს ვერ ხვდებოდა, რა იყო ეს. იხსენებდა და ვერც იხსენებდა. ჰო, მართალია, სიარული აღარ შეეძლო... მაგრამ მხოლოდ ეს არა... იყო კიდევ რაღაც, ჯანმრთელ ფეხებზე უფრო საჭირო, თითქმის ჰაერივით აუცილებელი, და ერთ დღესაც მიხვდა. - "უძლეველთა სამეფოს რაინდი!" – იყვირა და გულში აუტანელი ტკივილი იგრძნო, – "აღარ არსებობს..."

– ისეთ რამეს ნურასოდეს აიხირებ, რაშიც დარწმუნებული ვერ იქნები, – მოესმა უცებ.

ეს ბებიკო ნაილმა თქვა. ვერც კი შენიშნა, ოთახში როგორ შემოვიდა.

ავტოკატასტროფამდე, როცა ჩვეულებრივი ბიჭი იყო, ძალიან მოსწონდა ეს ყოველთვის მხიარული და გულისხმიერი მოხუცი, მის ოჯახს ნათესავად რომ ერგებოდა.

მოხუცსაც განსაკუთრებით უყვარდა ბიჭი.

ნაცნობებს შორის ყველაზე მეტი ინტერესით სწორედ ბებიკო ნაილი ისმენდა მის დაუსრულებელ საგმირო ამბებს. სიტყვას არასოდეს აწყვეტინებდა და არც ლაპარაკი გადაჰქონდა სხვა თემაზე. პირიქით, ხანდახან თვითონვე სთხოვდა, უძლეველთა სამეფოს რაინდის შესახებ მომიყევიო. ლოყაზე ხელს შემოიდებდა და ყურადღების განსახიერებად იქცეოდა ხოლმე.

ბიჭმა იცოდა, ბებიკო ნაილი საუკეთესო მესაიდუმლე იყო. მასთან ყველაფრის თქმა შეიძლებოდა და, რაც ყველაზე მთავარია, არასოდეს

შეჰქონდა ეჭვი იმაში, რასაც უყვებოდი. სულაც არ ჰგავდა სხვა უფროსებს.

– თუ გინდა, რამდენიმე კითხვას დაგისვამ და თვითონვე მიხვდები, როგორ ცდები, – უთხრა ბიჭს და მის წინ ფანჯრის რაფაზე შემოსკუპდა. – აი, მაგალითად: გლახის ტანსაცმელგადაცმული მეფე მეფეა თუ გლახა?

ბიჭი, თავისდაუნებურად, ჩაება საუბარში.

– მეფე, რა თქმა უნდა... მაგას რაღა კითხვა უნდა?!

– კარგიიი, – თვალებში ნაპერწკლები აუციმციმდა ბებიკო ნაილს, – ახლა ის მითხარი, უფლისწული, რომელიც მოაჯადოვეს და გომბეშოდ აქციეს, უფლისწულია თუ გომბეშო?

– რა თქმა უნდა, უფლისწული!

– მაგრამმმ... ბრძოლაში დაჭრილი და დასახიჩრებული რაინდი, რაინდი აღარ იქნება, არა?

– რაინდი როგორ აღარ იქნება... დამარცხებული რაინდი იქნება, – მწარედ ჩაეცინა ბიჭს.

– და თუ რაინდი უძლეველთა სამეფოდანაა და მიაჩნია, რადაც არ უნდა დაუჯდეს, გამარჯვება უნდა მოიპოვოს? როგორ გგონია, მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ მძიმე ბრძოლის გადახდა მოუწია, დანებდება და საბოლოო გამარჯვებაზე უარს იტყვის?

ბიჭი ხვდებოდა, საით უმიზნებდა ბებიკო ნაილი. უკვირდა, მაგრამ იმასაც გრძნობდა, რომ საუბარი აშკარა სიამოვნებას ანიჭებდა. მაინც მოუნდა, წინააღმდეგობა გაეწია.

– თუ უძლეველი რაინდი მართლა არსებობს, რატომ არ ჩანს, სად იმალება? – დამცინავად გახედა ავეჯის პრიალა ზედაპირზე არეკლილ საკუთარ გამოსახულებას და ბებიკო ნაილს მიაჩერდა.

– იქ არ ეძებ, სადაც უნდა ეძებო, – ძალიან მშვიდად უთხრა ბებიკო ნაილმა. მერე წამოდგა, ბიჭს შუბლზე, დამჭკნარი ფოთოლივით მსუბუქი, მშრალი და გრილი ხელი გადაუსვა და თვალები დახუჭეო, სთხოვა.

– რაინდი სარკეში კი არა, შენს გულში უნდა მოძებნო... მანდ არის... და მხოლოდ შენზეა დამოკიდებული, მისცემ თუ არა არსებობის უფლებას, რომ კიდევ ბევრი გამარჯვება მოგაპოვებინოს, – ქარის უცნაური მელოდიასავით ჩაესმოდა ბიჭს ყურში ბებიკო ნაილის სიტყვები და უცბად, თითქოს რაღაც განსაკუთრებით სასიამოვნო გაახსენდაო, გული უზომოდ თბილი, საამო და კარგად ნაცნობი გრძნობით აევსო. ჰო, რაინდი იქ იყო, ნამდვილად იქ იყო!

ბიჭს გაეღიმა, მერე შვებით ამოისუნთქა და საიდანღაც მოვარდნილ ძილ-ბურანს დანებდა.

თურმე მთელი დღე და კიდევ ერთი დღე-ღამე ეძინა. ძილშიც კი ახსოვდა, რომ მის თავს რაღაც კარგი ამბავი ხდებოდა. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ვიღაცას – ძალიან ძლიერს, სანდოსა და ახლობელს – თავის ღონიერ მკლავებში ჩაეხუტებინა და ნაზად არწევდა.

როცა ბოლოს და ბოლოს გაეღვიძა, თავს მხნედ და ხალისიანად გრძნობდა. ტკივილები, უკვე რამდენიმე თვის მანძილზე გაუდმებით რომ აწუხებდა, უკვალოდ გამქრალიყო. ხელებსაც გაცილებით უკეთ ხმარობდა. ჭამის მადა და ცხოვრების ინტერესი დაუბრუნდა. სავარძელი კომპიუტერთან დაადგმევინა და ახალი იდეებით სავსემ ვირტუალურ სამყაროში შეაბიჯა.

ცოტა ხანში უამრავი ნაცნობი შეიძინა. მართალია, მათი უმეტესობა ნამდვილ ვინაობას მალავდა,

მაგრამ ბიჭს ეს ოდნავადაც არ აღელვებდა: კარგად ხვდებოდა თითოეული, კარგად მორგებული მეტსახელის უკან ნამდვილი ადამიანი იდგა, თავისი ნამდვილზე ნამდვილი გრძნობებითა და ასევე ნამდვილი პრობლემებით.

ბიჭს ენით აუწერელ სიხარულს ანიჭებდა, თუკი მათ დახმარებას შეძლებდა ხოლმე. თურმე მაშინაც კი შეგიძლია, სხვები განსაცდელისაგან იხსნა, როცა იმდენად უსუსური ხარ, რომ საკუთარ ფეხებზე დგომას ვერ ახერხებ. მთავარია, ამისი სურვილი არსებობდეს. აი, რა არის უმთავრესი.

– ცოტას საკუთარ თავზეც თუ იფიქრებ, ნამდვილად არ გაწყენს, – უთხრა ერთხელ ბებიკო ნაილმა, – თუ კარგად მოძებნი, იქნებ შენი სნეულების წამალსაც მიაგნო.

– ექიმებმა ჩემს მშობლებს უთხრეს, რომ ფეხზე ვერასოდეს გავივლი, არანაირი იმედი არ არსებობს, – ამოიოხრა ბიჭმა.

– ოჰ, ოჰ, – ხელის გაქნევით შეაწყვეტინა ბებიკო ნაილმა. – ვიცი მაგ ექიმების ამბავი – თავი ნამეტანი ჭკვიანებად მოაქვთ, მაგრამ მე ვერავინ გამაცურებს. თუ ზღაპარში ცხოვრება გადაწყვიტე, ექიმების კი არა, ზღაპრულ ლოგიკას უნდა მიჰყვე. ეს ლოგიკა კი მეტად მარტივია: ზღაპარში ყველაფერი შესაძლებელია!

– ჰოდა, ვინ იცის... ხომ შეიძლება ექიმები მართლა ცდებოდნენ. ასეც ხდება ხოლმე. აი, ბებიკო ნაილი კი, როგორი საკვირველიც არ უნდა იყოს, თითქმის არასოდეს ცდება, – გაიფიქრა ბიჭმა და მის ოცნებებში ფეხაკრეფით შემოიპარა იმედი, რომ ერთხელაც...

თუმცა არა...

ბიჭმა ერთი რამ საკუთარი გამოცდილებით იცოდა: თუ გინდა, ოცნება სინამდვილედ იქცეს, ის, რაზეც ოცნებობ, ყველაფერზე, ნებისმიერ რამეზე მეტად უნდა გინდოდეს ამქვეყნად. მას კი ერთი, ძალიან ძლიერი და ფარული, ნატვრა ჰქონდა, რომლის ახდენაც ჯერჯერობით ყველაზე მნიშვნელოვნად მიაჩნდა.

გაინტერესებს, რა უნდა სურდეს სავარძელს მიჯაჭვულ ადამიანს სიარულზე მეტად? შეიძლება, არც დაიჯერო, მაგრამ არ გატყუებ: ბიჭი ნამდვილ მეგობარზე ოცნებობდა. არა, ისეთზე კი არა, ავად გახდომამდე რომ დაუთვლელი ჰყავდა, მერე კი ერთბაშად შემოეფანტა... გული მაინცდამაინც არ დასწყვეტია: მათთან მაინც მარტო გრძნობდა თავს. ისეთი მეგობარი უნდოდა, ვისაც ყველა ფიქრს ანდობდა, ყველა ეჭვს გაუზიარებდა და ყველა გამარჯვების სიხარულს გაუყოფდა.

დათა სუნთქვაშეკრული უსმენდა თანამოსაუბრეს: თავიდან – ცოტა უხერხულად, მერე – თანაგრძნობით, ბოლოს კი – აშკარა ინტერესით. თანდათან ხვდებოდა, რომ შთაბეჭდილება, რომელიც აქ შემოსვლისას დაეუფლა, ძალიან ჰგავდა ილუზიონისტის მიერ ჩატარებულ ტრიუკს. მის წინ, ბორბლებიან სავარძელში მჯდომი, სახე და სხეულ-დამახინჯებული მოზარდი არც უმწეო ავადმყოფი იყო და არც გამოგონილ როლს თამაშობდა. იგი ნამდვილი რაინდი გახლდათ: კეთილი, მამაცი, დაუმორჩილებელი და დაუმარცხებელი.

თურმე ძალიან ცდებოდა, როცა აქამდე რაინდულ თვისებებს ფიზიკურ სიძლიერესთან აიგივებდა. თავიდან ფეხებამდე აბჯარში ჩამჯდარი, კუნთებ და იარაღასხმული უებრო მებრძოლიც კი ვერ

იქნებოდა ისეთი გაბედული, მხნე და კეთილშობილი, როგორიც ეს, ერთი შეხედვით, უსუსური არსება.

დათას ხან აღტაცება ეუფლებოდა, ხან კი ყელში უხეშ ბურთგაჩხერილს თვალებზე ცრემლი ადგებოდა. ამ დროს თანამოსაუბრეს მზერას არიდებდა და თავს ჰკიცხავდა. არა, რაინდი მის სიბრალულს არაფრით იმსახურებს და, თუნდაც ნებისყოფის წარმოუდგენელ დაძაბვად დაუჯდეს, მოკვდება, ამ მოღალატე ცრემლს კი არ დაანახვებს. მამაც რაინდს ნამდვილი მეგობარი სჭირდება და არა ვიღაც გულაჩუყებული არარაობა.

– დაგღალე, მგონი, – თხრობა უეცრად შეწყვიტა ბიჭმა, – მოდი, საფირმო კოქტეილით გაგიმასპინ-ძლდები, ამბის დამთავრებას ყოველთვის მოვასწრებთ. – და ის იყო, დათა ზრდილობიანი უარის სათქმელად მოემზადა, საჩვენებელი თითის მაღლა აწევით შეაჩერა: – უარი არც სიტყვიერი, არც ხელნაწერი და არც ელექტრონული ფორმით არ მიიღება!

რაინდმა ეტლი მოხერხებულად მოაბრუნა და ოთახში მდგარი მაცივარი გამოაღო. იქიდან მაღალ-ფეხიანი, სიცივისაგან ლამაზად შეორთქლილი ჭიქა გამოიღო და დათას გაუწოდა:

– სპეციალურად შენთვის მოვამზადე. ბებიკო ნაილის რეცეპტი და ჩემი უზადო ოსტატობა! ჯერ გასინჯე, მერე განსაჯე.

დათამ მადლობა გადაუხადა და სასმელი მოსვა. არაჩვეულებრივად გემრიელი რაღაც იყო.

– “მეგობრობის ელექსირი” ჰქვია. მისმა შემქმნელმა ასე უწოდა. იმ ხილის წვენია ერთმანეთში არეული, რომელთა გემოც ერთმანეთს უხდება ანუ ერთმანეთის მიმართ მეგობრულად არის განწყობილი. მაგარია, არა?

– ასეთი გემრიელი რამე არასოდეს დამილევია, – დათას გაეხარდა რაღაცაზე აზრის გამოთქმა რომ მოახერხა.

– შეიძლება, ოდესმე გასწავლო კიდეც მისი მომზადება, რა თქმა უნდა, თუ კიდევ მესტუმრები.

– გესტუმრები? – გაიოცა დათამ. არ ვიცი, „მეგობრობის ელექსირმა“ იმოქმედა თუ სიმხნევე მოემატა, მაგრამ თავს რატომღაც საოცრად შინაურულად გრძნობდა. – რა თქმა უნდა, გესტუმრები იმიტომ, რომ... იმიტომ, რომ მე იმ ამბის გაგრძელება ვიცი, წეღან რომ მიყვებოდი.

– მართლა? – დაუფარავი ინტერესით შეაჩერდა რაინდი.

დათამ თავი დაუქნია, ჭიქა გამოცალა და მშვიდად, საკუთარ სიმართლეში დარწმუნებული ადამიანის გამომეტყველებით გააგრძელა:

– ერთ მშვენიერ დღეს, უძლეველთა სამეფოს რაინდს დახმარებისთვის უცნობმა მიმართა. მას, ჯადოს გავლენით, მეხსიერება დაჰკარგვოდა და არ ახსოვდა, ვინ იყო სინამდვილეში. რაინდმა დიდი ჭკუა და მოხერხება გამოიჩინა და უცნობს ყველაფრის გარკვევაში დაეხმარა. – ბედნიერება იქნება შენისთანა მეგობრის ყოლა, – უთხრა რაინდს ბიჭმა, რომელსაც მტრის მეგობრად გადაქცევა შეეძლო. რაინდი მოუყვა, რომ თვითონაც დიდი ხანია ეძებს ნამდვილ და ერთგულ მეგობარს. მას შემდეგ ისინი ერთმანეთს აღარ დაშორებიან და უამრავი საინტერესო თავგადასავალი გადახდათ თავს.

რაინდს სახე დამახინჯებულ ხელებში ჩაერგო, ჩუმად უსმენდა. დათამ იფიქრა, აღელვების დამალვას ცდილობსო, მაგრამ მან ხელები ჩამოუშვა და ბიჭმა,

ლამპიონებით განათებული ღამისმაგვარი, შავი, აციმციმებული თვალები დაინახა.

– მთავარი დაგავიწყდა.

– მთავარი?

– ქატო იქა, ფქვილი აქა...

ბიჭების გულიანმა სიცილმა სახლი პირთამდე გამოავსო.

– ეი, შენ, ოქროს თევზო!

ბებიკო ნაილი უცბად ვერც კი მიხვდა, მას თუ მიმართავდნენ.

– ოქროს თევზო-მეთქი! – ახლა უკვე ახლოდან ჩაესმა, არცთუ მთლად უცნობი, მბრძანებლური შეძახილი. კარგამოღებულმა შავმა ჯიპმა ნელი სვლით უკან დაიხია და ბებიკო ნაილის ფეხებთან შეჩერდა.

– რა თქმა უნდა, ეს შენა ხარ! – ბებიკო ნაილმა თვალები ხელით მოიჩრდილა და მისალმების ნიშნად გაუღიმა საჭესთან მჯდომ ყვითელჰალსტუხიანს.

– დაჯექი, საქმე მაქვს! – მოკლედ მოუჭრა მანქანის პატრონმა და, თავის გვერდით, სავარძელზე მიუთითა.

– თუ შეიძლება, თუ მცალია და თუ არ შევწუხდები? – ისევ ღიმილით ჩაეძია ბებიკო ნაილი, ღრმად დარწმუნებული იმაში, რომ ყვითელ-ჰალსტუხიანს ამ სიტყვების წარმოთქმა ისევე გაუჭირ-დებოდა, როგორც უცნობ ენაზე საუბარი.

– არ ვიცოდი, ზღაპრული არსებები ცერემონიებზე თუ გიჟდებოდნენ!

– გაგიჟების რა მოგახსენო, ცერემონია კი ზღაპარში ისეთივე აუცილებელი რამაა, როგორიც – კენჭისყრა პარლამენტში. მოიცა, უფრო კარგად აგიხსნი, – ბებიკო ნაილმა მკვირცხლად ისკუპა ტროტუარიდან მანქანაში და მძღოლის გვერდით მოხერხებულად მოკალათდა. – ოქროს თევზი, მაგალითად, აი, ასე უნდა მოიხმო. – აქ ხელები პირზე რუპორივით მიიდო და თითქოს ხმა ძალიან შორს უნდა მიაწვდინოსო, შთაგონებული სახით გასძახა:

“ოქროს თევზო, დინ დონ ბარი,

გიხმობს შენი მეგობარი...“
ამისრულე სურვილი –
ნატვრით შემობურვილი.”

– ეს “ნატვრით შემობურვილი” რაღაა, ნეტავ? – ყვითელჰალსტუხიანმა აგდებულად ჩაიცინა და მანქანა დაძრა.

– “დინ დონ ბარი” გაიგე? – გაუღიმა ბებიკო ნაილმა, მაგრამ პასუხი არ მიუღია. ყვითელჰალ-სტუხიანმა შუბლი შეიკრა, სიჩქარეს უმატა და ავტომობილი თავდაუზოგავად გააქროლა მხოლოდ მისთვის ცნობილი მიმართულებით.

– მითხრეს, მზეჭაბუკს დახმარებიხარ... სწორედ რომ დროზე მიუსწარი.

– რა ვიცი, რა ვიცი, გამოჩნდება, მართლა დავეხმარე თუ არა.

– ბებიამისის დანატოვარი საფოსტო მარკები რომ აპოვნინე, დახმარება არ იყო?

– იჰ! – ხელი ჩაიქნია ბებიკო ნაილმა, – აბა, ეგ რა დახმარებაა?! აი, გზიდან თუ აღარ გადაუხვევს, ეგ კი მართლა დამსახურებაში ჩამეთვლება.

– რომელი გზიდან?

– ზღაპრის ბოლოში მიმავალი ერთადერთი გზიდან... იცის თვითონ.

– შენ მართლა მაგრად ერეკები, ხომ იცი?

– ნწუ, ნწუ, ნწუ, რა დღეში გაქვს ზრდილობა! – თავი გადააქნია ბებიკო ნაილმა, – მაგრამ არ იდარდო, ყველაფერს ეშველება. სიმართლე გითხრა, ერთი-ორი შენზე უარესიც მყავს ნანახი, თუმცა არც ისე მოხუცი მეთქმის. თუ მთხოვ, უელსის პრინცივით დახვეწილს გაგხდი.

– როგორ მიხვდი?! სწორედ ეგ უნდა მეთხოვა შენთვის.

– მარტო ამისთვის არ შემაწუხებდი, – შეთქმულივით გაუღიმა მოხუცმა, – თუმცა იმედი უნდა გაგიცრუო: ოქროს თევზი სულ სხვა ამბავში უნდა ეძებო – აი, იმაში, გატეხილ გობთან რომ მთავრდება. სევდიანი ამბავია, გახსოვს? მე კი სულ სხვა კვალიფიკაციის პერსონაჟი ვარ: საკუთარი ზღაპრის მოძებნაში ვეხმარები მსურველებს.

– აი, თურმე რა...

ყვითელჰალსტუხიანის მობილურმა დარეკა. მან მანქანა ერთბაშად დაამუხრუჭა, ეკრანს დახედა და არ უპასუხა.

– საინტერესოა, როგორ შეიძლება დამთავრდეს კაცის ამბავი, რომელსაც იმდენად ეშინია, ცუდი რამ არ შეიტყოს, ყურმილის აღებისთვის გამბედაობა აღარ ჰყოფნის, – უჩვეულოდ ყრუ ხმით წარმოთქვა ჰალსტუხიანმა, თვალებში კი ისეთი სასოწარკვეთა ჩაუდგა, მედიდური გამოხედვა უკვალოდ წაუშალა სახიდან და ზოოპარკის გალიაში მძვინვარე ვეფხვთან პირისპირ დარჩენილ პატარა, თავზარდაცემულ ბავშვს დაამსგავსა.

– ჰოო, – ჩაფიქრებული სახე მიიღო ბებიკო ნაილმა, – მძიმე შემთხვევაა, თუმცა არც ისე უიმედო, შენ რომ გგონია. მობილური გამორთე და გამომყევი.

მოხუცმა მანქანის კარი გამოაღო, გადავიდა და, მახლობლად მდებარე, ქალაქის მთავარი პარკის შესასვლელისკენ გაემართა. უკან არ მოუხედავს. კარგად იცოდა, ყვითელჰალსტუხიანი მცირე ხნით იყოყმანებდა, მერე მანქანას დაკეტავდა და უკან გაჰყვებოდა. არც შემცდარა.

***

– თუ გინდა, კარგი ამბავი შეიტყო, იმ ზღაპარში უნდა მოხვდე, რომელშიც მხოლოდ კარგი ამბები ხდება, – მონდომებით უხსნიდა მერხზე ჩამომჯდარი ბებიკო ნაილი ყვითელჰალსტუხიანს. – ამისთვის კი ერთი სწრაფადმოქმედი საშულება არსებობს: რაც შეიძლება, ბევრი კარგი ამბავი უნდა გაავრცელო.

– რა აბდაუბდაა, – უნიათოდ გაიღიმა კაცმა.

– ეგრეა და რა ვქნა?! – მხრები აიჩეჩა ბებიკო ნაილმა. – ეგ ყველაზე უკეთესი გზაა, დამიჯერე... რაღაც ჩქაროსნული ავტობანის მსგავსი.

– ეგრეც რომ იყოს, სასიამოვნო არაფერი მახსენდება, – პრობლემები შინ და გარეთ, დარდი გულში, სავიზიტო ბარათები და ცოტაოდენი ფული ჯიბეში... სულ ესაა, რაც გამაჩნია. კარგი ამბები სად ვიპოვო?

– ახლავე გაჩვენებ, – ბებიკო ნაილმა საუბარი შეწყვიტა და მიმოიხედა. მათკენ ხანში შესული გამყიდველი მოაბიჯებდა. მხარზე ბრტყელთასმიანი ნაყინის ყუთი წამოეკიდებინა და შესიებულ ფეხებს მძიმედ მოათრევდა.

– ნაყინს ხომ არ ინებებთ? – იკითხა, როცა ბებიკო ნაილის მზერა დაიჭირა.

– ვინებებთ, ვინებებთ, ამ სიცხეში ნაყინი ვის არ ესიამოვნება?! – გაუღიმა ბებიკო ნაილმა.

ქალმა ყუთი მერხზე ჩამოდგა და შუბლზე მომდგარი ოფლი ოხვრით მოიწმინდა.

– ეჰ! გაჭირვებას რა ვუთხარი, თორემ ჩემი ხნის ქალი ასე ქუჩა-ქუჩა არ უნდა დაწანწალებდეს. ჩამომწყდა ფეხები და ჯერ სულ ორიოდე ცალი გავყიდე. რამდენი მოგართვათ?

– ზუსტად იმდენი, რამდენიც ყუთში გაქვს და შეიძლება არცკი გვეყოს. ძალიან გაგიმართლა – მუნიციპალიტეტის სპეციალური სამსახურიდან ვართ, ნაყინის შესყიდვის გრანდიოზულ აქციას ვაწყობთ. აბა, გვიანგარიშე, ერთი, რა მოგართვათ.

– სულ ყიდულობთ? – ქალმა ჯერ ბებიკო ნაილს შეხედა გაოცებით, მერე ყვითელჰალსტუხიანი შეათ-ვალიერა. აშკარად წააგავდა მუნიციპალიტეტის თანამ-შრომელს.

– ჰო, ასე გამოდის, – მორჩილად დაეთანხმა ჰალსტუხიანი და ჯიბიდან საფულე ამოაძვრინა. – ეს ეყოფა?

ტკიცინა ორასლარიანის დანახვაზე ქალს ენა დაება.

– იცით, მაგის ხურდა ნამდვილად არ მაქვს.

– ხურდა შენთვის დაიტოვე, – გაუღიმა ბებიკო ნაილმა. – მრავალწლიანი დაუღალავი შრომისათვის დამსახურებულ ჯილდოდ მიითვალე.

– დღეს რა ძალიან გამიმართლა! – პატარა ბავშვივით ტაში შემოჰკრა ნასიამოვნებმა გამყიდველმა. – კარგა ხანია, ასე არაფერი გამხარებია.

– ამდენ ნაყინს რა უნდა ვუყოთ? – იკითხა ყვითელჰალსტუხიანმა, როცა უამრავი სამადლობელი სიტყვის შემდეგ, ნაყინის გამყიდველი, როგორც იქნა, თავის გზაზე წავიდა.

– სასწრაფოდ კონვერტაცია უნდა გავუკეთოთ.

– ?

– ანუ მორიგ კარგ ამბად ვაქციოთ. ცოტა ხანს მომიცადე.

ბებიკო ნაილს, ეტყობა, თავში ახალმა აზრმა გაუელვა, თვალებგაბრწყინებული წამოხტა და სადღაც გაცუხცუხდა.

ჰალსტუხიანმა ამოიოხრა. თვალები დახუჭა და ხვნეშით გადააწვა მერხის საზურგეს. თავი სასიამოვნოდ გაუბრუვდა. აჰ, რა ცხოვრება აქვს, რამდენი ხანია, სუფთა ჰაერზე არ ყოფილა, წუთითაც არ დაუსვენია!

მის თავს ზემოთ, ხეზე მიმაგრებული რადიომიმღებიდან მუსიკის მონოტონური ჰანგი იღვრებოდა. ნეტავ, შეიძლებოდეს, ყველაფერი დაივიწყოს, ყველაფერი... უეცრად მელოდია გაწყდა და ნაცნობი ხმის გაგონებამ აიძულა, თვალები გაეხილა.

– ყურადღება! ყურადღება! – გაისმა მთელი პარკის გასაგონად. – მოისმინეთ ქალაქის მუნიციპალიტეტის სპეციალური განცხადება. თუ გიყვართ ნაყინი და, ბედნიერი შემთხვევის წყალობით, ამჯერად პარკში იმყოფებით, სასწრაფოდ შემოუერთდით აქციას პარკის მთავარ შემოსასვლელთან, მიიღეთ თქვენთვის განკუთვნილი ნაყინის პორცია სრულიად უფასოდ და დატკბით ზაფხულის მშვენიერი დღით. შეხვედრის ადგილი – მრავალწლოვანი მუხა, საკონტაქტო პირი – სოლიდური, ყვითელჰალსტუხნი მამაკაცი.

ჰალსტუხიანმა გონს მოსვლა ვერ მოასწრო, ისე გაიჭიმა მის წინ ნაყინის მსურველთა არცთუ ისე მეჩხერი რიგი. „საკვირველია, რა უცბად ვრცელდება ახალი ამბავი!“ – გაიფიქრა თავისდაუნებურად და თვალებით ბებიკო ნაილს დაუწყო ძებნა. ის არსად ჩანდა და ყვითელჰალსტუხიანი იძულებული გახდა, გაჭირვებით, მაგრამ მაინც მოერგო მისთვის უჩვეულო ახალი როლი.

– ბიძია, თქვენ არიგებთ უფასო ნაყინს? – რიგს პირველი პაწია გოგონა გამოეყო.

ყვითელჰალსტუხიანმა ამოიოხრა, ნაყინის ყუთს თავსახური ახადა და მოუხეშავი მოძრაობით

გაუწოდა გოგონას პირველივე ნაყინი, რომელიც ხელთ მოხვდა.

– იცი, რა, ბიძია, მანდ, მგონი, შოკოლადიანიცაა, ვანილის ნაყინს შოკოლადიანი მირჩევნია, – ყუთში ჩაიჭყიტა გოგონამ.

– კარგი, კარგი, აირჩიე, რომელიც გინდა, - არ შეწინააღმდეგებია ახლადგამომცხვარი „მენაყინე“. გოგონამ მისთვის სასურველი ნაყინი აირჩია, მადლობა გადაიხადა და თვალებგაბრწყინებული ხტუნვა-ხტუნვით გაიქცა სათამაშოდ.

– მე ვანილიანი უფრო მომწონს, – წინ წამოდგა ჯინსის კეპიანი ბიჭი, მას სხვები მოჰყვნენ. ზოგს თხილიანი ნაყინი სურდა, ზოგს – ხილის, ზოგსაც – შოკოლადის. პირდაპირ თავბრუ დაახვიეს. კიდევ კარგი, ნაყინი ყველას ერგო.

– აბა, როგორაა აქციის საქმე? – ბებიკო ნაილი სწორედ მაშინ გამოჩნდა, როცა თითქმის თამაშის ეშხში შესულმა ჰალსტუხიანმა უკანასკნელი ნაყინის მოყვარული გაისტუმრა.

– ამდენი მადლობა ცხოვრებაში არ მომისმენია, – ირონიულად ჩაიცინა კაცმა. – ჩემი თვითშეფასება მიზანმიმართულად მიიწევს მაღლა.

– არა მგონია, აქამდე თავმდაბლობის პრობლემა გქონოდა, – თვალი ჩაუკრა ბებიკო ნაილმა.

– ახლა რაღა უნდა ვქნათ? – იკითხა ყვითელჰალსტუხიანმა.

– მაგის მოფიქრება თვითონ მოგიწევს იმიტომ, რომ...

ბებიკო ნაილმა წინადადება არ დაასრულა და პარკის შემოსასვლელს გახედა. იქიდან პირდაპირ მათკენ მშვენიერი ახალგაზრდა ქალიშვილი მოემართებოდა და გაშლილ თმას აბრეშუმის მანდილივით

მოაფრიალებდა. ძალიან უხდებოდა სიფრიფანა სხეულზე შემოტმასნილი ჯინსის მოკლე ქვედატანი და წვრილბრეტელებიანი ფერადი მაისური.

– ერთი წუთით, – ბებიკო ნაილი წინ გადაუდგა ქალიშვილს და ხელის აწევით შეაჩერა. – შენთვის ამ ბატონს ძალიან კარგი ამბავი აქვს, – უთხრა და თავით ჰალსტუხიანზე ანიშნა.

გოგონამ გაკვირვებით შეხედა არცთუ მთლად სანდომიანი გამომეტყველების მამაკაცს. ყვითელჰალსტუხიანიც გვარიანად შეცბა. ბებიკო ნაილმა გონს მოსვლა არ აცალა, ქალიშვილს ხელი ჩაჰკიდა და თავისდაუნებურად ფეხზე წამომდგარ ყვითელჰალსტუხიანს მიჰგვარა.

– იცი... უნდა გითხრა... არ შეიძლება არ შენიშნო... ეეე... ალბათ არ გაგიკვირდება, თუ გეტყვი, რომ... ძალიან ლამაზი ხარ, – სიტყვებს თავი ძლივს მოუყარა მოულოდნელობისაგან დაბნეულმა ყვითელჰალსტუხიანმა.

– ეს ცუდი ამბავი ნამდვილად არ არის, – გაეცინა გოგონას. – თუმცა მე სხვა ამბის მოსმენა მერჩია... აი, მაგალითად, ასე რომ იწყება: „არასოდეს გიფიქრიათ კინოში გეთამაშათ?“

– კინოში გადაღება გინდა? – თანაგრძნობით გაუღიმა ბებიკო ნაილმა. – მაგ სურვილს მთლად ორიგინალურს ვერ დაარქმევ, შანსი კი, ვერ დაგიმალავ, ნამდვილად გაქვს.

– მეც თითქმის მაგას ვამბობდი, – ლაპარაკში ჩაერთო ჰალსტუხიანი. – მაგრამ არ დამამთავრებინეთ. ჩვენი კომპანია განახლებულ სარეკლამო კამპანიას გეგმავს, შეგვიძლია, სატელევიზიო კლიპში მონაწილეობა შემოგთავაზოთ. მთლად ფილმს ვერ დაარქმევ, მაგრამ...

– კლიპში? რეკლამაში გადამიღებთ? რა მაგარია?! – გოგონამ ტაში შემოჰკრა და სიხარულისგან ადგილზე ხტუნვას მოჰყვა. – ხომ არ მეხუმრებით?

– შემატყვე არა, ძალიან ხუმარა ვარ! – წარბები აზიდა ჰალსტუხიანმა, – აი, სავიზიტო ბარათი. ხვალ დილით ჩემთან სამსახურში გელოდები, მარკეტინგის მენეჯერს შეგახვედრებ და ყველაფერზე დავი-ლაპარაკოთ.

– ოკეი, – ღიმილს სახიდან ვერ იშორებდა ქალიშვილი.

– ჰო, კაი, – ხელი ჩამოართვა კაცმა, – შევთანხმდით.

– ვა, რა უცებ სწავლობ! – დაუფარავი აღტაცებით შეათვალიერა ჰალსტუხიანი ბებიკო ნაილმა, გოგონა რომ თვალს მიეფარა. – ნიჭი ნამდვილად არ გაკლია.

– და შეიძლება, არც ისეთი საშინელი ვიყო, ჩვენი გაცნობისას რომ გეგონე.

– მე... შენ... საშინელი? – ბებიკო ნაილმა თითი მკერდზე მიიდო და გაკვირვებისგან კინაღამ თვალები გადმოსცვივდა.

– ვიცი, ვიცი, რასაც ფიქრობ...

– არაფერიც არ იცი, – განაწყენდა მოხუცი, – ერთი ზღაპარი არ წაგიკითხავს ცხოვრებაში. ასე მხო-ლოდ უკანასკნელი ბრიყვი თუ იფიქრებს. ისე კი... სიმართლე თუ გინდა... მნიშვნელობა მხოლოდ იმას აქვს, თვითონ ვინ გგონია საკუთარი თავი.

ჰალსტუხიანმა არაფერი უპასუხა.

პარკის სიღრმეში მიმავალ, წითელი აგურის ნაფხვენით მოფენილ, ბილიკს დაადგნენ. ჩამოცხა და პარკი თანდათან დაცარიელდა. მხოლოდ პენსიონერების

ხეივნიდან მოისმოდა ნარდის კოჭების ჭახაჭუხი და გაცხარებული კამათის ხმა.

– გაფუჭდა ქვეყანა, უფროსი აღარ იციან და უმცროსი. ძუძუმწოვრები მოვიდნენ მთავრობაში და ყურის დაგდებას არ კადრულობენ, – ჩიოდა პანამის ქუდიანი ბერიკაცი.

– მაშ, მაშ, – დაეთანხმა მეორე, სათვალიანი და წვერმოშვებული, – თვითონ რა უჭირთ, ჩვენისთანებმა იკითხონ, თორემ... პენსიას ხომ იღებთო?! ჩვენი პენსიისოდენა თანხა მზესუმზირის ფულად არ ჰყოფნით! გაჭირდა ცხოვრება.

– გაჭირდა, მაშ, გაზეთი რომ გაზეთია, ის ვეღარ მიყიდია.

– ჰო, ახალი პრესის გარეშე ერთ დღეს ვერ ვძლებდი და ახლა... ნეტა, გადასახადებს გავწვდებოდე, – დაეთანხმა ინტელიგენტური გარეგნობის, მხრებში მოხრილი, ჩია კაცი.

ყვითელჰალსტუხიანი მოხუცების მერხთან შედგა.

– თქვენს საუბარს ყური მოვკარი...

მოხუცები ეჭვითა და ინტერესით შეაჩერდნენ მათთან გამოლაპარაკების მსურველ, ელეგანტურ შარვალ-კოსტუმში გამოწკეპილ ახალგაზრდა კაცს. პარკის ხშირ სტუმარს ნამდვილად არ ჰგავდა.

– შენც ერთი იმათგანი უნდა იყო... არ დაიწყო ახლა, ასეო, ისეო, ყველაფერი ხალხის სასიკეთოდ კეთდებაო... უნდა დაგვაცადოთო... – ეჭვი გამოთქვა დისკუსიის მოთავემ.

– არა, არა, სულ სხვა რამის თქმა მინდოდა, – უარის ნიშნად თავი გააქნია ჰალსტუხიანმა. – საქმე ისაა, რომ ოფისში ყოველდღიურად დიდი რაოდენობის პრესა გვიგროვდება. რა მოვუხერხოთ, არ

ვიცით ხოლმე. თუ სურვილი გექნებოდათ, შეგეძლოთ, ყოველ საღამოს ჩვენგან წაგეღოთ ჟურნალ-გაზეთები...

უცნობის შეთავაზებამ მოხუცებს ხელად გამოუკეთა გუნება.

– გაიხარე, შვილო, ყურადღება გესიამოვნება, სხვა რომ არაფერი.

– არა, კაცო, ყველა ერთნაირი კი არ არის...

ჰალსტუხიანმა ძვირფასი სავიზიტო ბარათების შეკვრას რამდენიმე ცალი მოაკლო და მოხუცებს დაურიგა.

– ახლოს ყოფილხართ, – მისამართს დახედა ერთ-ერთმა, – მოგნება არ გაგვიჭირდება. – როდის გეწვიოთ, ბარემ ისიც გვითხარი, შვილო.

– დღესვე შეგიძლიათ... მე თუ არ ვიყო, ბატონი მირიანი იკითხეთ და ჩვენი შეთანხმების შესახებ მოუყევით. ყველაფერს ისე გააკეთებს, როგორც ეტყვით.

– ხედავ, რამდენი კარგი ამბავი გქონია, შენ კი... – თვალები კმაყოფილებით უბრწყინავდა ბებიკო ნაილს.

– ჰო, არც ისე ძნელი ყოფილა კარგი ამბების მოგონება... ეგ არის, არასოდეს გრჩება დრო ამაზე საფიქრელად.

– აბაააა! – აჰყვა წუწუნით ბებიკო ნაილი. – აქ კონკურენციაო, იქ ინფლაციაო... ტენდერიო, კრედიტიო, კრიზისიო... და რა ვიცი კიდევ, რა ჩამოთვლის!

– ვერ გავიგე, რა ტიპი ხარ: დამცინი თუ მითანაგრძნობ?! – გამომცდელად გადახედა ყვითელ-ჰალსტუხიანმა.

– არც ერთი, არც მეორე. უბრალოდ, რჩევა მინდა მოგცე, თუმცა იმ ადამიანს ნამდვილად არ ჰგავხარ, სხვის ჭკუაზე სიარული რომ უყვარს... არა... თუ

თვითონ არ მთხოვ, ხმასაც არ ამოვიღებ, ენას კბილს დავაჭერ და ვიქნები ჩემთვის.

– მაინც რა უნდა მირჩიო, ეჰ...

– რა ვიცი, ორი სიტყვის თქმა მინდოდა, მეტს მაინც ვერ დაიტევს ჭარბი ინფორმაციით გადავსებული შენი თავის ქალა.

– მლანძღავ?

– აჰა, აი, ისევ... მე მხოლოდ ეჭვშეუტანელ ფაქტს აღვნიშნავ.

– კარგი, მითხარი ეგ შენი ორი სიტყვა... გპირდები, ადგილს მოვუძებნი.

ბებიკო ნაილმა გამომცდელად შეხედა, მერე თითის წვერებზე აიწია, თანამოსაუბრეს ტუჩები ყურთან მიუტანა და საიდუმლო ხმით წასჩურჩულა:

– ჰალ-სტუ-ხი მო-უშ-ვიიი!

– რაა?! – შეცბა ჰალსტუხიანი.

მოხუცმა თავისებურად, ხმამაღლა და გულიანად, გადაიკისკისა. მერე, ეტყობა, რაღაც ახალი აზრი მოუვიდა თავში – ერთი წუთითო, ხელით ანიშნა და ვეებერთელა ატრაქციონისკენ აიღო გეზი. კაცმა, თავისდაუნებურად, ჰალსტუხის ნასკვი მოისინჯა. ძალიან საიმედო, მკვრივი და მძიმე ნასკვი იყო, ასე იოლად ძვრას ვერ უზამდი.

***

– ეი, შეფ, არ გესმით? – ბილიკზე ხელების უთავბოლო ქნევითა და ყვირილით ჰალსტუხიანის თანაშემწე მოჰქროდა. – სად დაიკარგეთ? ყველგან გეძებეთ. ტელეფონი არ პასუხობს, მანქანა არსად ჩანს, რა აღარ ვიფიქრეთ! თქვენი მეუღლე ხუთ წუთში ერთხელ რეკავს... ახლა მოემზადეთ, სიურპრიზი მაქვს

თქვენთვის! გამოკვლევებმა ის საშინელი დიაგნოზი არ დაადასტურა. ბავშვის ექიმს უთქვამს, ასე მხოლოდ ასიდან ერთ ადამიანს თუ გაუმართლებსო, როგორია, ჰა?! ასეთი მაგარი ამბავი, როგორ არ შემეტყობინებინა, მთელი ქალაქი მოვირბინე, თქვენ კი სად ყოფილხართ...

ჰალსტუხიანი ადგილზე გაშეშდა.

გაოგნებული შეჰყურებდა აქოშინებულ თანა-შემწეს, ხედავდა სასიხარულო გრიმასებით გადატვირ-თულ, ძალიან ნაცნობ სახეს, მის ზურგსუკან მოშრიალე ბებერ ალვის ხეს, ფერადი საღებავებით აჭრელებულ ატრაქციონს და ამ ყველაფრის ერთმანეთთან დაკავშირება ძალიან უჭირდა. თითქოს ყველაფერი სხვის თავს ხდებოდა. სიხარულმა გააბრუაო, ასეთ დროს თუ იტყვიან ადამიანზე, მართლაც გაბრუებულს ჰგავდა.

– ოქროს თევზო! – შეჰყვირა უცებ და საკუთარმა ხმამ გამოაფხიზლა. – სად ხარ, ოქროს თევზო!

მიიხედ-მოიხედა, მაგრამ თვალი ვეღარ მოჰკრა ბებიკო ნაილს. თანაშემწეს ზურგი აქცია და სირბილით წავიდა იმ მიმართულებით, წეღან რომ მოხუცი გაემართა, მაგრამ თითქოს მიწამ პირი უყოო, მისი კვალიც კი არსად ჩანდა.

– ოქროს თევზო-მეთქი! – ღრიალებდა ჰალსტუხიანი.

– შეფ, - ძლივს ეწეოდა თანაშემწე, – შეფ, ხომ კარგად ხართ?

ჰალსტუხიანმა გაკვირვებით გამოხედა და, როცა მის თვალებში დანახული შეშფოთების მიზეზს ჩასწვდა, გულიანად ახარხარდა.

– კარგად, კარგად... ასე კარგად არასდროს ვყოფილვარ, – უპასუხა დასამშვიდებლად.

მერე პერანგის საყელო მოიღეღა, მძღოლს ხელი მხრებზე მეგობრულად გადახვია და მანქანისკენ გაემართნენ.

ასწლოვან მუხას ამოფარებულ ბებიკო ნაილს კი გამოჩენა არც უფიქრია. ხის ხორკლიან ტანს ლოყით აეკრა და კმაყოფილმა წასჩურჩულა:

– ესეც ასე, მშვენიერი ზღაპარი გამოვიდა, რას იტყვი?

მერე გამხადარი თითი თავმომწონედ გაფშიკა და დაამატა:

– ბებიკო ნაილი თავისი საქმის ოსტატია, რომ იცოდე!

ფუიფუისა და იფიფის ზღაპარი

ანანო და საბა, დაბარებულებივით, ზუსტად ერთ დროს გამოცხადდნენ ბებიკო ნაილთან და თავს გაცხარებულ სამზადისში წაადგნენ. ეტყობა, დილა-ადრიან ამდგარიყო. ნამცხვარი და ლობიანები დაეცხო, კვერცხები მოეხარშა, მჭადები ოქროსფრად დაებრაწა, ყველი დაეჭრა და ახლა ამ ყველაფერს ფაქიზად ახვევდა ხელსახოცებში.

– რა ხდება, რა გაწამაწიაში ხარ? – გამარჯობის მაგიერ კითხვით შეეხმიანა საბა და რატომღაც სასიამოვნო მოლოდინის ჟრუანტელმა დაუარა.

– როგორ გითხრა, სტუმრად ვაპირებ წასვლას... თუ გინდათ, დამემგზავრეთ.

– ვის უნდა ესტუმრო?

– ჯერ არ ვიცი, საგზალს გავამზადებ და მერე საითაც გული გამიწევს, იქით წავალ, აბა, ერთი ეგ ჯადოსნური აბგა მომაწოდე.

სამზარეულოს სკამის ზურგზე ერთი გახუნებული ზურგჩანთა ეკიდა.

– ჯადოსნურ აბგას ამას ეძახი? – გაეცინა საბას.

– ვეძახი რას ჰქვია, ნამდვილად ჯადოსნური აბგაა!

– მაშ, ამდენი საჭმელი რისთვის გაამზადე? გეთქვა: აბგავ, პურ-მარილით გაივსეო და წვალება აღარ დაგჭირდებოდა.

– ეჰ, არაფერი გესმის, შე ბებერო! თავდაპირველად, სანამ აბგის მოხმარებას დაიწყებ, ერთხელ მაინც, თვითონ უნდა გაავსო საჭმელ-სასმლით. მერე, არ უნდა დაგენანოს, ყველას ასვა და აჭამო ამ აბგიდან და მხოლოდ ამის შემდეგ გამოავლენს

თავის ჯადოსნურ ძალას – როცა დაგჭირდება, ყოველთვის სავსე იქნება. გაიგე?

– რაღაც არ მახსენდება, ზღაპრებში რამე მაგდაგვარი წამეკითხოს...

– იჰ... ყველაფრის დაწვრილებით დაწერას მთელი ცხოვრება არ ეყოფა, ზოგ რამეს თვითონ უნდა მიხვდე. ამისათვის კი ცოტაოდენი მონდომებაა საჭირო, აბა?!

– ბებიკო ნაილმა ეგ ამბები ყველაზე კარგად იცის, – გამოექომაგა მოხუცს ანანო. – რაკი ამბობს, ალბათ ასეა. მეც მოგეხმარები, რა, ბებიკო ნაილ?

– მოდი, მოდი, მანამადე კი შეჭამეთ რამე, შორი გზა გვაქვს გასავლელი და მოგშივდებათ.

– აკი, არ ვიცი, სად მივდივარო? – იკითხა ისევ საბამ, თან მჭადით ყბები დაიტენა.

– შორს რომ მივდივართ, ნამდვილად ვიცი, ხოლო სად – მაგას, რომ გავემზადებით – მაშინ მივხვდები.

ბებიკო ნაილი ოთახში გავიდა და ცოტა ხანში სამგზავროდ ჩაცმული დაბრუნდა უკან: ჯინსის ბრიჯში, ბოტასებსა და მეზღვაურის ზოლებიან მაისურაში გამოწყობილიყო, თავზე გრძელცხვირიანი კეპი ეხურა, ისიც უკუღმა. გადაყვლეფილი მუხლები აკლდა და ნამდვილი ყაჩაღანა იქნებოდა.

– მაგარ ვიდზე ხარ, ბებიკო ნაილ, სტუმრად თუ ასე გამოწკეპილი დადიოდი, ვერაფრით ვიფიქრებდი, – კომპლიმენტი არ დაიშურა საბამ.

– გააჩნია, სად... ჩვენ ხომ მთაზე უნდა ავიდეთ.

– მთაზე? – გაიკვირვეს ბავშვებმა.

ბებიკო ნაილმა ისინი ეზოში გაიყვანა და შორს, ქალაქის განაპირა გორაკზე შეფენილი პატარა სოფელი დაანახვა.

– აი, იქ, სულ ბოლოში, პატარა სახლი რომ დგას განცალკევებით, ხედავთ?

ბავშვებმა თავი დაუქნიეს.

– დიდი ხანია, მინდა, გავიგო, მანდ რა ხალხი ცხოვრობს, მოდი, ვესტუმროთ და გავიცნოთ. რას იტყვით?

– რა ვიცი, დარწმუნებული ხარ, რომ სტუმრების მიღება გაუხარდებათ? – თავი ეჭვით გააქნია საბამ.

– წინდაწინ თავი რატომ ვიმტვრიო, მივალთ ადგილზე და მაგასაც გავარკვევთ, – მხიარულად განაცხადა ბებიკო ნაილმა და ბავშვებს გარეთ გაუძღვა.

ქალაქის გასასვლელამდე მოლაშქრეები დიდ, წითელ ავტობუსს გაჰყვენენ, იქიდან კი ფეხით დაადგნენ მთის დამრეც ფერდობს.

უკეთეს ამინდს ვერ ინატრებდი: თბილოდა, მაგრამ მზე არ აჭერდა. ხეების ჩრდილებდაფენილ, ხალიჩასავით რბილ, საცალფეხო ბილიკს მგზავრები უფრო და უფრო მაღლა აჰყავდა.

საბამ ზურგჩანთა არავის დაუთმო. ერთადერთი მამაკაცი ვარ და ამისი ტარებაც მე მევალებაო, ისე თავმომწონედ გამოაცხადა, ანანო და ბებიკო ნაილი ვეღარ შეედავნენ. მხოლოდ ღიმილით გადახედეს ერთმანეთს და შეთქმულებივით თვალი ჩაუკრეს. ვერაფერს იტყვი, ძალიან სასიამოვნოა, გვერდით ნამდვილი მამაკაცი რომ გყავს, თუნდაც იგი ზურგჩანთაზე ოდნავ დიდი იყოს.

ბებიკო ნაილი გზადაგზა სასაცილო ამბებს ყვებოდა და ყველაზე საინტერესო ადგილზე ხმას აუწევდა ხოლმე, რომ როგორმე ჩიტების ჟრიამული გადაეფარა. ო, რა ამბავში იყვნენ ჩიტები!

– ამათაც ზაფხული უხარიათ? – იკითხა ანანომ და ლაჟვარდი ცის ფონზე მორიალე ფრთოსნებს გახედა. – თუ ის მოსწონთ, ფრენა რომ შეუძლიათ? ჩვენსავით არიან, არა, ბებიკო ნაილ? მე ხანდახან დავრბივარ, დავრბივარ და სულ ვიცინი, ვერ ვჩერდები. დეიდა ნაზი მეუბნება, სად გეჩქარება, სულ რომ დარბიხარ, ნელა ვერ ივლიო? ან რა გაცინებს, ის მაინც გამაგებინეო. ეგ მეც ვერ გავიგე, დეიდა ნაზის როგორ ვუთხრა... ხანდახან ყველა სიტყვა მავიწყდება. აი, თვითონაც რომ დარბოდეს, ყველაფერს მიხ-ვდებოდა, არა?

ბებიკო ნაილს გაეცინა:

– მიხვდებოდა, მაშ!

მერე კი ძალიან სასიამოვნო ხმით ამღერდა:

– ეს ლამაზი მინდორ-ველი შენია...

საბა და ანანოც აჰყვნენ. ბოლოს და ბოლოს, აჯობეს ჩიტებს.

მთის შუაწელზე ბებიკო ნაილმა შესვენება გამოაცხადა. გზის პირას ხავსმოდებული ქვები მოძებნეს და მუხლი გაშალეს. ნიავმაც მათთან ერთად ჩაიმუხლა.

ბავშვები გაუჩერებლად იცინოდნენ. ყველაფერი ამხიარულებდათ: მოუღლელი სიოს ლაქუცი, ფოთლების შრიალი, ჩიტების ჭიკჭიკი.

– თქვენ, მგონი, სიცილის ავადმყოფობა შეგეყარათ. ძალიან მძიმე, გადამდები სნეულებაა, ერთ ზღაპარში წავიკითხე. რა გიშველოთ, აღარ ვიცი, ღმერთმანი, – შეშფოთება გამოთქვა ბებიკო ნაილმა. ამის გაგონებაზე ისინი კიდევ უფრო ხმამაღლა ახარხარდნენ.

– ზოგი გზაში იცინეთ, თორემ უკან დაბრუნებისას დაგვიღამდება, – დააჩქარა ბავშვები მოხუცმა და ფეხზე წამოდგა.

შესვენების შემდეგ სიარული ცოტა გაუჭირდათ, მაგრამ დანებებას არავინ აპირებდა. ძალიან აინტე-რესებდათ გაეგოთ, ვინ ცხოვრობდა იქ, ზემოთ, თითქმის მთის მწვერვალზე.

და აი, როგორც იქნა, მიზანს მიაღწიეს. გზის მოსახვევში პაწაწინა სახლი გამოჩნდა. სახლს ირგვლივ ხის დაბალი ღობე ერტყა, ჩარჩოდან თითქმის ჩამოგლეჯილი კარები სანახევროდ შეღებულიყო. ბებიკო ნაილმა ეზოში შეიხედა, მაგრამ თვალი ვერავის მოჰკრა.

– მასპინძელო! – დაიძახა ისე ხმამაღლა, რამდენადაც შეეძლო და მცირე ხნით შეიცადა, მაგრამ არავინ გამოეპასუხა.

– მასპინძელოოო! – წაუმღერასავით მორიგ ცდაზე.

ჩამიჩუმი არ ისმოდა.

– თუ მასპინძელი სახლშია, მაშინ, უეჭველია, ყურს აკლია, – ვარაუდი გამოთქვა საბამ.

– შეიძლება, მაგრამ... აუცილებლად უნდა შევამოწმოთ, – ბებიკო ნაილმა კარებს ხელი ჰკრა და პირდაპირ სახლისკენ გაემართა.

საბა და ანანოც დაედევნენ, გულში ორივე დარწმუნებული იყო, სხვის სახლში უნებართვოდ შესვლა, ცოტა არ იყოს, უხერხულიაო, მაგრამ ბებიკო ნაილს ზრდილობის წესების შეხსენება ვერ აკადრეს.

მან ხის მოძველებული საფეხურები თამამად აიარა და სახლის კარი შინაურივით შეაღო. ოთახში მზის ფარდები ჩამოეშვათ და თავდაპირველად, სიბნელეში, ვერც კი გაარჩიეს, რკინის ძველებურ,

ვიწრო საწოლზე მოკუნტული მოხუცი კაცი, რომელიც კარის გაღებისთანავე აკვნესდა და აწუწუნდა.

– ქალო, სად დაიკარგები ხოლმე, ამდენი ხნით. გარეთ ვიღაცა იძახდა, მგონი, მე კი წამოდგომის თავიც არა მაქვს... გული მელევა... თავბრუ მესხმის. ფუი... რატომ არ მოვკვდები და მოვისვენებ!

სანამ ბებიკო ნაილი სიტუაციაში გარკვევასა და პასუხის გაცემას მოასწრებდა, ეზოში, ბაღის მხრიდან, შავებში ჩაცმული და წელზე კუბოკრულ შალ-შემოხვეული ფაშფაშა დედაკაცი გამოჩნდა, ხელში წვრილი ხილით ნახევრად სავსე ვედრო ეჭირა.

– ვინ იძახდა, ქა? – თვალები ხელით მოიჩრდილა და ახლაღა შენიშნა ოთახის ღია კართან გახირული დაუპატიჟებელი სტუმრები. – თქვენა?

– გამარჯობა! – პასუხის მაგივრად მიუგო ბებიკო ნაილმა და საფეხურები ხელგაწვდილმა უკანვე ჩაიარა. – ჩვენ ქალაქიდან ამოვედით. ბუნებაში გამოსეირნება გვინდოდა და... ჩემი ეზოდან თქვენი სახლი ისე კარგად ჩანს. გადავწყვიტე, ახლოს ვნახავ, იქ ვინ ცხოვრობს და გავიცნობ-მეთქი. თან გზად წყალი შემოგველია და მარაგსაც შევივსებთ. მე ბებიკო ნაილი მქვია, თქვენ?

– რავი, ნანოს მეძახიან... კვირა ისე გავა, ეზოს კარს არავინ შემოგვიღებს, ვიფიქრე, ნეტა, ვის გა-ვახსენდით-მეთქი. ეჰ, ვიღას ვჭირდებით? საკუთარ შვილებს რომ აღარ უნდიხარ, სხვა ვინ მოგეპატრონება?

– ვინ არი, ქალო, ვის ელაპარაკები? – ღონეწართმეული ხმით გამოსძახა ცოლს ოთახში მყოფმა ბერიკაცმა.

– ქალაქიდან ამოვედითო, წყლის დასალევად შემოიარეს. რა იყო, რო აღარ ისვენებ. მობრძანდით, გენაცვალე, წყალს როგორ დაგამადლით, – ქალი ეზოს

ონკანისკენ გაუძღვა სტუმრებს. წელს გაჭირვებით მიათრევდა. – ფუი, ჯანი სულ აღარ მივარგა, ხან რა მტკივა, ხან რა. ბაღ-ბოსტნის მოვლაც მიჭირს. ველარც სახლსა და ეზოს ავუდივარ... ე ჩემი ბერიკაციც ვერ არის კარგად, გულს უჩივის ბოლო დროს, მთლად დადნა და დაილია. ფუიი, კარგს რას უნდა მოელოდეს კაცი სიბერისგან?! აბა, მარტო რამდენ რამეს უნდა გავწვდე. ჩემს შვილებს და შვილიშვილებს აქეთ გული აღარ მოუწევთ, დაგვტოვეს ერთმანეთის შემყურე ბებრები და დასასვენებლადაც აღარ ამოდიან: კომფორტი არ არისო. ფუი, შე მამაცხონებულო, მაშ, ჩვენ ადამიანები არა ვართ, როგორ ვცხოვრობთ?! გული გულობდეს და... ეეჰ! – ისე ამოიოხრა, თითქოს გული ამოატანაო. – მოდი, გენცვალე, წყალი რამდენიც გინდოდეთ, აავსეთ. მერე, აქეთ, ჩრდილში ჩამოსხედით და დაისვენეთ, – ხეივნის ქვეშ გამართულ მაგიდასა და სკამებზე მიუთითა.

საბამ და ანანომ ცარიელი ბოთლები დაითითოვეს და წყლის ავსებას შეუდგნენ. მერე გადაწყვიტეს ერთმანეთი გაეგრილებინათ და წუწაობას მიჰყვეს ხელი. მიყუჩებული ეზო-კარი ბავშვების უზრუნველმა სიცილმა გააცოცხლა. ბებიკო ნაილი მასპინძელთან ერთად ხის გრძელ, სოფლურ სკამზე ჩამოჯდა და გარემო მოათვალიერა.

– იფ, რა მშვენიერი ჰაერია, წყალიც როგორი გემრიელი გაქვთ. ახლა ხედებს არ იკითხავ?! ამაზე უკეთესი რაღა უნდა ინატროს კაცმა?!

– იჰ, შენ გაიხარე, სანატრელის მეტი რა გვაქვს - ხმის გამცემი გვენატრება. არაფრის ხალისი აღარა მაქვს გამოყრუებულს. ამისთვის ვიშრომეთ მე და ჩემმა ბერიკაცმა მთელი ცხოვრება?! იმასაც სულ ცხვირ-პირი ჩამოსტირის. ისეთი ჯუჯღუნა გახდა და მიუკარები.

ფუიიი... ანკი რა უნდა უხაროდეს, – თვალებიდან უნებართვოდ გამოპარულმა ცრემლმა დედაკაცს ლოყა დაუსველა და ლაპარაკი შეაწყვეტინა.

– მაშ, გამოდის, დროზე მოვსულვართ... – ჩაილაპარაკა ბებიკო ნაილმა, მერე კი მასპინძელს მიუბრუნდა, – ერთი რამე უნდა გთხოვო და, იმედია, უარს არ მეტყვი.

– ბრძანე, გენაცვალე.

– აი, ზურგჩანთაში ცოტა რამ პურ-მარილი გვაქვს, რას იტყოდი, ბარემ ამ მშვენიერი ხეივნის ჩრდილში რომ გაგვეშალა პატარა სუფრა? დავისვენებთ, დავნაყრდებით და ერთმანეთს გულსაც გადავუშლით.

– უიმეეე... მაგას რა ნებართვის თხოვნა უნდა, ჩემო კეთილო. ძლივს სტუმარს ვეღირსე და გაუმასპინძლებლად სად გაგიშვებთ?!

– თქვენ ნურაფერზე შეწუხდებით, სთხოვა ბებიკო ნაილმა და მაგიდაზე სასუსნავების ამოლაგებას შეუდგა, მაგრამ მასპინძელმა არ დაიშალა: ჭიქები და ჯამ-ჭურჭელი გამოიტანა, მერე ახლადმოწველილი რძე და ახლადმოკრეფილი მწვანილი, ჭყინტი ყველი, შოთ-ლავაში, კიტრი და პომიდორი შემოამატა სუფრას. ბავშვებს სუფთა ჰაერზე გვარიანად მოშივებოდათ და გაშლილი სუფრის დანახვაზე თვალები გაუბრწყინდათ.

– აჰა, გვიქეიფია და ეგ არი! – მხიარულად შემოსძახა ბებიკო ნაილმა და სანამ სუფრას მიუსხდებოდნენ, ნანოს მეუღლის მოპატიჟება სთხოვა.

– ლოგინში წოლას ჰაერზე ყოფნა სჯობს, ოჯახის პატრონის გარეშე სუფრას რა ფასი აქვს?! იქნებ ჩვენთან ყოფნა ისურვოს და ესიამოვნოს.

ნანო ბერიკაცის მოსაყვანად წავიდა.

– ვანო, კაცო, ცოტა ხანი ჰაერზე გამო, იქნებ გუნება გამოგიკეთდეს. მთელი დღე ამ ჩაბნელებულ ოთახში ყოფნა ხარივით ჯანმრთელ კაცსაც შეუძლოდ გახდის, – უთხრა მეუღლეს. მერე მხრებზე თბილი წამოსასხამი მოახურა, ხელი შეაშველა და ეზოში სტუმრებთან ჩამოიყვანა.

– ფუი, ეს რა არი, დედაკაცო, – სუფრა უღვინოდ ვის გაუგია?! ერთი ხელადა მზისა და ვაზის სიყვარულის ნაყოფი მაქვს ე მანდ, სარდაფში. გამოიტა და დაგვალოცე, – სუფრას თვალი გადაავლო თუ არა, ბრძანება გასცა ოჯახის უფროსმა.

ნანო უსიტყვოდ გაეშურა ქმრის მითითების შესასრულებლად. მალევე მობრუნდა. თიხის ჯამები და ღვინით სავსე ხელადა მაგიდაზე ჩამოდგა და სუფრას მიუჯდა. ბერიკაცმა ჯამები დაანაწილა და საბას სთხოვა:

– აბა, კაცურო კაცო, მერიქიფეობა გაგვიწიე და სასმელი ჩამოგვისხი. უფროსებს – ღვინო, უმცროსებს – რძე.

– შენ, მგონი, დალევას აპირებ, თავი ნუ მომიკვდება, – შეშფოთებით მიაჩერდა ნანო მეუღლეს.

– მაიცა, ქალო, მა ამ პატიოსან ხალხს ეგრე უდღეგრძელებლად ხო არ გავუშვებ?! – ბერიკაცმა ფიალა ასწია, მზეზე გახედა და სვენებ-სვენებით დაილოცა:

– გაგიმარჯოთ, ჩემო კეთილო ხალხო, ღმერთმა ჯანი და ბარაქა მოგცეთ! იმ მიზეზს გაუმარჯოს, თქვენ რომ ჩვენი სახლის კარებთან მოგიყვანათ, ხალისი და სიხარული არ მოგაკლოთ გამჩენმა! – მერე სასმისი პირთან მიიტანა და ტუჩები დაისველა.

– ფუი, ამას სიცოცხლე ჰქვია, სადღეგრძელოს რომ იტყვი და სასმისს ვერ გამოცლი?! ჯანი გავარდეს ასეთ სიცოცხლეს!

– აი, გიყურებთ და ვერაფერი გამიგია, – ხელები ერთმანეთზე გადააჭდო და მოხუც ცოლ-ქმარს მიაჩერდა ბებიკო ნაილი. – ამისთანა სტუმართმოყვარე და გულიანი ხალხი ხართ, სამოთხეში ცხოვრობთ, პური და ღვინო სამყოფი გაქვთ და მაინც ბედს ემდურით... შვილები ხშირად არ გვაკითხავენო... მაგის მიზეზი მე ვიცი, ბატონო და, თუ მათქმევინებთ, სიმართლესაც ბოლომდე გეტყვით.

– ეეჰ, მაგის მიზეზი შენ კი არა, ჩვენი სოფლის მკითხავმა ვერ გვითხრა... – ბებრულად ჩაიქირქილა ვანომ და ნანოს გადახედა, დამიდასტურეო.

– მაგას მკითხაობა რად უნდა, შემოვედი თუ არა, მივხვდი... – მერე ხმას დაუწია და იდუმალი გამომეტყველებით წაიჩურჩულა ბებიკო ნაილმა. – საქმე იმაშია, რომ... ფუიფუის ძალიან ხშირად უხმობთ. მიკვირს კიდეც, აქამდე სულ რომ არ დაძაბუნდით - მტრისას, ვინც მაგის ხელში ჩავარდება!

– ვისაო, კაცო? – საკუთარ ყურებს არ დაუჯერა და ქმარს დაეკითხა დედაკაცი.

– რაო, ვისაო? – გაიკვირვა ბერიკაცმაც. ანანო და საბაც სმენად იქცნენ. კარგად იცოდნენ, როცა ბებიკო ნაილს ასეთი გამომეტყველება ჰქონდა, საინტერესო რაღაცის მოყოლას აპირებდა ხოლმე.

– მაშ, თქვენ ავსული ფუიფუის შესახებ სულ არაფერი გსმენიათ? – გაკვირებული სახე მიიღო ბებიკო ნაილმა და როცა დარწმუნდა, ამ კითხვაზე დადებითი პასუხი არავის მოეძევებოდა, განმარტებას მოჰყვა: – ოოო, ფუიფუი მეტისმეტად საშიში ვინმეა. ამქვეყნად მხოლოდ იმისთვის არის გაჩენილი, ადამიანებს

სიცოცხლე გაუმწაროს. ახსენებ თუ არა მის სახელს, ელვის უსწრაფესად გამოგეცხადება და დავიდარაბას თავს ვეღარ დააღწევ. რაც ხშირად მოუხმობ, მით უფრო ძლიერდება და გარშემო ყველაფერს ანადგურებს. იმ ადგილს, სადაც ფუიფუი ბატონობს, ადამიანები გაურბიან, ავადმყოფობა და გასაჭირი კი თავს მშვენივრად გრძნობს. ჰოდა, თქვენ ასეთ საშიშ არსებას, როგორც შევნიშნე, დღეში ასჯერ მაინც მოუხმობთ. აბა, რა გგონიათ, ბატონო, – ფუი, ეს რა ცხოვრებააო, ფუი, ეს რა ამინდიაო, ფუი, ეს რა მძიმე საქმეო, რომ გაიძახით, ფუიფუი ყრუ ხომ არ გგონიათ, ჩაგისახლდებათ კარმიდამოში და მერე იკითხეთ!

– ე, რა კარგი ზღაპრები გცოდნია, კაცო? – კეთილად გაიღიმა ბერიკაცმა, – მაშ სულ ფუიფუის ბრალი ყოფილა ჩემი ჯანის გატეხა, არა?

– აბა, რა გგონია... კიდევ კარგი, დროზე გაგაფრთხილეთ, თორემ არ ვიცი, კიდევ რა შარს გადაეყრებოდით! ახლა კარგად მომისმინეთ: იმ ბოროტმოქმედის სახელი რომ მეტად აღარ უნდა ახსენოთ, მგონი, უკვე მიხვდით, ჰოდა, ბარემ იმასაც გეტყვით, ვინ დაგეხმარებათ მდგომარეობის გამოს-წორებაში.

– ვინ, ბებიკო ნაილ? – ეს უკვე ყურებადქცეულმა ანანომ იკითხა მოუთმენლად.

– ვინ და... რაღა თქმა უნდა, იფიფი! დიახ, სწორედ ის. ფუიფუი უნდა დაივიწყოთ და მის მოსისხლე მტერს, იფიფს უნდა დაუმეგობრდეთ.

– ეგ როგორ, კაცო? – ინტერესით ჩაეკითხა პაპა ვანო.

– როგორ და, დილით თვალს გაახელთ თუ არა, ერთი „ფუიც“ კი არ უნდა წამოგცდეთ, მაშინვე იფიფს უნდა უხმოთ: იფ, რა ლამაზი დილა გათენდა! იფ, რა

გემრიელი საუზმეა! იფ, რა ხასხასა ბალახია! იფ, რა კარგად ცხოვრობენ ჩვენი შვილები ქალაქში! იფ, რა კარგი იქნება, აქ რომ ჩამოვლენ და მოვლილ კარმიდამოს დავახვედრებთ, როგორ ესიამოვნებათ ხეივნის ჩრდილში დასვენებაო, - თქვით. თუ კარგად დააკვირდები, გარშემო უამრავი რამეა, რაც ადამიანს ახარებს და ახალისებს, მხოლოდ მოძებნა და აღტაცების გამოხატვა არ უნდა დაიზარო.

– სატკივარი რომ შემაწუხებს, მაშინ როგორღა გამოვხატო აღტაცება? – იკითხა ვანომ.

– მაგას, რაღა უნდა, შე კაი ადამიანო, განა, ასე ვერ იტყვი: იფ, რა კარგი მზე ამოვიდა, ჩემს სატკივარს ასეთი დარი სალბუნად ედება ან ჩემი ნანოს ტკბილი სიტყვა წამალზე მეტად უხდება ნებისმიერ ავადმყოფობასო? ნახავ, როგორ მოგემატება ჯან-ღონე.

– ჰოო, ეგ, მგონი, ძნელი არ უნდა იყოს, – დაეთანხმა მოხუცი ვანო.

– ძნელი რად იქნება, ქა? – თავისი აზრი გამოთქვა დედაკაცმაც.

– ჰოდა, ეგრე! – გაიხარა ბებიკო ნაილმა. – მაშ, მოდი, ამ სასმისით ყველაფერ კარგს გაუმარჯოს ამქვეყნად: ამ ცას, ამ მიწას, ამ წყალს, ამ ღვინოს, – თქვა და ფიალა, გამოცდილი თამადასავით, მოხდენილად გამოცალა. – ასე მტერი დაგეცალოთ! – დაცლილი სასმისი ყველას დასანახად გადმოაპირქვავა მერე.

– გაამოს, კეთილო ადამიანო, – დალოცა პაპა ვანომ.

ფიალა ნანომაც გამოცალა და შესამჩნევად გამხიარულდა:

– მიირთვით, შვილებო, მიირთვით, – ვერ ისვენებდა და გამუდმებით რაღაცას სთავაზობდა ბავშვებს. ბავშვები თავს არ ზოგავდნენ, მაგრამ სუფრას

არაფერი ეტყობოდა. ბებიკო ნაილი, როგორც ყოველთვის, ძალიან ცოტას ჭამდა და მეტი აღარ შემიძლიაო, ბოდიშობდა.

– რა ჩიტივით იკიკნები, გენაცვა, – გაიოცა ნანომ.

– ასე თუ არ მოვიქცევი, დავმძიმდები და ფრენას ვეღარ შევძლებ, მე კი ძალიან მიყვარს, ქარი რომ შემოდგომის ფოთოლივით აღმა-დაღმა დამაქანებს.

ყველამ გაიცინა.

– აბა, ერთი შემივსე, – პაპა ვანომ საბას თავისი, თითქმის სავსე ფიალა მიაწოდა. საბამ ორიოდე წვეთი ჩაუმატა ხელადიდან.

– სმენა იყოს და გაგონება! – ხმაში ცოტაოდენი რიხი გაერია თამადას. – ახლა, ჩემო კეთილო ხალხო, მე იმ სიხარულის სადღეგრძელო მინდა შევსვა სტუმრის მოსვლას, ბავშვის დაბადებას, მზის ამოსვლას რომ მოჰყვება ხოლმე. მართალი ხარ, შენ, ჩემო სტუმარო, - მიმართა ბებიკო ნაილს, – სიხარულს თუ გული არ გავუხსენით, შინ არ მოვიპატიჟეთ და ჩვენს სამყოფელში საკადრისი ადგილი არ შევთავაზეთ, ისე ჩაივლის, კარზეც კი არ მოგვიკაკუნებს. მადლობელი ვარ, ეს რომ შეგვახსენე, – მერე ფიალა მოიყუდა, ბოლომდე გამოცალა, ულვაშები ხელით შეიწმინდა და კმაყოფილმა დაატანა: – იფ, იფ, ნამდვილი მირონია, მირონი!

– უი, ერთი ამას დამიხედე! შე დალოცვილო, თავი ოცი წლისა ხო არ გგონია?

– უი და ფუი აღარ გამაგონო! ამ პატარა ფიალამ რა უნდა მიყოს, გულს დარდი არ ღრღნიდეს, ღვინო რას უზამს?!

– მართალს ამბობს. ერთი-ორი ჭიქა სუფთა ღვინო გულს ავადმყოფობისგანაც კი იცავსო, ამბობენ, – ბერიკაცის მხარე დაიჭირა ბებიკო ნაილმა.

პაპა ვანოს ღვინომ ენა და მადა ერთად გაუხსნა.

– იფ, რა მჭადებია, შენი გულისა, კაი ხანია, ასეთ გემოზე არაფერი მიჭამია!

– შეგარგოს, შეგარგოს! – გაიხარა, ნახელავი რომ შეუქეს, ბებიკო ნაილმა.

ნანო სტუმრებს თავის მოწეულ ბოსტნეულს სთავაზობდა.

– გემრიელად მიირთვით, გენაცვალეთ, ასეთს ქალაქში ვერ იყიდით, ჩვენთან ყველაფერს სხვა გემო და სურნელი აქვს.

სტუმრებიც ხათრს არ უტეხდნენ. ყველაფერი გასინჯეს, გულიანად იმაასლაათეს. ნიავი თავს სამაგალითო მასპინძელივით დასტრიალებდათ და მათი ალერსით ვერ ძღებოდა. დრო შეუმჩნევლად გაიპარა. დამშვიდობების ჯერი დაუდგათ.

– თქვენთან ყოფნას არაფერი სჯობს, მაგრამ ე ბალღები თავთავიანთ მშობლებს დროულად თუ არ მივგვარე, თავს შევირცხვენ და ეგ იქნება, – მოიბოდიშა ბებიკო ნაილმა სოფლურ კილოზე და გემრიელი სადილის შემდეგ ეზოში სანავარდოდ გაჭრილ ბავშვებს უხმო.

საბამ ჯადოსნური აბგა მოიკითხა, არ დაგვრჩესო, მაგრამ თვალი ვერსად მოჰკრა. ნანო ცოტა ხნით სამზადში გაუჩინარდა და იქიდან პირთამდე გატენილი ზურგჩანთა მოუტანა სტუმრებს.

– ეს რა არის, ხომ დავაცარიელეთ და... თავისით აივსო? – გაიკვირვა საბამ. აბგა სიმინდის ტაროებით, ახლადშემოსული თხილითა და ნარჩევი ხილით იყო გატენილი.

– იქნებ შინ ისიამოვნოთ, გენაცვალე, ჩვენი მოწეულიც ხომ ვიღაცამ უნდა გასინჯოს.

– ხომ გითხარით, ჯადოსნური აბგაა-მეთქი, –

მრავალმნიშვნელოვნად გაუღიმა ბავშვებს ბებიკო ნაილმა, მასპინძელს მადლობა გადაუხადა და ჩანთა ჩამოართვა.

– აბა, თქვენ იცით, აღარ დაგვივიწყოთ! - კარებამდე მიაცილეს სტუმრები მოხუცებმა.

– თქვენც უნდა დამპირდეთ, რომ, რაც გითხარით, არ დაივიწყებთ, – უთხრა დაშვიდობებისას ბებიკო ნაილმა.

– არის, უფროსო! – ორივეს მაგივრად პირობა მისცა ვანომ.

მანამდე იდგნენ მოხუცები ეზოს გამოღებულ კარში, სანამ მგზავრები თვალს არ მიეფარნენ.

– იფ, რა მშვენიერი დღე იყო, არა? – თქვა ვანომ, წელში სიფრთხილით გაიმართა და თავის არემარეს ბედნიერი მზერა მოავლო. – თვალებში შუქი მომემატა თუ მართლა ზღაპრულად ლამაზია აქაობა, ჰა?

ამბავი მზეთუნახავისა
და მასზე შეყვარებული ჭაბუკისა

უმიზეზოდ გაავებულმა ქარმა საწვიმარი ღრუბლები გამოირეკა და დასასჯელად პატარა ქალაქის თავზე შეყარა. მათაც, ქართან რომ ვერაფერს გახდნენ, მოაღეს პირი და ცრემლებად დაიღვარნენ. თქეშმა წალეკა ქალაქის ქუჩები. ბებიკო ნაილი ფანჯარასთან იჯდა და წვიმის ხმაურს უცნაურ სიმღერას აყოლებდა:

– მე ახლა ხმაური მენატრება
ხმაურში ვიგრძნობდი ნეტარებას...
მიწა ცას სიმშვიდეს ევედრება...
ხმაურს არაფერი შეედრება...
ხმაური, ხმაური მენატრება,
ვხმაურობ, ხმაური მენატრება...

მისი სიმღერა ვერანაირი ჟანრის ჩარჩოებში ვერ ჯდებოდა: ხან ჯაზის რიტმები იმძლავრებდა, ხან როკის, შიგადაშიგ საგალობელივით დატკბებოდა ხოლმე. ბებიკო ნაილს ასე მოსწონდა და ვერავინ დაუშლიდა. მასა და წვიმას მშვენივრად ესმოდათ ერთმანეთის, არც სხვა მსმენელი სჭირდებოდათ. ბებიკო ნაილის პაწაწა სახლი თითქოს უზარმაზარი ოკეანის ტალღებზე ირწეოდა, ირგვლივ წყალი იყო, მხოლოდ წყალი და ისიც, ამ უზარმაზარი წყლის ნებას მინდობილი, თავს ბავშვივით უმწეოდ, თან უზრუნ-ველად გრძნობდა.

ამ უცნაური კონცერტის მერე, დახარჯული ძალების აღსადგენად, ბებიკო ნაილმა ჩაის მომზადება გადაწყვიტა. ის-ის იყო, ჩაიდანი ქურაზე შემოდგა, რომ გარედან რაღაც ხმაური შემოესმა. კარი გამოაღო, რა ხდებაო და, გინდ დაიჯერე, გინდ არა, ეზოში

ნამდვილი მზეთუნახავი დაინახა. პეპლის ფრთასავით ლამაზი კაბა და გრძელი, ოქროსფერი თმა ერთიანად დასველებოდა, იდგა ეზოში მკლავებჩამოყრილი და თავშესაფარს ითხოვდა.

ბებიკო ნაილი წვიმას არ დაერიდა, საფეხურები სწრაფად ჩაირბინა, გოგონას ხელი ჩაჰკიდა და შინ შეიყვანა.

– ღმერთო ჩემო, როგორ გალუმპულხარ, – უთხრა, როცა მის ფეხებთან გუბედ დამდგარი წყალი დაინახა. კარადიდან უზარმაზარი, ფუმფულა პირსახოცი გამოიღო და გოგონა თავფეხიანად შიგ გაახვია. – გაიმშრალე, მთლად დარწმუნებული არ ვარ, რომ მზეთუნახავებს ფილტვების ანთება არ ემართებათ, – და როცა დაინახა, გოგონა ხელის განძრევას არ აპირებსო, თვითონ შეუშრო თმა და სააბაზანოს ხალათიც გამოუძებნა სველი ტანსაცმლის გამოსაცვლელად.

როცა საბოლოოდ გააშრო და ჩაათბუნა, მერეღა შეამჩნია, მზეთუნახავს მთელი ამ ხნის განმავლობაში სიტყვაც არ უთქვამს, ხის თოჯინასავით უსიცოცხლოდ, დუმილით ემორჩილებოდა. მხოლოდ მისი სევდიანი, თითქოს კარგად ნაცნობი, თვალები ამბობდნენ, რომ რაღაც უჭირდა.

– მე შენ ადრეც მინახიხარ, არა? – ჩაეკითხა ბებიკო ნაილი. მზეთუნახავმა დასტურის ნიშნად თავი დაუქნია და თვალებში დაუპატიჟებელი ცრემლი ჩაუდგა.

– ნეტა, ასე რამ გამომაშტერა! – ხელი ხელს შემოჰკრა ბებიკო ნაილმა. – "წვიმაში უფრო ლამაზი ხარ და, საერთოდ, რაც გაგიცანი, იმის მერე სულ ლამაზდები და ლამაზდები”... დიახ, დიახ, ამას სიკვდილიც ვერ დამავიწყებს!

ამის თქმა იყო და მზეთუნახავის ლამაზ თვალებს ცრემლის ნამდვილი ნიაღვარი მოაწყდა. ახლა შიგნითაც ისევე წვიმდა, როგორც გარეთ. გოგონა ცრემლებს ვეღარაფრით აკავებდა, გულამოსკვნილი სლუკუნებდა და სლუკუნებდა.

– თუ დროზე არ გადაიღო, წარღვნა არ აგვცდება, – ივარაუდა ბებიკო ნაილმა.

– წარ-ღვნა უკ-ვე ი-ყო... ყვე-ლა-ფერი დამ-თავ-რდა, ყვე-ლა-ფერი, – როგორც იქნა, ხმა ამოიღო და სლუკუნ-სლუკუნით განაცხადა მზეთუნახავმა.

– კარგი ერთი, – ჩაიღიმა ბებიკო ნაილმა, – მსმენია ეგეთები. ჩვიდმეტი წლის თუ ხარ, ცაზე გამოჩენილი ერთი ფთილა ღრუბელი ქვეყნიერების დასასრულის მომასწავებელი გგონია, მაგრამ, როგორც არ უნდა ეცადო, მე ამაში ვერ დამარწმუნებ. მოდი, ასე მოვიქცეთ: ცოტა დამშვიდდი, ჟასმინის ცხელი ჩაი დავლიოთ და ერთად გავარკვიოთ, როგორ დავაღწიოთ თავი სტიქიურ უბედურებას.

გოგონას სველი თვალებიდან მზემ მოკრძალებით გამოიხედა, ცრემლი შეუშრო. ბებიკო ნაილმა ჩაი გაამზადა და სტუმარს მიართვა. მზეთუნახავმა ცხელ ფინჯანს ფერმკრთალი თითები შემოაჭდო, სახე კი ჟასმინის დამამშვიდებელი არომატით გაჯერებულ ორთქლს მიუშვირა.

– ვიცოდი, მხოლოდ თქვენი ნახვა მიშველიდა, – სცადა ცრემლებშორის გაეღიმა. – მაშინ ისეთი ბედნიერი დღე გვაჩუქეთ...

– თქვენ კი – ისეთი ბედნიერი საღამო. ვერც წარმოიდგენ, როგორ გამახარა შინდაბრუნებული სამზარეულოს მაგიდაზე ნაპოვნმა წერილმა, შეყვარებულთან ერთად რომ ირწმუნებოდი, ბედნიერების ქვეყანაში გავემგზავრეთო. ხომ კარგად მახსოვს?

– ჰო, ეგ ყველაფერი დიდი ხნის წინ იყო... – სახე ისევ სატირლად მოექცა გოგონას.

– კარგი, კარგი, არ იტირო... მერე რაღა მოხდა?

– მი...ღა...ლა...ტაააა.

– ვერ დავიჯერებ! – გულწრფელად გაიოცა ბებიკო ნაილმა.

– ჰო... ასეა... ჩემმა დაქალმა დაინახა შემთხვევით, ბარში სხვა გოგოსთან ერთობოდა. წამდაუწუმ ეხვეოდა და თავს ისეთი ბედნიერი დასტრიალებდა, გარშემო ვეღარავის ამჩნევდაო. ალბათ იმასაც სიყვარულს ეფიცებოდა ისე, როგორც მე... ვერასოდეს ვიფიქრებდი, ჩემი ან, საერთოდ, ვინმეს მოტყუება თუ შეეძლო. სხვანაირი მეგონა, სულ სხვანაირი, – გოგონამ მკერდზე ხელები ისე მიიჭირა, თითქოს უნდა, გულის ტკივილი რამენაირად შეაჩეროსო. ცრემლები თავისით, ყოველგვარი ნებართვის გარეშე, მოედინებოდა პრიალა ვარდისფერ, მთლად ბავშვურ ლოყებზე.

– ერთი ზღაპარი გამახსენდა. იმ ზღაპრის გმირი, შენსავით, სხვების მონაყოლს ენდო და კინაღამ ყველაფერი დაღუპა. რასაც საკუთარი თვალით არ ნახავ, იმის დაჯერება არ შეიძლება, – თავისი ვარაუდი გამოთქვა ბებიკო ნაილმა.

– საკუთარი თვალისა რა გითხრათ, მაგრამ საკუთარი ყურით მოვისმინე... ამ დილით დამირეკა, გადავწყვიტე სამი წლით სხვა ქვეყანაში წავიდე... სასწავლებლადო. გესმით? პირდაპირ ვერ მითხრა, რომ აღარ ვუყვარვარ.

– მოიცა, მოიცა, – გააპროტესტა ბებიკო ნაილმა. – მოდი, ყველაფერს ერთმანეთში ნუ ავურევთ. ადამიანს თუ სწავლა სწყურია, სულაც არ ნიშნავს, რომ ღალატი ჩაიფიქრა.

– სამი წლით? რას ამბობთ, ეს ხომ მთელი საუკუნეა! – მზეთუნახავს კვლავ ღაპაღუპით წამოსცვივდა ცრემლები.

– კარგი ერთი... საქმე თუ მარადიულ სიყვარულთან გვაქვს, სამი წელი რა სათვალავში ჩასაგდებია! სამი წლის შემდეგ აღარ გეყვარება?

– ნეტა, არც არასოდეს შემყვარებოდა... მატყუარა!

– მგონი, აღარც გიყვარს...

გოგონამ არაფერი უპასუხა.

– გასაგებია, – მრავალმნიშვნელოვნად ჩაილა-პარაკა ბებიკო ნაილმა. – ჰოდა, თუ გიყვარს, ნურც ნურაფრისა გეშინია.

– თუ აღარ ვუყვარვარ? – გოგონას თვალები ჩაუმუქდა.

– იცი, გულწრფელად რომ გითხრა, ვიღაც თუ ნამდვილად გიყვარს, იმის უფლებაც უნდა მისცე, ვინც უნდა, ის უყვარდეს.

– ჩვენ ხომ ერთმანეთს შევპირდით, რომ მთელი სიცოცხლე... – გოგონას ისევ ქვითინი აუვარდა და წინადადების დამთავრება ვეღარ შეძლო.

– SOOOS! ვიძირებით! – შეშფოთების გამოხატვა სცადა მოხუცმა. – ესე იგი შეჰპირდით, არა? უნდა გამოგიტყდე, ვერასდროს ვხვდებოდი, მაინც რისთვის დებენ ამ პირობებს. როცა ადამიანებს ერთმანეთი უყვართ, პირობა და ხელშეკრულება რაღა საჭიროა, თუ არ უყვართ და პირობის შესრულებას რა აზრი აქვს? ვერაფერი გავიგე, ვერაფერი... როგორც ჩანს, გვარიანად ჩამოვრჩი. მაგრამ, მგონი, ჯერ არ დაგვიმტკიცებია, რომ შენს რაინდს არ უყვარხარ... განა შეიძლება, ასეთი მშვენიერი ვინმეს არ უყვარდე?! – ალერსით შეათვალიერა მზეთუნახავი, – თუმცა სიმართლე უნდა

ითქვას, ცოტა წითელი ცხვირი კი გაქვს, – დაამატა მერე სიცილით და ტირილისგან დასიებულ ცხვირზე საჩვენებელი თითი წაჰკრა.

გოგონას გაეცინა. სიცილისას ორივე ლოყა ეჩხვლიტებოდა და ძალიან საყვარელი იყო.

– მერე, მერე შენ რა უთხარი? – ნიკაპქვეშ ხელისგული ამოიდო და დაწყებული ამბის გაგრძელება მოითხოვა ბებიკო ნაილმა.

– რა უნდა მეთქვა?! ვუთხარი, რომ მიზეზების ძებნა საჭირო არ არის, შეუძლია, პირდაპირ მითხრას, რომ აღარ ვუყვარვარ, რომ ყველაფერი ვიცი... ვიცი, როგორ ხვდება სხვა გოგოს, რომ უსინდისო მატყუარაა და გადავწყვიტე, დავივიწყო.

– მერე?

– მერე… ყურმილი დავუკიდე.

– მოიცა! იქნებ რისი თქმა უნდოდა! – ხელის აწევით გააპროტესტა ბებიკო ნაილმა.

– ტყუილების მოსმენა რაღა საჭიროა, ჯობს, დავშორდეთ და ყველაფერი ერთბაშად მორჩეს.

– და, შენი აზრით, ახლა ყველაფერი მორჩა? – თვალები მრავლისმთქმელად მოჭუტა მოხუცმა. – ასე, უცაბედად, შეიძლება საპნის ბუშტი გასკდეს. სიყვარულს კი, ნამდვილად ვიცი, ვერ გააჩუმებ.

– გავაჩუმებ, – ჯიუტად ჩაილაპარაკა გოგონამ.

– რაკიღა შენ იტყვი! – გაეცინა ბებიკო ნაილს. – სწორედაც, პირიქით: როცა სიყვარული ალაპარაკდება, ადამიანები ჩუმად უნდა ვიყოთ და, საერთოდაც, ტყუილად დარდობ, მზეთუნახავო. საიდუმლოდ გეტყვი: ვისაც სიყვარული შეუძლია, ის ადამიანი მაშინვე ზღაპარში ხვდება, იქ კი, მოგეხსენება, ყველაფერი კარგად მთავრდება. ახლა გგონია, რომ სიყვარული გტანჯავს, სინამდვილეში, ეჭვი და ბრაზი

არ გაძლევს მოსვენებას. აბა, წარმოიდგინე: განა ბედნიერი იქნები, თუ შენი რაინდი საწადელს ვერ ეწევა, სწავლაში ხელი შეეშლება ან, კიდევ უარესი, არ ეყვარები და შენთან დარჩება, მხოლოდ იმიტომ, რომ პირობა მოგცა?

– არა, ეგ არ მინდა, – თავი დარწმუნებით გააქნია გოგონამ.

– ჰოდა, ძალიანაც კარგი: თუ წასვლა უნდა, გაუშვი, წავიდეს.

– მართალია, – ოხვრას გული ამოაყოლა მზეთუ-ნახავმა, – ვერ ავიტან, უბედური იყოს.

– აი, ახლა კი ნამდვილად ვიცი, შენგან შორს ვერ წავა. – შვებით ამოისუნთქა ბებიკო ნაილმა. – ღამის პეპელას სინათლე იზიდავს, მზესუმზირას – მზე, ადამიანს – სიყვარული. ეს ამბავი პირველ ზღაპარზე უფრო ძველია.

– არ ვიცი, რა ვქნა.

– მოგცლია შენც... სიყვარული თვითონ გასწავ-ლის, როგორ მოიქცე. ახლა კი პატივი დამდე: გაიღიმე, პირი დაიბანე და სარკეში ჩაიხედე. გარწმუნებ, იქ ნამდვილ დედოფალს დაინახავ, რომლის წყალობასაც ერთგულ რაინდთა მთელი არმია ელოდება, – ბებიკო ნაილმა გამამხნევებლად გაუღიმა და გოგონა სააბაზანოს კარამდე მიაცილა.

ოთახში შემობრუნებულს კარზე კაკუნის ხმა მოესმა. ასეთ თავსხმაში, ნეტავ, კიდევ ვის გავახსენდიო, გაიფიქრა გაოცებულმა, მერე კარები გამოაღო და სიხარულისგან კინაღამ შეჰყვირა: კარის ზღურბლზე, უპატრონო ლეკვივით გაწუწული, მზეთუნახავის რჩეული იდგა.

– მობრძანდით, გელით, გაშლილი ხელით! – სიტყვის თქმა არ აცალა ბებიკო ნაილმა, ღრმა

რევერანსი გაუკეთა და სიცილით შემოუძღვა ოთახში. – გელოდი და არც გელოდი...

– გახსოვართ? – მორიდებით იკითხა ბიჭმა.

– მახსოვხარ, მახსოვხარ, – დაამშვიდა ბებიკო ნაილმა, – ჩემი ასაკის კვალობაზე, ისეთ რაღაცებს ვიმახსოვრებ, გაგიკვირდება პირდაპირ. ერთ-ორ შენისთანას ნამდვილად ვაჯობებ.

– უბრალოდ, არ ვიცოდი, ვისთან წავსულიყავი... თქვენ კი... თქვენ საოცარი ადამიანი ხართ...

– არ დაიჯერებ და – ცოტა გულთმისანიც: ზუსტად ვიცი, ჩემი თავი რამ გაგახსენა.

– იცით? – აშკარად არ ელოდა ბიჭი.

– აბა, რა... გაანაწყენე მზეთუნახავი და ახლა ვერ მიმხვდარხარ, როგორ შეურიგდე.

– გეფიცებით, მისი წყენა აზრადაც არ მომსვლია, – გულზე ხელი მიიდო ბიჭმა. – ვიღაც ჭორიკანებს უჯერებს, მე კი სიტყვის თქმაც არ მაცალა. ბარში, სტუმრად ჩამოსულ, ნათესავ გოგონასთან ერთად ვიყავი, დასავით მყავს, მას კი ამბავი მიუტანეს... ხომ გესმით?

– მესმის... – გული გაუკეთა ბებიკო ნაილმა.

– სხვებს უჯერებს... ჩემში კი ეჭვი შეეპარა. მეგონა, ყველაზე უკეთესად მიცნობდა... მენდობოდა.

– მარტო ეგ არის? – გამომცდელად მიაჩერდა ბებიკო ნაილი და ფანჯარაში გაიხედა. – ცაზე ღრუბლების განლაგება მამცნობს, რომ შორს წასვლა გადაგიწყვეტია... აბა, ამაზე რაღას იტყვი გულის გასახარს?

– ეგეც იცით? – გაიკვირვა ბიჭმა. – წასვლა იმიტომ გადავწყვიტე, რომ აუცილებელი განათლება მივიღო. აქ ამის საშუალება არ არსებობს. მე კი მინდა,

ჩემს საქმეში ყველაზე უკეთესი ვიყო და ის, ვინც მიყვარს, ჩემით ამაყობდეს. სწავლას რომ მოვრჩები, ჩვენს ქალაქში კარგ სამსახურს მთავაზობენ. მერე ოჯახის შექმნაც შეგვეძლება. მინდა, ჩემი სიყვარული დავუმტკიცო, მასზე ვიზრუნო, ის კი... მე რა, არ გამიჭირდება მის გარეშე? ალბათ არ ვუყვარვარ, თორემ სამი წელი კი არა, მთელი ცხოვრება დამელოდებოდა... არც კი მომისმინა... თქვენ რომ დამეხმარებოდეთ და ყველაფერს აუხსნიდეთ...

– სიამოვნებით დაგეხმარებოდი, მაგრამ... უარის თქმა მომიწევს, – ხელები უმწეოდ გაშალა ბებიკო ნაილმა და როცა ბიჭის იმედგაცრუება დაინახა, სასწრაფოდ დაამატა: – იმიტომ, რომ აჯობებს, ყველაფერი თვითონ აუხსნა, როცა... პირს დაიბანს. მზეთუნახავო, რას შვრები ამდენ ხანს? – გასძახა მერე კარს უკან მდგომ გოგონას.

ბიჭი შეცბა, მაგრამ, როცა ოთახში მზეთუნახავი შემოვიდა, სახე ერთბაშად გაუნათდა და ფეხზე წამოიჭრა.

– შენც აქ მოხვედი?!

მზეთუნახავი ღრუბლებგადაყრილი მზესავით ანათებდა.

– იმედი მქონდა, კიდევ ერთი სასწაული მოხდება-მეთქი... შენც ასე იფიქრე?

– მეც, – გამოტყდა ბიჭი.

– ხედავ, როგორი ჭკვიანები ხართ?! – შეაქო ორივე ბებიკო ნაილმა, – რაც არ უნდა იყოს, ადამიანმა ზღაპარში მიმავალი გზა არ უნდა დაივიწყოს და აუცილებლად გამოიდარებს. ავდარში კი ყოველთვის შეგიძლიათ ბებიკო ნაილთან შეაფაროთ თავი. მან კარგად იცის, რომ თავსხმა, ადრე თუ გვიან, აუცილებლად გადაიღებს, ქარიშხალი ჩადგება, ღამე

გათენდება... რატომღაც ასეთი უბრალო რაღაცები ყველას ავიწყდება ხოლმე, თანაც, ყველაზე უფრო საჭირო დროს. მე კი, თუმცა ბევრს მეტისმეტად დაბნეულად მივაჩნივარ, აუცილებელ რამეებს ძალიან კარგადაც ვიმახსოვრებ... ასე არ გამოდის? – ამას უკვე წვიმის წვეთებს ეკითხებოდა სამზარეულოს ფანჯარასთან განმარტოებული და ღრმად დარწმუნებული იმაში, რომ შეყვარებულებს, თუ მათ ერთმანეთს თვალებში ჩახედეს, სხვისი დახმარება აღარ დასჭირდებათ, აუცილებლად გაიგნებენ გზას ბედნიერებისკენ.

ამბავი დედაშვილობისა

– დეიდა ნაზი, მგონი, ეზოს კარზე ვიღაც აკაკუნებს, - ანანომ წიგნის თვალიერება შეწყვიტა და თავის ფიქრებში გართულ დეიდა ნაზის გადახედა. მას არაფერი უპასუხია, ფიქრებში გართულს სახელოები იდაყვებამდე დაეკაპიწებინა და ფქვილში ამოგანგლული ღონიერი ხელებით ცომს მაგიდაზე აბრტყელებდა.

– დეიდა ნაზი, არ გესმის? - გაუმეორა კითხვა ანანომ.

– ჰა?.. ხომ ხედავ, არ მცალია! გახედე ერთი, ვინ უნდა იყოს.

ანანო სამზარეულოს სკამიდან ჩამოხტა. კაკუნი ამჯერად სახლის შემოსასვლელიდან მოისმოდა. გოგონამ კარი გამოაღო. ზღურბლთან, ბეჭებში სიბე-რისგან მოხრილი, ჭაღარათმიანი ქალი იდგა. მზესუმზირის გამყიდველი! ანანო იცნობდა ამ მარტოხელა მოხუცს. არაერთხელ ენახა. ზამთარ-ზაფხულ, წიგნების მაღაზიის გვერდით, პაწაწინა, უზურგო სკამზე იჯდა ხოლმე. წინ მზესუმზირითა და ძველი გაზეთების ნახევებისგან დამზადებული პაკეტებით სავსე დიდი ქვაბი ედგა და მინის პაწაწინა ჭიქით ყიდდა მოხალულ მზესუმზირას.

– ბოდიშს ვიხდი, შვილო, აბა, ერთი, დედას ჰკითხე, ცარიელი ბოთლები და ძველი ტანსაცმელი ხომ არ გექნებათ გასაჩუქებელი.

– დეიდა ნაზი, ბოთლები და ძველი ტანსცმელი ხომ არ გექნებათო! – გასძახა ანანომ დეიდა ნაზის. როგორც წესი, სახლის კარზე რაიმეს სათხოვნელად მოსულ მოხუცებს არასოდეს უშვებდნენ ხელცარიელს.

დედა ყოველთვის გამოუნახავდა ხოლმე იმას, რასაც სთხოვდნენ, თუ არა და, ცოტა ფულს სჩუქნიდა.

– აღარ მოგასვენებენ, რა! – ბრაზიანად წაიდუდღუნა დეიდა ნაზიმ და ხელების წმენდით სამზარეულოდან გამოვიდა.

– შეგაწუხეთ, მგონი... – მოიბოდიშა შეცბუნებულმა მზესუმზირის გამყიდველმა.

დეიდა ნაზი სტუმრის ხმის გაგონებაზე შეხტა, ხელის საწმენდი ტილო ძირს დაუვარდა და მონუსხულივით ერთ ადგილზე გაშეშდა. წუთით უსიტყვოდ შეჰყურებდა მზესუმზირის გამყიდველს, მერე კი, ასევე, ხმისამოუღებლად შებრუნდა და სამზარეულოს მიაშურა. ანანო უკან გაჰყვა, ბოთლების ჩალაგებაში მივეხმარებიო, მაგრამ დეიდა ნაზის მეტად უჩვეულო მდგომარეობაში წაადგა თავს: მაგიდაზე მთელი ტანით დაყრდნობილი მძიმედ სუნთქავდა, სახე ერთიანად გადაფითრებოდა, შუბლზე ოფლის წვეთები ასხდა, ტუჩები კი ნერვიულად უცახცახებდა.

– დეიდა ნაზი!

ანანომ იფიქრა, ცუდად გახდაო, ჭიქაში სასწრაფოდ ცივი წყალი ჩამოასხა და გაუწოდა. ფილმში ენახა, როგორ მოქმედებენ მსგავს შემ-თხვევებში. დეიდა ნაზიმ ჭიქა აკანკალებული ხელით ჩამოართვა, შესაბრალისი თვალებით შეხედა და ნაწყვეტ-ნაწყვეტი ჩურჩულით შეევედრა:

– წავიდეს.... უთხარი, წავიდეს... და... აქ აღარასდროს მოვიდეს.

ანანოს წარმოდგენაც არ შეეძლო, რატომ უნდა შინებოდა, მთლად უმწეო მზესუმზირის გამყიდველი ქალის, ვაჟკაცივით ღონიერსა და გულმაგარ დეიდა ნაზის. თუმცა მიხვდა, მისთვის სიტყვის შებრუნება უადგილო იქნებოდა. ამიტომ მორჩილად გაემართა

დავალების შესასრულებლად. თან იმის მოფიქრებას ცდილობდა, როგორ აეხსნა მოხუცისთვის ყველაფერი ისე, რომ ძალიან არ სწყენოდა, მაგრამ იგი ადგილზე აღარ დახვდა. როგორც ჩანს, ასეთი დახვედრა არ მოეწონა. აბა, რა მოსაწონი იყო!

ანანო უკან შებრუნდა. უკვე წასულაო, მოახსენა დეიდა ნაზის, რომელიც ისევ ვერხვის ფოთოლივით ცახცახებდა და ქაღალდის ხელსახოცით გამალებით იწმენდდა შუბლიდან ოფლს. რატომ არ მოგეწონა მზესუმზირის გამყიდვლის სტუმრობაო, ძალიან უნდოდა, ეკითხა ანანოს, მაგრამ გამოცდილებით იცოდა, დეიდა ნაზი ასე ადვილად არ დაუკმაყოფილებდა ცნობისმოყვარეობას, ამიტომ გაჩუმება არჩია და უხმაუროდ ჩამოჯდა მის სიახლოვეს.

– ბოროტი! სასტიკი! უგულო! მოღალატე! – გაღვიძებული ვულკანივით აფეთქდა უცებ დეიდა ნაზი და ავტომატივით მიაყარა ერთმანეთზე უფრო საშინელი და ბრაზიანი სიტყვების ჯერი. – თვალშიც რომ მეჩხირება და არ მასვენებს! ხომ მიმაგდე და დამივიწყე, ქალბატონო... ხომ გამიმეტე?! ხომ კმაყოფილი ხარ შენი საქციელით?! ხომ არაფერს ნანობ?! ხომ არაფერს... – აქ ხმა ჩაუწყდა და მოჭარბებული მღელვარებისგან ხველება აუვარდა.

ანანომ ისევ იყოჩაღა და წყლიანი ჭიქა გაუწოდა, მაგრამ ამჯერად დეიდა ნაზის მისთვის ზედაც არ დაუხედავს.

– იცი, ვინაა ეს ქალბატონი?! – ანთებული თვალები მიაშტერა ანანოს, პასუხის მოლოდინში, რომლის მიღების იმედიც, ცხადია, არაფრით არ უნდა ჰქონოდა. ცოტა ხანს იყოყმანა და მერე თვითონვე გადაწყვიტა, აეხსნა. – ქალი, რომელმაც დაბადებისთანავე უარი თქვა ჩემზე, ბრმა კატის

კნუტივით მომიშორა და დამივიწყა. არავინ არ მოინდომა უსუსური კნუტის სახლში წაყვანა, გათბობა, დაპურება... ან ვის რად უნდოდა, თუ დედასაც კი არაფერში სჭირდებოდა! იმაზეც მადლობა, რომ მთლად ქუჩაში არ მომისროლეს. უპატრონო ბავშვებისთვის ერთი დიდი სახლი არსებობს, გაგიგონია? ჩვეულებრივი სახლი კი არაა... თავ-შესაფარი! იცი, რა არის თავშესაფარი? ეს ის ადგილია, სადაც არც ცეცხლი გათბობს, არც საჭმელი განაყრებს, არც საჩუქარი გახარებს... კარის ყოველ გაჭრიალებაზე გგონია, რომ მას დედა შემოაღებს, დე-და-შენი! რომელსაც ისევე ენატრები, როგორც შენ გენატრება, ხელს ჩაგკიდებს, თავისთან წაგიყვანს. მერე გადის დღეები, წლები და ხვდები, კარი მხოლოდ იმიტომ იღება, რომ კიდევ ერთხელ გეტკინოს გული. არა, ამას არასოდეს ვაპატიებ, ა-რა-სო-დეს! მოვძებნე, იმ სიშორიდან მოვძებნე და ჩამოვედი... მინდოდა, დამენახა... დავრწმუნებულიყავი, რომ ცოცხალია... ცოცხალია, მაგრამ არაფერში არ ვჭირდები!

დეიდა ნაზი მუშტებს მკერდში იბაგუნებდა და ცრემლებად იღვრებოდა:

– მე მჭირდები, მე... შე ქვისგულა! მინდა, მოგიარო, გულში ჩაგიკრა, ყველაფერი გაპატიო და არ შემიძლია... არ შემიძლია... ვერასოდეს მოვალ შენთან, ვერასოდეს გეტყვი ამ ყველაფერს! ვერასოდეს... იმიტომ, რომ ერთხელ უკვე გამიმეტე... ბრმა კატის კნუტივით მომიშორე... გადამაგდე... რატომ არ გჭირდები, რატომ... დედაააა!!!

დეიდა ნაზიმ, თავი მხრებში ჩამალა და პატარა ბავშვივით ხმამაღლა, გულამოსკვნით აქვითინდა.

***

– მაშ, თავშესაფარიო, არა? მიმატოვა და მოვძებნეო... შენთან მოსვლა არ შემიძლიაო... – იმეორებდა თავისთვის ბებიკო ნაილი და თვალები სულ უფრო და უფრო უბრწყინავდა.

– არ ვიცოდი, სხვების უბედურება ასეთ კარგ ხასიათზე თუ გაყენებდა, თორემ სულ ერთმანეთზე საშინელ და ნაღვლიან ამბებს მოგიყვებოდი, – ცერად გამოხედა საბამ მოხუცს და ტანსაცმლის თაროს მოხერხებულად მიაჭედა ლურსმანი იმ ადგილას, ბებიკო ნაილმა რომ მიუთითა. ანანოც გაკვირვებული შეჰყურებდა, ნეტა, ასე რამ გაახარაო.

– იჰ, რა გესმით?! რაც უფრო ჩახლართულია ამბავი, მით უკეთესი ზღაპარი გამოდის, საბოლოო ჯამში.

– შენ, რა... აპირებ, დეიდა ნაზი და მზესუმზირის გამყიდველი ქალი ზღაპარში მოხვედრაზე დაითანხმო? არა მგონია, მაგ საქმიდან რამე გამოვიდეს, - თავი დაუნდობლად გააქნია საბამ.

– პირდაპირი საუბარი, გეთანხმები, ადვილი არ იქნება, მაგრამ ასეთ შემთხვევებშიც შეიძლება რაღაცის მოფიქრება. მთავარია, ყველაფერი კარგად გავთვალო. მერე კი თქვენი დახმარება დამჭირდება. მგონი, ქალნაფოტა ზედგამოჭრილია ამ ამბისთვის... არ არის ცუდი აზრი... არა, ნამდვილად! მოიცა, იქნებ მზეთუნახავის ხერხმა აჯობოს... არა, ეგ არ ვარგა!

ბებიკო ნაილმა ცოტა ხანს კიდევ ითათბირა საკუთარ თავთან, მერე, ეტყობა, საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო და ბავშვები სამოქმედო გეგმის გასაცნობად სასადილო მაგიდასთან მიიწვია.

***

გეგმის მიხედვით, საბას ფხიზლად უნდა ედარაჯა, რომ ქუჩის დასაწყისში სახლის პატრონის გამოჩენა ლითონის ბოძზე ქვის სამი დარტყმით ეუწყებინა ბებიკო ნაილისა და ანანოსთვის, რომლებიც მანამდე, უკანა ეზოდან, ღობის მორყეული ფიცრის გადაწევით, მოხერხებულად შეაპარნენ მზესუმზირის გამყიდველი ქალის, ქოხივით პაწაწინა, სადგომში, სანახევროდ ჩამოქცეული ვიწრო შუშაბანდისა და ერთადერთი ოთახისგან რომ შედგებოდა.

შესასვლელი კარი, როგორც ბებიკო ნაილმა ივარაუდა, დაკეტილი არ აღმოჩნდა. მორყეულ სახელურზე გამობმული მავთული კედელში მიჭედებულ გრძელ ლურსმანზე გადაეხვიათ, ალბათ ქარს რომ არ შეეღო, ეგ იყო და ეგ. ბებიკო ნაილმა მავთული გამოხსნა და, ანანოსთან ერთად, ფეხაკრეფით შეიპარა შენობაში.

– ქურდებივით ვიქცევით, – შიშნარევი ვარაუდი გამოთქვა ანანომ, მაგრამ ბებიკო ნაილმა დაამშვიდა.

– ყველა წესიერი ქურდი სახლში იმიტომ შედის, რომ იქიდან რამე გაიტანოს, ჩვენ კი, ხედავ, რამდენი რამ მოვიტანეთ, – თქვა და ფანჯარასთან მიდგმულ მაგიდაზე პირთამდე სავსე პაკეტი შემოდო. მერე ანანოს საწოლის გადასაფარებლის გასწორება სთხოვა, თავად კი ცოცხი მოიძია და ოთახის დაგვას მიჰყო ხელი.

იატაკი რომ მოასუფთავა, თასში უწესრიგოდ ჩახვავებული ჭურჭელი დარეცხა, დაამშრალა და ლამაზად შემოაწყო ხის უბრალო თაროებზე. მერე მაგიდა კარგად გადაწმინდა, ლანგარზე ხილი ლამაზად გააწყო, ბოთლით ხილის ჩაციებული წვენი შემოდგა მაგიდაზე. ეზოში თავისით ამოსული

მინდვრის ყვავილებისგან სახელდახელოდ შეკრული თაიგული წყლიანი ჭიქით განჯინაზე შემოდო. საწოლის თავთან კი ბრჭყვიალა ქაღალდსა და ლენტებში შეფუთული, წინასწარ მომზადებული საჩუქარი დადო. საჩუქარი მან, ანანომ და საბამ ერთად შეარჩიეს – რბილი და ფუმფულა ხალათი, თავისივე ფერის საშინაო ჩუსტებთან ერთად.

მერე ჯიბიდან კალამი ამოიღო, უბის წიგნაკიდან ამოხეულ პატარა ფურცელზე „შენს შვილს უყვარხარ და ენატრები“ წააწერა, საჩუქარს თავზე დაადო და, ახლა კი, დროა, წავიდეთო, - თვალის ჩაკვრით ანიშნა ანანოს.

– რას აკეთებდით ამდენ ხანს, გავჭაღარავდი თქვენს ლოდინში, – უსაყვედურა საბამ, როცა ღობის მორყეული ფიცარი თავის ადგილას დააბრუნა და ყველაფერი უკან დარჩათ.

– 30 წუთი და 00 წამი, – საათი უჩვენა ბებიკო ნაილმა, – როგორც შეგპირდით, ყველაფერი ისე გავაკეთეთ.

– ახლა რა მოხდება? – იკითხა უჩვეულო თამაშით საბაზე არანაკლებ აღელვებულმა ანანომ.

– მაგას საბა გაარკვევს საღამოს. ფანჯარას ისეთი გამჭვირვალე ფარდა ჰქონია, სინათლეს რომ აანთებენ, უკანა ეზოს მხრიდან ყველაფერი გამოჩნდება, რაც ოთახში ხდება.

საბა ძალიან გაახარა იმ ამბავმა, ასეთი საპასუხისმგებლო საქმე – საღამოს დაზვერვა – მხოლოდ მას რომ ანდეს. მზვერავობანა მისი ერთ-ერთი საყვარელი თამაში იყო. ამიტომ ბებიკო ნაილს დავალების პირნათლად შესრულებასა და ამომწურავ ანგარიშს შეჰპირდა.

***

– ჯერ შეშინდა, ყველა კუთხე-კუნჭული მოათვალიერა, ოთახში ხომ არავინ იმალებაო. მერე საჩუქარი რომ ნახა და შენი წერილი წაიკითხა, კარგა ხანს ქანდაკებასავით გაუნძრევლად იჯდა ერთ ადგილზე. ვიფიქრე, დილამდე ასე იქნება-მეთქი, მაგრამ შემდეგ ბაწრით შეკრული ფოტოებისა და ქაღალდების შეკვრა გამოაძვრინა კარადიდან. რაღაცას ეძებდა, სულ გადაქექა. ბოლოს მაგიდასთან იჯდა და ტიროდა, – უყვებოდა საბა მეორე დღეს შეთქმულებს, რომლებმაც, გეგმის შემდგომი პუნქტის თანახმად, წიგნის მაღაზიის მონახულება გადაწყვიტეს.

– რაკი ტირის, ჩვენ რომ გვინდა, ყველაფერი ისე კარგადაა, – დარწმუნებით თქვა ბებიკო ნაილმა.

– აი, ავად თუ გახდება და მოკვდება, მაშინ ხომ სულ გადასარევად იქნება ყველაფერი! – ირონიულად შენიშნა საბამ.

– იტყვი ხოლმე, რა, მოხუცო! – დამანამუსებლად გადახედა ბებიკო ნაილმა. – ზოგჯერ ტირილი უფრო სასარგებლოა ჯანმრთელობისთვის, ვიდრე ყველა წამალი ერთად აღებული. დროა, გაერკვე ასეთ მარტივ და ელემენტარულ რამეებში.

– ოღონდ ბოლოში აუცილებლად გაიცინებს და ყველაფერი კარგად იქნება, ხომ, ბებიკო ნაილ? – გულის დასამშვიდებლად ჩაეკითხა ანანო.

– აბა, როგორ... ზღაპრის ბოლოს მხოლოდ ბოროტი და კუდიანი დედაბრები ტირიან. ასეთები კი, როგორც წესი, ძალიან იშვიათად მუშაობენ მზესუმზირის გამყიდვლად. ასე რომ, დარდი ნუ გექნება... ახლა კი, ჩუმად! წიგნების გარდა ყველა თემაზე გვეკრძალება საუბარი, – გააფრთხილა

ბავშვები, რადგან წიგნის მაღაზიის ლამაზ ვიტრინას მიადგნენ უკვე.

მართალია, დაკვირვებულ ადამიანში გარკვეულ ეჭვს თუ არა, გაკვირვებას მაინც გამოიწვევდა – საკმაოდ ასაკოვანი, სავარაუდოდ, პენსიონერი ქალი და ბავშვები ასე ძალიან რატომ უნდა ყოფილიყვნენ დაინტერესებული, მაინცდამაინც, იურისპრუდენციითა და ბუღალტერიით, მაგრამ შეთქმულთა სამეულმა, ახალი წიგნების გასაცნობად, სწორედ ამ განყოფილებებს მიაშურა, უფრო უკეთესად არსაიდან ჩანდა მზესუმზირის გამყიდველი ქალის პოსტი. წიგნების თვალიერებასთან ერთად კი, იმის დადგენაც მოახერხეს, რომ პოსტზე საგანგაშო არაფერი შეინიშნებოდა. თუ არ ჩავთვლით, რომ მოხუცებული ადრინდელზე ოდნავ უფრო მობუზული და ჩაფიქრებული მოეჩვენათ.

– ეს ყველაფერი წაკითხული გვაქვს, მოუთმენლად დაველოდებით ახალ გამოცემებს, – ბებიკო ნაილი გულითადი ღიმილით გამოემშვიდობა წიგნების მაღაზიის მომხიბლავ კონსულტანტს და ბავშვებს გასასვლელისკენ უბიძგა. – ბავშვებო, მზესუმზირა ხომ არ გინდათ? – ეს უკვე გარეთ, მზესუმზირის გამყიდველი ქალის გასაგონად, იყო ნათქვამი.

– არა, არა, დედამ გამაფრთხილა, არ ჭამო, ყელი აგტკივაო, – სულ დაიბნა უცებ ანანო. კიდევ კარგი, საბამ იყოჩაღა:

– გვინდა, გვინდა. ახალ მოხალულს ჰგავს, ვიყიდოთ, რა!

ბებიკო ნაილი მზესუმზირის გამყიდველს მიუახლოვდა და სთხოვა, ყველაზე დიდი პაკეტი

გაევსო მზესუმზირით, ამის კნაწაკნუწს არაფერი მირჩევნიაო.

მზესუმზირის გამყიდველს მათთვის არცკი შემოუხედავს, საჭირო პაკეტი ამოარჩია და უსიტყვოდ დაიწყო მინის ჭიქით მზესუმზირის ჩაყრა.

– უი, ეს რა არის? – ბებიკო ნაილი დაიხარა და წელში რომ გაიმართა, ხელში ლამაზი, სარეკლამო ღია ბარათი დაუნახეს. – ნწ, ნწ, ნწ, ეტყობა, ვიღაცას დაუვარდა და ვერ შენიშნა. თქვენ გქონდეთ და თუ ვინმემ მოაკითხა, გადაეცით, კარგი? – მიმართა მზესუმზირის გამყიდველ ქალს. მან მხრები გულგრილი გამომეტყველებით აიჩეჩა, ეტყობა, დიდ დანაკლისად არ მიაჩნდა ღია ბარათის დაკარგვა, მაგრამ მაინც გამოართვა ბებიკო ნაილს, კალთაზე დაიდო და მზესუმზირის ჩაყრა გააგრძელა. ბებიკო ნაილმა სავსე პაკეტი აიღო, ფული გადაუხადა და თავაზიანად დაემშვიდობა.

მზესუმზირის გამყიდველმა ქალმა ფული თუნუქის ქილაში ჩაუძახა და ღია ბარათს დახედა: ფოტოზე ლამაზი, ახალგაზრდა ქალი პატარა გოგონას ყვავილების გვირგვინს ადგამდა თავზე და უღიმოდა.

„აჩუქეთ პატარას თქვენთან გატარებული დაუვიწყარი დღე!“ – იუწყებოდა სარეკლამო ტექსტი.

ქალმა თავისდაუნებურად ამოიოხრა და ბარათი გადმოაბრუნა. უკანა მხარეს ხელით გაკეთებული წარწერა იყო. წერილს ჰგავდა ან... შეტყობინებას.

„წაიკითხე ეს შეტყობინება! გაინტერესებს, სადაა შენი პატარა გოგონა, რომელიც, ბედის უკუღმართობით, მრავალი წელია, არ გინახავს? თუ მასთან შეხვედრა ნამდვილად გინდა, ხვალ, საღამოს 7 საათზე...“

მზესუმზირის გამყიდველს ხელი უღონოდ ჩამოუვარდა, რამდენიმე წუთი დასჭირდა, სანამ აზრს მოიკრებდა და კითხვას ისევ გააგრძელებდა.

***

ბებიკო ნაილი, საბა და ანანო საბავშვო კაფეში გამაგრებულიყვნენ. წინ დიდი სანაყინე ფუჟერები ედგათ და გაფაციცებით გაჰყურებდნენ კაფის წინ წამომართულ ციხის ნანგრევს, რომელიც ქალაქის ერთ-ერთ მთავარ ღირსშესანიშნაობას წარმოადგენდა.

– რომ არ მოვიდეს მისამართის წასაღებად? – ხმამაღლა გამოთქვა საბამ ეჭვი, რომელიც ჩუმად თითოეულ მათგანს აწუხებდა.

– მაგ შემთხვევაში, ერთი რამ მაინც ზუსტად გვეცოდინება: არ უნდა შვილის ნახვა! – ტუჩი მოიკვნიტა ბებიკო ნაილმა.

– იქნებ იფიქროს, რომ ვიღაც ბოროტად ეხუმრება და ამიტომ არ მოვიდეს?

– ეგეც მაგას ნიშნავს: საკმარისად არ უნდა შვილის ნახვა. მორჩა და გათავდა!

– იქნებ შეეშინდეს?

– არც ეგ გამოდგება მიზეზად, როცა საქმე ძალიან სასურველ რამეს, მით უმეტეს, დიდი ხნის წინ დაკარგული შვილის პოვნას ეხება.

– ვაი, ბებიკო ნაილ, ისე ვნერვიულობ, ნაყინიც კი აღარ მინდა, – დაიჩივლა ანანომ.

მოლოდინმა მარტო ანანოს კი არა, სამივეს მადა დაუკარგა – ნაყინი მათი მოთმინებასავით თვალსა და ხელს შუა ილეოდა, მაგრამ პირს ვერცერთი აკარებდა,

მხოლოდ კოვზებს არაკუნებდნენ, დროის გასაყვანად, ფუჟერებში.

პირველად, ციხის ნანგრევთან, ნაცნობ სილუ-ეტს საბამ მოჰკრა თვალი და სკამიდან წამოიჭრა თვალებანთებული. ბებიკო ნაილმა სახელო მოქაჩა და უკანვე დასვა.

– არავითარი ზედმეტი ემოცია, თორემ გავიყიდეთ და ეგ არის. ლოქოსავით უმოძრაოდ და უხმაუროდ უნდა ვუთვალთვალოთ.

– რომ ვერ მიაგნოს? – ახალი ეჭვი გამოთქვა საბამ, – ხომ ყველაფერი გასაგებად დაუწერე?

– უფრო გასაგებად და დაწვრილებით რომ აღარ შეიძლება... ციხის აღმოსავლეთ ფერდობზე ქვის კიბეებს აუყვები, კიბის თავზე ვიწრო ბილიკია, გაჰყევი ბილიკს მარცხნივ და ძველი ეკლესიის შესასვლელთან მიგიყვანს. შესასვლელიდან მარჯვნივ, ზუსტად ოცდაათ ნაბიჯს გადათვლი და მაღალ ჭადრის ხეს დაინახავ. ჭადრის ხის ჩრდილოეთით, სამი მეტრის მოშორებით, თეთრი ქვა დევს, იმ ქვის ქვეშ – პატარა ხის კოლოფი, რომელშიც შენი შვილის მისამართს იპოვი.

– უფრო მარტივად არ შეიძლებოდა? ამდენი მარცხნივ-მარჯვნივ დააბნევს ადამიანს.

– არაფერის გესმის, რა... ამაზე მეტად გაიოლება აღარ შეიძლება. ჯერ ერთი, ზღაპარი საინტერესო აღარ გამოვა და, მეორეც, ზღაპრის გმირიც ხომ უნდა გაისარჯოს, რომ გაიმარჯვოს. მის საკეთებელს ჩვენ ვერ გავაკეთებთ, ასე უხეშად ჩარევის უფლებაც კი არა გვაქვს.

მართალს ამბობდა ბებიკო ნაილი – ადამიანი თუ თვითონ არაფერს აკეთებს ზღაპარში მოსახ-

ვედრად, ზღაპრის გმირობაზე რა ნამუსით უნდა ჰქონდეს პრეტენზია?!

მზესუმზირის გამყიდველმა ქალმა კი, როგორც ჩანს, რაც ევალებოდა, ყველაფერი ზედმიწევნით ზუსტად შეასრულა, ნახევარი საათის შემდეგ გამოჩნდა, ხელში ბებიკო ნაილის კოლოფით უკან მომავალი.

– ესეც ასეეე! – ბებიკო ნაილმა და ბავშვებმა რძედქცეული ნაყინი მაღლა აწიეს და ფუჟერები ერთმანეთს მიუჭახუნეს მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად.

– ხედავ, როგორი ჯიუტი გამოდგა ეს მოხუცი?! მართალიცაა... ჯიუტი თუ არ ხარ, ზღაპარში ვერ მოხვდები! – აღფრთოვანებას ვერ მალავდა ხასიათზე მოსული ბებიკო ნაილი.

***

– დეიდა ნაზი, არ გესმის, კარზე ვიღაცაა!

– ახლავე, ახლავე, – გასძახა გარეთ დეიდა ნაზიმ და კარის გასაღებად გაემართა.

კართან მზესუმზირის გამყიდველი ქალი იდგა.

– ნაზი... თქვენ ხართ? – იკითხა, სანამ დეიდა ნაზი რაიმეს ეტყოდა. მან ერთხანს იყოყმანა, მერე კი მოახერხა და თავი უსიტყვოდ დაუქნია.

– შვილო! – ჩურჩულით თქვა მოხუცმა.

ამ სიტყვის გაგონება იყო და კედელს მიყრდნობილი დეიდა ნაზი, თითქოს ერთბაშად დაპატარავდაო, იატაკზე ჩაიკეცა, თავი მუხლებში ჩამალა და, განაწყენებული პატარა ბავშვივით, გულსაკლავად აქვითინდა.

– შვილო... შვილო... შვილო... – თითქოს სხვა სიტყვები დაავიწყდაო, გაუჩერებლად იმეორებდა მოხუცი ქალი, დეიდა ნაზის თავზე დასგომოდა და აკანკალებულ, დაძარღვულ ხელს ალერსიანად უსვამდა თავზე.

***

– ასე თქვა, დედასთან გადავდივარ საცხოვ-რებლად, აქედან ახლოსაა მისი სახლი, ერთხელ იქნება, შენც წაგიყვანო. კინაღამ წამომცდა, ვიცი, სადაც ცხოვრობს-მეთქი, – კისკისებდა ანანო.

– რა დარდიანი ვინმე ყოფილა დეიდა ნაზი, ჩვენ კი ბრაზიანი გვეგონა, - თქვა პასუხად საბამ.

– ჰო, ახლა ისეთი ბრაზიანი აღარაა, სულ განაზდა.

– რა კარგია, რომ ყველაფერი კარგად დამ-თავრდა! რომ არ გამოგვსვლოდა, რა უნდა გვექნა, ბებიკო ნაილ? – კითხვით შეაჩერდა მოხუცს ბიჭი.

ბებიკო ნაილმა ყვავილების სარწყავი მიწაზე დადო, ჯერ თავისი ვარდის ბუჩქები შეათვალიერა გაბადრულმა, მერე საბას გამოხედა დაუფარავი გაოცებით და არც დაფიქრებულა, ისე უპასუხა:

– მაგის მიხვედრას რაღა უნდა?! – მოგვიწევდა სხვა რამის მოფიქრება. აბა, ზღაპარს უადგილო ადგილას ხომ არ გავწყვეტდით?!

ამბავი სიმდიდრისა და სიღარიბისა

– მამაჩემი კიდევ უმუშევარი დარჩა. სასკოლო ნივთებს რამენაირად გიყიდი, მაგრამ შარვლისა და ახალი ფეხსაცმლისთვის ფული ნამდვილად აღარ მეყოფაო, – თქვა საბამ და ფეხსაცმელს ამძვრალი ლანჩა მოუსინჯა.

საბა, ბებიკო ნაილი და ანანო ეზოში, ტოტებგაბარდული ხის ჩრდილქვეშ, ისხდნენ და ერთმანეთს ახალ ამბებს უყვებოდნენ.

– ჰო, ფეხსაცმელი ნამდვილად გამოსაცვლელია, შარვალიც დაგიმოკლდა, – შენიშნა ბებიკო ნაილმა.

– ნეტა, სამუშაოს შოვნა ყველას მამაჩემივით უჭირს?

– არაა. შენ ხასიათი თქვი, თორემ ზოგისთვის სამუშაოს შოვნა ისეთივე ადვილია, როგორც დილით პირის დაბანა, – „დაამშვიდა“ მოხუცმა.

– მამაჩემი არც ისეთი უხასიათოა, – იწყინა საბამ.

– არა, მაგას არ ვგულისხმობდი, – გაეცინა ბებიკო ნაილს, – უბრალოდ, ისეთი ხასიათი არ აქვს, როგორიც სჭირდება, ყველაფერი რომ ჰქონდეს.

– ყველაფრის ქონას ხასიათი კი არა, ფული სჭირდება, არ იცოდი? ფული თუ საკმარისად გაქვს, რასაც მოისურვებ, ყველაფერი გექნება.

– არაფერიც. ყველაფერი რომ გქონდეს, მდიდარი უნდა იყო.

– აბა, მე რა ვთქვი, ბებიკო ნაილ?! – მდიდარი უნდა იყო და ბევრი ფული გქონდეს-მეთქი.

– ეს ერთი და იგივე გგონია? რამდენ ადამიანსაც გინდა, იმდენს ვიცნობ, ფული რომ აქვს, მაგრამ მდიდარი არ არის.

– შენ ისეთებიც გეცოდინება, ფული რომ არა აქვთ და ძალიან მდიდრები არიან, – ნიშნისმოგებით გადახედა საბამ და თავისივე ნათქვამზე თვითონვე გაეცინა.

– გამოცანა გერგება, ეგეთებიც ბლომად შემხვედრია.

– ბებიკო ნაილ, უამრავი უცნაური ამბავი იცი, მაგრამ აი, ეგეთი რამე კი პირველად მესმის შენგან, – თავი გაკვირვებით გაიქნია საბამ.

– აბა, რა გგონია... მიკვირს, სკოლაში რატომ არ ასწავლიან ასეთ საჭირო რაღაცებს, მაგრამ თუ ჭკვიანად იქნებით, მე აგიხსნით, როგორ მოიქცეთ, რომ, რაც გინდათ, ყოველთვის ყველაფერი გქონდეთ, ყვე-ლა-ფე-რი!

ბავშვებმა ერთმანეთს გადახედეს.

– იმედია, მაგის სწავლა მათემატიკის ფორმულებზე ძნელი არ იქნება, – იჭვნეული ვარაუდი გამოთქვა საბამ.

– პირიქით, ძალიან ადვილია, ლექსად ერთი სტროფია სულ... მომისმინეთ!

ბებიკო ნაილი წამოდგა, იქვე მიგდებული ჯოხი აიღო, დირიჟორივით დაიქნია და ჯოხის ქნევას ააყოლა:

– უნდა იყო ის, ვინც გინდა, რომ იყო,
ისე უნდა მოიქცე, როგორც გინდა, მოიქცე
და გექნება ის, რაც გინდა რომ გქონდეს,
რინგინ დანგინ დინ, რინგინ დანგინ დოიცე.

გაგიმეოროთ?

ბებიკო ნაილმა ჯერ თვითონ გაიმეორა, შემდეგ კი მანამდე ამეორებინა ბავშვებს ეს უცნაური ლექსი, სანამ ყველა სიტყვა ზეპირად არ დაისწავლეს.

– უჰ, გული დავიმშვიდე, – თქვა ბოლოს და პირდაპირ ბალახებში ჩაჯდა. – თორემ არცკი ვიცი, რა გეშველებოდათ ამ ცოდნის გარეშე! ოქროთი სავსე ტომარა რომ გეპოვათ, მაინც ღარიბ-ღატაკები იქნე-ბოდით.

– მოიცა, მოიცა, შენ რომ ამდენი იცი, იმიტომაც ხარ მდიდარი, არა?! – მოხუცის გამოჭერა მოინდომა საბამ.

– სწორედ იმიტომ, – დაუდასტურა ბებიკო ნაილმა, – აბა, რა გეგონა?

– ესე იგი, შენ მდიდარი ხარ? – კიდევ ერთხელ ჩაეძია და დაეჭვებით მიმოიხედა გარშემო საბამ.

– და მერე როგორი! მეორეს, ამისთანას, იშვიათად თუ შეხვდები.

– მხოლოდ ზღაპრული სასახლე, მოსამსახუ-რეები და ოქროს ტახტიღა გაკლია, ეგ არის და ეგ, – გაეცინა საბას.

– ნეტა, მაგ ყველაფერს რა თავში ვიხლი?! – გულწრფელად გაიოცა ბებიკო ნაილმა. – ყველაფერი მაქვს, რაც მჭირდება.

„ისე, მართალია, – გაიფიქრა საბამ. – არასოდეს მინახავს, რაიმეზე წუწუნებდეს“.

– აი, მე კი მინდა, დიდი ავტოსალონის მფლობელი ვიყო, - თქვა ხმამაღლა, – ამქვეყნად საუკეთესო ავტოსალონის მფლობელი.

– გინდა და იყავი, რა პრობლემაა?

– ჰო, მაგრამ ავტოსალონი რომ არა მაქვს?

– ეგ მხოლოდ იმიტომ, რომ ათი წლის ხარ. შენ ზღაპრული ავტოსალონის მფლობელი ხარ, მხოლოდ ათი წლის ასაკში, – მშვიდად აუხსნა ბებიკო ნაილმა. – გაიზრდები და აუცილებლად გექნება ეგ შენი ავტოსალონია თუ რაღაც სათამაშო.

საბამ თავი მოიქექა, ბებიკო ნაილის ზღაპრულ რჩევებში გარკვევა ხანდახან ამოცანის ამოხსნაზე ნაკლებად არ უჭირდა.

– მართლა, არ გინდათ, ავტოსალონი დავათვალიეროთ? სულ ახალი კოლექცია მიიღეს. რა მანქანებია, რომ იცოდეთ! – მშვენიერი აზრი მოუვიდა უცებ თავში.

– გვინდა? – ანანოს დაეკითხა ბებიკო ნაილი.

– გვინდაააა! – გაიხარა ანანომ. მისთვის ყველაფერი საინტერესო იყო, რასაც ბებიკო ნაილთან და საბასთან ერთად აკეთებდა. თქმა და ქმნა ერთი იყო – შესანიშნავი სამეული ავტოსალონის დასალაშქრად გაემართა.

***

ალბათ იმიტომ, რომ შუადღე იყო, ავტოსალონში მათ გარდა თითქმის სულიერი არ ჭაჭანებდა. მხოლოდ ერთი ღიპიანი, ლოყებღაჟღაჟა კაცი, სავარაუდოდ, კლიენტი და მისი, უკან დევნით დაღლილი, გამყიდველი იყვნენ.

– უკვე ერთი კვირაა დადიხართ და ვერაფერი გადაწყვიტეთ, – ნაძალადევი ღიმილითა და გაბეზრებული ხმით საყვედურობდა გამყიდველი, – აი, მაგალითად, ამას რას უწუნებთ? ახლა ყველა ასეთ ჯიპს ყიდულობს.

– ჰო, მაგრამ... – საკუთარი უკმაყოფილების მიზეზს ვერ მიმხვდარიყო და თავს ყოყმანით იქნევდა ღიპიანი.

საბამ მანქანა შეათვალიერა და ღიპიანს შეხედა:

– აგარაკი გაქვთ?

– არააა, – იუარა მყიდველმა.

– მთაში სიარული ან ნადირობა თუ გიყვართ?

– ჩემს ასაკში და ჩემი ქონების პატრონს?! – ვეებერთელა მუცელზე ხელი დემონსტრაციულად მოისვა და კითხვაზე კითხვით უპასუხა კაცმა. – ქალაქიდან თითქმის არ გავდივარ.

– მაშინ ეს მანქანა არაფერში გჭირდებათ. ბენზინსაც ბევრს წვავს და ნაწილებიც საკმაოდ ძვირია.

გამყიდველი უხერხულად შეიშმუშნა და გამგმირავი მზერა სტყორცნა არამკითხე მოამბეს.

– დიდი ოჯახი გაქვთ? – ჰკითხა ისევ საბამ.

– მეუღლე, შვილი და ერთი პატარა შვილიშვილი მყავს.

– ესე იგი, „პიკაპი“ არ გჭირდებათ... რამე უფრო ელეგანტური შევარჩიოთ, – საბა სალონის სიღრმისკენ წავიდა, ლოყებღაჟღაჟამ გამყიდველს ზურგი შეაქცია და საბას პატარა ბავშვივით უკან დაედევნა.

– აბა, ეს გერმანული საოცრება ნახეთ, – საბამ შორიახლოს მდგარ ძალიან სიმპათიურ, შავ მანქანაზე მიუთითა. ნამდვილად არ ინანებთ. ეს მოდელი კარგად შევისწავლე. მარტო გარედან კი არაა ლამაზი, შიგნიდანაც მოხერხებულია. ბევრი დამცავი ბალიში, კონდიციონერი... სავარძლის გამათბობელიც კი აქვს, კიდევ მინები არ ეორთქლება, არც საცობებში გაგაწვალებთ, ავტომატიკაა.

– ფასსაც არა უშავს, მაგრამ ამისი ნაწილების შოვნა უნდა ჭირდეს.

– მაგას ეშველება: საგარანტიო ვადა რომ გაუვა, გაყიდით. სამ წელიწადში შეკეთება არ დასჭირდება, თუმცა... უკეთესი ვარიანტიც მეგულება: თუ დიდხანს გინდათ გყავდეთ, მაშინ, აი, ეს უნდა იყიდოთ, – საბა მანქანის რიგებს შორის გაძვრა-გამოძვრა და

დამაჯერებლად დაადო ხელი ერთ-ერთ ავტოს, – შეხედეთ, რა ფერია, ეგრევე კარგ ხასიათზე დადგები. ძრავა დიდი სიმძლავრით არ დაიკვეხნის, მაგრამ „ფორმულა 1“-ში მონაწილეობის მიღებას თუ არ აპირებთ, ყველაფერი რიგზეა. ქალაქში სწრაფად სად უნდა იაროთ?! ფულსაც დაზოგავთ, სათადარიგო ნაწილებიც იშოვება, ბენზინს ყველაზე ცოტას წვავს და თან... რაც ყველაზე მეტად მომწონს... ძალიან ერთგული თვალები აქვს. აბა, ერთი წინიდან შეხედეთ.

ამის თქმაზე ღიპიანი გულიანად ახარხარდა.

– ეგ რა კარგად თქვი, მგონი, დამაჯერე! ერთგული მანქანა ძალიან მჭირდება.

– ჯერ უნდა ჩაჯდეთ და გამოსცადოთ, – თითი გამაფრთხილებლად ასწია საბამ. – ხანდახან გარედან მოგწონს მანქანა, მაგრამ ჩაჯდები და რაღაცნაირად ვერ ეწყობი.

ლოყებღაჟღჟას გამეორება არ დასჭირვებია. მორჩილად მიუჯდა ავტომანქანის საჭეს და პატარა ბავშვივით გაიხარა:

– თავს ისე ვგრძნობ, როგორც საკუთარ სახლში.

– მაშინ ეს მანქანა ხელიდან არ გაუშვათ... თუ გაიყიდა, შეიძლება მთელი წელი დაგჭირდეთ ლოდინი.

– საოცარია, აქამდე როგორ არ მივაქციე ყურადღება, მართლა ძალიან კარგია, არა? საჭეც ისეთი მოხერხებული აქვს.

– ძალიან მაგარია. აბა, ერთი ეს დისკები და ფარები ნახეთ!

– მეგობარო, გადავწყვიტე, ამ მანქანას ვყიდულობ, – მიმართა მოახლოებულ გამყიდველს მსუქანამ და მანქანას ხელი მოუთათუნა. გამყიდველს

სახეზე გამოცოცხლება დაეტყო, უფრო ზრდილობიანი და დახვეწილი გახდა.

– სასიამოვნოა. მიხარია, რომ შეარჩიეთ. თუ რამე დამატებითი კითხვა გაგიჩნდათ, შეგიძლიათ, ჩვენს მენეჯერს გაესაუბროთ. გადახდის პირობებსაც მასთან შეათანხმებთ. წამობრძანდით, თუ შეიძლება.

კაცმა კიდევ ერთხელ შეავლო თვალი მანქანას, საბას კმაყოფილი ღიმილით გადახედა და გამყიდველს გაჰყვა.

– შენ ნამდვილი მანქანმცოდნე ყოფილხარ აი, ის, ახლა ექსპერტს რომ ეძახიან! – შეაქო ბებიკო ნაილმა საბა, მარტო რომ დაიგულა.

– ჰო, მანქანების შესახებ ყველაფერი ვიცი, – ვითომ ეს რა დიდი ამბავიაო, ისეთი გამომეტყველებით მიუგო საბამ. – ყველას შეუძლია, იცოდეს: ინტერნეტში ნებისმიერი მოდელის აღწერა დევს, ჟურნალებსაც ვკითხულობ ხოლმე. ერთი-ორი კარგი სატელევიზიო გადაცემაცაა ამ თემაზე...

– ყველას შეუძლია, მაგრამ სინამდვილეში მარტო შენ იცი. საქმეც ეგაა. ხედავ, როგორ დაეხმარე ადამიანს?!

– და არა მარტო მას... – ღიმილით ჩაერია საუბარში სოლიდურად გამოწყობილი შუახნის კაცი, რომელიც თავს მოულოდნელად წამოადგათ – ჩვენც ძალიან დაგვეხმარა, ამიტომ, თუ ქალბატონები ნებას დამრთავთ, ეს ბატონი, უფრო ახლოს გასაცნობად, ორიოდე წუთით ჩემს კაბინეტში მინდა მივიწვიო.

– ?

– მე ამ ავტოსალონის მფლობელი გახლავართ.

– კი, ბატონო, როგორც გენებოთ, – დაეთანხმა ბებიკო ნაილი და საბას მიუბრუნდა, – მე და ანანო გარეთ გელოდებით.

ორიოდე წუთი სინამდვილეში ნახევარი საათი აღმოჩნდა. ანანომ და ბებიკო ნაილმა ახლომდებარე მაღაზიების ვიტრინების საფუძვლიანი დათვალიერე-ბაც მოასწრეს, ცივი ლიმონათის დალევაც, გაზეთების გამყიდველსაც გამოელაპარაკნენ და საბა მხოლოდ ამის შემდეგ გამოჩნდა ავტოსალონის კარებში. ლოყები წითელი ვაშლივით დაბრაწოდა, თვალები უელავდა და ტუჩებს სიხარულისგან თავს ვერ უყრიდა:

– აუ, არ მჯერა, სასწაული თუ გინდა, ეს არის...

სასწაულის ხსენებაზე ბებიკო ნაილს თვალები გაუბრწყინდა.

– დალაგებულად მოგვიყევი, რა გადაგხდა!

– რა და იმ კაცმა... ავტოსალონის მფლობელმა... შენი ძალიან მადლობელი ვარო. ჩემს ყველა გამყიდველს სჯობიხარ, მანქანები ძალიან გყვარებია... პატარა მეც შენნაირი ბიჭი ვიყავიო, ვიშრომე, ვისწავლე და აი, ხომ ხედავ, რამხელა საქმე მაქვსო. მერე... მეწყინება, უარს თუ მეტყვი, დღეს შენ ეს ნამდვილად დაიმსახურეო და, აი, რა მაჩუქა, – საბამ მომუშტული ხელი გაშალა. ხელისგულზე უცხოური ვალუტის საკმაოდ მსხვილი კუპიურა ედო, – რაც გინდა, ის იყიდეო... წარმოგიდგენიათ? თან პირობა უნდა მომცე, რომ გაიზრდები, ჩემთან მოხვალ სამუშაოდ... შენთვის ადგილი ყოველთვის მექნებაო!

– შენ კი გვიმტკიცებდი, სამუშაოს შოვნა ძნელიაო, – გულიანად გადაიკისკისა ბებიკო ნაილმა.

– მართლა არ უნდა დაუჯერო სხვებს...

– ბებიკო ნაილს უნდა დაუჯერო, – ტუჩები გაბუსხა ანანომ და მოხუცს მკლავზე მიეხუტა.

– აბა, მე რას ვამბობდი?! – ყელი ამაყად მოიღერა მან. – ბებიკო ნაილს და მეტს არავის!

– აი, ჩემი ძმაკაციც აქ ყოფილა! – სალონიდან გამოსული ავტოს მყიდველი ძალიან გაახარა საბას დანახვამ. – მე კი ვიფიქრე, უკვე წახვედით. საჩვენებელი გასეირნება არ მოვაწყოთ? ყველას გპატიჟებთ!

უჰ, რა მაგარი იყო მთლად ახალი ავტომობილით სეირნობა! მანქანის პატრონი შენაძენით გამოწვეულ სიხარულს ვერ ფარავდა. ყველა დეტალს პატარა ცნობისმოყვარე ბიჭივით უკირკიტებდა და ახალ აღმოჩენებს ხმამაღალი შეძახილებით უზიარებდა გვერდით მჯდომ საბას.

სადაც ეს აკრძალული არ იყო, მძღოლი ხმამაღლა ასიგნალებდა, – ხომ უნდა ეზეიმათ ქალაქის ქუჩებს, რომ ახალი, ლამაზი ავტო შეემატათ. ქალაქს რამდენჯერმე შემოუარეს, მერე ბებიკო ნაილმა ცენტრალურ მოედანზე გააჩერებინა მანქანა, აქ რაღაც საქმე მაქვს, მერე კი ფეხით გავისეირნებთო. ბავშვებმა მადლობა გადაიხადეს და მანქანიდან გადავიდნენ.

– მოიცა, ძმაკაც, შენ ასე ვერ გაგიშვებ, – შეაჩერა კაცმა საბა, – აი, ეს ჩემგან გქონდეს, ნაყინი იყიდე, – თავისი სავარძლიდან გადმოიწია და საბას ხელში ფული ჩაუკუჭა. საბამ უარის თქმა დააპირა, მაგრამ არ გაუვიდა, – შენ რომ იყიდი მანქანას, ასე ადვილად არ გადაგატარებ, რესტორანში უნდა დამპატიჟო, გაითვალისწინე. აბა, შენ იცი, ბიძია, კარგი ბიჭი ხარ და გაიხარე, გაიზარდე დიდი კაცი!

საბა თვალებს არ უჯერებდა.

– დღეს ფული პირდაპირ ციდან ცვივა! – თქვა გაოცებულმა.

– რას იტყვი, გეყოფა სასკოლო რაღაცრუღაცების საყიდლად? – ჰკითხა ბებიკო ნაილმა.

– რომ მჭირდება, იმაზე მეტია.

– ახლა მდიდარი ხარ? – თვალები გაუბრწყინდა ანანოს.

– ისე გამდიდრდა, ნაყინზეც კი შეუძლია დაგვპატიჟოს, – თქვა მოხუცმა და გოგონას თვალი ჩაუკრა.

– კარგი იქნებოდა, ამდენი ავტომანქანების შემდეგ, – დაეთანხმა ანანო.

საბამ ძალიან გაიხარა, თავის გამოდების შანსი რომ გაუჩნდა. რა ჯობს, როცა იმდენი ფული გაქვს, შეგიძლია, მეგობრებს სურვილები აუსრულო. ხტუნვა-ხტუნვით გაიქცა მენაყინისკენ და ყველას თავისი საყვარელი ნაყინი აურჩია.

– ახლა გჯერა, რომ რასაც მოინდომებ, ყველაფერი გექნება? – ჰკითხა საბას ბებიკო ნაილმა და ნაყინს შოკოლადის ფენა მოაჭამა.

– ოჰ, ბებიკო ნაილ, წარმოდგენა არ მაქვს, როგორ ახერხებ, რომ ყოველთვის მართალი გამოდიხარ! ყოველთვის... ყველაზე დაუჯერებელ ამბებშიც კი.

– ზღაპარში დაუჯერებელი არაფერია. მე კი ყოველთვის ზღაპარში ვცხოვრობ, არ მესმის, რითი ვერ შევიდა ეს ამ გაბურძგნულ გოგრაში, – ბიჭს თმა სიყვარულით მოუჩეჩა მოხუცმა.

ანანომ ხმამაღლა გაიცინა. მისი აზრით, საბა, როგორც, საერთოდ ყველა ბიჭი, მეტისმეტად ჯიუტი იყო, თუმცა ეს ოდნავადაც არ უშლიდა ხელს, რომ ძალიან ჰყვარებოდა.

როცა ნაყინი მოათავეს, ბებიკო ნაილმა ბავშვებს სთხოვა, აი, იმ შენობაში პატარა საქმე მაქვს, ცოტა ხნით შევიაროთ და შინ წავიდეთო.

– ბ-ა-ნ-კ-ი, – წაიკითხა ანანომ შენობის თავზე მიმაგრებული წარწერა. – ბანკში მივდივართ?

ბავშვები ბანკში არასდროს ყოფილიყვნენ და ძალიან გაეხარდათ, როცა მისი დათვალიერების შესაძლებლობა მიეცათ. სასახლესავით მდიდრული და ლამაზი შენობა იყო, შესასვლელი კარი თავისით გაიღო და ყველანი უზარმაზარი ჭაღებით განათებულ, მაღალსვეტებიან დარბაზში აღმოჩნდნენ. ფეხი შედგმული არ ჰქონდათ, რომ მათკენ ელეგანტურად გამოწყობილი ახალგაზრდა მამაკაცი გამოემართა.

– ო, ქალბატონ ნაილს ვახლავარ. რა დიდი პატივია, რომ პირადად გვეწვიეთ! ეს არაჩვეულებრივი ბავშვები ალბათ თქვენი შვილიშვილებია, ძალიან სასიამოვნო, ორმაგად სასიამოვნო! – შეუჩერებლად ლაპარაკობდა კაცი, თან ბებიკო ნაილის ხელი ორივე ხელით ჩაებღუჯა.

– ჰო, ცოტა ხნით შემოვიარე, ჩემს ანგარიშთან დაკავშირებით რაღაცები მაქვს გასარკვევი, თუ გცალიათ, – პაუზით ისარგებლა ბებიკო ნაილმა.

– თქვენთვის ამ ბანკში ყოველთვის და ყველას სცალია, ქალბატონო ნაილ. ძალიან გთხოვთ, ამას ნურასოდეს დაივიწყებთ, – უპასუხა მამაკაცმა და მეორე სართულზე მიმავალი კიბისკენ გაუძღვა.

– აქ ქალბატონი ნაილი ხარ? – ჩურჩულით ჰკითხა, კიბეებზე რომ ადიოდნენ ანანომ მოხუცს.

– ჰო, ეგეთი თამაშია, – ჩურჩულითვე უპასუხა ბებიკო ნაილმა და შეთქმულივით გაუღიმა.

ზემოთ, გრძელ დერეფანში, უამრავი ოთახი იყო ერთმანეთის გვერდით ჩამწკრივებული. კაცმა ერთ-ერთი მათგანის კარები შეაღო:

– ჭაბუკა, განსაკუთრებული სტუმრები გვყავს და, აბა, შენ იცი, სათანადოდ მიმიხედე, – უთხრა ოთახის სიღრმეში ვიღაცას და სტუმრებს გზა დაუთმო.

ბებიკო ნაილმა მადლობა გადაუხადა და ბავშვებთან ერთად ოთახში შევიდა. საქაღალდეებით სავსე თაროებს შორის, მაგიდას, პირველზე უფრო ელეგანტური, ახალგაზრდა მამაკაცი უჯდა, რომელიც, ბებიკო ნაილის დანახვისთანავე სკამიდან წამოიჭრა, მოხუცს მივარდა და გულში მაგრად ჩაიხუტა.

– ამას ვის ვხედავ! საყვარელი ბებიკო ნაილი საკუთარი პერსონით?! რას მივაწეროთ ეს წარმოუდგენელი ბედნიერება? – იძახდა გახარებული და აქეთ-იქით ატრიალებდა. ბოლოს, როგორც იქნა, მოახერხა და სტუმრებს სავარძლები შესთავაზა.

– მზეჭაბუკო, ლამის თვალებს არ დავუჯერე. მაშ, ბანკში დაიწყე მუშაობა? – ბებიკო ნაილს, ყველაფრიდან ჩანდა, უზომოდ ახარებდა ეს ამბავი.

– დაახლოებით, ერთი თვეა. ახალი თანამშრომელი სჭირდებოდათ და შესარჩევ კონკურსში გავიმარჯვე, – უპასუხა ახალგაზრდამ.

– რა სიურპრიზია, უკეთესს ვერაფერს ვინატრებდით ვერც მე და, იმედია, ვერც ეს ბანკი! სათხოვარი მაქვს და შენზე უკეთ სხვა ვერავინ დამეხმარება. ოღონდ ყურადღებით უნდა მომისმინო, – სერიოზული გამომეტყველებით გააფრთხილა მოხუცმა.

– გისმენ და გემორჩილები! – აბსოლუტური მზადყოფნით მიუგო ბანკის თანამშრომელმა. – განა შემიძლია ბებიკო ნაილს რაიმეზე უარი ვუთხრა?!

– საქმე იმაშია, რომ მალე ახალი სასწავლო წელი დაიწყება, ხომ ასეა? – იკითხა მოხუცმა.

– ასეა.

– ჰოდა, ჩვენს ქალაქში რამდენიმე ძალიან ბეჯითი და ნიჭიერი ბავშვი მეგულება, სწავლაში ხელი არაფერმა რომ უნდა შეუშალოს, მშობლებს კი სასკოლო

ნივთების შესაძენი ფულიც არ აქვთ. ხომ გესმის, ხდება ხოლმე... ან სამუშაო დაკარგეს, ან ავად გახდნენ, ან ხელფასი არ ჰყოფნით...

– მესმის, მესმის, – გაუღიმა მზეჭაბუკმა.

– ვიფიქრე, ასეთი ბავშვები თუ არ ისწავლიან, ვაი თუ, თავიანთი ზღაპრის პოვნა გაუჭირდეთ, ჰოდა... იქნებ, ყოველთვიური შემოსავლიდან, თითოეულისთვის პატარა სტიპენდია... თუ რა ჰქვია... დაგვენიშნა?

– ოჰ, ბებიკო ნაილ, ოქროს გული გაქვს, ოქროს გული...

– აქ იმის გასაგებად მოვედი, ფული თუ მაქვს... – უხერხულად შეიშმუშნა ბებიკო ნაილი, – ამ საქმეს რომ ეყოფა, იმდენი?

– ვნახოთ, ვნახოთ, – ახალგაზრდა კაცმა კომპიუტერის კლავიშები ააწკაპუნა და ეკრანს მიაჩერდა.

– საბანკო პროცენტით მთელი წლის განმავლობაში არ გისარგებლია, აქციებში თანხა ისე იღბლიანად დაგიბანდებია, მოგებამ ას პროცენტს გადააჭარბა, უძრავი ქონების შემოსავალიც, მიუხედავად ყველაზე შეღავათიანი გარიგებებისა, ყოველდღიურად იმატებს და იმატებს... ყველაფერი ისეა, უკეთესს ვერ ინატრებ. ბებიკო ნაილ, შენს საბანკო ანგარიშზე ფული პირდაპირ ჯადოსნური პროგრესიით მრავლდება.

– ეს ნიშნავს, რომ ყველაფერი ისე იქნება, როგორც ჩავიფიქრე! – გაიხარა ბებიკო ნაილმა.

– შენ თუ რამე ჩაიფიქრე, წინ რა დაგიდგება?! რამდენიმე სწავლას მოწყურებულს ნამდვილად გაახარებს ბებიკო ნაილის სახელობის სტიპენდია! – სიცილით დაუდასტურა ახალგაზრდამ.

– მოიცა, მოიცა, ეგ „სახელობის“ უკვე აღარ მომწონს. ჩემი სახელი არსად უნდა იყოს ნახსენები, ხომ გესმის?! – შეშფოთებით იკითხა მან, – თორემ მერე დაიწყება: ქველმოქმედიო, მეცენატიო, ამაგდარიო და კიდევ, რა ვიცი, უამრავ სულელურ მეტსახელს გამომიგონებენ. მე კი, უბრალოდ, ბებიკო ნაილი მინდა ვიყო, ბებიკო ნაილი და მეტი არაფერი. იქნებ... იცი, ძალიან კი მრცხვენია თხოვნა, მაგრამ... როგორმე ყველაფერი თქვენი ბანკისთვის რომ დაგებრალე-ბინათ?

მზეჭაბუკმა თავი ღიმილით გადააქნია.

– ბებიკო ნაილ, ბებიკო ნაილ... კარგი, ქალბატონო, როგორც გვიბრძანებთ, ისე მოვიქცევით. ხარჯთაღრიცხვას შევადგენ და დეტალების დასაზუს-ტებლად, ორიოდე დღეში, პირადად გეახლებით. ჩათვალე, რომ უკვე ყველაფერზე შევთანხმდით.

ბავშვები საკუთარ ყურებს არ უჯერებდნენ: ბებიკო ნაილს, მათ ბებიკო ნაილს, შეეძლო ბანკის თანამშრომლებისთვის მითითებები მიეცა, მათთვის გაუგებარი უამრავი სიტყვის მნიშვნელობა სცოდნოდა. ვინ იფიქრებდა? ერთი სული ჰქონდათ, გარეთ როდის გავიდოდნენ.

როგორც იქნა, სუფთა ჰაერი ჩაისუნთქეს.

– ბებიკო ნაილ, შენ რა, ბანკშიც დადიხარ ხოლმე? მართლა მდიდარი ხარ? – დააყარეს შეკითხვები.

– მადლობა ღმერთს, როგორც იქნა, მიხვდით. განა, დილას აქეთია, ამას არ გიმტკიცებთ? მდიდარი ვარ, აბა, რა ვარ?!

– და ბევრი ფულიც გაქვს? – როგორც იქნა, სწორი კითხვა დასვა საბამ.

– ჰო, იყო დრო, ბიზნესს ვთამაშობდი. ეს მანამდე, სანამ ზღაპრები გამიტაცებდა. ძალიან საინტერესო თამაშია, რომ იცოდეთ. ჰოდა, თუ კარგად გაიწაფე, ბანკში ბევრი, ბევრი ჟეტონი გიგროვდება. ახლა ამ ჟეტონების დახარჯვით ვერთობი. რაც უფრო მოხერხებულად დახარჯავ, უფრო მეტი ქულა გემატება და ახალ დონეზე გადადიხარ. ძალიან მაგარია, ოღონდ ეგაა, უსაშველოდ მეზარება ანგარიში. ეს მზეჭაბუკი კი ღვთის წყალობასავით მომევლინა. არცკი იცით, როგორ გამიმართლა! ჰო, მართლა... ხომ არავისთან წამოგცდებათ, ბანკში რომ ვიყავით?

– თუნდაც ფეხებით ჩამომკიდონ, არ გავცემ ამ ჩვენს საიდუმლოს! – ამაყად დადო პირობა საბამ.

– გარწმუნებ, საქმე მანდამდე არ მივა, - გაეცინა ბებიკო ნაილს. – ხომ არც შენ, ანანო?

– ბებიკო ნაილ, მეც ვიცი საიდუმლოს შენახვა, ორი წლის კი არ ვარ!

ნატვრისთვალი

ახალი სასწავლო წელი იწყებოდა. ანანო სიხარულისგან აღარ იყო. ახლა სასკოლო სამზადისი მასაც ეხებოდა. დედამ ჩანთა, სახელმძღვანელოები და სასკოლო ფორმა მოუტანა. გოგონა მათი ცქერით ვერ ძღებოდა. ათას მეერთედ სინჯავდა ყველაფერს და თან, პირველკლასელთა საზეიმო კონცერტისთვის, საგანგებოდ დასწავლილ ლექსს მთელი ქუჩის გასაგონად იმეორებდა.

რა ბედნიერებაა, ახლა ისიც სხვებივით ივლის სკოლაში, ახალ მეგობრებს გაიჩენს, უამრავ საინტერესო რამეს გაიგებს. ამიერიდან ვეღარავინ ეტყვის, პატარა ხარ და არაფერი გესმისო. ერთადერთი, რაც გუნებას უფუჭებდა, ის იყო, რომ მამა არსად ჩანდა.

არადა, როგორ უნდოდა, მისთვის ყველა ახალი ამბავი მოეყოლა. ორიოდე დღის წინ დედასა და დეიდა ნაზის ლაპარაკს მოჰკრა ყური. დედა ჩიოდა, ბავშვზე საერთოდ აღარ ზრუნავს, ხომ შეეძლო, სკოლაში წასვლის წინ მაინც არ დაეწყვიტა გულიო. ანანო რომ შევიდა, ისე უეცრად გაჩუმდნენ, აშკარა იყო, არ უნდოდათ, ეს საუბარი მასაც მოესმინა და კიდევ უფრო მეტად მოეწყინა.

რატომ ხდება ასე? განა, მამიკომ მთლად დაივიწყა თავისი გოგო, ასე რომ უყვარდა? არა, ანანოს ამის დაჯერება არ შეეძლო. მამიკოს აუცილებლად ექნება მიზეზი და რომ ჩამოვა, ყველაფერს აუხსნის, ახლა კი, ჯობს, ამაზე არ იფიქროს. ნამდვილად ერჩია, უფრო მხიარულ ამბებზე ეფიქრა. კიდევ ერთხელ შეათვალიერა საკიდზე კოპწიად მორგებული მოსწავლის ფორმა და გადაწყვიტა, გული ბებიკო ნაილთან გადაეყოლებინა. ალბათ ახლა უწინდელივით

ბევრი დრო აღარ ექნება სათამაშოდ და გადაწყვიტა, ბოლო თავისუფალი დღე მისთვის მიეძღვნა.

***

თურმე საბასაც ასე ეფიქრა. ის და ბებიკო ნაილი ეზოში ისხდნენ და ერთმანეთს გამოცანების გამოცნობაში ეჯიბრებოდნენ. ბებიკო ნაილი გამოცანების არა მარტო გამოცნობის, გამოგონების დიდოსტატიც იყო. საბა სულ აგებდა და შარობდა.

– ეგ უკვე თქვი და ხელმეორედ მეკითხები.

– მიზეზ-მიზეზ დოს მარილი აკლიაო, – ხითხითებდა ბებიკო ნაილი. მარტო გამოცანები კი არა, ანდაზებიც არანაკლებ ემარჯვებოდა.

ანანო რომ გამოჩნდა, ორთაბრძოლა შეწყვიტეს და მხირული შეძახილებით შეეგებნენ.

– აბა, რას შვრები, როგორ მიდის სასკოლო სამზადისი? – ჰკითხა გოგონას ბებიკო ნაილმა.

– უკვე ყველაფერი გავიმზადე, – უთხრა და გვერდით ჩამოუჯდა.

– აბა, მოწყენილი რატომ მეჩვენები?

ანანომ არაფერი უპასუხა.

– ვინმემ გაწყენინა? – შეეკითხა ახლა საბა და ხელი ჩაჰკიდა.

ანანოს გული ამოუჯდა. ასეა, მეგობრების თანაგრძნობა ისევე ალღობს გულს, როგორც ყინულს – ოთახის სითბო.

ანანო დარწმუნებული იყო, საბაც და ბებიკო ნაილიც, რაც კი შეეძლოთ, ყველაფერს გააკეთებდნენ მისი გულისათვის, მაგრამ არის ხანდახან გამოუვალი მდგომარეობა, როდესაც არავის არაფრის შეცვლა

შეუძლია. ბოლოს და ბოლოს, მეგობარი ნატვრის-თვალი ხომ არ არის, რასაც სთხოვ, ყველაფერი შეგისრულოს?

ნატვრისთვალი? აი, რა უშველის.

ნეტავ, აქამდე რატომ არ მოსვლია აზრად, მის შესახებ ბებიკო ნაილისთვის ეკითხა. ანანომ ცრემლები მოიწმინდა და ბებიკო ნაილს მტკიცე გადაწყვეტი-ლებით თვალი თვალში გაუყარა:

– ბებიკო ნაილ, ნატვრისთვალი არსებობს?

– ნატვრისთვალი? რა თქმა უნდა, არსებობს, – არც დაფიქრებულა, ისე უცბად და უბრალოდ უპასუხა მოხუცმა. – მეც მქონდა სადღაც... თუ არ ვცდები, კარადაში, სხვა ჯადოსნურ ნივთებთან ერთად შევი-ნახე. ახლავე მოგიძებნი.

ანანოს გაკვირვებისგან პირი ღია დარჩა. ბებიკო ნაილი ნატვრისთვალზე ზუსტად ისე ლაპარაკობდა, როგორც ჩვეულებრივ საყოფაცხოვრებო ნივთებს, მაგალითად, ჩამჩას ან ჩაიდანს მოიხსენიებდა კაცი.

გონს მოსვლა ვერ მოასწრო, რომ მოხუცმა სანუკვარი ჯადოსნური ყუთი გამოამზეურა. მცონარას გასაღებების ასხმიდან კოპწია ოქროსფერი ამოარჩია და ყუთის საკეტს მოარგო. ანანოსა და საბას სუნთქვა შეეკრათ, ისე უნდოდათ, შიგ ჩაეხედათ, მაგრამ, ნურას უკაცრავად – ბებიკო ნაილმა თავსახური სანახევროდ ახადა, ხელი ჩაყო და ყუთის ფსკერზე გაუსვ-გამოუსვა.

– აი, ისიც! – დაიძახა ცოტა ხანში გახარებულმა და ყუთიდან რაღაც ამოიღო.

ანანომ და საბამ მოხუცის გაშლილ ხელის-გულზე პაწაწინა, ლამაზი კენჭი დაინახეს. ზღვის სანაპიროზე ნაპოვნი მინის ნატეხივით გლუვი და პრიალა კიდეები ჰქონდა.

– ეს არის ნატვრისთვალი? – მღელვარებით იკითხა ანანომ.

– უბრალო კენჭს ჰგავს, – თავისი შთაბეჭდილება გამოთქვა საბამ.

– ოჰ, შე ბებერო, კენჭი კი არა, ნატვრისთვალად რიყის ქვაც გამოდგება, მთავარია, სურვილის სწორად ჩაფიქრება იცოდე, – განუმარტა ბებიკო ნაილმა.

– სურვილის ჩაფიქრებას რაღა უნდა? – გაეცინა საბას.

– მაგას უნდა, თუ უნდა. თუ არ იცი, როგორ მოიხმარო ნატვრისთვალი, ჯობს, საერთოდაც არ გქონდეს. რაში გარგია?

– გვასწავლე, რა, როგორ მოვიხმაროთ? – მოთმინება არ ჰყოფნიდა ანანოს.

– აჰა, გამომართვი და ინატრე, როგორც იცი. თუ რამე შეგეშალა, შეგისწორებ, – უთხრა ბებიკო ნაილმა ანანოს და ნატვრისთვალი გაუწოდა.

გჭერია ოდესმე ხელში ნატვრისთვალი? არა? ის მაინც თუ წარმოგიდგენია, როგორი გრძნობა შეიძლება გაუჩნდეს ადამიანს, რომელსაც ეს ესაა ყველა ნატვრის ახდენას დაჰპირდნენ? მაშინ შეგიძლია, თავი ანანოს ადგილზეც წარმოიდგინო. გოგონამ ფრთხილად და-იდო ნატვრისთვალი ხელისგულზე და აღტაცებული მიაჩერდა.

– ნატვრისთვალო, ძალიან მინდა დედიკო და მამიკო ისევ ერთად ცხოვრობდენენ! – თქვა ხმამაღლა.

– პი, პიი, შეცდომა! – დაიძახა ბებიკო ნაილმა. – ნატვრა, რომელსაც ჩაუთქვამ, მხოლოდ შენ უნდა გეხებოდეს. სხვის ცხოვრებაში ჩარევის უფლება არ გაქვს, გესმის? აბა, რა გამოვა, რომ ვინატრო – ანანო კუზიან დედაბრად გადაიქცეს, ხოლო საბა კოშკივით

მაღალი გაიზარდოს-მეთქი? ნატვრისთვალი ასეთ ნატვრას არ შემისრულებს და კიდევ კარგი!

– მე ხომ ცუდი არაფერი მითხოვია? – გაიოცა ანანომ. – განა კარგი არ იქნება, დედიკო და მამიკო ერთად იყვნენ?

– ჰო, მაგრამ ეს მხოლოდ მათი გადასაწყვეტია, არ მეთანხმები?

– ჰო, ასეა, – ამოიოხრა ანანომ.

– შენ ისეთი რამ ინატრე, რაც მარტო შენ გეხება.

ანანო ჩაფიქრდა.

– ძალიან მინდა, მამიკოს ხშირად ვხედავდე და ასე ძალიან არ მენატრებოდეს. ახლა სწორად ვთქვი?

– რასაც იტყვი, ნატვრისთვალი ყველაფერს აგისრულებს. ძალიან გინდა? კი, ბატონო, სულ გენდომება და გენდომება... ეს კი იმას ნიშნავს, რომ მამა ყოველთვის შორს იქნება შენგან. ხედავთ, რამხელა მნიშვნელობა აქვს სურვილის სწორად ჩაფიქრებას? ზოგ-ზოგიერთებს კი, – საბას გადახედა გამომწვევად, – ეს სულ უბრალო რამე ჰგონიათ. ხედავთ, ნატვრისთვალი სარკესავითაა, შიგ თუ ჩაიხედავ, საკუთარ თავს დაინახავ. როგორც ჩვენ ვჩანვართ სარკეში, ისე ჩანს მასში ჩვენი ფიქრებიც. ჰოდა, რა ფიქრსაც დაინახავს, სწორედ იმას აგიხდენთ, გესმით?

– გამოდის, ანანომ უნდა იფიქროს, რომ მამა უკვე მასთანაა? – თავისივე ნათქვამმა თვითონვე გააოცა საბა. – ეგ როგორ?

– ზუსტად ეგრე! – დაუმოწმა ბებიკო ნაილმა, – ძლივს არ მიხვდი!

– თუ ნატვრისთვალს ვეტყვი, რომ მამა ყოველთვის ჩემთანაა, ჩემთან იქნება? – გაიკვირვა ანანომაც.

– მგონი, არ გჯერა, ხომ?...

– რა ვიცი, – არცთუ ისე დარწმუნებით უპასუხა გოგონამ.

– ასე არაფერი გამოგივა. ნამდვილად უნდა იცოდე, გჯერა თუ არ გჯერა, სხვანაირად ნატვრისთვალი ძალას დაკარგავს. მოდი, ასე მოვიქცეთ: თუ მაინცდამაინც ეჭვი შეგეპარა, ასე თქვი: „აქრა, მაქრა, ბაქრა, ცუდი ფიქრი გაქრა“. რამდენჯერმე გაიმეორე და ნახავ, რა უგზოუკვლოდ გადაიკარგება შენი ეჭვი. ასე მოიქეცი მანამდე, სანამ არ დაიჯერებ, რომ ნატვრა აგიხდება. დარწმუნებული ვარ, თუ მოინდომებთ, ყველაფერი გამოგივათ. რიგრიგობით გათხოვებთ მაგ ნატვრისთვალს და სურვილების ჩაფიქრებაში ივარჯიშეთ. ახლა კი, მოდი, ჯადოსნური სუფრა გავშალოთ. ხვალ სკოლაში მიდიხართ და, მგონი, ეს ამბავი აღნიშვნას იმსახურებს, – ისეთი საზეიმო ხმით თქვა მოხუცმა, საბა და ანანო უმალ სადღესასწაულო ხასიათზე დადგნენ.

– ჯადოსნური სუფრა ახსენე თუ ყურმა მომატყუა? – იკითხა საბამ.

– ბებერი კი ხარ, მაგრამ ამჯერად ყური ნამდვილად არ გატყუებს, – თქვა მოხუცმა, კიდევ ერთხელ ჩაყო ხელი ჯადოსნურ ყუთში და იქიდან ფერგადასული, ძველი სუფრა ამოაძვრინა.

– და ამ სუფრას რაღა შეუძლია? – იკითხა ისევ საბამ მოუთმენლად.

– გაშალეთ და ნახავთ, – მაგიდაზე მიუთითა ბებიკო ნაილმა.

ანანო და საბა ზონრით შეკრულ სუფრას მივარდნენ და აღტაცებული ჟრიამულით გახსნეს. გაშლისას სუფრიდან რაღაც გადმოვარდა და ძირს დაეცა. ოთხად გაკეცილი გაყვითლებული ფურცელი იყო. საბამ ხელში აიტაცა და გაშალა.

– ჯადოსნური სუფრის ინსტრუქცია, – წაიკითხა და სახე გაებადრა. – ჯადოსნური სუფრის მოხმარების წინ სავალდებულოა, გულდასმით გაეცნოთ ინსტრუქ-ციას, – გააგრძელა კითხვა. – მაშ, ასე: თუ გსურთ გემრიელი სუფრა გაშალოთ, ნუ დაიზარებთ და ცოტა გაისარჯეთ: ხაჭაპური აერღუმელშია, ტორტი – ხის ძველებურ ბუფეტში, სასმელები – მაცივარში, ხილით სავსე ლანგარი – სხვენზე. აირჩიეთ, რაც გსურთ და გემრიელად მიირთვით.

აი, სუფრაც ამას ერქვა!

გახარებულმა ბავშვებმა ინსტრუქციის ყველა პუნქტი ზედმიწევნით ზუსტად შეასრულეს. ჯადოსნური სუფრა არ ტყუოდა: ყველაფერი იქ დახვდათ, სადაც რა ეწერა.

ბებიკო ნაილი კმაყოფილი შეჰყურებდა მათ ფაციფუცს, მერე კი ასევე კმაყოფილი მიუჯდა მაგიდას, სუფრას ნაკეცები გაუსწორა და მადლობა მოახსენა:

– გმადლობ, სუფრავ, ჩვენი გამასპინძლება რომ ინებე, ზღაპარში ხომ ყველაფერი გაცილებით გემრი-ელია!

– ისეთი ლამაზი სუფრაა, ხელის ხლება დაგენანება, მაგრამ ჯადოსნურ სუფრასთან პირველად ვზივარ და, მერე რომ არ ვინანო, ყველაფერს გემო უნდა გავუსინჯო, – თქვა საბამ და ხაჭაპურის მოზრდილი ნაჭერი დაითრია.

მართლა ძალიან გემრიელი იყო ყველაფერი. დაისიც წარმოუდგენლად მშვენიერი ეჩვენებოდათ. ანანო და საბა დაიფიცებდნენ, ეს ეზო ყველაზე მყუდრო და ლამაზი ადგილია მთელი დედამიწის ზურგზეო. ჩამავალი მზის სხივები ცაზე არნახულ სურათებს ქმნიდნენ და ამ ჯადოსნური ფერების შუქზე ყველაფერს ზღაპრული იერი დასდებოდა, თითქოს

იყო კიდეც და არც იყო. ძალიან ჰგავდა ბებიკო ნაილის გამონაგონს.

***

ანანომ გაიღვიძა თუ არა მაშინვე მიხვდა, რომ დღევანდელი დღე სხვა დღეებისგან განსხვავდებოდა. დღეს ხომ სკოლაში მიდის! საოცარია, ძილშიც კი ახსოვდა ამის შესახებ.

გოგონა წამოხტა და ფარდა ბოლომდე გადასწია. შემოდგომის თბილი მზის სხივები ტანზე მოეხვია და სიხარულით აავსო.

სარკესთან მიირბინა. აინტერესებდა, ისევ ისეთი იყო თუ არა. არაა, ნამდვილად სხვანაირად გამოიყურება, უკვე დიდ გოგოს ჰგავს.

კმაყოფილმა გაიღიმა.

უცებ ბებიკო ნაილის ნატვრისთვალი მოხვდა თვალში. ნეტავ, ოდესმე თუ გამოუვა სურვილების სწორად ჩაფიქრება?

„აქრა, მაქრა, ბაქრა...“

ამ, იმედივით თბილ და მოალერსე, დილას, ვერაფრით დაიჯერებდი, რომ არსებობდა ნატვრა, რომელსაც ახდენა არ ეწერა. გოგონამ ჩაიმუხლა, ფრთხილად დაიდო ხელისგულზე ნატვრისთვალი, თითები ნაზად გადაუსვა და შთაგონებით ჩასჩურჩულა:

– მამა ყოველთვის ჩემთანაა... ყოველთვის ჩემთანაა!

და, გინდ დაიჯერე, გინდ არა, უცებ...

არა, არა, კედლიდან არავინ გადმოსულა. არც ზანზალაკების ხმა ყოფილა. არც ფანჯარა შემოუგლეჯია ქარბორბალას. ანანომ იგრძნო, უბრალოდ იგრძნო,

რომ... მამა მასთანაა, ყოველთვის მასთანაა, როცა მასზე ფიქრობს!

აი, ახლაც, გული გაუთბა, მისი სახელი რომ ახსენა. ანანომ ხელი მკერდზე დაიდო. აქ ვინცაა, ყველაზე ახლოსაა შენთან, თუნდაც ცხრა მთას და ცხრა ზღვას იქით იყოს და ვერსად წავა, შენ თუ არ მიეცი ამის ნება.

ანანოს სახე გაუნათდა. თურმე რა მარტივი ყოფილა ყველაფერი. პატარა რომ იყო, ალბათ აქამდე იმიტომ ვერ ხვდებოდა.

ოთახში დედა შემოვიდა.

– დე, იცი...

ანანომ არ იცოდა, როგორ ეთქვა გასაგებად, ჰოდა, ზუსტად ისე უთხრა, როგორც გაიგო:

– ჩემს გულში თუ იქნები, ვერსად წახვალ.

– აზრადაც არ მომივა სადმე წასვლა, – ჩაეხუტა დედა, – სამსახურს თუ არ ჩავთვლით, რა თქმა უნდა. ხომ არ დაგავიწყდა, რომ დღეიდან შენც შენს სამსახურში ივლი? სწრაფად გავემზადოთ, თორემ დაგვაგვიანდება.

ანანო უცებ მოწესრიგდა და სუფრას მიუჯდა. დედას გემრიელი ბუტერბროდები მოემზადებინა, თუმცა ლუკმის გადაყლაპვა ვერ მოახერხა.

– შენ ხომ არ ნერვიულობ? – შეშფოთდა დედა.

– არა, უბრალოდ, არ შემიძლია, სკოლა და საუზმე ერთდროულად მინდოდეს, – აუხსნა ანანომ.

ერთი სული ჰქონდა, სანამ ახალ კაბას ჩაიცვამდა და ეს დროც დადგა. სარკიდან ნამდვილი მოსწავლე უყურებდა. დედამ, კაბა რომ არ დაეჭმუჭნა, კიდევ ერთხელ, ძალიან ფრთხილად ჩაიკრა გულში, მერე ხელი ჩაჰკიდა და სკოლისკენ გაემართნენ.

***

ანანოს ყველაფერი დანახვისთანავე მოეწონა სკოლაში: ქვის კიბეები, გრძელი და სწორი, ბავშვების ყურის-წამღები ჟრიამულით სავსე დერეფნები, კედლებზე გამოფენილი სურათები, უზარმაზარდაფიანი საკლასო ოთახები, ბიბლიოთეკა, რომელშიც თაროები იზნი-ქებოდა წიგნების სიმრავლისგან. თუმცა ამან, ცოტა არ იყოს, შეაცბუნა კიდეც. ყველა ეს წიგნი უნდა ვის-წავლო? რომ ვერ შევძლო? - გაჰკრა გულში ეჭვმა, მაგრამ მერე ბებიკო ნაილის მოსაზრება გაახსენდა იმის თაობაზე, რომ რთული მხოლოდ მაშინაა რაიმე, თუ ის რთული გეჩვენება და გადაწყვიტა, უფრო მარტივად შეეხედა ყველაფრისთვის – ბოლოს და ბოლოს ამდენმა ადამიანმა ისწავლა სკოლაში, ჰოდა, სხვებმა თუ შეძლეს, ისიც შეძლებს, ნაკლებად მონდომებული კი არაა!

მასწავლებელმა, რომელიც თავის თავს კლასის დამრიგებელს ეძახდა, მთელი სკოლა მოატარა პირ-ველკლასელებს, ყველაფერი საგულდაგულოდ დაათ-ვალიერებინა და დაწვრილებით აუხსნა, როგორ უნდა მოქცეულიყვნენ ამ ლამაზ შენობაში. ძალიან ყურად-ღებიანი და ალერსიანი ჩანდა. თანაკლასელებიც საინტერესოდ გამოიყურებოდნენ: ზოგი უფრო თამა-მად იქცეოდა, ზოგი ჯერ ვერ მოშინაურებულიყო, მაგრამ თამაში ყველასთან შეიძლებოდა, თუმცა სკოლაში ალბათ ნაკლები უნდა ეთამაშათ და ბევრი ესწავლათ, - ასე დაარიგა მასწავლებელმა. როგორც ჩანს, ჯერ არაფერი გაეგონა სწავლების ისეთ მეთოდებზე, როგორიცაა ასოების გამოცხობა ან ჯადოსნური სიტყვებით გართობა, მაგრამ არა უშავს...

ისეთი ჭკვიანი სახე ჰქონდა, ერთი შეხედვითვე შეატყობდი, სხვა ბევრი საინტერესო რამ იცოდა.

სკოლა რომ დაათვალიერებინა, დამრიგებელმა პირველკლასელები მათთვის განკუთვნილ საკლასო ოთახში წაიყვანა, ყველას თავ-თავისი მაგიდა მიუჩინა. მერე უბის წიგნაკიდან ბავშვების სახელები და გვარები ამოიკითხა და სათითაოდ გაეცნო ყველას, ბოლოს კი დიდ სასკოლო დარბაზში მიიწვია, რომ სწავლის დაწყება საზეიმო კონცერტით აღენიშნათ.

ისეთი ლამაზი დარბაზი იყო!

ყვავილებით მოერთოთ სცენა. ქვემოთ კი, მაყურებელთა რიგებში, პირველკლასელების მშობლები ისხდნენ.

სცენაზე ჯერ სკოლის დირექტორი გამოვიდა და ყველას მიულოცა სწავლის დაწყება. მერე წარჩინებულმა უფროსკლასელებმა მიულოცეს, იცეკვეს, იმღერეს, ლექსები თქვეს. ბოლოს პირველკლასელებსაც დაუთმეს სცენა.

ანანო სულ ოდნავ, მაგრამ მაინც ღელავდა, ლექსის თქმა არ შემეშალოსო, მაგრამ სცენაზე გავიდა თუ არა, ისე მოეწონა იქაურობა, თავი საუცხოოდ იგრძნო და ღელვამაც გაუარა. მასწავლებლის ნიშანზე, რიგრიგობით გამოდიოდნენ მისი თანაკლასელები და ამ დღისთვის მომზადებულ ლექსებს ამბობდნენ.

ანანოს ჯერიც დადგა.

გოგონამ დარბაზს თვალი მოავლო, ყელის ჩასაწმენდად ნერწყვი გადაყლაპა და უცებ ისეთი რამ დაინახა, ისეთი რამ... ლექსიც, სკოლაც და ყველაფერი ერთბაშად დაავიწყდა. დარბაზის სიღრმიდან ორი საოცრად ალერსიანი, ნაცნობი და მონატრებული თვალი შეჰყურებდა.

– მამა! – იყვირა ანანომ მთელი სკოლის გასაგონად, ორივე ხელი მისკენ გაიწოდა და... მაგრად, ძალიან მაგრად ჩაეხუტა.

ჰო, ასე იყო, თუმცა ნამდვილად აღარ ახსოვს, როგორ აღმოჩნდა მამის კისერზე ჩამოკიდებული: კიბეები ჩამოირბინა თუ სცენიდან გადმოფრინდა. არც იმაზე უფიქრია, შეიძლებოდა თუ არა ასე მოქცევა. არც იმაზე, რომ ამდენი უცხო ადამიანი უყურებდა. მამა ჩამოვიდა – სხვას აღარაფერს ჰქონდა მნიშვნელობა.

***

ანანო საწოლზე ფეხმორთხმული იჯდა და საჩუქრებს ათვალიერებდა. რაზე აღარ ეზრუნა მის მამიკოს: ლამაზი სასკოლო ნივთები, ფერად-ფერადი კალმები, ფანქრები, რვეულები და ტკბილეული საწოლზე გორად იდგა.

დედა და მამა სამზარეულოს მაგიდას უსხდნენ და, უკვე მთელი საათია, საუბრობდნენ.

ვახშმის შემდეგ, დეიდა ნაზიმ ანანო თვალით გამოიხმო გარეთ და საიდუმლო ხმით გააფრთხილა: თუ გინდა, მამიკო აღარსად წავიდეს, მანამდე არ შეხვიდე სამზარეულოში, სანამ თვითონ არ დაგიძახებენ, შენს ოთახში ითამაშე და საუბარში ხელს ნუ შეუშლიო.

თვითონაც მათთან გამოუმშვიდობებლად წავიდა შინ. ანანომ გააცილა. ნამდვილი შეთქმულე-ბივით ჩურჩულებდნენ და ეს ძალიან მოსწონდა ორივეს. მართალს ამბობდა ბებიკო ნაილი, ვინც ზღაპარში ერთხელ მაინც მოხვდება, მასთან თამაში უკვე შეიძლება.

ბებიკო ნაილის გახსენებაზე ანანოს ისიც გაახსენდა, რომ მისმა მეგობრებმა ჯერ კიდევ არაფერი იცოდნენ დღევანდელი ამბების შესახებ. უჰ, რას გაიხარებენ, ყველაფერს რომ მოუყვება!

არასოდეს დაავიწყდება, როგორ დაეხმარა ბებიკო ნაილი, მამასთვის წერილი გაეგზავნა, როგორ მოუძებნა ნატვრისთვალი, როგორ ასწავლა სურვილების სწორად ჩაფიქრება, როგორ ცდილობდა, რომ მას და საბას არასოდეს მოეწყინათ, ყოველთვის მხიარულები და ბედნიერები ყოფილიყვნენ და უცებ თავადაც ძალიან მოუნდა, იგი რაიმეთი გაეხარებინა.

მართლაც, რა იქნება, რამე ისეთი მოაფიქრებინა, რითიც ერთბაშად გააოცებს და გაახარებს კიდეც. ო, როგორ უნდა, რამე მოაფიქრდეს! მაინც რა შეუძლია, გააკეთოს? განსაკუთრებული არაფერი მოსდიოდა თავში.

ფიქრში გართულმა შოკოლადის ფილებისგან კოშკის აშენება წამოიწყო. ნეტა, ბებიკო ნაილი საიდან იგონებს ამდენ ამბებს და სიურპრიზებს? მასაც რომ შეეძლოს... თუმცა მოიცა... რა იქნება, შოკოლადის ყველაზე ლამაზი ფილები რომ აჩუქოს?!

უფრო სწორად, აი, ასე მოიქცევა: ჩუმად მიიპარება და მის საფოსტო ყუთში ჩააწყობს შოკოლადის ფილებს, დილით კი... ბებიკო ნაილი ხომ ყოველ დილით ამოწმებს ძველ საფოსტო ყუთს. მართალია, შიგ არასდროს არაფერი ხვდება, მაგრამ მაინც ამოწმებს. რაღაცას ელის უეჭველად, ის რაღაც კი ძალიან, ძალიან აგვიანებს. ჰოდა, რა სეირი იქნება: ბებიკო ნაილი საფოსტო ყუთს გახსნის და იქ უგემრიელეს ტკბილეულს აღმოაჩენს.

უჰ, რას გაიხარებს!

ყველაზე სასაცილო კი ის იქნება, თუ იმ ტკბილეულით ანანოს და საბას გაუმასპინძლდება. ანანო ისეთ სახეს მიიღებს, ვითომ ძალიან გაოცებულია.

ვაშაა, რა კარგად მოიფიქრა!

გოგონამ შოკოლადები წამოკრიფა და ფეხაკრეფით გავიდა ოთახიდან. თვალი სამზარეულოსკენ გააპარა. იქიდან კვლავ მოისმოდა ჩუმი საუბრის ხმა. შეეცადა, თვითონაც არ ეხმაურა, შემოსასვლელი კარის სახელური ფრთხილად ჩამოსწია და უჩუმრად გაიპარა გარეთ. ჩქარობდა. უნდოდა, მანამდე მოესწრო ყველაფერი, სანამ დედ-მამა მოიკითხავდა.

ისარივით გაქანდა ბებიკო ნაილის მწვანე ჭიშკრისაკენ. თავისი ჩანაფიქრის ასრულების შემდეგ, აქოშინებულმა უკან რომ მოირბინა, მაშინღა შენიშნა, გარეთ როგორ დაბნელებულიყო.

„ღამით, ქუჩაში მარტოდმარტო გავედი და არ შემეშინდა?!“ – გაოცებული, საკუთარ თავს დაეკითხა ანანო. საოცარია, ბებიკო ნაილის სახლისკენ რომ მიიჩქაროდა, ამაზე წუთითაც არ უფიქრია. გული რაღაც გამოუცნობი, თბილი და სასიამოვნო გრძნობით ჰქონდა სავსე. ეს გრძნობა ისეთი დიდი, ძლიერი და საიმედო იყო, შიშისთვის ერთი ბეწო ადგილს არ ტოვებდა.

ჩემი ამბავი

– მორჩა, ჩემს ცხოვრებას აზრი აღარა აქვს... დამთავრდა ყველაფერი.

სულ მეგონა, ამ სიტყვებს მწუხარებისგან შეშლილი ადამიანები ცრემლების ფრქვევითა და სასოწარკვეთილი ხმით წარმოთქვამდნენ, ისე, როგორც ტრაგიკული და გულისამაჩუყებელი ფილმების ფინალშია. მე კი ემოციებისგან სულმთლად დაცლილი ვიჯექი იატაკზე, საოჯახო აფთიაქის გამოღებულ უჯრასთან და აუღელვებლად ვატრიალებდი ხელში წამლის მომცრო შუშას. გონება იმის ანგარიშით იყო დაკავებული, რამდენი აბი დასჭირდებოდა ჩემი განზრახვის წარმატებით განხორციელებას. სხვა არაფერზე არ ვფიქრობდი. ტკივილი გაუსაძლისმა დაღლილობამ ჩაანაცვლა. ერთი სული მქონდა, დამეძინა. დამეძინა სამუდამოდ და უსიზმრებოდ.

კარი მოულოდნელად გაიღო და ოთახში მოხუცი ქალი შემოვიდა. ბებია მეგონა. მისკენ არ გამიხედავს, გვერდითი მზერით დავაფიქსირე სილუეტი.

– უჰ, არაფერზე იდარდო, რა, ამად არ ღირს, – ისე მხიარულად თქვა მოხუცმა, თითქოს ცირკში მეპატიჟებოდა.

რაღაცნაირი, ბავშვის სუნთქვასავით მსუბუქი ხმა ჰქონდა. კი არ მესმოდა, ვგრძნობდი ამ ხმას. მთელს სხეულში უცნაურმა სითბომ დამიარა, თითქოს ვიღაც მხრებზე მომეხვია. წამლის შუშა მუჭში დავმალე ჩემდა უნებურად. დღესაც არ ვიცი, ეს რატომ გავაკეთე. მგონი, შემრცხვა.

– გინდა, წამოწექი და რამეს მოგიყვები? მოგეწონება, დარწმუნებული ვარ.

ძილის დროაო, რომ ეტყვიან და დაიჯერებს, ისე, მორჩილი ბავშვივით ავძვერი საწოლზე, კედლისკენ გადავბრუნდი და ბალიშს ჩავეხუტე.

– რა მოგიყვე? საშინელი ამბავი, სასაცილო თუ ყველაფერს ზღაპარი გირჩევნია?

პასუხის გაცემის თავი არ მქონდა. პრინციპში – არც არჩევანის გაკეთების. მანაც ჩემ მაგივრად აირჩია.

– ზღაპარს მოგიყვები.

– ჩემი ამბავი ზღაპარს არ ჰგავს, – გავიფიქრე და ვიგრძენი, გული როგორ დამწყდა.

– ნუ იცი შენ ამ ნაჩქარევი დასკვნების გაკეთება, – რატომღაც სულ არ გამიკვირდა, ჩემი ფიქრი რომ გამოიცნო, – ცუდი ჩვევაა. ზღაპარს ნებისმიერი ამბავი შეგიძლია დაამგვანო, ისევე, როგორც საშინელებათა ფილმს, სხვათა შორის. მთავარი ისაა, რას აირჩევ. აბა, მომისმინე!

და მან საოცარი ზღაპარი მიამბო.

იმ ამბის მთავარი გმირი მე ვიყავი და საოჯახო აფთიაქთან არ მთავრდებოდა. არაჩვეულებრივი ისტორია იყო, სულისშემძვრელი და საინტერესო, თავისი „ღვთის უკეთესი რა უნდა ყოფილიყოთი“ და „ჭირი იქა, ლხინი აქათი“.

როგორ მეგონა, რომ ყველაფერი დამთავრდა?

თურმე რა ცოტა რამ მჭირდებოდა, ჩემი ამბავი ზღაპრად რომ მექცია. სულ ცოტაოდენი ფანტაზია, მეტი არაფერი. მახსოვს, სანამ ძილი წამიღებდა, უზომოდ მომინდა, იმ ზღაპარში მოვხვედრილიყავი.

– გაიღვიძებ თუ არა, – ვითომც არაფერი, კვლავ გამოიცნო ჩემი ფიქრი მოხუცმა და საბანი მზრუნველად შემომიკეცა.

***

ასე გავიცანი ბებიკო ნაილი, რომელსაც მხოლოდ მე ვხედავდი, თუმცა პირველ ხანებში – საკმაოდ ბუნდოვნად. ეს მერე, დიდი ხნის მერე გავარჩიე მკაფიოდ მისი ნაკვთები, გავერკვიე მის ჩვევებსა და ცხოვრების წესში. მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია, გაცნობისთანავე დავმეგობრებულიყავით.

განუყრელად ჩემთან იყო.

ხან რჩევისათვის მივმართავდი, ხან ყავაზე დავიწვევდი და უზრუნველად ვლაზღანდარობდით. ხან, გაურკვევლობაში მყოფს ან უსაშველოდ დაღ-ლილს, სასთუმალთან ჩამომიჯდებოდა და გამამხნე-ვებლად მიღიმოდა. მომიყევი რა ზღაპარი, ვთხოვდი ამ დროს და ისიც მიყვებოდა.

მისი ზღაპრები!

თავიდან მართლა ზღაპრები მეგონა, გვიან მივხვდი, რომ ნამდვილ ამბებს მიყვებოდა. ასეც ვუთხარი.

– სწორედ ამიტომ მოიგონეს ზღაპრები... სინამდვილე რომ უფრო დამაჯერებელი გამხდარიყო, – ამიხსნა ჩვეული მოთმინებით.

ბებიკო ნაილი არ ტყუოდა.

რაც დრო გადიოდა, უფრო და უფრო ვრწმუნდებოდი ამაში. ერთ მშვენიერ დღეს კი, თაკარა მზეში დიდხანს ნახეტიალებს, წყალი რომ მოგინდება, აი, ისე ძლიერ მომინდა, სხვებისთვისაც მომეყოლა მისი ამბები.

– ვინ დაგიჯერებს? – თანაგრძნობით გამიღიმა მოხუცმა.

– ზუსტად ვიცი, ვინც. ისინი ხომ ყველაზე მიხვედრილები არიან ქვეყნად, შენც არაერთხელ გითქვამს, – ვუთხარი და მოუთმენლად გავხსენი ნოუთბუქი.

ჩემი გაჩერება უკვე არანაირ ძალას არ შეეძლო. კლავიატურას თითები ზუსტად ისეთი მოკრძალებით გადავუსვი, პიანისტი რომ ეხება კლავიშებს კონცერტის დაწყების წინ, მერე კი სულმოუთქმელად მივაყარე:

„ეს წიგნი ბავშვებისთვისაა დაწერილი, მხო--ლოდ და მხოლოდ ბავ-შვე-ბის-თვის“.

დანარჩენი ხომ უკვე იცი.

გამომცემელი:

გორის მუნიციპალიტეტის მერიის მწერალთა სახლი

ვებგვერდი: **შიდა ქართლის მწერლობა**

http://mweraltasaxli.blogspot.com/

2015 წელი